

წმ. იოანე ოქროპირი

თარგმანებად  
მათეს სახარებისად

თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა

წიგნი II

გამომცემლობა „ბეთანია“  
თბილისი  
2014

ათონური ხელნაწერები:  
№13 (თ. 1-18), №4 (თ. 19-45), №10 (თ. 46-90)

ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორია „ორიონის“ თანამშრომლებმა:

მერაბ ბაბუხადიამ  
ლილი ბასილაიამ  
ნინო დობორჯგინიძემ  
დარეჯან თვალთვაძემ  
თინათინ კარსანიძემ  
მანანა მაჩხანელმა  
ნინო შარაშენიძემ  
ნანა შულლაძემ  
თამარ ცოფურაშვილმა  
თინათინ ცქიტიშვილმა  
მარინე ოდიკაძემ

რედაქტორი მზექალა შანიძე

მეორე გამოცემა

საავტორო უფლება დაცულია  
© მზექალა შანიძე, 2014

ISBN 978-9941-0-7207-9 (ორივე წიგნის)  
ISBN 978-9941-0-7209-3 (მეორე წიგნის)

**წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ  
კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ  
თარგმანებაჲ წმიდისა სახარებისაჲ  
მათეს თავისაჲ**

**თავი ლგ**

სიტყუაჲ ესე: „მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩკლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე“ (11,25-26).

იხილეღა, რავდენი სახე წინაჟყო ერსა მას, რადთამცა მოიყვანნა იგინი სარწმუნოებად: პირველად, ქებაჲ იგი იოვანესი, რამეთუ გამოაჩინა რად იგი ესრეთ დიდად და საკვრველად კაცად, დაამტკიცა, ვითარმედ ყოველივე მის მიერ თქუმული სარწმუნო არს. ხოლო მის მიერ თქუმული ყოველი მეცნიერებასა ქრისტესსა მოასწავებდა; მეორედ, რომელ თქუა, ვითარმედ: „სასუფეველი ცათად იძულების, და რომელნი იიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი“,<sup>1</sup> რამეთუ სიტყუაჲ ესე განმალჱქებელ გონებათა მათთა იყო; მესამედ, რომელ გამოაჩინა, ვითარმედ წინანარმეტყუელებანი აღსრულებულ არიან, რამეთუ ამისგან ჩნდა, ვითარმედ მოვიდა ქრისტე; მეოთხედ, რომელ უჩუენა იგავითა მით ყრმათაჲთა, ვითარმედ ყოველივე, რავდენიცა ჯერიყო ქმნად, მათდა სარგებელად აღასრულა; მეხუთედ, რომელ-იგი აყუედრა ურწმუნოთა მათ ქალაქთა და ყოველთა, რომელთა არა შეინყნარეს იგი, და უჩუენა, თუ რომლისა საშჯელისა თანამდებ არიან; მეექუსედ, რომელ წარმოთქუა მადლობაჲ ესე მათთვის, რომელთა ჰრწმენა მისი; რამეთუ სიტყუაჲ ესე – „აგიარებ შენ“ – ამას ადგილსა ესრეთ მოასწავებს, ვითარმედ: გმადლობ შენ.

„გმადლობ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩკლთა“.

რად არს სიტყუაჲ ესე? წარწყმედისა და არასწავლისა მათისათვის მოხარულ არსა? ნუ იყოფინ! არა მოხარულ არს ამისთვის, არამედ ესე გზად არს ჭეშმარიტისა ცხორებისაჲ, რადთა რომელთა განაგდეს და არა შეინყნარნეს საიდუმლონი იგი ცხორებისანი, არა მოიყვანნეს იძულებით, არამედ ვინაჲთგან წოდებაჲ იგი არა ისმინეს, განვრდომითა მით ქორწილისაგან მოვიდენ სურვილად. ან უკუე არა მათისა მის უმეცრებისათვის მოხარულ არს, – ნუ იყოფინ! – არამედ მეცნიერებისათვის შემწყნარებელთა მისთაჲ-

<sup>1</sup> მათ. 11,12.

სა. რამეთუ რომელ ამათ გამოეცხადა საიდუმლოდ ღმრთისად, ღირს არს სიხარულისა; ხოლო რომელ-იგი მათ დაეფარა, არღარა სიხარულისა ღირს არს, არამედ ცრემლისა. და ეგრეთცა ქმნა. აღმოიკითხე, რაჲ-იგი წერილ არს სახარებასა ლუკადსა: „და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტიროდა მას ზედა“.<sup>1</sup> და ან უკუე არა ამისთვის მხიარულ იქმნა, რომელ მათ არა ცნეს, არამედ – რომელ რაჲ-იგი არა ინებეს ცნობად ბრძენთა, გულის-ვმა-ყვეს წმიდათა მოციქულთა და მათ მიერ სწავლულთა მორწმუნეთა.

იტყვს პავლეცა, ვითარმედ: „მაღლი ღმერთსა, რამეთუ იყვენით მონა ცოდვისა, და მორჩილ იქმნენით გულითა, რომელსაცა-იგი მიეცენით სახედ მოძღურებისა“.<sup>2</sup> არა თუ ამისთვის შეწირა მადლობად პავლე, რომელ მონა ცოდვისა იყვენს იგინი, არამედ ამისთვის, რომელ ესე ვითარწილა იყვენს და ესე ვითართა კეთილთა ღირს იქმნეს. ეგრეთვე უფალი ჰმადლობს მამასა ამისთვის, რამეთუ რომელ-იგი ბრძენთა არა ინებეს სწავლად, ისწავეს უსწავლელთა, რომელთაცა ჩჩვლად სახელ-სდვა. ხოლო ბრძნად და მეცნიერად ამას ადგილსა მწიგნობართა მათ იტყვს და ფარისეველთა, შჯულის-მეცნიერთა მათ და სწავლულთა მღდელთა; არა თუ ჭეშმარიტისა სიბრძნისა მეცნიერად იტყვს, არამედ კაცობრივისა ამის, რომელსა იგინი ჰგონებდეს თავთა თვსთა ყოფად. ამისთვისცა არა თქუა, თუ: გამოუცხადე სულელთა, არამედ – ჩჩვლთა; ესე იგი არს, უმანკოთა, წრფელთა გულითა, განშორებულთა უკეთურებისაგან, რამეთუ ამას მოასწავებს სახელი ჩჩვლთა.

ხოლო ქადაგებად ესე დიდებული და გამოცხადებად საიდუმლოთად ვინათგან თავადმან ქმნა, მან მოუწოდა მოციქულთა, მან ასწავა; და კუალად უგუნურთა მათ ბრძენთა, რომელნი ბრძენ იყვენს ძვრისსაქმედ, ხოლო კეთილისსაქმე ვერ გულისვმა-ყვეს, იგი არა შეინყნარეს, მისი არა ისმინეს. ვითარ ამის ჯერისათვის მამისა შესწირავს მადლობასა? არამედ ვითარცა-იგი სხუასა ადგილსა აღიხილნა თუალნი ზეცად, მი-რაჲ-ვიდოდა ვნებად, და შეწირა მადლობად და ლოცვად მამისა, რაჲთა გამოაცხადოს, რაოდენი სიყუარული აქუს მონათა თვსთა მომართ, ეგრეთვე აქა იქმს, რამეთუ დიდისა სიყუარულისა სასწაული არს ესე.

გამოაჩინა უკუე ესეცა, ვითარმედ შეურაცხისმყოფელნი მისნი არა მისგან ხოლო, არამედ მამისაგანცა განვრდომილ არიან, და კუალად მორწმუნეთა მათ მისთა მეცნიერებასა ზედა ორთავე აღესრულა ნებად; ამისთვის ძე მხიარულ არს და მამად ეგრეთვე. რამეთუ არა თქუა, თუ: თხოად ისმინე და ამისთვის გამოუცხადე, არამედ: „ესრეთ სათნო-იყოო შენ წინაშე“; ესრეთ ინებე, ესრეთ სათნო-იჩინე.

ხოლო რაჲსათვის დაეფარა ბრძენად საგონებელთა მათგან უგუნურთა? ისმინე პავლესი, რასა იტყვს, ვითარმედ: „თვსსა მას ნებასა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ლუკ. 19,41.

<sup>2</sup> რომ. 6,17.

<sup>3</sup> რომ. 10,3.

ხოლო ლუკა ეგრეთ იტყვს, ვითარმედ: ოდეს მიიქცეს სამეოცდაათნი იგი და უთხრეს დამორჩილებისა მისთვის ეშმაკთაჲსა, მას ჟამსა იხარება და იესუ სულითა წმიდითა და თქუა ზემონწერილი ესე მადლობაჲ, რაჲთა უმეტესი ასწაოს მათ მოსწრაფებაჲ და სიმდაბლე, რაჲთა არა აღზუავნენ განსხმისა მისთვის ეშმაკთაჲსა. ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ესე საქმე არა თუ თქუენისა მოსწრაფებისაჲ არს, არამედ მადლი არს ზეგარდამოდ, მოცემული თქუენდა სარწმუნოებისა და უმანკოებისა თქუენისათვის, რამეთუ ჩჩვლთა მსგავსად განშორებულ იქმნენით ყოვლისა ბოროტისაგან და გონებითა მარტივითა შეინწყნარეთ საიდუმლოდ ღმრთისაჲ. ხოლო მწიგნობართა და ფარისეველთა, რომელნი ჰგონებდეს თავთა თქსთა ბრძენ და მეცნიერ, ანჰარტავანებისა თქსისათვის არა შეინწყნარეს საიდუმლოდ მადლისა ღმრთისაჲ. ვინაჲთგან უკუე მათ ანჰარტავანებისაგან დაეფარა, დაადგერით თქუენ სიმდაბლესა ზედა, რაჲთა არაოდეს დაგეფაროს გამოცხადებაჲ ესე მადლისაჲ, რამეთუ დაფარვაჲცა და გამოცხადებაჲ კაცთა მიერ არს. უკუეთუ ვინ მისცეს მიზეზი დაფარვისაჲ ანჰარტავანებითა თქსითა და უკეთურებითა, მას დაეფარვის, და უკუეთუ ვინ მისცეს მიზეზი გამოცხადებისაჲ სიკეთითა თქსითა და სიმდაბლითა, გამოეცხადებს.

ხოლო ვინაჲთგან თქუა, ვითარმედ: „აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვლთა“, რაჲთა არავინ ჰგონებდეს, ვითარმედ მას ვერ ძალ-ედევა ამის საქმისა წარმართებაჲ და ამისთვის ჰმადლობს მამასა, რომელმან ესრეთ სათნო-იჩინა გულისწმის-ყოფად ყოველთაჲვე, ვითარმედ განუყოფელ არს ძალი მისი მამისაგან და ყოვლისაჲვე ჴელმწიფებაჲ აქუს, ამისთვის შესძინა მეყსეულად და თქუა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ო :** „ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამად ვინ იცის, გარნა ძემან; და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს“ (11,27).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რაჟამს გესმას, ვითარმედ: „ყოველივე მომეცა მე მამისა მიერ“, ნურარას კაცობრივსა მოიგონებ; რამეთუ რაჲთა არა ორნი ღმერთნი უშობელნი მოიგონენ, ამისთვის თქუა სიტყუად ესე. ხოლო ესე საცნაურ არს, ვითარმედ იშვა მამისაგან პირველ საუკუნეთა და მიერთგანვე ყოველთა მეუფე იყო. არასადა ყოფილ არს ჟამი, ოდეს იგი არა იყო; არცა რაჲ სადა პოვნილ არს, რომლისაჲ არა აქუნდა მას ჴელმწიფებაჲ, დაბადებულთაგანი. უწინარეს საუკუნეთა შობილ იყო მამისაგან და უწინარეს საუკუნეთა ყოველთა ჴელმწიფე და მეუფე იყო და არს და იყოს.

ესე ყოვლით კერძო საცნაურ არს, და უმეტესად ესერა გამოაცხადებს სიტყუთა თქსითა და იტყვს უფალი: „არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამად ვინ იცის, გარნა ძემან“.

ვინადათგან თქუა, ვითარმედ: „ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ“, მეყსეულად ესე დაურთო, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: რაჲ საკრველი არს, უკუეთუ ყოველთა მეუფე ვარ; სხუადცა ამისა უმეტესი ისმინეთ: ესრეთ მისისა მის არსებისა და ბუნებისად ვარ, რომელ მე მხოლომან ვიცი იგი, ვითარცა ჯერ-არს, სულით წმიდითურთ, და სხუამან არავინ, რამეთუ „არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამად ვინ იცის, გარნა ძემანო“. ხოლო სული წმიდად განუშორებელ არს მათგან. ამისთვისცა, ოდესღა ამას იტყოდა, მხიარულ იყო სულითა წმიდითა.

ხოლო იხილე, ოდეს თქუა სიტყუად ესე: ოდეს საქმით ცნეს ძალი მისი მოციქულთა; არა თუ მის მიერ ქმნილთა ხოლო სასწაულთაგან, არამედ რომელ იგინიცა სახელითა მისითა ძლიერებათა იქმოდეს, მაშინ აუწყა ესე საიდუმლო. ხოლო ვინადათგან ეთქუა, ვითარმედ: „გამოუცხადე ესე ჩჩვლთა“, უჩუენებს, ვითარმედ გამოცხადებადცა ესე მისივე არს. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „არცა მამად ვინ იცის, გარნა ძემან; და რომლისად უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს“. არა თუ რომლისად ბრძანებად მოიღოს ანუ რომლისათჳს ჰკითხოს, არამედ რომლისად ენებოს, მას გამოუცხადოს მამადცა და თავიცა თჳსი; და ამას მარადის გუაუწყებს, ვითარცა-იგი იტყოდა: „არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“,<sup>1</sup> რამეთუ ესოდენ ერთ არს ნებად მამისად და ჩემი, ერთი განზრახვად, ერთი ძალი, რომელ არცა ვის ძალ-უც მისლვად მამისა, გარნა ჩემ მიერ. რამეთუ ვინადათგან უფროჲს ყოვლისა ამას ზედა დაბრკოლდებოდეს ჰურიანი, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: წინააღმდეგომ არს ღმრთისა, უღმრთონი იგი და წინააღმდეგომნი, ამისთვის ყოვლით კერძო ესევეითარი ესე იჭჳ მათი დაჰჳსნა და უსიტყუელყვნა მრავალსახედ და მრავალფერად.

ხოლო ოდეს თქუას, ვითარმედ: „არცა მამად ვინ იცის, გარნა ძემან“, არა თუ ეგრე იტყვს, თუ ყოველნი უმეცარ მისა არიან, არამედ: ეგევეითარი მეცნიერებად, ვითარი ძესა აქუს, არავის აქუს სხუასა, რამეთუ მისი იგი მეცნიერებად ბუნებითი არს და არსებითი, ხოლო სხუათად – მისმიერთითა მით მადლითა მონიჭებული. ეგრეთვე არცა ძე ვინ იცის, ვითარცა ჯერ-არს ცებნად, გარნა მამამან და სულმან წმიდამან, ვითარცა იტყვს პავლე, ვითარმედ: „მცირედ რამე ვიციით და მცირედ ვინადასწარმეტყუელებთ“.<sup>2</sup>

ვინადათგან ესე ყოველი ღმრთივშუენიერებით მიუთხრა და გულნი მონაფეთანი ფრთოვან-ყვნა სურვილად მისა და უჩუენა მიუთხრობელი იგი და გამოუთქუმელი ძალი მისი, მერმე მოუწოდს და ეტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ა :** „მოედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტკრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ. აღიდეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებად

<sup>1</sup> იოან. 14,6.    <sup>2</sup> 1 კორ. 13,9.

**სულთა თქუენტაჲ. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტკრთი ჩემი მცირე არს“ (11,28-30).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: მოედით ჩემდა ყოველნი, არა ესე ვინმე და იგი, არამედ ყოველნი, რომელნიცა ხართ ცოდვათაგან დამძიმებულ, რომელნიცა ხართ მწუხარებათაგან შეპყრობილ, რომელნიცა ხართ ზრუნვათაგან შეურევებულ. მოედით ჩემდა ყოველნი, არა თუ რადთა სიტყუად ბრალისად მიგწადო, არამედ რადთა დავჰქსნენ და განვაქარვენ ცოდვანი თქუენნი და განგისუენო თქუენ, რომელნი-ეგე მათგან ჭირვეულ ხართ და შეინრებულ; მოედით არა თუ ამისთვის, ვითარმცა მეწმარებოდა თქუენმიერი დიდებაჲ, არამედ ამისთვის, რომელ მნებაჲს ცხორებაჲ თქუენი.

„მე განგისუენო თქუენ“. არა თქუა, თუ: შეგინდო ხოლო და შეგინყალნე, არამედ: განსუენებასაცა საუკუნესა ღირს-გყვენ.

„ალიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენტაჲ. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტკრთი ჩემი მცირე არს“.

უღელი თუ გესმის, ნუ გეშინინ, რამეთუ ტკბილ არს; ტკრთი თუ ვთქუ, ნუ შესძრუნდებით, რამეთუ მცირე არს.

და ვითარ ზემო იტყოდა, ვითარმედ: „ინრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ“? ესე იგი არს, უკუეთუ უდებ იყო და დაწსნილ და ჯორცთმოყუარე და ვნებათა მოსურნე, ინრო და საჭირველ გიჩნდეს გზაჲ იგი; უკუეთუ კუალად შეიმოსო გულსმოდგინებაჲ და შეიყუარო ცხორებაჲ სულისა შენისაჲ და წარჰმართო მცნებაჲ მისი, მაშინ ტკბილ იყოს უღელი იგი ქედსა შენსა, და ტკრთი იგი – სანადელ ბეჭთა შენთა.

ხოლო ვითარ იქმნას წარმართებაჲ იგი მცნებათაჲ? ისმინე ამისცა სახისაჲ ჭეშმარიტი და უშრომელი მოძღურებაჲ: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“. ან უკუე იქმნე თუ მშუდ და მდაბალ და სახიერ, მცნებანიცა მისნი წარჰმართნე და სულისა შენისა ჰპოო ჭეშმარიტი განსუენებაჲ.

ესე სათნოებაჲ არს დედაჲ ყოველთა კეთილთაჲ – ჭეშმარიტი იგი სიმდაბლე. ამისთვის პირველვე, რაჟამს იწყებდა საღმრთოთა მათ შუგულთა და სულიერთა მათ წესთა განწესებაჲ, ყოვლისა უპირატეს ნეტარებაჲ მდაბალთა მისცა და მშუდთა; და ანცა ეგრეთვე იქმს. ესე მოიგეთო და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენტაჲ. ამისთვის თავსაცა თვისსა სახედ დაგკდებს, ვითარმცა იტყოდა: რადსათჲს გეშინის, კაცნო, სიმდაბლისაგან? ჰგონებთა, თუ ნაკლულევანებაჲ რადმე შეგემთხვოს? მე მომხედენით და ჩემგან ისწავეთ და მაშინ სცნათ, ვითარი კეთილი არს საქმე ესე. „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“; და კუალად თავისაცა თვისისა სარგებელი გულსწმა-ყავთ, რამეთუ ამის მიერ ჰპოოთ განსუენებაჲ

<sup>1</sup> მათ. 7,14.

სულთა თქუენთაჲ. და კუალად იტყვს: „მე განგისუენო თქუენ“, იტკრთოთ თუ უღელი ესე, რომელსა დაგიდებთ თქუენ, რამეთუ „უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტკრთი ჩემი მცირე არს“.

## სწავლად ლტ

### ვითარმედ უღელი სიმართლისაჲ სუბუქ არს და მცირე, ხოლო ცოდვისაჲ – მძიმე და ბოროტ

თქუას ვინმე, თუ: ვითარ მცირე არს ტკრთი ესე, რაჟამს თქუას: რომელმან არა მოიძულოს მამად თვისი და დედაჲ და ცოლი და შვილნი, და რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს; და რომელმან არა დაუტეოს ყოველი მონაგები მისი და მერმელა სულიცა თვისი მისცეს სიკუდილად, ვერ ჴელ-ენიფების მონაფე-ყოფად ჩემდა.<sup>1</sup> ესე ყოველი ვითარ სუბუქ არს და ტკბილ? გნებავსა, კაცო, ცნობად, ვითარ ტკბილ არს და სანადელ უღელი ესე და ტკრთი, რომელი შენ მძიმედ გგონიეს? ისმინე, რასა იტყვს პავლე მოციქული: „ვინ განმამორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ ინროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშულოებამან ანუ ურვამან, ანუ მახვლმან?“<sup>2</sup> და შემდგომი ამისი. და კუალად იტყვს, ვითარმედ: „ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელი გამოჩინებად არს ჩუენდა“.<sup>3</sup> ისწავეთ კუალად მოციქულთაგან, რომელნი-იგი მოიქცეს რად შესაკრებელისაგან ჰურიათაჲსა, ტანჯულნი და გუემულნი, უხაროდაო, რამეთუ ღირს იქმნეს სახელისა მისისათჳს გინებად.<sup>4</sup> ხოლო უკუეთუ შენ იშიშვი უღლისა მისგან და ტკრთისა, არა ბუნებისაგან მათ საქმეთაჲსა არს შიში ესე, არამედ შენისა მის დაჴსნილებისაგან. ხოლო იყო თუ კაცი გულსმოდგინე ცხორებისათჳს სულისა შენისა, ყოველივე ესე სუბუქ იყოს შენდა და ადვილ.

ამისთჳსცა ქრისტე გულისჴმა-გვყოფს, ვითარმედ ჩუენცა გვჴმს მცირედ რადმე შრომაჲ. და არა თქუა სიტკბობებაჲ ხოლო და სისუბუქჴს საქმისაჲ ამის და დაიდუმა, არცა სიძიმჴს და სიძნელჴს, არამედ ორივე თქუა, რამეთუ უღელი სახელ-სდვა და ტკბილ უნოდა, და ტკრთი გუაუნყა და მცირჴს დაურთო, რადთა არცა ვითარცა საჭიროჲსა და ძნელისაგან ივლტოდი, არცა ვითარცა ფრიად რადმე ადვილი და არარაჲ შეურაცხ-ჴყო.

ხოლო უკუეთუ ამას ყოველსა ზედა ძნელვე გიჩნს შენ სათნობებაჲ და მძიმე, გულისჴმა-ყავ, რამეთუ ცოდვაჲ უმძიმჴს არს და უძკრჴს. ამას უკუე მოასწავებდა უფალი, ამისთჳს პირველად თქუა: „მოედით ყოველნი მაშურალნი და ტკრთმძიმენი“, რადთა გიჩუენოს, ვითარმედ ცოდვაჲ არს მძიმე

<sup>1</sup> შდრ. ლუკ. 14,26-27,33; მათ. 10,37-39.

<sup>2</sup> რომ. 8,35.

<sup>3</sup> რომ. 8,18.

<sup>4</sup> საქმე 5,41.



და საჭიროდ ტკრთი; და მერმე შესძინა: „აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზე-და“<sup>1</sup>; რაფათა სცნათ, ვითარ არს ცოდვად მიძიმჷ და სანყინო, და უღელი სათ-ნოებისად – ტკბილ და სუბუქ. ეგრეთვე წინაფსნარმეტყუელი წარმოიტყვს სიმძიმესა მას ცოდვისასა და ღალადებს: „რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი აღმემატნეს თავსა ჩემსა, ვითარცა ტკრთი მიძიმე, დამიმძიმდა ჩემ ზედა“.<sup>2</sup> და კუალად ზაქარია გამოსახავს მას და შანთად ბრპენისა სახელ-სდებს.<sup>3</sup> რამეთუ არარად ესრეთ დაამძიმებს სულსა და ქუე დაჰქენჯნის, ვითარ მხი-ლებად ცოდვისად, და არარად ესრეთ აღასუბუქებს და ფრთოან-ჰყოფს, ვი-თარ მოგებად სიმართლისა და სათნოებისად. და ესრეთ გულისჴმა-ყავ, არა მიძიმედ ჩანსა სიგლახაკჷ და უპოვრებად, და მიპყრობად ღანუთად ყურიმ-ლისა ცემად, და პაჰრაკობად და სხუად იგი სათნოებისა წესი, და მერმელა სიკუდილისაცა ძკრ-ძკრისა თავს-დებად? არამედ უკუეთუ სიბრძნჷ გონი-ერი შევიმოსოთ და თუალნი სულისანი აღვიხილნეთ გულისჴმის-ყოფად, ესე ყოველივე შევჰრაცხოთ ადვილ და სანადელ. და უკუეთუ გნებავს, თი-თოეული გამოვიძიოთ.

ვიხილოთ უპოვრებად, ძნელი იგი და საჭიროდ, რომელი უმეტესად სა-ჭირო არს: აღპყრობად თუალთად უფლისა მიმართ და მისგან სასოებად საზრდელისად, რომელმან-იგი არავინ მოსავთა მისთაგანი დაუტევის სიყ-მილითა მოკუდომად; რამეთუ აჰა ესერა რომელნი ესვიდეს მას, რომელ-ნიმე ჴელითა ანგელოზთაფთა გამოზარდნა, ოდეს ყოვლისავე კაცობრივისა სასოებისაგან თუალნი მოირიდნეს, და რომელთამე ყორნისა მიერ მოსცა ჴამადი. ან უკუე ესევითარი ცხორებად უსუბუქეს არს ანუ რომელი-იგი ბევრეულითა ზრუნვითა დამძიმებულ იყოს და არა თვისისა ხოლო მუცლისა, არამედ სხუათა მრავალთა აღმოვსებად თანა-ედვას, მონათა და მსახურთა, და ყოვლითა ამაოებითა განფრდილ იყოს? რომელი უადვილეს არს, რაფათა სამოსელი ვის აქუნდეს ზომითი, რომლითა სიშიშულე თვისი იფარვოდის, ანუ რომელსა მრავალი აქუნდეს სამოსელი და საფასე და განიხერხებოდის ზრუნვითა, სადა-ძი დაჰმარხოს, სადა დაჰფლას, რაფათა არცა მპარავთა წა-რიტაცონ, არცა მლილთა შეჴამონ?

და რასა მრავალსა ვიტყვ? ვიცი, ვითარმედ თქუენ, რომელნი-ეგე ზრუნვათა ამათ და საწმართმოყუარებასა შემსჴუალულ ხართ, არა უწყით სიტკბობებად საღმრთოფსა მის ცხორებისად და გგონიეს, თუ ცუდადგემეტ-ყუელეუბ. გარნა მენება, რაფათამცა წარმომიდგა ვინ ან მათგანი, რომელნი სიმალლესა მას სათნოებისასა მიწვენულ არიან – მამანი – და მაშინ იხი-ლეთმცა ჴეშმარიტებად სიტყუათა ჩემთად, და თუ ვითარი სიტკბობებად აქუს ღმრთისმსახურებისა წესსა; რამეთუ დაღაცათუ ბევრეულნიმცა კაცნი წი-ნაუყოფდეს სიმდიდრესა ტრფიალთა მათ უპოვრებისათა, არამცა თავს-იდევს შებორკილებად აზნაურთა მათ თავთა მათთა ჴელბორკილითა მით

<sup>1</sup> მათ. 11,28-29.

<sup>2</sup> ფსალმ. 37,5.

<sup>3</sup> ზაქ. 5,7.

ბოროტისა მონებისადათა, არამედ მდიდარნილამცა წადიერ იქმნეს მათისა მის უპოვრებისა ბაძვად და არა იგინი – სიმდიდრისა. არა ხედავთა დან-თქმულთა ზრუნვასა შინა სიმდიდრისასა, ვითარ დღითი-დღე მწუხარება და სულ-თქუმად არა აკლს? გარნა იგინი არა ესრეთ არიან, რომელნი უპოვრებით ჰმონებენ უფალსა, არამედ მარადის მხიარულ არიან უმეტეს მეფეთა მათ ქუეყანისათა და დაუცხრომელად ღმერთსა ჰმადლობენ. კუა-ლად მიპყრობად ყურიმლისად, ვიდრელა მიმთხუევად სხვსადა, უადვილეს უჩნს მუშაკთა სათნოებისათა, რამეთუ მოთმინებად მათი შობს მშკდობასა და სიხარულსა სასყიდლისათს ღმრთისამიერისა. ხოლო ცემად მეორისად შობს ბრძოლასა და ნუჟუკუე კაცის-კლვასაცა. რად ვიტყვ ამას მრავალსა? აღსასრული ყოველთად ვთქუა.

რად არს უძნელეს და უმძიმეს სიკუდილისა? არარად ამას სოფელსა შინა. ან გულისწმა-ყავთ: უკუეთუ მოინიოს ჟამი და ჯერ-იყოს სიკუდილი ღმრთისათს, რომელი უადვილეს არს და უსანადელეს: სიკუდილი ღმრთისათს ერთსა შინა წამსა და სუფევად უკუნიითი უკუნისამდე კეთილთა მათ შინა მოუგონებელთა და გამოუთქუმელთა ანუ პატივ-ცემად წარმავალისა ამის და ამოჯსა ცხორებისად და დაშჯილებად აქავე მარადის გონებისაგან და მერმე წარსლვად გეჰენიად ცეცხლისა და ტანჯვად მას შინა უკუნისამდე ჟამთა? ჭეშმარიტად ესევეთარი ცხორებად უძკრწს არს სიკუდილისა, ხოლო სიკუდილი იგი ღმრთისათს უსანადელწს არს უფროდ ყოველთა კეთილთა, და უკუეთუ ურწმუნო ხართ ამას ზედა, ისმინეთ მათი, რომელთა უხილვან პირნი მონამეთანი ჟამსა წამებისასა, ვითარ იგუემებოდეს რად და იხუეტებოდეს, მხიარულ იყვნეს და ბრწყინვალე, და ნაკუერცხალთა ზედა რად ცეცხლისათა ანუ ცხედართა რკინისათა განჯურვებულთა წვიან, ესრეთ იხარებდიან, ვითარმცა ვარდგარდაფენილსა სარეცელსა ზედა განისუენებდეს. ამისთს, ეგულეზოდა რად პავლეს სიკუდილისა მიერ წამებისა განსლვად ცხორებისა ამისგან, ესრეთ იტყოდა: „მიხარის და მიხაროდის თქუენ ყოველთა თანა. ეგრეთვე თქუენცა გიხაროდენ და ჩემ თანა მხიარულ იყვენით“.<sup>1</sup> იხილეთ, ვითარ ყოველსავე სოფელსა ზიარებად სიხარულისა მის მოუწოდს? რამეთუ იცოდა, ფრიად დიდი კეთილი არს ესრეთ განსლვად ამის სოფლისაგან, ესრეთ სანადელ იყო მისდა და სანატრელ ყოველთა მიერ საშინელად შერაცხილი სიკუდილი.

ან უკუე ყოვლით კერძო საცნაურ არს, ვითარმედ უღელი იგი სათნოებისად სუბუქ არს და ტკბილ. არამედ ვიხილოთ ტვრთიცა იგი ცოდვისად, ვითარ მძიმე არს და საწყინო და ყოვლითურთ საძაგელ. მიხედეთ ანგაჰრთა, ბოროტთა მათ საფასისმოფარდულთა, გულისწმა-ყავთ, რავდენნი მწუხარებანი ჰქონან, რავდენნი ზრუნვანი, რავდენნი განსაცდელნი, რავდენნი ბრძოლანი, რავდენნი ამბოხებანი და შფოთნი, რამეთუ ვითარცა

<sup>1</sup> ფილიპ. 2,17-18.

არაოდეს დააკლდენ ზღუასა ლელვანი, ეგრეთვე სულსა მას – შფოთნი და დაუნყნარებლობანი და ზრუნვანი, ლელვანი და მიმოკუეთებანი.

მიხედენ კუალად მოშურნეთა და ძკრისმოწსენეთა, და იხილნენ იგინი სამარადისოსა სატანჯველსა შინა მყოფნი და ცეცხლსა შინა ბოროტსა შემწუარნი ვნებისა მისგან; მიხედენ ჯორცთმოყუარეთა და ბილნებისა ტრფიალთა და სანუთროდსა ამის ცუდისადა შემსჭუალულთა, და ჰპოვნენ იგინი განსყიდულნი მონად მძლავრისა უწყალოდსა და საშჯელითა მით კაენისითა დაშჯილნი შიშსა შინა და ძრწოლასა სამარადისოსა და ტყუეობასა შინა ბოროტსა. განიცადენ ზუაფნი და ანპარტაფანნი, და ჰპოვნენ მათნიცა სულნი დაუნყნარებლობასა შინა და სიბორგილესა დაუცხრომელსა. და ყოვლითურთ ყოველივე საქმე ცოდვისაჲ ტკრთი არს ბოროტი, შემმუსრველი საცნაურთა მათ და უხილავთა ძალთა სულისათა და განმრყუნელი სიკეთესა მისსა. ამისთვის სახიერი იგი და მოწყალე მეუფე მიმინოდს და მეტყვს ყოველთა: „მოედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტკრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტკრთი ჩემი მცირე არს“.<sup>1</sup>

ან უკუენ ნუ შეშინდები, კაცო, ნუცა შეჰფრთხები უღელსა მას, რომელი გიწსნის შენ ყოველთა მათ ბოროტთაგან; მიუპყარ გულსმოდგინებით ქედი შენი და მაშინ იხილო განცხადებულად სიტკბოებაჲ მისი. არა მოლღეტს ქედსა, ნუ გეშინინ, არამედ წესიერებისათვს ხოლო მდებარე არს მას ზედა, და რადთა გზასა მართალსა გავლებდეს შენ და არა შეგინდობდეს მიმოკუეთებად ეკლოანთა შინა და უღალთა არცა მარჯულ, არცა მარცხლ, არამედ გზასა სამეუფოსა გიპყრას, რომელსაცა იწრო სახელდებულ არს, რადთა შეგიყვანოს ფართოებასა მას ზეცისა სასუფეველისასა.

ვინაფთგან ესევეთარი არს წესი მისი, ესრეთ უცთომელ არს და კეთილ, მოედით, ძმანო, ყოვლითა მოსწრაფებითა შევიწყნაროთ უღელი იგი ტკბილი, რადთა აქაცა განსუენებაჲ ვპოოთ სულთა ჩუენთა და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

<sup>1</sup> მათ. 11,28-30.

## თავი ლთ

სიტყუაჲ ესე: „მას ჟამსა შინა წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა. ხოლო მონაფეთა მისთა შეემშია, იწყეს მუსრვად თავსა წუვილისასა და ჭამად“ (12,1).

ხოლო ლუკა ესრეთ იტყვს: „და იყო შაბათსა პირველ-მეორესა“.<sup>1</sup> რად არს უკუე პირველ-მეორე შაბათი? ესე იგი არს, ოდეს ორკერძოდ არნ უქ-მოზად, რაჟამს შაბათსა შინა სხუადცა რადმე უქმოზისა დღესასწაული და-ხუდის, და არნ უქმოზად შაბათისადცა და მონვენულისა მისცა დღესას-წაულისად; რამეთუ მრავალნი აქუნდეს დღესასწაულნი: თვსთავნი და ტალავრობანი და ვალარჯობანი და დღესასწაული ახალთად და ნესტუ-თად და სხუად ესევეთარი. ხოლო უფალსა ენება ჳორციელთა მათ და აჩ-რდილისა დღესასწაულთა და შაბათთა დაწსნად და სწავლად სულიერთა და მალალთა დღესასწაულთა და შაბათობისა მის საუკუნოდსად; რამეთუ ვინადთგან მზე იგი სიმართლისად აღმობრწყინდა და დღე ცხორებისად გა-მოჩნდა, აჩრდილთა განქარვებაჲ ჯერ-იყო. ჯერ-უჩნდა უკუე უფალსა შაბათობისა მის ჳორციელისა განქარვებაჲ, გარნა თვნიერ მიზეზისა არა-ოდეს დაჰწსნის, რადთა მათსა მას უგუნურებასა ნუგეშინის-სცეს და არა მონყლნეს, და შგულსა მასცა განუსუენოს; და ოდესმე კურნებასა უძ-ლურთასა მიზეზ-ჰყოფნ, ვითარცა-იგი ოდეს ბრმასა თიჳად სცხო თუალ-თა და აღუხილნა, ოდესმე კუალად ჰრქუა: „მამად ჩემი მოაქამდე იქმს, და მეცა ვიქმ“.<sup>2</sup> ესე თქუა სადიდებელად მამისა და ერთობისა თვსისა მის თანა გამორჩინებად, იგი კუალად ქმნა უძლურებისა ჰურიათადსა გულსავ-სე-ყოფად.

ეგრეთვე აქა საქმე იგი ბუნებითისა შიმშილისად შემოილო მიზეზად. უკუეთუმცა იყო ბრალი რადმე, არამცა თავს-იდვა შიმშილისათვს მისი ქმნად, არამედ იცოდა, ვითარმედ უბრალო იყო საქმე იგი, ამისთვს არარად აბრალა მონაფეთა.

ხოლო შენ, მორწმუნეო, გულისწმა-ყავ მონაფეთა იგი მოლუანებაჲ და შეურაცხებაჲ ჳორციელისა განსუენებისად. ამისთვსცა ესერა მშეიერ არი-ან, ვიდრელა შიმშილისაგან მიჭირვებულნი თავსა წუვილისასა ივმარებენ ნუგეშინისსაცემელად; და ეგრეთცა არავე ეწყინებოდა მოძლურისა თანა სლვად ინროებითა, რამეთუ გულისწმა-ჰყოფდეს მიუთხრობელსა მას კე-თილსა მის თანა ყოფისასა.

სახარებაჲ: „ხოლო ფარისეველთა მათ იხილეს რად, ჰრქუეს მას: აჰა ესერა მონაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა საქ-მედ“ (12,2).

<sup>1</sup> ლუკ. 6,1.      <sup>2</sup> იოან. 5,17.

თ ა რ გ მ ა ნ ი: აბრალებენ, გარნა არა ფიცხლად; ხოლო ოდეს ჴელი იგი განწმელი განკურნა, მაშინ ესრეთ განძვნეს, ვიდრელა მოკლვასაცა განიზრახვიდეს მისსა; რამეთუ სადა დიდი რაჲმე და დიდებული საქმე არა იქმნის, დაიდუმიან, ხოლო სადა იხილიან ვინმე ცხოვნებულნი, მაშინ მწეც იქმნიან. ესრეთ მტერნი იყვნეს და მბრძოლნი ცხოვრებისა კაცთაჲსა. ხოლო ისმინეთ, რაჲ-იგი მიუგო ამის პირისათჳს უფალმან:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „ხოლო თავადმან ჰრქუა: არა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა მათ? ვითარ შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი იგი შესანირავეთანი შეჭამნა, რომელთაჲ არა ჯერ-იყო ჭამად მისთანათა მათ, გარეშე მღდელთა?“ (12,3-4).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ოდეს მონაფეთათჳს მისცემდეს პასუხსა, დავითს შემოიყვანებს წამებად, ხოლო თავისა თჳსისათჳს რაჲ იტყოდის – მამასა, ვითარცა თქუა: „მამაჲ ჩემი მოაქამდე იქმს, და მეცა ვიქმ“.1 ან უკუე მონაფეთათჳს დავით მოიყვანა წამებად; რამეთუ უკუეთუმცა გონიერ იყვნეს, შიმშილიცა იგი წინაეყო მიზეზად; ვინაჲთგან უკუე უგუზურებაჲ დიდი იყო მათ თანა, ამისთჳს წერილთაგან მოართუა წამებაჲ.

ხოლო მარკოზ იტყვს: „აბიათარ მღდელთმოდურისა ზე“.2 არა თუ წერილსა მას წინააღუდგების, არამედ ორი სახელი ეწოდებოდა მღდელსა მას: აბიმელექ და აბიათარ. ამისთჳს წიგნსა მას მეფეთასა აბიმელექ წერილ არს, ხოლო მახარებელი აბიათარს იტყვს, ვითარმედ მან მისცნა პურნი იგი, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ უბრალო არს საქმე იგი, ვინაჲთგან მღდელთმოდუარმან განუწესა და ჴელითა თჳსითა მისცნა, რომელთა არა ჯერ-იყო სხვსა ვისმე ჭამად, გარნა მღდელთა ხოლო.

თქუას ვინმე, ვითარმედ: რაჲ იყო სიტყუაჲ ესე წინამდებარისა ამის თანა, რამეთუ არა თუ დავითისთჳს წერილ არს, თუ შაბათი დაჰჴსნა. არამედ გულისჴმა-ყავთ, ვითარმედ ესე უმეტესითა სიბრძნითა თჳსითა წინაუყო და უზეშთაესისა წესისა დაჴსნაჲ მიუთხრა შიმშილისათჳს ბუნებითისა; რამეთუ შაბათი მრავალგზის დაჴსნილ იყო, უფროდსა მარადის დაიჴსნებოდა ჟამსა წინადაცუეთისასა და სხუათა მრავალთა საქმეთა შინა, ხოლო ესე საქმე მაშინ ოდენ იქმნა. ამისთჳს უმეტესისა მისგან შემოილო ძლევად და უსიტყუელ-ყვნა იგინი. ვინაჲთგან უკუე უჩუენა, ვითარმედ შიმშილისათჳს დავით უმეტესსა საქმესა შეჴკადრა და პურნი შესანირავისანი შეჭამნა და მისთანათა მათ, წამებითა მღდელთმოდურისაჲთა, და ამით საქმითა უსიტყუელ-ყვნა იგინი, მერმე სხუადცა წინაუყო სიტყუაჲ ჭეშმარიტი დაყოფად პირთა მათთა და ჰრქუა:

1 იოან. 5,17.

2 მარკ. 2,26.

სახარება: **„ანუ არა აღმოგიკითხავსა შჯულსა, რამეთუ შაბათსა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო იყვნინან? ხოლო გეტყვ თქუენ, ვითარმედ: ტაძრისა უფროვს არს აქა“ (12,5-6).**

თარგმანი: ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: იგიცა საქმე დავითისი უსიტყუელ-გყოფს თქუენ, გარნა თუ მისთვის რაიმე ინებოთ თქუემად, ამისთვის რაღა-მე სთქუათ? რამეთუ ვერ იტყვთ, თუ ცთომით იქმნა, ანუ უმეცრებით, ანუ მძლავრობით, რამეთუ აჰა ესერა მღდელნი ტაძარსა შინა შჯულსა მას უქმობისასა შეურაცხ-ყოფენ და მსახურებასა ტაძრისასა აღასრულებენ და არა ბრალსა ქუეშე არიან, არამედ უბრალო არს საქმე მათი შჯულისაგან. ხოლო რადთა ვერ ჰრქუან, თუ: რადსათვს იტყვ ესრეთ, არა თუ აქა ტაძარი არს, ანუ მოწაფენი შენნი მღდელ არიან? ამისთვის შესძინა, ვითარმედ: „გეტყვ თქუენ: ტაძრისა უფროვს არს აქა“. რამეთუ ჭემარიტად მეუფე იგი ტაძრისად მუნ იყო, ჭემარიტებისა ნათელი და აჩრდილისა განმაქარვებელი. ამას ყოველსა ზედა არარად თქუეს მათ, რამეთუ არა წინამდებარე იყო ცხობებად კაცისად და საქმე სასწაულისად, რადთამცა შურიტა შეინუებოდეს მოშურნენი იგი.

გარნა უფალმან ეგრეთცა დაუტევა სიტყუად ესე და სხუად წინაუყო და ჰრქუა მათ მხილებით:

სახარება: **„უკუეთუმცა გეცნა, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი, არამცა დასაჯენით უბრალონი. რამეთუ უფალ არს ძე კაცისად შაბათისაცა“ (12,7-8).**

თარგმანი: ამისა პირველადცა სხუასა ადგილსა ჰრქუა: „წარვედით და ისწავეთ, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი“. <sup>1</sup> ვინადთგან უკუე უგულისწმოებასავე ზედა ეგნეს, ამისთვის ან აყუედრებს და იტყვს: უკუეთუმცა ვითარცა გარქუ, გესწავა, რად არს ძალი სიტყვსა ამის, არამცა აბრალებდით და სჯიდით უბრალოთა ამათ; უკუეთუმცა გაქუნდა გონებად ცნობად, თუ რომელნი არიან საქმენი თანამდებნი ან, ვინადთგან მე ქუეყანად მოვედ, არამცა ესრეთ იტყოდეთ; უკუეთუმცა გულისწმა-გეყო, ვითარმედ პირველვე ქადაგეს წინადაწარმეტყუელთა, ვითარმედ: მე წყალობად მნებავს ნათესავისა კაცთადაც და სხუათა წესთა სულიერთა განუწესებ, ხოლო წესთა ამათ აჩრდილისათა, მსხუერპლთა და მრგულიადდასაწუველთა, განვაქარვებ, რომელნი პირველითგან სიფიცხისა და სიზრქისათვს გონებათა თქუენთადაც დაინესნეს, და შაბათთა ამათ ძუელთა დავაცხრობ. უკუეთუმცა ესე გეცნა, ანმცა უბრალოთა ამათ არა აბრალებდით; არამედ ამასცა უმეცარ ხართ, რამეთუ უფალ არს ძე კაცისად შაბათისაცა.

<sup>1</sup> მათ. 9,13.

ესე თავისა თვისისათჳს თქუა. ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: უგულის-  
ჯმონო, გულისჯმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ მეუფე და უფალი შაბათისაეცა  
და სხჳსა ყოვლისაევე და ჳელმნიფებაჲ მაქუს დაჳსნად იგი. ხოლო მარკო-  
ზის თავსა ესეცა წერილ არს, ვითარმედ: „შაბათი კაცისათჳს დაებადა, და  
არა თუ კაცი შაბათისათჳს“,<sup>1</sup> რაჲთა აჩუენოს, ვითარმედ არა არს ესოდენ  
საჭირო და თანანარუვალ მცნებაჲ ესე შაბათისაჲ, უფროჲსლა, ვინაჲთგან  
მოსრულ არს უფალი შაბათისაჲ და რჩულისმდებელი ყოველთაჲ, მეუფე  
იგი დიდებისაჲ.

ხოლო უკუეთუ არა თანანარუვალი იყო მცნებაჲ შაბათისაჲ, ვითარ  
იტანჯა, რომელი-იგი შეშასა კრებდა შაბათსა შინა?<sup>2</sup> ესე ამისთვის იქმნა,  
რამეთუ დაწყებაჲ იყო მაშინ შჯულისაჲ და საცნაურ იყო ჰურიათა სიფიცხე  
და უკეთურებაჲ. უკუეთუმცა ერთგზის ადგილცემულ იყო შეურაცხებად  
წესთა შჯულისათა, არცამცა ერთი დამარხულ იყო; ამისთვის განენესა მა-  
შინ ტანჯვაჲ მისი, რაჲთა სხუანი შეშინდენ.

მაშინ უკუე კეთილ იყო შაბათისა უქმობაჲ, რამეთუ ასწავებდა მათ  
კაცთმოყუარებასა, მოაჳსენებდა საქმეთა ღმრთისათა, აწუედა განშორე-  
ბად ბოროტისაგან; რამეთუ ესე იყო უქმობისა მის ძალი, რაჲთა ბოროტთა-  
გან განეყენენ, არა თუ კეთილთა, რამეთუ იტყჳს: ნურარას იქმთ შაბათსა  
შინა, გარეშე, რომელ-იგი მოსაგებელ იყოს სულისა.<sup>3</sup> ამისთვისცა ტაძარსა  
შინა ყოველივე საქმე ორკეცად იქმნებოდა შაბათსა შინა, მსხუერპლთა და  
მსახურებათაჲ, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ ბოროტთა საქმეთა დაყენე-  
ბისათჳს განენესა უქმობაჲ იგი, ხოლო სულიერთა და საღმრთოთა საქმეთა  
არა აყენებს.

ან უკუე ქრისტემან ესევეთარი ესე წესი, რომლისათჳს პირველთა-  
გან უქმობაჲ შაბათისაჲ განანესა, არა თუ დაჳჳსნა, არამედ მრავალწილად  
აღაორძინა, რამეთუ მოწვენულ იყო ჟამი ყოვლისავე სულიერისა კერძო  
და საღმრთოთა საქმეთა წარმატებად; ამისთვის არა ერთსა შინა დღესა  
დაუტევა წესი ბოროტთაგან უქმობისაჲ, არამედ ყოველთა დღეთა სრუ-  
ლიად უცხო-ყოფად ბოროტთა საქმეთაგან გჯბრძანა, ხოლო კეთილისა მი-  
მართ მარადის მოსწრაფებაჲ განგჯნესა; არა შაბათისა მიერ მოგუცა ცნო-  
ბად, ვითარმედ ღმერთი არს ყოველთა დამბადებელი, არამედ მრავალთა  
მიერ და ჭემმარითა გულისჯმისსაყოფელთა საქმეთა გულსავე ვართ,  
ვითარმედ ყოველივე ნებითა ბრძანებისა მისისაჲთა არარაჲსაგან არსად  
მოსრულ არს; არცა დაგჯტევნა შაბათთა შინა ხოლო სწავლად სახიერე-  
ბისა, არამედ სამარადისოდ მცნებაჲ მოგუცა და თქუა: „იყვენით მოწყა-  
ლე, რამეთუ მამად თქუენი მოწყალე არს“;<sup>4</sup> ხოლო დღესასწაულობად არა  
ერთსა დღესა შინა გჯბრძანა, არამედ ყოველთავე დღეთა ცხორებისა ჩუ-  
ენისათა.

<sup>1</sup> მარკ. 2,27.

<sup>2</sup> რიცხ. 15,32-36.

<sup>3</sup> გამ. 12,16.

<sup>4</sup> შდრ. ლუკ. 6,36.

ამისთვის იტყვს მოციქული: „ამიერიტგან ვზატიკობდეთ ნუ ცომითა მით ძუელითა, ნუცა ცომითა სიბოროტისა და უკეთურებისადათა, არამედ უცომოდთა მით სიმართლისა და ჭეშმარიტებისადათა“.<sup>1</sup>

არცა კუალად ერთსა შეგუაყენნა ადგილსა ლოცვად და კიდობანსა წინაშე დგომად შჯულისა და ტაბლასა ოქროსასა, არამედ ღირს-გუყვნა ყოველთა მეუფისა გულთა შინა ჩუენთა ქონებად და ყოველსა ჟამსა და ყოველსა ადგილსა სიტყუად მისა მიმართ, შეწირვითა უსისხლოდსა მის მსხუერპლისადათა, ლოცვითა, წიგნის-კითხვითა, მონყალებითა და ყოველითურთ დამკვდრებითა მისითა ჩუენ შორის, რადთა მას მხოლოსა ვინურთიდეთ, მარადის მას ვხედვიდეთ თუალითა სულისადათა, მისსა მას შუენიერებასა განვიცდიდეთ, მის თანამზრახვალ ვიყვნეთ, მისა გუსუროდის.

ხოლო რომელთა ესევეითარი აქუნდეს ცხორებად, და მოქალაქობად მათი ზეცათა შინა იყოს, და ესრეთ მარადის დღესასწაულობდენ სულითა, მცნებათაებრ ქრისტესთა, მათდა რადლა საჭმარ იყოს შაბათობად იგი ძუელისა მის შჯულისადა?

## სწავლად ლთ

### ვითარმედ ესე არს ჭეშმარიტი დღესასწაულობად: განშორებად ბოროტთაგან და ქმნად სათნოებისადა

ან უკუე, ღმრთისმოყუარენო, ჩუენცა ვდღესასწაულობდეთ მარადის განშორებითა ბოროტთაგან და აღსრულებითა სათნოებათადათა, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტი დღესასწაულობად. წარვემატებოდით სულიერად; მოვიგოთ უქმობად იგი სათნოდ ღმრთისადა; უქმ-ვყვნეთ ჴელნი ანგაჰრებისაგან, კადნიერებისაგან და ყოვლისაგანვე საქმისა ბოროტისა; მოვიცალოთ ცუდთა მათ და ამათა შრომათაგან უწესობებისათა, რომელთა შინა განფრდილ არიან და დამონებულ, ვითარცა ებრაელნი ეგვიპტეს შინა, სულნი იგი ვნებისა და განსუენებისა ჴორცთადასა მოყუარენი და სოფლისადა შემსჭუალულნი, რამეთუ რომელნი-ესე ტყუეობასა შინა ვნებათასა ვიყოფებით, არადთა განყოფილ ვართ მათგან, რომელნი თიჯასა მას და ალიზსა შურებოდეს, ბზესა შეიკრებდეს და ზედამდგომელთა მათგან საქმისათა დღითი-დღე იგუემებოდეს; რამეთუ არს ანცა ზედამდგომელი ბოროტი – ეშმაკი, და საქმისმანუეველნი ცოდვისანი – მსახურნი მისნი, ვითარცა-იგი მაშინ ფარაო და ერი მისი. გულისჴმა-ყვენითლა, საქმენი ამოებისა და უკეთურებისანი არა თიჯისა უყისა მსგავს არიანა? და მიზეზნი მათისა საქმისანი, გინა თუ ნაყოფნი მათნი მსგავს არიან ბზესა შთასაგზებელსა ცეცხლსა მას საუკუნესა; ესრეთ არს ანგაჰრებად, ესრეთ არს სიძვად, ეს-

<sup>1</sup> 1 კორ. 5,8.



რეთ არს დიდებისმოყუარებად, ესრეთ არიან გულისთქუმანი ყოველნი და გემოთმოყუარებანი, მსგავს თივისა და ბზისა. ბზე იგი აღაბყინებს ცეცხლსა გულისთქუმათასა, ნივთსა უშრეტისა მის ცეცხლისასა, და თიჯად იგი სულთა ჩუენთა, ზეცისა მოქალაქედ განწესებულთა, შეჰბლალავს, საძაგელ-ჰყოფს.

ვინადთგან უკუე ესევეითარსა ამას განსაცდელსა შინა ვიყვენით და ესევეითარისა ბოროტისა მძლავრისა მონებასა შინა ვიქენჯნებოდეთ, ამისთვის მოგვკვლინა ჩუენ ღმერთმან გარდამატებულთა მით წყალობითა არა მოსე, არამედ მხოლოდშობილი ძე თვისი ზეცით, და მან გამომიყვანა ჩუენ ბოროტისა მის ტყუეობისაგან.

ხოლო ან, უკუეთუ შემდგომად მოსლვისა მისისა და ესოდენისა მის ჩუენ ზედა ქმნილისა წყალობისა დავადგრეთვე ეგვპტეს შინა, შეგუემთხვოს, რად-იგი შეემთხვა მეგვპტელთა მათ, ხოლო და-თუ-უტეოთ ეგვპტე და შეუდგეთ კუალსა სულიერისა მის ისრაჴლისასა, ვიხილოთ ყოველივე იგი საკვრველებად. გარნა არა კმა არს გამოსლვად ხოლო ეგვპტით, არამედ ქუეყანასაცა აღთქუმისასა ჯერ-არს შესლვად, რამეთუ ებრაელნი იგი, ვითარცა პავლე იტყვს, დაღაცათუ ზღუად მენამული განვლეს და მანანად ჭამეს და სასუმელი იგი სულიერი სუეს, გარნა ქუეყანასა მას აღთქუმისასა ვერ შევიდეს, არამედ უდაბნოსა მას შინა წარწყმდეს.<sup>1</sup>

ვეკრძალნეთ უკუე, რადთა არა ჩუენცა ეგრეთვე შეგუემთხვოს. ამისთვის ნუმცა უდებ და მცონარ ვართ, არამედ ანცა, ოდეს გუესმნენ სიტყუანი ბოროტთა მათ მსტოვართანი, შეასმენდენ რად იწროსა მას და საჭიროსა გზასა და იტყოდინ, რასა-იგი მაშინ იტყოდეს მსტოვარნი ისრაჴლთანი, ნუ მივემსგავსებით ერსა მას უგუნურსა, არამედ ისუს ვჰბაძვიდეთ და ქალებს და ნუ უდებ ვიქმნებით, ვიდრემდის აღთქუმანი იგი დავიმკვდრნეთ და ზეცად აღვიდეთ.

ნუცა ვჰგონებთ, თუ ძნელ არს გზად იგი; „უკუეთუ ვიდრე მტერდა ვიყვენით, დავეგენით ღმერთსა სიკუდილითა ძისა მისისადათა, რავდენ უფროდს ან, და-რად-ესე-ვეგენით, ვცხონდეთ მაცხოვარებითა მისითა“.<sup>2</sup>

გარნა „ინროდ არსო ბჭე და გზად იგი საჭირველ“;<sup>3</sup> – მეტყვან ვინმე. გულისწმა-ყავ, კაცო, რომელი ამას იტყვ: პირველი იგი გზად, რომელსა ხვდოდეთ, ვითარი იყო? არა ინროდ ხოლო იყო და საჭირველ, არამედ სრულიად უვალ და მწყეტაგან ბოროტთა სავსე, და იყავ შენ შეყენებულ მას შინა და გამოსლვისა ღონე არცა ერთი რად გაქუნდა; და ვითარცა-იგი ჩჩვლთა ვერ ჴელ-ენიფებოდა წიაღსლვად ზღვსა მის მენამულისად, არა თუმცა ქმნილ იყო სასწაული იგი განპებისა მისისად, ეგრეთვე შენ ვერ ჴელ-გენიფებოდა პირველისა მის ცხორებისაგან ზეცად აღსლვად, უკუეთუმცა არა მოსრულ იყო ნათლის-ღებად. არამედ მან შეუძლებელი იგი მადლითა ქრისტესითა

<sup>1</sup> 1 კორ. 10,1-5.    <sup>2</sup> რომ. 5,10.    <sup>3</sup> მათ. 7,14.

შესაძლებელ-ყო. ხოლო უკუეთუ შეუძლებელი იგი შესაძლებელ იქმნა, რავდენ უფროხსად ან ძნელი იგი ადვილ იყოს? იგი საქმე ზეგარდამო-სა მადლისად იყო. ამისთვის უკუე უმეტესი გაქუნდინ სასოებად, რამეთუ უკუეთუ მაშინ მადლი ხოლო ესრეთ შემნე გექმნა, უკუეთუ ან შრომადაცა უჩუენო, არა უფროხსად შემნე გეყოსა? უკუეთუ უნაყოფოებასა შინალა იყავ და შეგენია, ან ნაყოფი თუ აჩუენო, არა უმეტესად ჳელი აღგიპყრასა?

ვთქუ, ვითარმედ შეუძლებელისა მის წარმართებითა ძნელოვნისა-ცა წარმართებად მინდობად ჯერ-არს; ხოლო ან ეგრეთ ვიტყუ, ვითარმედ: უკუეთუ გუენებოს და განვიფრთხოთ გონებითა, არცა ძნელ რამე იყოს გზად ესე; რამეთუ იხილენით საქმენი: სიკუდილი დაითრგუნა, ეშმაკი და-ცემულ არს, რჩული იგი ცოდვისად დაიწსნა, მადლი სულისა წმიდისად მო-გუეცა, კარი ცხორებისად განგუელო, სიმძიმე ტვრთისა ჩუენისად განბნე-ულ არს, და გზად წრფელი გამოჩინებულ არს, ძნელოვანი ყოველი სიადვი-ლედ შეცვალებულ არს.

და რათა სცნა, ვითარმედ ესე ესრეთ არს, გულისწმა-ყავ, თუ რავდენ-თა უმეტესიცა აჩუენეს მცნებათა ქრისტესთასა, და შენ საზომისა მისგანცა მცნებათაჲსა იშიშვი.

ან უკუე, ოდეს სხუანი უმეტეს ბრძანებულისასაცა აჩუენებდენ და შენ წესსა მასცა მცნებათასა უდებ-იქმნებოდი, რად მიზეზი გაქუს? სხუა-თა სრულიად უარ-ყვეს ყოველივე სოფელი, შენ რად მიზეზი გაქუს მო-ნაგებისაგან შენისა მონყალებისა ყოფად? სხუანი სინმიდითა ანგელოზ-თა მიემსგავსნეს, შენ ვითარ სთქუა, თუ: რჩულიერსა მას მეუღლესა ვერ დავსჯერდები? სხუათა სულნი თჳსნი მისცნეს მოყუასათჳს, შენ ვითარ სთქუა, თუ: ძნელ არს შურისა და ძკრის-ჳსენებისა მოსპოლვად გულისა-გან? სხუამან ყურიმლის-ცემად თავს-იდვა და ერთკერძოდაცა მიუპყრა, ხო-ლო შენ გეტყუ, რათა არა იყო მრისხანე და უწყალოდ, რად-მე გაქუს ამას ყოველსა ზედა მიზეზი? ჭეშმარიტად არცა ერთი, ვინაფთგან მრავალნი უაღრესთა ცნობისა საქმეთა შემძლებელ იქმნეს ქმნად.

ან უკუე, საყუარელნო, ესე ყოველი გულისწმა-ვეოთ და ნუ მცონარე და დაწსნილ ვართ შრომათა მათ შინა სათნოებისათა, არამედ გულსმოდ-გინებით შევიდეთ კეთილსა ამას ასპარეზსა და მცირედ ჟამ დავშურეთ, რათა საუკუნენი იგი და დაუჭნობელნი გკრგვნნი მოვიხუნეთ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

## თავი 8

სიტყუად ესე: „და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა შესაკრებელსა მათსა. და იყო მუნ კაცი ერთი, რომელსა ჴელი განჭმელ ედგა“ (12,9-10).

კუალად შაბათთა შინა კურნებასა აღასრულებს, რადთა მუსრვისა მისთვის თავთა ჴუფილისათა უმეტესად განამართლნეს მონაფენი. და სხუანი მახარებელნი იტყვიან, ვითარმედ: უფალმან წარმოადგინა შორის კაცი იგი და ჴკითხა: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა კეთილისა საქმე?<sup>1</sup> ხოლო მათე იტყვს, ვითარმედ: „ჴკითხვიდეს მას და იტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა კურნებად? რადთამცა შეასმინეს იგი“.<sup>2</sup>

მსგავს არს უკუე, ვითარმედ ორივე იქმნა. რამეთუ ურჩულონი იგი სავსე იყვნეს შურითა და უწყოდეს, ვითარმედ განკურნებად მისი ეგულე-ბოდა უფალსა; ამისთვის ისწრაფეს პირველვე კითხვად, რადთა არა საქმისა-გან ხოლო, არამედ სიტყვსაგანცა აქუნდეს უმეტესი ძალი შესმენად მისა. ხოლო უფალმან მათდა მიაგდო განჩინებად და ჴკითხა, ვითარმედ: „რად ჯერ-არს შაბათსა შინა: კეთილისა საქმე ანუ ბოროტისა? სულისა ცხოვრებად ანუ წარწყმედად?“<sup>3</sup> და კაცი იგი შორის წარმოადგინა სახიერმან, რადთამცა იგინი წყალობად მოიყვანნა. ხოლო იხილა რად უკეთურებად მათი, მიმოიხილა მათა რისხვით და მწუხარებითო სიბრმისათვს გულისა მათისა და ჴრქუა:

სახარებად: „ვინ არს თქუენგანი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი, და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჴურღმულსა, არა-მე უპყრასა და აღმოიქუას იგი? რადენ უმჯობეს არს კაცი ცხოვრისა? ამისთვის ჴერ-არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე. მაშინ ჴრქუა იესუ კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი! და მან განირთხა ჴელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი“ (12,11-13).

თარგმანი: იხილე, ვითარ მიმსგავსებულნი და მრავალსახენი მიზეზნი მიუთხრნა დაჴსნისათვს შაბათისა. ოდეს-იგი ბრმასა აღუხილნა თუალნი, არარად ჴრქუა მათ, რამეთუ კმა იყო წესი იგი სასწაულისა მის ჩუენებად მეუფესა მას შჴულისასა; ხოლო განრღუეულისა მისთვის ოცდაათრვამეტისა წლისასა ჴრქუა მათ, ვითარცა ღმერთმანცა და ვითარცა კაცმანცა; ვითარცა ღმერთმან, ვითარმედ: „მამად ჩემი მოაქამდე იქმს, და მეცა ვიქმ“;<sup>4</sup> ხოლო ვითარცა კაცმან, რაჴამს ჴრქუა: „უკუეთუ წინადაცუეთილებად მიიღის კაცმან შაბათსა, რადთა არა განქარდეს შჴული მოსესი, მე მაბრალებთა, რამეთუ ყოვლადვე განვაცოცხლე კაცი შაბათსა?“<sup>5</sup>

<sup>1</sup> მარკ. 3,4; ლუკ. 6,9.

<sup>2</sup> მათ. 12,10.

<sup>3</sup> ლუკ. 6,9.

<sup>4</sup> იოან. 5,17.

<sup>5</sup> იოან. 7,23.

და კუალად, ოდეს მოწაფეთა აბრალებდეს, საქმე იგი დავითისი წინა-  
უყო; და კუალად აქა ჰკითხა, თუ: „რად ჯერ-არს შაბათსა შინა, კეთილისა  
საქმე ანუ ბოროტისა?“ და ვითარმედ: „ვინ არს თქუენგანი, რომელმან  
არა აღმოიქუას ცხოვარი თვისი ჯურღმულისაგან დღესა შაბათსა?“ გარ-  
ნა იგინი ამას ყოველსა ზედა უკურნებელ იყვნეს და უკეთურებითა სავსე.  
ვინაფთგან უკუე იხილნა, რამეთუ არა შეინყნარებდეს კურნებასა სულთა  
მათასა, მაშინ კაცსა მას მიექცა და ჰრქუა: „განიროთ ჳელი შენი! და მან  
განიროთა ჳელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი“. ესევი-  
თარი რად აღესრულა საკურველებად, იხილე, ვითარსა გულისწმის-ყოფასა  
მოვიდეს უღმერთონი იგი:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-ყვეს  
მისთვის, რადთა წარწყმიდონ იგი. ხოლო იესუ გულისწმა-ყო და განეშორა  
მიერ და წარვიდა. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგი ყო-  
ველნი. და ამცნო მათ, რადთა არა გამოაცხადონ“ (12,14-16).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰ გარდამატებული უშჯულოება! რად სავნებელი შეემ-  
თხვა, რომელ მოკლვასა მისსა განიზრახვიდეს? ესოდენ ბოროტ არს შური,  
რომელ თვისისაცა კეთილისა მტერ არს.

ხოლო მშკდმან მან და სახიერმან ესე გულისწმა-ყო და განეშორა  
მიერ და დაუტევნა იგინი, ვინაფთგან ყოველივე, რადცა ჯერ-იყო, საქ-  
მით და სიტყვით აჩუენა მათ ზედა, რადთამცა მოიყვანნა ცხორებად, და  
მათ ნეფსით შეინყნარეს წარწყმედად; მერმე დაუტევნა იგინი და განე-  
შორა.

სადა არიან, რომელნი იტყვან, ვითარმედ: უკუეთუმცა ან იქმნებოდეს  
სასწაულნი, სარგებელმცა იყო? აჰა ეგერა გამოჩნდა, ვითარმედ ოდეს  
სული უმაღლო იყოს და უკეთური, არარად სარგებელ ეყოფის, ვითარცა-  
იგი ბოროტთა მათ არარად ერგო, არამედ მარადის ცხორებისა და სარგე-  
ბელისა კაცთადას მტერნი იყვნეს; ცხორებისა მისთვის მეძვისა აბრალებდეს,  
მოქცევისათვის მეზუერეთადას ძკრსა უზრახვიდეს, კურნებისათვის უძღურ-  
თადას მოკლვასა განიზრახვიდეს. ამისთვის დაუტევნა იგინი სამართლად და  
განეშორა.

„და მისდევდა მას ერი მრავალი“. რამეთუ ერი იგი მარადის მისდევდა  
და განკურნებულ იყო, ხოლო ურჩულონი იგი მწიგნობარნი და ფარისეველ-  
ნი უმეტესად შეინუებოდეს შურითა. ხოლო უფალი არავე დასცხრა კურ-  
ნებისაგან, არამედ განკურნა ყოველნიო; გარნა ნუგეშინის-ცემად მათისა  
მის შურისა ამცნო, რადთა არა გამოაცხადონ იგი, რადთა არა უმეტესითა  
შურითა შეინუნენ.

ხოლო ამას ყოველსა ზედა მოიყვანა მახარებელმან წინაფწარმეტყუ-  
ელი მოწამედ, რადთა სცნან, ვითარმედ ყოველსავე წინაფწარ მოასწავებ-  
დეს იგინი ქრისტესთვის, ვითარცა ესერა გაუასწავებს:

სახარება: „რადთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინადასწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყვს: აჰა ესერა ძე ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. დავდვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას. არა ჯდებოდის, არცა ღაღადებდეს, არცა ესმეს უბანთა ზედა ჳმად მისი. ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი მბნდვწვარე არა დაშრიტოს, ვიდრემდე გამოიღოს ძლევად სასჯელი. და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ“ (12,17-21).

თარგმანი: ამით სიტყუათა მიერ უგალობს წინანარმეტყუელი სიმშკდესა მისსა და გამოუთქუმელსა მას ძალსა, და წარმართთა კარსა დიდსა ცხორებისასა განულებს, და მოწვენადთა მათ ჰურიათა ზედა ბოროტთა მოასწავებს, და აჩუენებს ერთობასა მას ძისასა მამისა თანა, ამისთვისცა იტყვს: „აჰა ესერა ძე ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა“.<sup>1</sup>

ვინადეთგან საყუარელი მისი არს, რომელი სთნავს სულსა მისსა, საცნაურ არს, ვითარმედ ყოველსავე ერთითა ნებითა და ერთითა განზრახვითა იქმან. ეგრეთვე დაწსნად შაბათისაჲ ნებისაებრ მისისა იქმნა, და სათნო-უჩნდა მას, არა თუ უძნდა საქმე ესე.

მერმე სიმშკდესა მისსა ქადაგებს და იტყვს: „არა ჳმობდეს, არცა ღაღადებდეს“. ესე იგი არს, ვითარმედ მას ენება კურნებაჲ მათი და კეთილის-ყოფაჲ, ხოლო ვინადეთგან იგინი წინააღუდგებოდეს, არარას ელავოდა, არცა აიძულებდა. კულად აჩუენებს მისსა ძლიერებასა და მათსა უძღურებასა და იტყვს: „ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს“. რამეთუ ადვილ იყო წინაშე მისსა შემუსრვაჲ მათ ყოველთაჲ, ვითარცა ლერწმისა განტეხილისაჲ, არამედ სულგრძელ ექმნა.

„და პატრუკი მბნდვწვარე არა დაშრიტოს“. ამით სიტყუთა მათსა მას გულისწყრომისა მოტყინარებასა მოასწავებს და იტყვს, ვითარმედ: ესრეთ ძალ-ედვა მეყსა შინა დაშრეტაჲ მათი, ვითარცა ადვილ არს დაშრეტაჲ პატრუკისა მბნდვწვარისაჲ, არამედ სახიერებით ყოველივე თავს-იდვას და ყოველსავე ზედა სულგრძელ იქმნა კაცთმოყუარე იგი მეუფე.

ესევეითარი რაჲ სიმშკდე და სულგრძელებაჲ მისი მოასწავა, მერმე გამოაჩინა, ვითარმედ არა მარადის თავს-იდვას მათი იგი სიბორგილე, არამედ ოდეს ყოველივე სახე სიმშკდისაჲ აჩუენოს, და მათ არა შეიგონონ, მაშინ ძალიცა მისი იხილონ, რომლისათვისცა თქუა: „ვიდრემდე გამოიღოს ძლევად სასჯელი. და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ“. რაჲ არს ესე, თუ: „გამოიღოს ძლევად სასჯელი“? ესე იგი არს, ოდეს ყოველივე სახიერებისა კერძი აჩუენოს, და მათ არა შეიგონონ, არცა მოიქცენ უკეთურებისა თვისისაგან, მაშინ შურის-გებაჲ თვისი მოაწიოს მათ ზედა, მაშინ შეემთხვოს მათ ყოველივე ბოროტი, და მისი იგი ძლევად ბრწყინვალედ გა-

<sup>1</sup> ესაია 42,1.

მოჩნდეს, და არარა დაშთეს მათ ურცხვნობისა და ურჩულოებისა მათისა მიზეზი.

ხოლო არა ესე ოდენ იქმნას განგებულება მისი, რადამცა უღმრთონი იგი ხოლო ტანჯნა, არამედ ყოველივე სოფელი მოიზიდოს თავისა თვისისა; ამისთვის იტყვს: „და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ“.

ამის ყოვლისათვის გამოჩინებად, ვითარმედ მამასაცა ესევე სთნავს, თქუა დაწყებასა ამის სიტყვასა: „საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. დავდვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას“.

ვინადგან ქადაგებად მისი და წყალობად მისი ჰურიათა არა შეინყნარეს, ამისთვის სამართალი წარმართთა მიუთხრას, და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ. დიდებად კაცთმოყუარებასა მისსა!

**ს ა ხ რ ე ბ ა დ :** „**მამინ მოჰგუარეს მას ეშმაკეული ბრმა და ყრუ, და განკურნა იგი, ვითარმედ ყრუ იგი და ბრმა ხედვიდა და იტყოდა. და განუკურდებოდა ერსა მას და იტყოდეს: ნუუკუე ესე არს ძე დავითისი? ხოლო ფარისეველთა მათ ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბერზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთადათ**“ (12,22-24).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ზ უკეთურებად ესე ორთავე, ეშმაკისადაცა და ფარისეველთადაცა! მან ორნივე საცნობელნი დაუყვნა მის საწყალობელისანი: თუალნი და ყურნი, რადთა ვერცა იხილოს ქრისტე, ვერცა ჰრწმენეს; არამედ ქრისტემან ორნივე განკურნნა, რომლისათვისცა ერნი იგი განკურნებულ იყვნეს და იტყოდეს: „ნუუკუე ესე არს ძე დავითისი?“ ხოლო ფარისეველთა კულადაცა არა შეიკდიმეს გმობად, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, მარადის მწუხარე იყვნეს სხუათა კეთილისათვის, და არარაად ესრეთ იყო შემაურვებელ მათდა, ვითარ ცხობებად კაცთად, რამეთუ შური შესწუვიდა მათ. ჰე, თუმცა სრულიად დაენუნეს! დალაცათუ დაუტევნა ქრისტემან და განეშორა, არამედ კულად ესმოდა მისთვის დიდებულებად და უძრეს ეშმაკისა მის შენუნენს; რამეთუ იგი განეშორა კაცსა მას და ივლტოდა დუმილით, ხოლო ესენი გმობდეს და მოკლვასა განიზრახვიდეს.

## სწავლად მ შურისათვის

არამედ ზ შურო, მვეცო მძვნვარეო და ველურო, ვინ-მე აღრაცხნეს ბოროტნი შენნი, უფროჲს ქვშისა განმრავლებულნი? ვინ-მე გამოსახოს სახე შენი ხენეში და სასტიკი? ვინ-მე აღმოთქუას ჯეროვნად სიტყუად განქიქებისა შენისა? რავდენი ძკრი შენ სოფლად შემოიღე, რავდენთა წმიდათა მბრძოლად აღუდგინენ ჭურნი იგი უკეთურებისა შენისანი! და ან ყოვლისა

სოფლისა ცხორებადცა შეგშურდა და ჰპონ კაცნი, შემსგავსებულნი შენისა მაგის მწეცებრივისა წესისანი, რომელთა შორის დაემკვდრე და მეუფესა ქრისტესცა ჰკადრე ბრძოლად. ამისთვისცა შეიმუსრე შენთა მათ მსახურთა თანა, და ჩუენ ვპოვეთ ცხორებად საუკუნოდ.

ესრეთ არს სიტყუად შურისაჲ, მორწმუნენო, ესე არიან ბოროტნი მისნი, რომელთა არა უმეცარ ხართ თქუენცა, რამეთუ არა არს უძკრესი მისა ბოროტი. მემრუშე ჟამსა შინა ერთსა აღასრულებს ცოდვასა თვისსა და აქუს რადმე გულისთქუმაჲ, ხოლო მოშურნე მარადის ცოდავს და გულისთქუმასა ვერცა ერთსა აღასრულებს, არამედ ვითარცა ღორნი იხარებენ მწკრესა შინა და ეშმაკნი მხიარულ არიან წარწყმედასა კაცთასა, ეგრეთვე მოშურნე მხიარულ არს განსაცდელსა ზედა მოყუსისასა და მწუხარე არს კეთილსა ზედა მისსა.

მოშურნენი მტერნი არიან ბუნებისანი, მწეცნი არიან კაცთა მოძულენი, ამისთვისცა მეძავთა და მეზუერეთა შეუძლეს შესლვად სასუფეველსა, ხოლო მოშურნენი გარე განცკვენ, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ძენი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა“.<sup>1</sup>

ესე ვნებაჲ კაცსა ეშმაკად გარდააქცევს; ამან ქმნა პირველი კაცისკლვად; ამან უვარ-ყოფად სცა ბუნებაჲ; ამან შეაგინა ქუეყანაჲ; ამან კულად ქუესკნელთა დაანთქა დათან და აბირონ. გარნა ბოროტთა შურისათა თქუმაჲ აურაცხელ არს; არამედ ჯერ-არს თქუმაჲ, თუ ვითარ განვთავისუფლდეთ ამის ვნებისაგან.

ან უკუე ესრეთ გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ არა ჯერ-არს ყოვლადვე მოშურნისა შესლვად ეკლესიად, უმეტეს, ვიდრელა მსიძვისაჲ; რამეთუ ვხედავ, ვითარმედ შეურაცხად აქუს მრავალთა ესე ვნებაჲ და ამისთვის უდებუყოფიეს.

არამედ იცან, კაცო, თავი შენი, და უკუეთუ დამონებულ სადა ხარ შურისადა, ტიროდე მწარედ, სულთ-ითქუემდ, იგლოვდ, ევედრებოდე უფალსა, შეინანე, ვითარცა დიდი ცოდვაჲ. ესრეთ თუ ჰყო, ადრე განთავისუფლდე ვნებისა მისგან. გულისწმა-ყავ, რამეთუ უძკრეს არს ყოველთა ბოროტთა ესე ვნებაჲ. ამან კაენ წარწყმიდა, ამან ესავი განაგდო, ამან ძენი იაკობისნი ძმისა მკლველ ყვნა, დაღაცათუ განგებულეებით დაცვულ იქმნა, ამან ეშმაკი კაცსა ზედა აღჭურა. და ესეცა გულისწმა-ყავ, ვითარმედ მოშურნე არა ესრეთ ავნებს მოყუასსა, ვითარ თავსა თვისსა.

რად ავნო კაენმან აბელს? ადრე წარავლინა იგი ღმრთისა, და მართალ ეწოდა მიერთგან, ხოლო თავი თვისი წარინყმიდა; რად ავნო ესავმან იაკობსა? უფროსად თავსა თვისსა ავნო; ხოლო ძმათა იოსებისთა რად ავნეს იოსებს? არა იგი მეფე იქმნა ეგვიპტისა? ხოლო იგინი სიყმილსა შინა იყვნეს და შიშსა და სასჯელსა. ეგრეთ არს ყოველი მოშურნე, თავსა თვისსა

<sup>1</sup> მათ. 8,12.

ავნებს და არა მოყუასსა, რამეთუ ღმერთი არს ყოვლისავე მხედველი და, ოდეს იხილოს, ვითარმედ ებრძვი მას, რომელსა შენდა არაჲ ევნოს, თავადვე შენდა მოაქცევს ბოროტსა მას.

ამისთვისცა წერილ არს: „ნუ გიხარის დაცემასა ზედა მტერისა შენისასა, ნუუკუე იხილოს ღმერთმან და არა სთნდეს“;<sup>1</sup> ხოლო უკუეთუ მტერთა დაცემასა ზედა სიხარული არა ჯერ-არს, რაჲ-მე სთქუა, ოდეს დაცემასა და განსაცდელსა ზედა იხარებდე მისსა, რომელსა არაჲ ევნოს შენდა? მოვაკუდინოთ უკუე მჯეცი ესე ბოროტი, ძმანო, და ყოვლადვე ადგილ-ნუვსცემთ მას, რამეთუ უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი თქუენნიო, არარაჲთა ჰმატთ მეზუერეთა. ან უკუეთუ გუძულდენცა და ვეშურებოდით, არა უძკრეს წარმართთასა ვიყვნეთა? ჰე, ჭეშმარიტად. ამისთვის ფრიად მელმის გული, რამეთუ ჯერ-იყო ჩუენდა ბაძვაჲ ანგელოზთაჲ, და ჩუენ ეშმაკთა ვჰბაძავთ ურთიერთას შურითა და სიძულილითა, რომლითა სრულიად უცხო-ვჰყოფთ თავთა ჩუენთა სასუფეველისაგან.

ან უკუე, ძმანო, მოვიცალოთ და გულისჯმა-გყოთ და ვნებაჲ ესე ბოროტი გულთაგან ჩუენთა აღმოვფხურათ; მოვიგოთ სიყუარული, სახიერებაჲ, სიტკბოებაჲ; ოდეს ვინმე ვიხილოთ ჭირსა შინა, დაღაცათუ მტერი იყოს ჩუენი, ვტიროდით და მწუხარე ვიყვნეთ. უფროჲსად ესე მეზრ სიტყუაჲ, თუ მტერი ვინ იყოს ჩუენი, ჩუენდა ფრიად სირცხულ არს, ქრისტეანენო, რამეთუ რადმცა ვინ იყო კაცთა შორის მტერ ჩუენდა, გარნა ხოლო ეშმაკნი, რომელთა მიმართ ბრძანებაჲ მოგკლიეს, რაჲთა სამარადისოჲ და დაუგებელი ბრძოლაჲ გუაქუნდეს.

ხოლო ძმათა მიმართ ჩუენთა და მოყუასთა და ჩუენ თანამონათა ქრისტესთა სიყუარული სრული და უზაკუველი მოვიგოთ, რაჲთა ღირს ვიქმნეთ მონაფე-წოდებად მისა და საუკუნეთა კეთილთა მკკდრ ვიქმნეთ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანამამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

<sup>1</sup> იგავ. 24,17-18.



## თავი მ ა

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე : „იციოდა იესუ ზრახვანი გულისა მათისანი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევლთის თავსა თვსსა, მოოწრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თვსსა, ვერ დაემტკიცოს. და უკუეთუ ეშმაკი ეშმაკსა განასხამს, თავსა თვსსა განევლთა; ვერ მტკიცე არს მეუფებაჲ მისი“ (12,25-26).

პირველ ამისაცა თქუეს გმობაჲ ესე მგმობართა მათ და ყოვლითურთ ეშმაკეულთა, ვითარმედ: „მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამსო ეშმაკთა“,<sup>1</sup> და სახიერმან მან არა შეჰრისხნა, არამედ დაუტევნა, რაჲთა სასწაულთა მიერ ცნან ძალი მისი და სწავლათა მისთაგან გულისწმა-ყონ დიდებულებაჲ მისი. ვინაჲთგან უკუე თვსსავე უკეთურებასა ზედა დაადგრეს და ბოროტსა მასვე გმობასა იტყოდეს (დალაცათუ, ერთად, შიშისათეს ერისა მის, და მეორედ, ფრიადისა უპირულობისათეს გმობისა მის, ჳმამაღლად ვერ იკადრებდეს თქუმად, არამედ გონებათა შინა თვსთა, და რომელნიცა იყვნინან მორჩილ მათა, იტყოდეს), ამისთეს ან ამხილებს მათ უფალი; ერთად, რამეთუ ამით სახითა აჩუენებს ძალსა ღმრთეებისა თვსისასა, რომელ დაფარულთა გულისა მათისათა გამოუცხადებს; მეორედ, ესრეთ ჳელმწიფებით განსხმითა ეშმაკთაჲთა. დალაცათუ იგინი გმობდეს ფრიადისა მის შური-საგან, არამედ უფალმან კუალადცა ჳელ-ყო მხილებითა ამით კურნებაჲ მათი, რაჲთა გუასწაოს ჩუენ სიმჰუდე მტერთა მიმართ და კეთილის-ყოფაჲ მათი, რაოდენცა უცხოთა ჩუენგან ბოროტთა გუნამებდენ.

ესრეთ უკუე ინება რაჲ კუალადცა ჳელ-ყოფად კურნებისა მათისაჲ, აუნყა, ვითარმედ იცნის ზრახვანი გულისა მათისანი. ამისთეს არცა ჰრქუა პირველ სიტყუად იგი გმობისაჲ, რომელსა იტყოდეს, არამედ ვითარმცა ას-მიოდავე, ესრეთ მიუგებს პასუხსა, რაჲთა ესრეთ ამხილოს მათ გონებაჲმან, და შეიკდიმონ, რამეთუ ერთი ხოლო იყო ფრიად საძიებელ მის მიერ: რაჲთა მოაქცინეს ნარწყმედულნი, არა თუ რაჲთა განაქიქნეს.

ხოლო არარას იწყო ან სიტყუად წერილთაგან, რამეთუ ბოროტად გარდამაქცეველნი იყვნეს სიტყუასა წერილთასა, არამედ ბუნებითაგან სოფლისა საქმეთა ჳყოფს სიტყუასა: „ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევლთის თავსა თვსსა, მოოწრდის“; რომელი-იგი ყოველთავე სოფლისა საქმეთა უძლიერეს არს, არამედ ვერვე იტკრთის სიძნელე ამის საქმისაჲ. ეგრეთვე ყოველი ქალაქი და ყოველი სახლი, რომელი განევლთის თავსა თვსსა, ვერ დაემტკიცოს.

ან უკუეთუ მე, ვითარ თქუენ იტყუთ, ეშმაკისა მიერ განვასხამ ეშმაკთა, მბრძოლქმნილ არიან სადმე იგინი ურთიერთას, და არღარა დაემტკი-

<sup>1</sup> მათ. 9,34.

ცოს მათი მეუფებად, არამედ დაჯსნილ არს და მოუძღურებულ, ხოლო მო-  
თუ-უძღურებულ არს და წარწყმედილ, ვითარღა ძალ-უც სხვსა ეშმაკისა  
განდევნად?

იხიღეა, რავდენ საკიცხელ იყო ცილისწამება მათი? იხიღეა, რავდენ  
საციხელ იყო და უგუნურებითა სავსე? ხოლო ესევეითარი რად სიბრძნით  
მხიღებად მიუთხრა, მერმე კუალად მეორითაცა სახითა უსიტყუელ-ჰყოფს  
მათ, რადთა ყოვლით კერძო მიზეზი მიუღოს უკეთურებისა მათისად; ამის-  
თვსცა ეტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „და უკუეთუ მე ბერზეულითა განვასხამ ეშმაკთა, ძე-  
ნი თქუენნი რადთა განასხმენ? ამისთვის იგინივე მსაჯულ თქუენდა იყვნენ“  
(12,27).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე მონაფეთა თვსთათვს თქუა. და იხიღელა სიტკბო-  
ებად სიტყუათა მისთად: არა თქუა, თუ: მოციქულნი ანუ მონაფენი ჩემ-  
ნი, არამედ: „ძენი თქუენნიო“, რადთა უკუეთუ ინებონ მათსა მას სიკეთესა  
ბაძვად, ფრიადი სარგებელი ჰოონ ამის სიტყვსაგან, ხოლო უკუეთუ უკე-  
თურებადვე შეიტკბონ, უმეტესადღა უსიტყუელ იყვნენ.

ხოლო სიტყუად ესე ესრეთ არს: ვინადთგან მიეცა მოციქულთადა ჴელ-  
მწიფებად უფალსა, ვითარცა ზემო წერილ არს, განსხმად ეშმაკთა, და  
განასხმიდეს, და არარას ვინ აბრალეზდა, ხოლო ქრისტესთვის გმობდეს,  
რამეთუ მისა მიმართ იყო შური მათი, ამისთვის ეტყვს: უკუეთუ მე ბერ-  
ზეულითა განვასხამ ეშმაკთა, არა მონაფენიცა ჩემნი ეგრეთვე იქმანა?  
რამეთუ მათცა ჩემ მიერ აქუს ჴელმწიფებად. ვითარ უკუე მათთვის არცა  
ერთსა იტყვთ ესევეითარსა ბრალობასა და ყოველი ბრძოლად თქუენი ჩემ-  
და მომართ არს? გარნა არა თუ ესემცა სარგებელ რადმე გეყო, არამედ  
უფროდღა დასასჯელ, რამეთუ იგინივე იყვნენ მსაჯულ თქუენდაო. ესე  
იგი არს, ვინადთგან იგინიცა თქუენგან არიან და ძენი ნათესავისა თქუე-  
ნისანი და ესრეთ წრფელ გულითა და კეთილ გონებითა იპოვნეს და ყოვ-  
ლითა სარწმუნოებითა შემომიდგეს მე, ესე მეზრ დიდად დასასჯელ თქუ-  
ენდა იქმნას, რამეთუ რად-იგი უმეცართა მათ და უსწავლელთა შეუძღეს  
გულისწმის-ყოფად, თქუენ არა ინებეთ გულისწმის-ყოფად, რომელნი-ეგე  
იქადით სიბრძნისათვს და მეცნიერებისა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „უკუეთუ მე სულითა ღმრთისადთა განვასხამ ეშმაკთა,  
მო-სამე-ინია თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისად“ (12,28).

თ ა რ გ მ ა ნ ი: სასუფეველად ღმრთისა მოსლვასა თვსსა სახელ-სდვა.  
ვინადთგან ჴმისა მიერ წინანარმეტყუელთადასა დიდ იყო მოლოდებად  
ქრისტეს მოსლვისად, ამისთვის ეტყვს: ვინადთგან ესერა მტკიცე არს, რა-  
ოდენცა თქუენ ჰგმობთ, ვითარმედ სულითა ღმრთისადთა განვასხამ ეშ-  
მაკთა, რამეთუ ღმერთი ვარ ჭეშმარიტი, საცნაურ არს, ვითარმედ მე ვარ

ქრისტე, და მოწვევულ არს სადმე ქადაგებად იგი სასუფეველისად ჩემ მიერ. ხოლო თქვენ, უბადრუკნო, არა შეინყნარებთ ქადაგებასა ამას, არამედ ჰყვებით თავნი თჳსნი ღირს ჯოჯოხეთისა. ჯერ-იყო თქვენდა სიხარული, რამეთუ მოინია თქვენ ზედა ესოდენი ესე კეთილი, და მოვიდა ჟამი წარმატებისა თქუენისა, რომელსა პირველითგან ჴმოზღეს წინადაწარმეტყუელნი; გარნა თქვენ არა ხოლო თუ შენყნარებად სასუფეველისად არა ინებეთ, არამედ ყოვლით კერძო მბრძოლ და წინააღმდეგომ იქმნებით.

ხოლო რომელ-ესე მათე იტყვს, თუ: „სულითა ღმრთისადათა“, ლუკა თქუა: „თითითა ღმრთისადათა“;<sup>1</sup> რადათა ყოვლით კერძო გამოაჩინოს, ვითარმედ განსხმად ეშმაკთად დიდ არს და საღმრთოესა ჴელმწიფებისა საქმე; ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ამით ყოვლითა ცნათ, უგულისჴმონო, ვითარმედ მოსრულ არს ძე ღმრთისა. გარნა არა ჰრქუა ესრეთ განცხადებულად, არამედ მიფარულადრე, მრავლისა მის მოშურნეობისა მათისათჳს.

„მო-სამე-ინია თქვენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲო“. იხილე სახიერებად, იხილე მრავალსახე კაცთმოყუარებად ყოვლადბრძნისა მის მეუფისა, ვითარ ყოვლით კერძო სარგებელსა მათსა ეძიებს. არა თქუა, თუ: მოინია სასუფეველი ღმრთისა, არამედ: „მოინია თქვენ ზედაო“, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: თქვენ მოგეცა, უბადრუკნო, ესევეთარი კეთილი, რადასათჳს მბრძოლ ხართ ცხორებისა თქუენისა?

ესე არს ჟამი იგი, რომელსა წინაწარმეტყუელნი გახარებდეს, ესე არს სასწაული, მათ მიერ ქადაგებული, ესევეთართა ამათ საკვრველებათა საქმე, რომელნი-ესე იქმნებიან, ვითარცა ხედავთ. ხოლო საქმენი ქადაგებენ, ვითარმედ ძალი ღმრთისა არს ამათი მოქმედი, და არა შესაძლებელ არს, არცა ჴელ-ენიფების ეშმაკსა ესევეთარი საქმე. ვითარ უკუე ესრეთ დაგიყოფიან თუალნი ხილვად ჴემმარიტებისა ნათელსა?

ამისა შემდგომად მესამესაცა სახესა წინაუყოფს უგუწურებისა მათისა შეგონებად და იტყვს:

**სახარებად: „ანუ ვითარ ვის ჴელ-ენიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად და ჴურჴელი მისი გამოღებად, უკუეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი იგი და მაშინლა სახლი მისი იავარ-ყოს?“ (12,29).**

თარგმანი: ესრეთ ეტყვს, ვითარმედ: ესე გულისჴმა-გიყავო, უკუეთუ გნებავს ცნობის, ვითარმედ ვერ ჴელ-ენიფების ეშმაკსა ეშმაკისა განდევნად; ხოლო ესეცა ყოველთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ უკუეთუ არა სრულიად მძლე ექმნას ვინ ეშმაკსა, ვერ განიოტებს მას. ან უკუე, უგულისჴმონო, ამის ყოვლისაგან გულისჴმა-ყავთ, ვითარმედ არა ხოლო თუ უცხო არიან საქმენი ჩემნი ეშმაკისაგან, არამედ უფროსლა შემიკრავს ძალი მისი და ჴურჴელი მისი იავარ-მიქმნია. იხილეა, ვითარ წინა-

<sup>1</sup> ლუკ. 11,20.

აღმდგომი მათისა უკეთურებისად დაემტკიცა? იგინი იტყოდეს, ბერზე-ბულითაო, მთავრითა ეშმაკთადათ განასხამს ეშმაკთა, ხოლო თავადმან გამოაჩინა, ვითარმედ არა ხოლო თუ ეშმაკნი, არამედ მთავარიცა მათი ძალითა ღმრთეებისა მისისადათა შეკრულ არს, და ამისთვის ჴელმწიფებითა ძალისა თვისისადათა განასხამს ეშმაკთა. ხოლო ესე სიტყუად არა მის ჟამისა საქმეთა ოდენ იყო გამომაჩინებელ, არამედ ყოფადთაცა მომასწავებელ, რამეთუ ჭურჭელ მთავრისა მის ეშმაკთადას არა ხოლო თუ ეშმაკნი არიან, არამედ კაცნიცა, საქმეთა მისთა მოქმედნი. ამისთვის მოასწავებს, ვითარმედ არა ხოლო თუ ეშმაკთა განასხამს, არამედ ყოველივე საცთური სოფლისაგან განდევნოს და მანქანებანი ეშმაკისანი განაქარვნეს და ყოველივე ძალი მისი უძღურ და უჴმარ ყოს და სრულიად იავარ-ყოს ჴელმწიფებად მტერისა.

ხოლო ძლიერად უწოდა მას, არა თუ ბუნებით ესრეთ არს, – ნუ იყოფინ! – არამედ პირველ მოსღვისა თვისისა მძლავრებასა მტერისასა მოასწავებს, რომელი-იგი მიიღო მან ჩუენისა უდებებისა და დაჴსნილებისაგან და ბოროტთა მათ ნებათა ჩუენთაგან.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჴკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“ (12,30).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე მეოთხე სახე არს პირთა მათთა დაყოფისა, რამეთუ ესრეთ ეტყვს: იხილენით, უგუჴნურნო, და გულისჴმა-ყვენით საქმენი ჩემნი, რასა-ესე ვიქმ: ღმერთსა შევანყნარებ კაცთა, სათნოებასა ვასწავებ, სასუფეველსა ვქადაგებ, სინანულსა წინაუყოფ, წარწყმედულთა ვეძიებ, შეცთომილთა მოვაქცევ, დაცემულთა აღვადგინებ; ხოლო ეშმაკი წინააღმდგომსა იქმს ამის ყოვლისასა: წარწყმედასა ზედა კაცთასა მოხარულ არს, ცოდვასა ასწავლის, ღმრთისაგან უცხო-ჴყოფს.

ან უკუე რომელი-იგი ესრეთ წინააღმდგომ არს ჩემდა, მტერი უძღური, და მოსწრაფე არს ჩემ მიერ შეკრებულთა განბნევად, ვითარ იტყვთ, უბადრუკნო, ცოფნო და უგუჴნურნო, თუ მის მიერ განვასხამ ეშმაკთა?

ხოლო სიტყვთა ამით არა ეშმაკთათვის ოდენ მოასწავა, არამედ ჴური-ათათვისცა, და ეშმაკთა თანა განაჩინნა ბოროტნი იგი მწიგნობარნი და ფარისეველნი, რამეთუ იგინიცა მტერ მისა იყვნეს და მოსწრაფებად აქუნდა განბნევად მის მიერ შეკრებულთა; არამედ განიბნინეს ძუალნი მათნი ჯოჯოხეთს შინა და, ვინაფთგან ეშმაკისა თანაშემწე იყვნეს, ეშმაკისაცა ნაწილი დაიმკვდრეს. რამეთუ გამოაჩინა უფალმან შემდგომითა მით სიტყვთა, ვითარმედ მათცა მოასწავებდა, და ჴრქუა მათ:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „ამისთვის გეტყვ თქუენ: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობა არა მიეტეოს კაცთა. და რომელმან თქუას სიტყუად ძისა კაცისათვის, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან

## თქუას სულისა წმიდისათჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“ (12,31-32).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაფთგან ჯეროვანი პასუხი მისცა მათ გულისზრახვათა მათთად და ყოვლით კერძო პირი დაუყო, ან სამართლად სასჯელსა უსჯულოებისა მათისასა აუწყებს, რაფთა ანუ შეშინდენ, ანუ სრულიად დაისაჯნენ უკეთურნი იგი.

ხოლო ჩანს სიტყუად ესე ბნელად და ძნლად გულისწმისსაყოფელად, არამედ უკუეთუ განვიფრთხოთ გონებითა, კეთილად ვპოოთ ძალი მისი. ესრეთ უკუე მოასწავებს სიტყუათა ამათ მიერ, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: მრავალი გმობად სთქუთ ჩემდა მომართ, მაცთურად სახელ-მდევით, წინააღმდეგომად რჩულისა, ღმრთისა მიერ მოცემულისა, და სხუად მრავალი ძკრი სთქუთ; ან ვთქუა, თუ: ხილვისა ამისთჳს და ბუნებისა ჳორცთაფსა ვერ გულისწმა-ჳყოფთ ღმრთეებასა ჩემსა და იტყვთ ესევითარსა; ხოლო საქმეთა მათ, რომელნი სულისა მიერ წმიდისა იქმნებიან, რამეთუ რომელნიცა ძალითა მით ღმრთეებისაფთა სასწაულნი იქმნებოდეს, სულსა წმიდასა მიაჩემა, ვითარცა-იგი ყოველივე ღმრთეებისა მისისაფ განუყოფელ არს, და ეტყვს: სასწაულთა მათ სულისა წმიდისა მიერ ქმნილთა ვითარ იკადრებთ გმობად? რამეთუ არა უმეცარ ხართ წერილთაფან ძალსა მისსა. ან უკუე რომელი ჩემისა ამის კაცობრივისა ბუნებისათჳს სთქუთ და ჳქმენით, – შეურაცხებაჲ პირველ ჯუარ-ცუმისა და კადნიერებაჲცა იგი ჯუარ-ცუმისაფ, – მიგიტეო, ხოლო რომელ-ესე სულისა მიმართ წმიდისა ჳგმობთ, შეუწდობელ იყოს თქუენდა უკუნისამდე!

რად არს უკუე სიტყუად ესე? უკუეთუმცა შეინანეს, არამცა შეუწდოა? ჳე, ჳეშმარიტად! რამეთუ მათგანნიცა, რომელნი ესრეთ ბოროტ იყვნეს, მრავალნი მოიქცეს, და შეუწდო მათ.

გარნა ან ამას ადგილსა არარას ავსენებს ნათლის-ღებისა და სინანულისათჳს, რამეთუ არა იყო ან ჟამი სიტყუად მათდა ნათლის-ღებისათჳს და სინანულისა, არამედ მათთვის იტყვს, რომელნი არა მოიქცეს. სინანული ჳეშმარიტი ყოველსაფე ცოდვასა აჳვოცს. უკუეთუ კულა არა შეინანოთ კაცებისა ამის ჩემისა მომართ ქმნილთა შეურაცხებათა თქუენთათჳს, რომელნი პირველ ჯუარ-ცუმისა აჩუენენით, არა მიგეჳადოს ამას სოფელსა, არამედ მას ოდენ საუკუნესა; ამისთჳსცა ეტყოდა მამასა: „მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.<sup>1</sup>

ხოლო გმობანი ეგე თქუენნი, რომელთა იტყვთ სულისა წმიდისათჳს, რამეთუ მე სულითა წმიდითა განვასხამ ეშმაკთა, და თქუენ საქმესა მას ეშმაკთა მიაჩემებთ, ამისი არა თუ შეინანოთ, ვერ ჳპოოთ მოტევებაჲ არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას, არამედ აქაცა იტანჯნეთ და მერმეცა. და რაფთა სცნა, ვითარმედ პირველ ჯუარ-ცუმისა თქუმულთა შეურაცხე-

<sup>1</sup> ლუკ. 23,34.

ბათათს იტყოდა, ამისთვის თქუა: „რომელმან თქუას სიტყუად ძისა კაცისათს, მიეტყოს მას“; რამეთუ მიუთხრობელითა მით სახიერებითა თქსითა, ვითარცა ვთქუ, აღ-რად-ვიდოდა ჯუარ-ცუმად, მოტევებასა ითხოვდა მათთვის, რადთა გკრუენოს წყალობისა და ძკრუესენებლობისა მისისა გამოუთქუმელობად.

„ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათს“. – გმობათა მათ მოასწავებდა, რომელთა ღმრთეებისა მიმართ იტყოდეს უღმრთონი იგი, და სასწაულთა მათ ეშმაკთა მიაჩემებდეს, რომელნი მადლითა სულისა წმიდისადთა იქმნებოდეს; ესევეთარი უკუე გმოზად მძიმე არსო და შეუნდობელ უნაწულთათს ამასცა სოფელსა და მერმესა მას. ამისთვის ბოროტად იტანჯნეთო, რამეთუ საცნაურ იყო თქუენდა ძალი სულისა წმიდისად და იკადრეთ გმოზად. თანამდებ ხართ უკუე აქაცა ტანჯვად და მას საუკუნესაცა; რამეთუ კაცნი რომელნიმე აქაცა იტანჯებიან და მუნცა, და რომელნიმე – აქა ოდენ, რომელნიმე – მას ხოლო საუკუნესა, სხუანი კუალად არცა აქა იტანჯებიან, არცა მუნ.

ხოლო რომელნი აქაცა და მუნცა იტანჯებიან, არიან ჰურიანი იგი, მბრძოლნი ქრისტესნი; რამეთუ აქაცა იტანჯნეს, რაჟამს ქალაქი იგი მათი წარიტყუნა, და შეემთხვნეს ჰრომთა მიერ ბოროტნი, რომელთა რიცხვ არა იყო; და კუალად მას საუკუნესა სასტიკად იტანჯნენ. ეგრეთვე სოდომელნი აქაცა იტანჯნეს და მუნცა იტანჯნენ, და სხუანი ესევეთარნი მრავალნი. კუალად იტანჯებიან მას ხოლო საუკუნესა, ვითარცა მდიდარი იგი, რომელი ინუებოდა ცეცხლსა შინა, და სხუანი მრავალნი მსგავსნი მისნი. იტანჯა აქა ხოლო, რომელმან-იგი კორინთეს შინა ისიძვა, და სხუანი მრავალნი, რომელთა შეემთხუევის რადმე აქა განსაცდელი ცოდვათათს და ჰპოებენ მას მიზეზად სინანულისა და განთავისუფლდებიან სატანჯველისაგან საუკუნოვსა.

კუალად, რომელნი არცა აქა იტანჯებიან, არცა მუნ, ესე არიან წინადაწარმეტყუელნი, მოციქულნი და მონამენი, ნეტარი იოზ და სხუანი მართალნი, რამეთუ ამათ რად-იგი სოფელსა ამას შეემთხვა, მას არა სახელვსდებ მე სატანჯველად, არამედ უფროვსად მოლუანებად და ახოვნებად და წინდად საუკუნოვსა მის გკრგვოსნებისა.

## სწავლად მას

### ვსენებისათს ცოდვათადასა და სინანულისათს

ვისწრაფოთ უკუე, ძმანო, რადთა ჩუენცა მათსა მას ნაწილსა თანაზიარ ვიქმნეთ; ხოლო უკუეთუ ესე ვერ უძლოთ, მათგანმცა ნუ დავაკლდებით, რომელნი აქავე იტანჯებიან და განიბანენ ბრალსა ცოდვასა მათთა-სა. ნუმცა მივალთ მუნ ტკრთმძიმენი, რამეთუ საშინელ არს სამსჯავროდ

იგი, და თანაწარუფალ არს ცოდვილთა ტანჯვად, და მოუთმენელ არს ჭირი იგი. ხოლო უკუეთუ გნებავს, რაფთა არცა აქა იტანჯო, არცა მუნ, მე გასნაო შენ, ძმაო, ჭეშმარიტად: მოჰჰადე შენვე ბრალი თავსა თვსსა; ისმინე პავლესი, რასა იტყვს: „უკუეთუმცა თავთა თვსთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით“.<sup>1</sup> უკუეთუ ესრეთ იქმოდი, წარემართო გვრგვინსაცა ღირს-ყოფად.

ხოლო უკუეთუ მკითხავ, თუ ვითარ მოჰჰადო ბრალი თავსა შენსა, მე გითხრა: იგლოვდი, ტიროდე, სულთ-ითქუემდ მწარედ, დაამდაბლე თავი შენი, აჭირვენ ჯორცნი შენნი, მოიჰსენენ ყოველნი ცოდვანი შენნი, რამეთუ დიდი ტანჯვად არს ესე სულისაჲ. რომელი მოსრულ არს ლმობიერებით და ტკივილითა გულისაჲთა ჴსენებად ცოდვათა თვსთა, იცის მან, თუ ვითარი ტკივილი აქუს და ჭირი ამას საქმესა; ამისთვის ესევეითარისა მის ჴსენებისა სასყიდელად ღმერთმან განანესა სიმართლე და იტყვს: „იტყოდე შენ პირველ ცოდვათა შენთა, რაფთა განჰმართლდე“.<sup>2</sup>

რამეთუ ჭეშმარიტად დიდი კეთილი არს ლმობიერად და ტკივილითა გულისაჲთა ჴსენებად ცოდვათაჲ; ესევეითარსა მას არა შეურაცხიეს თავი თვისი ყოვლადვე ღირსად ცხორებისა, არამედ მარადის იგლოვნ, ტირნ და გოდებნ. ესრეთ უკუე იქმოდე, ძმაო, ნუ ხოლო სიძვასა და მრუშებასა და სხუათა ესევეითართა იჴსენებ, არამედ შურსაცა და ზუაობასა და ძკრისზრახვასა და კადნიერებასა და ყოველსავე, რავედენიცა გიქმნიეს ბრალი; წინაშე შენსა დადევ და ტიროდე მათ ზედა, რამეთუ ესე ყოველი სატანჯველისა მომატყუებელ არს. არა გესმისა, რამეთუ რომელმან აგინოს ძმასა, გეჴენიისა თანამდებ არს; და მომთრვალე სასუფეველისაგან განვარდების; რომელსა არა უყუარდეს მოყუასი, შესცოდებს ღმერთსა; რომელი ძკრსა იჴსენებდეს, განარისხებს უფალსა, ვიდრელა წამებად თუ მივიდეს, ვერას ერგოს მას; რომელი გლახაკსა შეურაცხჴყოფდეს, ცეცხლად წარივლინების, და ცუდისა სიტყვსათვს სიტყუად გჴჴმს მიცემად.

ესე ყოველი ნუ მცირე გგონიეს, არამედ შეკრიბენ ყოველნი ბრალნი შენნი და, ვითარცა წიგნსა შინა, ესრეთ აღწერე საჴსენებელსა გულისა შენისასა. უკუეთუ შენ დასწერო, ღმერთმან აღჴოცოს; უკუეთუ შენ აღჴოცო ჴსენებისაგან შენისა და დაივინყო, მუნ აღწერილ იყვნენ წინაშე ღმრთისა. რავედენ უკუე უმჯობეს არს ჩუენ მიერ წერად და ზეცით აჴოცად, ვიდრე აქა დავიწყებად და მას დღელსა წინაშე თუალთა ჩუენთა წარმოდგომად თითოეულისა ცოდვისა ჩუენისაჲ.

ამისთვის უკუეთუ ყოველთავე საქმეთა ჩუენთა ვიჴსენებდეთ, ვპოვნეთ თავნი ჩუენნი მრავალთა ბრალთა თანამდებად. ვინმცა იპოა ჩუენგანი წმიდა ანგაჴრებისაგან? რამეთუ ნუ იტყვ საზომსა, არამედ უწყოდე, დაღაცა-

<sup>1</sup> 1 კორ. 11,31.    <sup>2</sup> ესაია 43,26.

თუ მცირესა ზედა იყოს, სასჯელისა თანამდებ არს; ესე გულისწმა-ყავ და ინანდი.

ვინ არს, რომელსა არამცა ეთქუა ძმისა მიმართ არცა დიდი, არცა მცირე სიტყუად გინებისად? რომელ-ესე გეჰენისა თანამდებ არს; ვის არა განუკითხავს სადა მოყუასი, გინა ძკრი უზრახავს? რომელ-ესე განკითხვისა საუკუნოდსა მიზეზ არს; ვინ არა აღზუავებულ არს? რომელ-ესე არანმიდა-ჰყოფს კაცსა; ვის არასადა მიუხედვან თუალითა ვნებულითა? რომელ-ესე მრუშებად არს, სიტყვსაებრ უფლისა; ვინ არა განრისხებულ არს? რომელ-ესე თანამდებ არს კრებულისაგან განვრდომად; ვის არა უფიცავს ოდეს? რომელ-ესე უკეთურისაგან არს; უკუეთუ ვეძიებდეთ, ცრუდცა ფიცი ვპოოთ ჩუენ თანა, რომელ-ესე უმეტეს არს უკეთურებისა; ვინ არასადა ჰმონა მამონას? რომელ-ესე მონებისაგან ღმრთისა განაგდებს.

მაქუს სხუადცა მრავალი საქმეთა ჩუენთა სასწენებელი, არამედ კმა არს ესე ღმობიერებად მოყვანებად, უკუეთუ ვინ არა სრულიად გულქვა იყოს; რამეთუ უკუეთუ თითოეული ამათ საქმეთაგანი შემძლებელ არს გეჰენიად შთაგდებად, ოდეს ყოველნი შეკრბენ ერთბამად, რაჲ-მე ყოფად არს?

ან უკუე ვითარ-მე ვცხონდეთო, იტყვან მრავალნი ამათ სიტყუათა ზედა. ხოლო ამისაცა მითხრობად მზა ვარ: დავდვათ თითოეულისა ამის ცოდვისაგან მონევენულსა წყლულებასა ზედა წინააღმდეგომისა მისისა სათნოებისა წამალი, და განიკურნოს. ესე იგი არს: მონყალება, ლოცვად, ღმობიერებად, სინანული, ცრემლნი, სიმდაბლე, გული შემუხსრვილი, შეურაცხებად სოფლისად, მიტევებად ბრალთა მოყუსისათად, მადლობად ღმრთისად ყოველსავე ზედა, მარხვად ძალისაებრ, ვედრებად ღმრთისად მარადის, მოგებად მეგობართა მამონადსაგან სიცრუისა, ჯსენებად სიკუდილისა და სასჯელისად, განშორებად ყოველთავე ამაოთა და ბოროტთა გულის-სიტყუათად, განწმედად გულისად ყოველისაგან ბინისა.

რამეთუ მრავალნი გზანი უჩუენებიან ღმერთსა ცხორებისანი, უკუეთუ ვინებოთ სლვად. ვილუანოთ უკუე სლვად მათ შინა, რაჲთა მივეწინეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.



## თავი მბ

სიტყუად ესე: **„ანუ ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ; ანუ ყავთ ხე იგი ხენემ და ნაყოფიცა მის ხენემ; რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს“** (12,33).

არა კმა-ყვნა პირველნი იგი მხილებანი, არამედ სხუასაცა სიტყუასა ეტყვს შერცხვებად მათდა; ხოლო სიტყუად ესე ესევეთარი არს: არავინ თქუენგანმანო აბრალა განკურნებულთა მათ, ვითარმცა არა განკურნებულ იყვნეს, არცა ვინ თქუა, თუ: ბოროტ არს ეშმაკისაგან თავისუფლება; რამეთუ რაოდენცა ურცხვნო იყვნეს, ვერ ძალ-ედვა ესე თქუმად. ვინათგან უკუე საქმესა მას ვერ სძაგებდეს, ხოლო მოქმედსა მისსა შეასმენდეს, ამხილებს, ვითარმედ უპირული არს ესე შესმენად და სრულიად ცოფთად.

ამისთვის ეტყვს, ვითარმედ: ანუ ყავთ ხე იგი კეთილ და ესრეთ ნაყოფიცა კეთილად შეჰრაცხეთ, რამეთუ ხე ნაყოფისაგან იცნობების, არა ნაყოფი – ხისაგან; დაღაცათუ ხე არს მიზეზ ნაყოფისა, არამედ ნაყოფი ხისა საცნაურმყოფელი არს. უკუეთუ კულა ხე ხენეშად შეგირაცხია, ნაყოფისაცა სიხენეშელა თქუთ, თუ ძალ-გიც, არა გაყენებ, რომელ არიან საქმენი ჩემნი. ხოლო უკუეთუ საქმენი საქებელ არიან და ვერარას განჰგმობთ, ვითარ ჩემდამო ჰგმობთ, მოქმედისა ესევეთართა საქმეთადას? იგინი არიან ნაყოფ და მე – ხე, ვითარ ნაყოფსა აქებთ და მე შეურაცხ-მყოფთ?

რამეთუ ვითარცა ზემო თქუა, აქაცა მოასწავებს, ვითარმედ: „ვერ ჴელ-ენიფების ხესა კეთილსა ნაყოფი ხენეში გამოლებად, ვერცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად“.<sup>1</sup> ხოლო ვინათგან არა თავისა თვისისათვის ოდენ, არამედ სულისა წმიდისათვის ჰყოფს სიტყუასა, ამისთვის სამართლად შეჰრისხავს მათ და ეტყვს:

სახარებად: **„ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ ჴელ-გენიფების კეთილისა სიტყუად, რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ? რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვნ“** (12,34).

თარგმანი: ამათ სიტყუათა მიერ გამოაჩინებსცა, ვითარმედ ჭემ-მარიტ არს სიტყუად იგი პირველი: რამეთუ აჰა ესერა თქუენ ბოროტნილა ხართ, ნაყოფსა კეთილსა ვერ გამოიღებთო, არცა თუ სიტყვსა კეთილისა ძალ-გიც თქუმად, არამედ რად-იგი პირველითგან ჩუეულებით გაქუს ზრდილობითა მაგით ბოროტითა და მშობელთაგან უკეთურთა. იხილე უკუე სიტყვსა ამის წესიერებად: არა თქუა, თუ: ვითარ ჴელ-გენიფების სიტყუად კეთილისა, რამეთუ ნაშობნი იქედნეთანი ხართ? რამეთუ ესე არა აყენებს კეთილისა სიტყუად გინა საქმედ, მშობელთა მედგართაგან შობად,

<sup>1</sup> მათ. 7,18.

არამედ: „ვითარ ჳელ-გენიფებისო კეთილისა სიტყუად, რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ?“

ხოლო ნაშობად იქედნეთა უნოდა, რამეთუ მშობელთათჳს ზუაობდეს. ამისთჳს შვილებისაგან აბრაჳამისა განაშორნა იგინი და პატივისა მისგან შიშუელ-ყვნა და ურუენა, თუ ვინ იყვნეს მშობელნი მათნი: მკლველნი იგი წინაღწარმეტყუელთანი, მომპოვნებელნი იგი კერპთმსახურებისანი და მკლველნი შვილთა თჳსთანი შესანირავად ეშმაკთა, მოქმედნი იგი მოუგონებელთა მათ ბოროტთანი, მსგავსნი ამათნივე.

„რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყუნ“. აქა კუალად ურუენებს, ვითარმედ ღმრთებრ იცნის ყოველნი დაფარულნი გულთა მათთანი, და ვითარმედ არა სიტყუათაჲ ხოლო, არამედ ბოროტთაცა გულისზრახვათა ბრალი მიეჳადოს მათ. და გამოაჩინებს, ვითარმედ დალაცათუ თავადმან, ვითარცა ღმერთმან, იცის ყოველივე, არამედ ამას კაცნიცა შემძლებელ არიან ცნობად სიტყუათაგან ბაგეთაჲსა, წესსა მას გონებისასა. ამისთჳსცა ოდეს გუესმას კაცისაგან სიტყუანი ბოროტნი, ვსცნობთ, ვითარმედ ეგევითარივე არს წყაროდ, ვითარი არს მისგან გამოსრული იგი ნაკადული; და უფროდსა გონებისა საქმე უფროდს არს, ვიდრეღა ბაგეთაჲ. რამეთუ ენითა ანუ ერიდებინ ვის, ანუ ეშინინ, ანუ ჰრცხუენინ, და მცირედი აღმოთქჳს, ხოლო გული დაფარულთა შინა ურიდად შობს ყოველსავე ბოროტსა, უკუეთუ არა ეშინოდის ღმრთისა; და ოდეს განმრავლდეს ბოროტი იგი გულისაჲ, მაშინ ნამეტნავი იგი ბაგეთა მიერ გარდაეფინების. ამისთჳსცა იტყჳს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი**“ (12,35).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იგი არს: არა ხოლო თუ ბოროტსა ზედა, არამედ კეთილსაცა ეგრეთვე არს, რამეთუ ვითარიცა იყოს საუნჯე, ეგევითარივე არს მისგან მომავალი იგი. რამეთუ ამისთჳს საუნჯედ უნოდა, რადთა სიმრავლე გამოაჩინოს გინა თუ კეთილისაჲ, გინა თუ ბოროტისაჲ, და სცნა, ვითარმედ პირით მცირედი ნაწილი გულისაჲ გამოჩნდის. ამისა შემდგომად აღაორძინებს შიშსა მას და იტყჳს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**ხოლო მე გეტყჳ თქუენ: ყოველი სიტყუად უქმი, რომელსა იტყოდინ კაცი, მისცენ სიტყუად მისთჳს დღესა მას სასჯელისასა. რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჳმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო**“ (12,36-37).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეა სამსჯავროდსა მის სიმართლე? არა თუ სიტყუათაგან უცხოთაო, არამედ შენთავე სიტყუათაგან ანუ დაისაჯო, ანუ განჳმართლდე. ხოლო რად არს სიტყუად უქმი? – ყოველივე სიტყუად ცუდი,

რომლისაგან არარაად არნ საქმე საჯმარი: ყოველი სიტყუაჲ ტყუილისაჲ, ყოველივე სიტყუაჲ ძკრის-ზრახვისაჲ, ყოველი სიტყუაჲ ბასრობისაჲ, ვნებუ-ლი და მავნებელი, – ესევეთარნი სიტყუანი ბრალისა თანამდებ არიან.

ვინაჲთგან უკუე ესე ესრეთ არს, ამიერითგან ნუ იგინი არიან ზრუნვა-სა და საურავსა შინა, რომელთათჳს ძკრის-ზრახვანი ითქუმოდინ, არამედ რომელთა მიერ ითქუმოდინ; რამეთუ არა თუ ამათ უჯმს სიტყკს-მიცემად, თუ რად ძკრი ვინ უზრახა, არამედ ამათ თანაჲც სიტყკს-მიცემად, თუ რად ძკრსა იტყოდეს.

და ნანდკლვე ესე ვნებაჲ არცა ჯორცთა რას ერგების და სულსა დი-დად ავნებს. რაოდენ იგი სხუათა შეანუხებს, ეგოდენ მეტყუელისა მის სულსა აჭირვებს, და ყოველივე სიტყუაჲ და ყოველივე საქმე, რომლითა მოყუასსა ვინ ავნებდეს, უმეტეს და უპირატეს თავსა თჳსსა ავნებს, რამეთუ რომელი ცეცხლსა დასთრგუნვიდეს, ფერჯთა თჳსთა დაინუავს, და რომელი დეხსა ნიხნიდეს, მოინყლვის. ეგრეთ არს, რომელი მოყუასსა თჳსსა ავნებდეს.

## სწავლად მბ

### რადთა ვილუანოთ არა ვნებაჲ, არცა ძკრის-ზრახვად მოყუასთა, არამედ თავთა თჳსთა განვიკითხვიდეთ

ან უკუე ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა ესე არს ბოროტ, უკუეთუ სხკსაგან შეგუემთხვოს ჩუენ ჭირი რამე, ანუ ზღვევაჲ, ანუ სავნებელი, არამედ ესე არს ბოროტ, უკუეთუ სხუასა ვავნოთ. იხილეთ, რაბამი ვნებაჲ შეემთხვა დავითს საულისაგან. ვინ უკუე დიდ იქმნა და სანატრელ, ვნებუ-ლი იგი ანუ მავნებელი?

აჰა ესერა საულს ვხედავთ, ვითარ სანყალობელ იქმნა და წარწყმე-დილ ცხორებასაცა თჳსსა და ჟამსაცა სიკუდილისასა და შემდგომად სი-კუდილისა; ხოლო დავით მაშინცა სანატრელ და საქებელ იყო და სათნო ღმრთისა და კაცთა შორის დიდებულ, და ან საჯსენებელი მისი არს უკუ-ნისამდე.

იხილე კუალად იგივე დავით სხუასა ჟამსა, ვითარ, ავნო რად მოყუასსა, ფრიადი ძკრი შეემთხვა, რაჟამს ბოროტი უყო ურიას, შეიცვალა წესი იგი პირველი და შთავარდა ბევრეულთა განსაცდელთა და, უკუეთუმცა არა პოვნილ იყო კაცი ბრძენი და გონიერი და სინანულითა აღეჯოცა ბრალი თჳსი, უძკრესიმცა შემთხუეულ იყო – სრულიადი წარწყმედაჲ.

ამის პირისა უკუე სახენი წერილთა შინა აურაცხელნი იპოებინ. ამისთჳს, საყუარელნო, ყოველივე გულისჯმა-ვეყოთ და ვივლტოდით ამის ცოდვისაგან. ნუ ვავნებთ მოყუასთა ჩუენთა ნუცა საქმით, ნუცა სიტყკთ. რამეთუ ესერა აღმოვიკითხეთ ბრძანებაჲ უფლისაჲ, რომელსა იტყკს, ვი-

თარმედ: „ყოველი სიტყუა ცუდი, რომელსა იტყოდინ კაცი, მისცენ სიტყუა მისთვის დღესა მას სასჯელისასა“.<sup>1</sup>

უკუეთუ სიტყუსა ცუდისა სასჯელი მიგუეჯადების, რად ვთქუათ ძკრის-ზრახვათათვს და შესმენათა მოყუსისათა, რადდენისა სასჯელისა თანამდებ ვართ? რამეთუ დალაცათუ სიტყუა იგი ძკრის-ზრახვისაჲ ჭემმარიტ იყოს, შენ არავე გიწმს ძკრის-ზრახვაჲ, რადთა არა თანამდებ ბრალისა იქმნე. არა გესმისა, ვითარმედ ფარისეველმან მან ჭემმარიტი თქუა მეზუერისა მისთვის და რად-იგი ყოველთა მიერ საცნაურ იყო, არამედ დაისაჯავე სასტიკად? ხოლო უკუეთუ ცხადთა და საცნაურთა საქმეთათვს ძკრისზრახვაჲ უჯერო არს, რადდენ უფროჲს ფარულთათვს და იჭუეულთა? რამეთუ შეცოდებულსა მას აქუს მსაჯული, ხოლო შენ ნუვის განიკითხავ, რომლისა ზრუნვაჲ არა შენდა რწმუნებულ იყოს, ნუცა მოიტაცებ პატივსა მას მხოლოდშობილისა-სა, მისდა დამარხულ არს საყდარი განკითხვისაჲ.

ხოლო უკუეთუ გნადის შენცა განკითხვაჲ, გიჩუენო განსაკითხავი ფრიად სარგებლისაჲ და ბრალისაგან თავისუფალი: დასჯ საყდართა ზედა შინაგანისა გონებისათა განმკითხველი იგი გულისსიტყუაჲ და შემოიხუენ შორის ყოველნი ცოდვანი შენნი; განიკითხევდ მათთვის სულსა შენსა და თუალუხუაჲდა სასჯელსა მიჰჭდიდი და იტყოდე: თქუ შენ, სულო ჩემო, უბადრუკო და ულმობელო, რადსათვს იკადრე ამათ ესევეთართა საქმეთა ქმნად? უკუეთუ იგი საქმეთა თვსთა მხილებისაგან ივლტოდის და სხუათა-სა ეძიებდეს, არქუ მას შერისხვით: არა მაგათ უცხოთა საქმეთათვს გკითხავ, შენთათვს გამომეც სიტყუაჲ, რადსათვს ჰქმენ იგი რომელიმე ცოდვაჲ? რადსათვს შთაჰვარდი ამას რომელსამე მწკრესა? ხოლო რაჟამს ესრეთ შე-აინრო, უკუეთუ არარად აქუნდეს სიტყუაჲ, ჰგუემდ მას ყუედრებითა და კდემითა, ვითარცა მონასა უწმარსა და განდგომილსა. ამას ესევეთარსა განსაკითხავსა დლითი-დლე განანესებდი და შორის შემოიღებდი ჴსენებასა ცეცხლისა მის უშრეტისასა, მატლისა მის წამლენისასა, ბნელისა მის გარესკნელისასა, ტარტაროზისა მის და ღრჭენისა კბილთაჲსა, განვრდომისა მის პირისაგან ქრისტესისა, რომელი უმწარეს არს ყოვლისა. ამას ესევეთარსა მარადის იწურთიდი, რადთა არლარა შეუნდო სულსა შენსა თანამ-ზრახვალ-ყოფად ეშმაკისა გულისსიტყუათა მიერ ბოროტთა, ნუცა ისმენ პასუხსა მისსა. უკუეთუ გეტყოდის: მე არა მნებავს, გარნა ეშმაკი მაიძულეზს ბოროტისა წურთად, იგი მოვალს, იგი მებრძვის, არქუ მას: უკუეთუმცა შენ არა გინდა, ეშმაკსა ვერარად ძალ-უც, ქრისტესა შეუმუსრავს ძალი მისი, მტერისა მახვლსა მოაკლდა სრულიად, და ქალაქნი საცთურისა მისისანი აღაოჭრდეს.<sup>2</sup>

უკუეთუ კუალად გრქუას, ვითარმედ: ჴორცთა თანა შეერთებულ ვარ და მათ თანა მელმის, სოფელსა შინა მკკდრ ვარ, არქუ მას: ეგე ყოველი

<sup>1</sup> მათ. 12,36.

<sup>2</sup> შდრ. ფსალმ. 9,7.

სიტყუად ცუდ არს და ამაო. მას ვისმე წმიდასა არა ჳორცნი ემოსნესა? იგი ვინმე მართალი არა სოფელსა ამას შინა იყოა? ვითარ იგინი წარემატნეს სათნოებითა, და შენ ჳმიზეზობ მიზეზთა ცოდვისათა? და შენ თუთვე მას რომელსამე ჟამსა არა ჳორცთა შინა იყავა? არა სოფელსა მკკდრ იყავა? ვითარ მაშინ, ეკრძალებოდე რად თავსა შენსა, ყოველივე ძალ-გედვა და ან ესრეთ იტყვ? დაღაცათუ ფრიად ელმოდის სიტყუათა ამათ ზედა, შენ ყოვლადვე ნუ ულხენ, რამეთუ მო-თუ-სწყლა იგი, არა მოკუდეს, არამედ სიკუდილისაგან იწსნე.

უკუეთუ თქუას: მან ვინმე განმარისხა, არქუ: თანაგაც ვნებად და არა განრისხებად; უკუეთუ თქუას: პირმან მან სახნიერმან მომწყლა ვნებითა, არქუ მას: და რადსათვს არა გეპყრნეს თუალნი შენნი კრძალულად? არქუ მას, ვითარმედ: არა სარგებელ არიან შენდა მიზეზნი ეგე ცუდნი, რამეთუ პირველსა მასცა დედასა ევას არას ერგო სიტყუად იგი, თუ: „გუელმან მაც-თუნა მე“.<sup>1</sup>

ხოლო ოდეს ესევეითარი ესე სამსჯავროდ აღჳმართო, ნუმცა ვინ არს შენ თანა, არამედ მხოლოდ იყავ თვსაგან ადგილსა ფარულსა და ჟამსა მყუდროსა; ვითარცა ბჭენი დიდებულნი შინაგან კრეტსაბმელისა სხდიან, ეგრეთვე შენ შევედ საუნჯესა შენსა, სენაკსა ფარულსა, და ესე ყოველი განიკითხე. ეგრეთვე კუალად მწუხრი სარეცელსა ზედა შენსა ესევე გან-საკითხავი გონებასა შინა შენსა შემზადე. ამისთვის თქუა წინაღსწარმეტყუელმან: „რად სთქუათ გულთა თქუენთა, სარეცელთა თქუენთა ზედა შეინანეთ“;<sup>2</sup> და კუალად იტყვს: „უკუეთუმცა მოგიწსენე შენ სარეცელსა ჩემსა ზედა, ცისკარსამცა აღვიმსთუე და გევედრებოდე შენ“.<sup>3</sup> ხოლო იგი წინაღსწარმეტყუელი ვითარცა იტყოდა, ეგრეთცა იქმოდა. ამისთვისცა ლაღადებს: „დავშუერი მე სულ-თქუმითა ჩემითა, დავბანე მარად ღამე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტვე“.<sup>4</sup> რამეთუ ესევეითარსა განსაკითხავსა შეუმზადებდა სულსა თვსსა დლითი-დღე.

უკუეთუ შენცა ეგრეთ იქმოდი და მცირეთაცა ცთომათათვს სულსა შენსა ბრალსა მოჳდიდე, დიდთა ყოვლადვე არა მიეახლო, არამედ რომელნი გექმნენ ცოდვანი, იგინიცა შეინანნე და კადნიერებით წარსდგე წინაშე საყდარსა ქრისტესსა. ამისთვის იტყოდა პავლე: „უკუეთუმცა თავ-თა თვსთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით“.<sup>5</sup> ეგრეთ წმიდა-ჳყოფდა იობ შვილთა თვსთა, რამეთუ რომელი უცნაურთა ბრალთათვს შესაწირავთა შესწირვიდა, საცნაურთათვს არამცა ძლიერად განიკითხვიდაა?

ხოლო ჩუენ არა ესრეთ ვიქმთ, არამედ და-რად-ვნვით სარეცელთა ზედა, მეყსეულად ანუ არაწმიდათა გულისსიტყუათა ვინყით ნურთად, ანუ ცუდთა და სოფლიოთა საქმეთა ზრუნვად. და საუნჯე თუ მცირე-

<sup>1</sup> დაბ. 3,13.

<sup>2</sup> ფსალმ. 4,5.

<sup>3</sup> ფსალმ. 62,7.

<sup>4</sup> ფსალმ. 6,7.

<sup>5</sup> 1 კორ. 11,31.

დი გუაქუნ, წარმავალი და ამაოდ, დიდითა კრძალულებითა ვსცვიდით მას მპარავთაგან და ავაზაკთა, ხოლო სულსა ამას ჩუენსა სანყალობელსა, რომელი-იგი მხოლოდ მოცემულ არს ჩუენდა, და სხუად ნაცვალი მისი არა არს, განვსცემთ ყოველთა მპარავთა და ავაზაკთა წარსატაცებელად, ყოველთა ბოროტთა გულისსიტყუათა ფერწისსაცემელად; გინა თუ სიძვისად მოვიდეს, გინა თუ ანგაჰრებისად, გინა თუ გემოთმოყუარებისად, ანუ თუ გულისწყრომისად, ანუ შურისად, ანუ თუ სხუად რომელიმე ბოროტთა ვნებათაგანი, მეყსეულად კარსა განუღებთ და შევიწყნარებთ, და მათ თანა იქცევიან და მათ თანა ზრახავნ სული ჩუენი, ვიდრემდის მოვიდის ძილი და ძლით განაშორნის ჩუენგან; უფროესად არცა მაშინ განგუემორნიან, არამედ რასა-იგი ვიგონებდით მღჰძარენი, მათვე საქმეთა უცნებანი ძილსა შინა მერეოდთან. ამისთჳსცა, განთენის რად, უცნებათა მათგან შემფოთებული იგი სული მრავალგზის საქმესაცა მათ უცნებათასა შთავარდის.

ოდეს-მე უკუე უძლოთ უბადრუკთა ამათ ამის ნაგვეისა სულთაგან ჩუენთა განყრად? ოდეს უძლოთ ეკალთა ამათ აღმოფხურად? ოდეს დავსთესოთ თესლი კეთილი?

არა უწყია, საყუარელო, რამეთუ ჟამი მკისად მოწევენულ არს? ხოლო ჩუენ ყანობირნი ჩუენნი არღა გკთერძვან. ან უკუე მო-თუ-ვიდეს მუშაკთმთავარი იგი და სიტყუასა მიგუწდიდეს, რად-მე ვთქუათ ანუ რად მიუგოთ? ვთქუათ, თუ: თესლი არავინ მოგუცა? ვტყუვით, რამეთუ დღითი-დღე მოგუეცემის. ვთქუათ, თუ: ეკალნი არავინ აღმოფხურნა? სირცხვლეულ ვიქმნეთ, რამეთუ გუემხილოს, ვითარ დღითი-დღე ლესვიდეს წმიდანი მისნი მანგალთა და გუაიძულებდეს მოჭრად ეკალთა ჩუენთა. უკუეთუ ვთქუათ, თუ: სოფლისა ზრუნვანი შეგუაშობდეს, მრქუას: რად არა ჯუ-არს-აცუ თავი შენი სოფლისა? რად არა მოიძულე ყოველი და მე შემიყუარე? ესელა მებრძანა შენდა.

რად-მე ვყოთ, ძმანო? შეურვებულ ვარ. უკუეთუ რომელმან ქანქარი იგი მიიღო და არა განამრავლა, არამედ იგივე მისცა, რომელი მიეღო, და ამისთჳს განვარდა შეკრული, სადა-იგი არს ტირილი თუალთად და ღრჭენად კბილთად, ჩუენ-მე რად ვყოთ, რომელთა მოცემულიცა იგი წარგვკეის და ყოვლადვე ცარიელნი ვართ? მიკვრს უკუე, ვითარ არა შევიკდემთ, ვითარ არა მოვიქცევით. არა-მე ვხედავთა სოფლისა ამის ამაოებასა, სიკუდილისა უცნაურებასა, სასჯელისა მის საუკუნოესა თანამდებებასა? არა გულისწმა-ჰყოფთა, ვითარმედ არა სათნოებად ხოლო არს საშრომელ, არამედ ვნებანიცა უმეტესად? იგი აქა მცირედ საშრომელ არს და უკუნისამდე განსასუენებელ, ხოლო ცოდვად აქაცა მაჭირვებელ არს მოქმედთა მისთა და მუნ უკუნისამდე მტანჯველ. რად არს უკუე ამაოებად ესე, რომელ დაუტეობთ კეთილსა და აღვირჩევთ ბოროტსა? უფროესლა არიან სათნოებანი, რომელთა ყოვლადვე არა აქუს შრომად. რამეთუ რად შრომად აქუს არა-

ძკრის-ზრახვასა, არატყუილსა, არაფიცსა? უფროდსლა ტყუილსა და ფიცსა და ძკრის-ზრახვასა აქუს ჭირი და შრომად, არამედ ჩუენისა ვერაგობისაგან დაუტეობთ კეთილსა და ადვილსა და ვიქმთ ბოროტსა და ძნელსა; ეგრეთ-ვე სხუანიცა იგი ვნებანი დაჯსნილებისა ჩუენისაგან მძლე გუექმნებიან და სხვსა არარაქსაგან.

ან უკუე, საყუარელნო ჩემნო, ესე ყოველი გულისჯმა-ვყოთ და შე-ვიკრძალნეთ თავნი ჩუენნი პირველ სიკუდილისა. მოვიძულოთ ცოდვად და შევიყუაროთ სიმართლეს, მოვიძაგნეთ ვნებანი და შევიტკბნეთ სათნო-ებანი, რადთა მოვილოთ ქრისტესგან მოტევებად ცოდვათად და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს ვიქმნეთ მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარე-ბითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით ნმიდითურთ შუენის დიდებად, პატივი და თაყუანის-ცემად ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

## თავი 88

სიტყუაჲ ესე: „მაშინ მი-ვინმე-უგეს მნიგნობართაგან და ფარი-სეველთა და ჰრქუეს: მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვად. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაჲსწარმეტყუელისაჲ“ (12,38-39).

ჴ გარდამატებული ესე უგუნურებაჲ და გულფიცხელობაჲ უშჯულო-თაჲ მათ, რომელნი შემდგომად ესოდენტა სასწაულთა, ვითარმცა არარაჲ ქმნილ იყო, ესრეთ ეტყჳან: „გუნებავსო შენგან სასწაულისა ხილვად“. რა-სათჳს-მე უკუე ესრეთ ეტყჳან? გარნა ამისთჳს, რაჲთამცა კუალად მი-იღეს მიზეზი ბრალობისაჲ. ვინაჲთგან სიტყუათა მიერ პირი დაუყო მათ ერთგზის და ორგზის და მრავალგზის და ენათა მათ მედგართა აღჳრ-ას-ხნა, ამისთჳს კუალად საქმეთა ხილვად სწადის მათ, რაჲთამცა მათ შინა ნუ რაჲმე პოეს მიზეზი შესმენისაჲ, რომლისათჳს განკჳრვებულ არს მა-ხარებელი და იტყჳს: „მაშინ მი-ვიეთმე-უგეს მნიგნობართაგან და ფარი-სეველთა და ჰრქუეს: მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვად“. „მაშინ“, ოდეს? ესე იგი არს, ვითარმედ: ოდეს ჯერ-იყო თაყუანის-ცემად მისი, ოდეს ჯერ-იყო საკჳრველებად და დარწმუნებაჲ, ვითარმედ ჭემმარი-ტად იგი არს ქრისტე, მოსრული მოძიებაჲ და ცხორებაჲ წარწყმედულ-თა, მაშინ უმეტესად აღივსებოდეს იგინი უკეთურებითა და არა დაივიწყეს ორგულებაჲ თჳსი.

და იხილენ სიტყუანი მათნი, ლიქნითა ზაკუვისაჲთა აღვსებულნი, რა-მეთუ ჰგონებდეს ამათ სიტყუათა მიერ მიმთხუევად სათხოელისა მის.

ეჴა ფრიადი იგი უნესობაჲ და შემსგავსებული ჰურიებრივისა მის უგულისჴმოებისა და სიბოროტისაჲ! ოდესმე იტყოდეს, მთავრითა ეშმაკ-თაჲთა განასხამსო ეშმაკთა, ოდესმე კუალად „მოძღუარ“ სახელ-სდებდეს. ორივე უკეთურითა გონებითა იყო სიტყუაჲ მათი. ამისთჳსცა უფალმან ძლიერად ამხილა მათ და, ოდეს იგინი შეურაცხებით და მრისხანებით ეტ-ყოდეს, იგი სიმშკდით მიუგებდა, ხოლო ოდეს ლიქნით და პირსა ქებით ზრახვიდეს, კდემით და ფიცხლად მისცის სიტყუაჲ, რაჲთა უჩუენოს, ვი-თარმედ ორისაგანვე ვნებისა უცხო არს და არცა რისხვად აღიძრვის, არცა ლიქნისა სიტყუათა თანააღჳყევების.

იხილეთ უკუე სიტყუაჲ მისი, ვითარ გამომაცხადებელი არს უკეთურე-ბისა მათისაჲ, რამეთუ ეტყჳს: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს“. ხოლო სიტყუაჲ ესე ესრეთ არს: რაჲ საკჳრველ არსო, რომელ ან ესევეთარსა იტყუო, რამეთუ ესე პირველითგან აქუს ნათესავსა თქუენსა, და მარადის დაუტეობდით ღმერთსა და ეშმაკთა ჰმონებდით და ყოვლად-ვე უმაღლო იყვნით და უკეთურ; და რაოდენიცა კეთილი გეყო მამისა



ჩემისაგან, თქვენ უძკრესისა მიმართ წარმატებოდეთ. ხოლო მემრუშედ სახელ-სდვა გამოსაცხადებულად პირველისაცა და აწინდელისა ურწმუნოებისა მათისათვის და განდგომილებისა, რამეთუ დაუტევეს ღმერთი და ეშმაკთა ჰმონეს. ამისთვისცა გამოაჩინებს ერთობასა თვისსა მამისა თანა, ვინაჲთგან ურწმუნობაჲ მისისა ღმრთეებისაჲ მემრუშე-ჰყოფს ურწმუნოთა მათ.

„ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა მიეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ“. აწვე საიდუმლოსა მას აღდგომისასა მოასწავებს და სარწმუნო-ჰყოფს მას სახისა მისგან.

ხოლო თქუას ვინმე, ვითარმედ: ვინაჲთგან თქუა უფალმან, თუ: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა მიეცეს მას“, არარაჲ მისცაჲ სასწაული? ხოლო ესე ესრეთ გულისწმა-ყავთ, ვითარმედ: ბოროტთა მათ და უკეთურთა სასწაული არღარა მიეცა, ვინაჲთგან იხილა უფალმან გულფიცხელობაჲ იგი მათი და ვითარმედ არარაჲ სარგებელ ეყოფის; ხოლო რომელ-იგი სხუანი ქმნა ამიერითგან სასწაულნი, არღარა მათ უკეთურთათვის ქმნა და განწირულთა, არამედ მათთვის, რომელთა ეგულებოდა მოსლვაჲ სარწმუნოებად. ხოლო უკეთურსა მას და მემრუშესა ნათესავსა არა მიეცესო სასწაული, გარნა სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ.

ესე იგი არს, ვითარცა მან დაქცევად იგი წინევისაჲ ქადაგა, გამო-რადვიდა ვეშაპისაგან, ეგრეთვე შემდგომად ჩემისა აღდგომისა გექმნას თქუენცა სასწაული, სრულიადი იგი მოოწრებაჲ თქუენი. ვინაჲთგან ესოდენნი ქველისმოქმედებანი გიჩუენენ და არა სარგებელ გეყო, არცა ინებეთ თაყუანის-ცემაჲ ძალსა ჩემსა, ამისთვის წინააღმდგომთა საქმეთაგან იცნათ ძალი ჩემი, ოდეს იხილოთ ქალაქი თქუენი და ტაძარი დარღუეული და თქუენ ტანჯულნი და დამონებულნი და განბნეულნი ყოველსა სოფელსა.

ესე იყოსო თქუენდა სასწაულად სამარადისოდ, რომელ შეუცვალებელ ეგოს ტანჯვად იგი და ჭირი თქუენი. ამისთვისცა მრავალთა ჴელ-ყვეს აღმართებად ტაძარსა მას მათსა და პირველსავე წესსა მოყვანებად მათდა და ვერ უძღეს.

ვინაჲთგან ჴსენებაჲ იონაჲსი შემოილო, მოასწავებს საიდუმლოსაცა აღდგომისასა, რომელ-იგი საცნაურ მათდა ყოფად იყო, ვინაჲთგან შეემთხვა ყოველივე, რომელი აუწყა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ო :** „**ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე**“ (12,40).

თ ა რ გ მ ა ნ ი : განცხადებულად არა თქუა, თუ აღდგეს, რაჲთა არა საბასრობელად შეჰრაცხონ უშჯულოთა მათ, გარნა ესრეთ იგავით

თქუა, რომელ მათცა ცნეს, ვითარმედ აღდგომასა მოასწავებს. ამის-  
თვსცა ეტყოდეს პილატეს: „უფალო, მოვიწსენეთ, რამეთუ მან მაცთურ-  
მან თქუა, ვიდრე ცოცხალა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა  
აღვდგეო“.<sup>1</sup>

ხოლო მონაფეთა ვერ გულისწმა-ეყვნეს სიტყუანი ესევეთარნი აღ-  
დგომისათვს, არამედ ოდეს მკუდრეთით აღდგა, მოეწსენა მონაფეთა,  
ვითარცა იოვანე იტყვს სიტყვსა მისთვს, ვითარმედ: „დაჰწსენით ტაძარი  
ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო იგი“.<sup>2</sup> ეგრეთვე ესე არს. ხოლო ან არა  
იცოდეს, არამედ მათ უკეთურთა აგრძნეს ძალი სიტყვსა მისისაჲ, ამისთვს  
უმეტესი სასჯელი მიეწადოს მათ, რამეთუ არა უმეცრებით, არამედ ნეფ-  
სითი იყო უკეთურებაჲ მათი.

ხოლო იხილე, ვითარ გამონუღილვით თქუა: „ეგრეთ იყოსო ძე კაცი-  
საჲ გულსა ქუეყანისასა“, რათა დაფლვად მოასწავოს, და ვერვინ უძლოს  
თქუმად, თუ: უცნებაჲ რამე იყო; რამეთუ ამისთვს სამ დღე განაგო საფ-  
ლავსა შინა ყოფად, რათა ვერვინ ურწმუნო იქმნას სიკუდილსა მისსა; და  
არა ჯუარ-ცუმითა ხოლო დამატკიცა ესე, არამედ სამ დღე დაფლვითაცა.  
რამეთუ აღდგომისა მონამე-ყოფად იყო ყოველივე იგი შემდგომი ჟამი, ხო-  
ლო სიკუდილისა მისისა სამი იგი დღე იყო დამამტკიცებელ, რათა აღდგო-  
მაცა სარწმუნო იქმნას და ჭეშმარიტ.

ხოლო ამასცა ვიეთინიმე გამოეძიებენ, თუ ვითარ არს სიტყუად ესე, რა-  
მეთუ თქუა უფალმან: „ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ  
დღე და სამ ღამე, ეგრე იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და  
სამ ღამე“; ვითარ იპოების რიცხვ სამისა მის დღისა და სამისა ღამისაჲ,  
ვინათგან პარასკევსა შევიდა საფლავად უფალი ჩუენი და კვრიაკესა გან-  
თიად აღდგა?

ამის უკუე ჯერისათვს, დალაცათუ მრავალ არს განსამარტებელად  
სიტყუად, თქუმული სხუათა მიერ ძმათა ჩუენთა, გარნა მოკლე და უჭირ-  
ველი მიგიტხრა. ჩუენ გურნამს, ვითარმედ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე  
ცხორებისათვს ჩუენისა ჯუარს-ეცუა, დაეფლა და მესამესა დღესა  
აღდგა.

ხოლო სახისა მისთვს იონაჲსა, რომელ თქუა, თუ: „ვითარცა-იგი იყო  
იონა მუცელსა ვეშაპისასა, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა“,  
მან კეთილად იცოდა, თუ რაჲზომი ჟამი დაყო იონა მუცელსა ვეშაპისა-  
სა, რამეთუ ხედვიდა შთანთქმასაცა მისსა და გამოსლვასაცა ქუეყანად,  
და უცთომელად აღასრულა იგი, ვინათგან ბრძანა სახისა მის აღსრულე-  
ბად; და ესოდენი დაყო საფლავსა შინა, რაოდენი მან მუცელსა ვეშაპისასა,  
რათა ჭეშმარიტად სარწმუნო და მტკიცე იყოს საიდუმლოჲ დაფლვისა და  
სიკუდილისა მისისაჲ, და ესრეთ აღდგომაცა უეჭუელ იქმნას. ამისთვს ყო-

<sup>1</sup> მათ. 27,63.      <sup>2</sup> იოან. 2,19.

ველსა ადგილსა სიკუდილსა მისსა ვქადაგებთ საიდუმლოთა ზედა ჟამის-  
წირვისათა და ნათლის-ცემასა და სხუასა ყოველსავე ქადაგებასა ჩუენსა.  
ამისთვის პავლეცა იტყობდა ბრწყინვალითა წმითა: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ  
სიქადული, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა“.<sup>1</sup> ხოლო  
რადთა არავინ ჰგონებდეს, თუ ეგრეთ ყოფად არს შემდგომი საქმე მათი,  
ვითარცა მაშინ ნინეველთა, რომელნი მოიქცეს სინანულად და გარენა-  
რაქციეს რისხვად ღმრთისად, არამედ რადთა საცნაურ-ყოს უკეთურთა მათ  
ჰურითა უნანელობად და მათ ზედა მომავალისა რისხვისა სამართლად  
მოსლვად, ამისთვის იტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „**კაცნი იგი ნინევისანი აღდგენ სასჯელსა მას ნათე-  
სავისა ამის თანა და დასჯიდენ მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას  
იონაძისსა; და აჰა ესერა უდიდეს იონაძისსა არს აქა**“ (12,41).

**თ ა რ გ მ ა ნ ი:** იგი მონად იყო და მე – მეუფე; იგი ვეშაპისაგან განერა,  
და მე მკუდრეთით აღდგე; იგი დაქცევასა ქადაგებდა, და მე სასუფეველსა  
ვახარებ; მათ თვნიერ სასწაულთასა ჰრწმენა, და მე სასწაულნი ესოდენნი  
ვაჩუენენ; მათ მცირედნი ესმენს სიტყუანი, და მე ესოდენნი ესე სწავლანი  
შევჰმზადენ; იგი მსახურებისა აღსრულებად მივიდა, და მე უფალი ყოველ-  
თად და შემოქმედი მოვედ არა ბრალთა მოვდად, არცა ტანჯვად, არამედ  
მიცემად ცოდვათა შენდობისა; იგინი კაცნი იყვნეს ბარბაროზნი, და ნათე-  
სავი ესე – აღზრდილი წინაძსწარმეტყუელთა თანა; იონაძისთვის არარად ვინ  
წინაძსწარ მოასწავა, და ჩემთვის ყოველნი წინაძსწარმეტყუელნი ქადაგებ-  
დეს, და საქმენი სიტყუათა ეწამებთან; მან არცა თუ ყუედრებისა თავს-დე-  
ბად ინება განრომილთა მათთვის დაქცევისაგან, და მე სიკუდილი თავს-ვი-  
დევ სიკუდილითა მით ჯუარისადთა, და ამისა შემდგომად კუალად სხუათა  
მივაველენ, რადთა უქადაგონ და მოაქცინენ. არს უკუე სხუადცა მრავალი,  
რომლითა გამოჩნდების, რავდენ მაღალ იყო და საკვრველ მეუფისა ჩუე-  
ნისა ქრისტეს ქადაგებად, და უშჯულოთა მათ არა ჰრწმენა. სამართლად  
უკუე დასასჯელ მათდა იყვნენ ნინეველნიცა, რამეთუ მათ ქადაგებად  
იონაძისი ჰრწმენა. ამისთვისცა სხუად კუალად სახე მათისა ურწმუნოებისა  
დამშჯელი მოილო და თქუა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „**დედოფალი სამხრისად აღდგეს სასჯელსა მას ნათე-  
სავისა ამის თანა და დასაჯოს იგი, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისადთ  
სმენად სიბრძნისა სოლომონისსა; და აჰა ესერა უდიდესი სოლომონისა არს  
აქა**“ (12,42).

**თ ა რ გ მ ა ნ ი:** ესე პირველისა მის უმეტესი დასასჯელი იყო, რამეთუ  
იონა ნინევედ მივიდა, ხოლო დედოფალი იგი არა სოლომონისსა მიელოდა

<sup>1</sup> გალ. 6,14.

მისსა მისლვასა, არამედ იგი მოვიდა, დედაკაცი უცხო და ესოდენ შორი-ელი, თვნიერ შიშისა და თანანადებისა რაჲსმე, სურვილისათჳს ხოლო სიტყუათა სიბრძნისათა.

„და აჰა ესერა უდიდესი სოლომონისა არს აქა“. იგი კიდეთაგან ქუეყანისათა მოვიდაო, ხოლო მე არა თქუენ გაიძულე შორს წარსლვად, არამედ მე მოვედ თქუენდა და მოვჰლი ქალაქთა და სოფელთა. სოლომონ ხეთათჳს და მცენარეთა სიბრძნისმეტყუელებდა, რომელ-იგი მოსრულსა მას არას სარგებელ ეყოფოდეს, და მე მიგიტხრობ საიდუმლოთა შესაძრწუნებელთა და წინაგყოფ ცხორებასა სულთა თქუენთასა და წარწყმედისაგან განგაკრძალებ. ამისთჳს უკუე დიდ არს დასჯილება თქუენი, რომელ ამას ყოველსა ზედა არავე გრწმენა.

ესრეთ უკუე უჩუენა რად ყოვლით კერძო, ვითარმედ შეუნდობელად ცოდეს, და ვითარმედ მიზეზი წარწყმედისა მათისად მათგან არს და არა სხჳსა ვისგან, და გამოაცხადა დასჯილება მათი წინეველთაგან და დედოფლისა მისგან და სხუათა მრავალთა სახეთაგან, ამიერიტგან მოასწავებს მოწენადსა მას მათ ზედა რისხვასა იგავით და იტყჳს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა :** „ხოლო რაჟამს სული იგი არანმიდა და განვიდის კაცი-საგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის. მაშინ თქჳს: მივიქცე სახედ ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ; და მოვიდის, პოვის იგი მოცალე, განსუენებული და შემკული. მაშინ წარვიდის და მოიყვანის მის თანა სულნი შკდნი, უბოროტესნი მისა, და მოვიდის და დემკვდრის მუნ. და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისად მის უძკრეს პირველისა. ესრეთ ეყოს ნათესავსა ამასცა უკეთურსა“ (12,43-45).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამათ სიტყუათა მიერ აჩუენებს, ვითარმედ არა მას საუკუნესა ხოლო, არამედ ამასვე სოფელსა მრავალი ბოროტი შეემთხვოს. რამეთუ ვინაჲთგან თქუა, თუ: „წინეველნი იგი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასჯიდენ მას“, რაჲთა არა სიგრძისათჳს მომავალისა მის სასჯელისა უზრუნველ იქმნენ, აქავე მოწენადთა ბოროტთა მიუტხრობს. ხოლო სიტყუად ესე მისი ესრეთ არს, ვითარმედ: შეპყრობილ იყვენით პირველცა მძლავრებითა ეშმაკისაჲთა და იყვენით, ვითარცა კაცი ეშმაკეულნი და ცნობამილებულნი, დაუტეობდით ღმერთსა და კერპთა თაყუანის-სცემდით; შვილთა თქუენთა დაუკლევდით მსხუერპლად ეშმაკთა; ფრიადსა აჩუენებდით სიბოროტესა და სიცოფესა; ხოლო არავე დაგიტევენ თქუენ, არამედ მრავლით კერძო ვინებე ჳსნად თქუენი მონებისა მისგან ეშმაკისა: წინაჲსწარმეტყუელნი მოგივლინენ, ტყუეობითა გწუართენ, სასწაულნი გიჩუენენ, და ან მე თავადი მოვედ, რაჲთამცა სრულიად წმიდა-გყვენ თქუენ არანმიდებათა თქუენთაგან. ვინაჲთგან უკუე არა გნებავს შეწყნარებაჲ ჩემი, არამედ უმეტესსა შეტუალთ უკეთურებასა, – მაშინ წინაჲსწარმეტყუელნი მოწყვდენით და ან ჩემი გეგულების მოკლვად,

– ამისთვის ძალიცა იგი ეშმაკისად უმეტესითა ჴელმწიფებითა გეუფლების თქუენ, ვიდრე პირველ, და ტანჯვად უმეტესი მოინიოს თქუენ ზედა; რამეთუ ნანდკლვე ფრიად უმეტესი იყო, რად-იგი უესპასიანეს და ტიტეს ზე შეემთხვა ჴურიათა შემდგომად ქრისტეს ამაღლებისა, ვიდრელა რად-იგი პირველ შემთხუეულ იყო მეგკპტელთაგან და ბაბილოვნელთა და ანტიოხოფს ზე.

და არა ესე ოდენ მოესწავების იგავისა ამის მიერ, არამედ სრულიადიცა იგი ეშმაკთა მათ შორის დამკვდრებად საცნაურ იქმნების და ყოვლისავე კეთილისაგან ცარიელობად მათი. რამეთუ პირველ დაღაცათუ ცოდვიდეს, არამედ იყვნესცა მათ შორის მოქმედნი სათნოებისანი, და მადლი ღმრთისად არა სრულიად განშორებულ იყო, არამედ განაგებდა ცხორებასა მათსა; ხოლო ან ოჴერ იქმნეს სრულიად და ყოვლისავე კეთილისაგან ცარიელ და მონა მძლავრებისა მის ეშმაკთადასა.

და უწყით ნათესავისა ამის ჩუენისა ზე, ოდეს-იგი ყოველთა უშჯულოთა უუშჯულოესი ივლიანე ბორგდა და ქრისტეანეთა ჴბრძოდა, ვითარ აღერინეს უკეთურნი იგი ჴურიანი წარმართთა და უძკრეს მათსა იყვნეს.

ხოლო რომელ-ესე ან დადუმებულ არიან, შიშისაგან მორწმუნეთა მეფეთადასა არს მყუდროებად მათი. ხოლო უკუეთუმცა ესე არა იყო, ფრიად უძკრესიმცა პირველისა მის ქმნეს. რამეთუ ყოვლითავე ბოროტითა სძლევენ პირველთა მათ: გრძნებითა, მისნობითა, ბილწებითა, რომელსა-იგი დიდითა წარმდებებითა იქმან. და სიცოფეცა მათი დიდ არს, რომლისათვის მრავალგზის მეფეთაცა წინააღუდგეს და შემსგავსებულად უკეთურებისა მათისა იგუემნეს.

სადა-მე არიან, რომელნი სასწაულთა ეძიებენ? ისმინედ, რამეთუ გონებად საწმარ არს კეთილი. ხოლო იგი თუ არა იყოს, არცა ერთი იქმნების სასწაულთაგან სარგებელი. აჴა ესერა ნინეველთა თჴნიერ სასწაულთა ჴრწმენა, ხოლო ჴურიანი შემდგომად სასწაულთასა უძკრეს იქმნეს და სიმრავლისა მის ეშმაკთადასა სამკვდრებელ-ყვნეს თავნი თჴსნი და ბევრეულთა მათ განსაცდელთა შთაცკვეს, და სამართლად, რამეთუ ოდეს ერთგზის განთავისუფლდეს კაცი ბოროტისაგან და არა შეიგონოს, ღირს არს იგი, რადთა უძკრესი შეემთხვოს. რამეთუ ამისთვის თქუა, ვითარმედ: „მიმოვალნ სული იგი არანმიდად და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის“. ესე იგი არს, ვითარმედ: ვერ პოა უკეთურებამან ეშმაკთამან სულნი ესრეთ შემწყნარებელნი მათისა სიბოროტისანი, ვითარ იყვნეს მღდელთმოძღუართა მათ ჴურიათანი, მწიგნობართა და ფარისეველთა და სხუათა მსგავსთა მათთანი. ამისთვისცა მოიქცეს მათა და პოვნეს იგინი განმზადებულნი შემწყნარებად მათდა; შევიდეს მათ შორის, და იქმნა ყოველივე საქმე მათი უკუანაფსკენელი უძკრეს პირველისა.

## სწავლად მგ შიშისათვის საუკუნოთა სატანჯველთადასა

ხოლო ამათ სიტყუათა ჩუენდა მომართცა ჟამი არს თქუმად, რამეთუ რაჟამს ნათლის-ღებისა მიერ პირველთა მათ ცოდვათა ჩუენთა პატიჟსა განვერნეთ და კუალად მასვე უშჯულოებასა ვერეოდით, ფრიად უძკრეს იყოს ჩუენდა სატანჯველი შემდგომთა მათთვის ცოდვათა. ამისთვის ქრისტი ეტყოდა განრლუეულსა მას: „აჰა ეგერა ცოცხალ იქმენ, ნულარა სცოდავ, რადთა არა უძკრესი რადმე გეყოს შენ“.<sup>1</sup>

ესელა ჰრქუა კაცსა, რომელსა ოცდაათრვამეტი წელი აქუნდა უძლურებასა შინა. გულისწმა-ვყოთ და ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა. რამეთუ თქუამცა ვინმე, თუ: რადლამცა უძკრესი შეემთხვა ესოდენთა წელთა განრლუეულობისასა? არამედ ამას ნუვინ იტყვს! უფროსელა ვილოცვიდეთ, რადთა არა შეგუემთხვოს ჩუენ, რაოდენი ძალ-გვც მოთმინებად; რამეთუ არა დააკლდებიან სიმრავლენი სატანჯველთანი ცოდვილთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: დიდისა მისებრ წყალობისა ღმრთისა ეგრეთვე დიდ არს რისხვაჲ მისი ცოდვილთა ზედა, რომელთა არა ინებეს სინანული;<sup>2</sup> ვითარცა-იგი ეზეკიელის მიერ აყუედრებს იერუსალჴმს და იტყვს: „გიხილე შენ შებღალული სისხლითა და განგბანე შენ და საცხებელი სინმიდისაჲ გცხე შენ; და იქმენ სახელოან შუენიერებითა შენითა. და მერმე ისიძვე გარემოჲს შენსა მყოფთა წარმართთა თანა და იქმენ თავისა შენისა კერპნი. ამისთვის შური ვიგო შენგან შურის-გებითა დიდითა“.<sup>3</sup>

საცნაურ არს უკუე, ვითარმედ დიდ არს უმადლოთა ზედა და შეუგონებელთა რისხვაჲ და სატანჯველი. ამისთვის ვეკრძალნეთ, ძმანო, ნუუკუე ჩუენ ზედაცა ეგრეთვე იქმნას. რამეთუ ფრიად სულგრძელ მექმნა ჩუენ ღმერთი და ანცა სულგრძელ არს დღითი-დღედთა მათ ცოდვათა ჩუენთა ზედა. არამედ შევიგონოთ და მოვიქცეთ სინანულად, ნუუკუე გარდაიქცეს სულგრძელებაჲ მისი რისხვაჲ, ოდეს იხილოს უკურნებელობაჲ ჩუენი, ვითარცა-იგი შეემთხვა ფარაოს. მას უკუეთუმცა შეენანა მრავალსა მას სულგრძელებასა ზედა ღმრთისასა, არამცა ეხილვა რისხვაჲ იგი უკუნადსკნელი. ხოლო ვინაეთგან ყოველივე იგი სულგრძელებაჲ ღმრთისაჲ მიზეზად უმეტესისა სიფიცხისა ქმნა მან, ამისთვის ყოვლითურთ მჯედრებით მისით დაინთქა ზღუასა მენამულსა.

გუეშინოდენ ჩუენცა, რამეთუ არიან მრავალნი ჩუენ შორის მსგავსად მისა უნანელნი და გულფიცხელნი, მაჭირვებელნი გლახაკათანი და მოყუარენი თიჯისა და ალიზისანი, რომელ-იგი არიან საქმენი ცოდვისანი. განვეშორნეთ უკუე ესევითარისა გულფიცხელობისაგან, რადთა არა მსგავსი მისი და ფრიად უძკრესი შეგუემთხვოს. დაღაცათუ არა წინაგვც ზღუად მე-

<sup>1</sup> იოან. 5,14.

<sup>2</sup> შლრ. ზირ. 16,13.

<sup>3</sup> ეზეკ. 16,6,9,14,26,38.

ნამული, არამედ წინაგვც ზღუად იგი ცეცხლისა მის უშრეტისაჲ; წინა-გვც დღე იგი სასჯელისაჲ, დღე მწუხარებისა და რისხვისაჲ, ვითარცა წინაწარმეტყუელი იტყვს: „დღე გულისწყრომისა და იწროებისაჲ ცოდვილთა ზედა“;<sup>1</sup> ოდეს-იგი განვარდენ პირისაგან ქრისტესსა, – ჰ განსაცდელი იგი, – და მიეცნენ ცეცხლსა მას გეჰენისასა და ბნელსა გარესკნელსა, სადა-იგი არავის თვსთაგანსა და მეცნიერსა ხედვიდენ, არამედ ზედამდგომელთა მათ ხოლო სატანჯველისათა; ვითარცა-იგი რომელნი აქა შეეცოდებათათვს ბოროტთა შთაცვვიან ვიეთნიმე ორმოებსა შინა ბნელსა, ყოველთა მიერ საწყალობელ იყვნინან.

და რად არს ამის სოფლისა სატანჯველი მერმესა მას თანა? რამეთუ ფრიად უძნელეს და უმწარეს არს მერმისა მის საუკუნოხსაჲ. აქაჲ ყოველივე წარმავალ არს, ხოლო მუნ – საუკუნე; აქა ეგების ვედრებაჲ მეფისა გინა მთავრისაჲ და გამოყვანებაჲ დასჯილისა მის, გარნა მუნ არარად ესევითარი შესაძლებელ არს, არამედ ვინაჲთგან მიეცეს განჩინებაჲ მართლმსაჯულისა მისგან მეუფისა და შთავარდენ ცოდვილნი ცეცხლსა მას, მიერიტგან არღარა არს მიერ განრომაჲ, არამედ მარადის იწუებიან, და ეგევითარი აქუს საღმობაჲ და ტკივილი, რომლისა გამოთქუმაჲ ყოვლადვე შეუძლებელ არს. და უკუეთუ აქა ცეცხლად მიცემულთა ტკივილსა ვერვინ გამოიტყვს, იგი ვითარმცა გამოთქუა? არამედ აქა მცირედსა ჟამსა იქმნების, ხოლო მუნ იწუების, რომელიცა შთავარდეს ცეცხლსა მას, და არა განილევის, არამედ უკუდავად ჰგის ცეცხლსა მას შინა.

რად-მე უკუე ვყოთ მაშინ, რად-მე უკუე ვყოთ? რამეთუ უფროჲს ყოველთა თავსა ჩემსა ვეტყვ სიტყუასა ამას. არამედ მეტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: უკუეთუ შენ, მოძღუარი, ესრეთ იტყვ თავისა შენისათვს და მოელი მისლვად სატანჯველსა მას, მე არღარად მეურვების; უკუეთუ შენ მუნ მიმავალ ხარ, რად საკრველ არს, უკუეთუ მეცა შევიდე? ნუ, გვედრები! ნუვინ ნუგეშინის-იცემთ თავსა თქუენსა ამით ნუგეშინის-ცემითა, რამეთუ ამო არს და უსარგებლო ესე ნუგეშინის-ცემაჲ. რად სარგებელ არს შენდა, კაცო, ჩემისა ჯოჯოხეთად შთავრდომისაგან, ანუ რად ნუგეშინის-ცემაჲ? არა უწყია, რამეთუ ეშმაკი პირველ ანგელოზი იყო და დიდად უაღრეს კაცთა? ხოლო დაეცა იგი და იქმნა ეშმაკ.

ან უკუე რომელნი მის თანა შთაცვვენ სატანჯველად, აქუს რად ამის საქმისაგან ნუგეშინის-ცემაჲ, რომელ ოდესმე ანგელოზყოფილი იგი მათ თანავე იტანჯების? ნუ იყოფინ, თუმცა ესე ნუგეშინისსაცემელ რადმე მათდა იყო! და ამასცა სანუთროსა უკუეთუ ვინ შეპყრობილ იყოს სენისაგან და ტკივილისა სასტიკისა, ვითარ-იგი არს ნიკრისად წოდებული, ანუ სხუად რადმე ესევითარი, ოდეს საღმობაჲ იგი ძლიერად აჭირვებდეს, გულისწმა-ყავ, ვითარმედ დაღაცათუ მრავალნი უჩუენნე უძკრესითა ტკივილითა შეპყრო-

<sup>1</sup> შდრ. ესაია 13,9.

ბილნი, არარაჲ ნუგეშინის-ეცემის მას. რავდენ უფროჲს გეჰენიასა შინა? ამისთჳს დიდად უგუნურებად მიჩნს სიტყუაჲ ესე, თუ მრავალთა თანა ტანჯვასა ნუგეშინის-ცემად რამეჲ აქუს. და რომელ-იგი იტყჳს ვითენი-მე, ვითარმედ: რაჲცა შეემთხჳოს სხუათა ყოველთა, მეცა მათ თანა, – ან უკუე ცუდითა ამით ნუგეშინის-ცემითა რასა-მე ნუგეშინის-ვსცემთ თავთა თჳსთა? რამეთუ სხუათა ჭირისაგან ნუგეშინის-ცემად ზომითთა ამით მწუხარებათა და განსაცდელთა შინა იქმნების, ხოლო ოდეს განსაცდელი იგი და ჭირი უმეტეს სიტყჳსა იყოს, და ვერცა თავისა თჳსისა ცნობად მოცალე იყოს სული იგი, ვითარ მოიპოოს სხუათა ტანჯვისაგან ნუგეშინის-ცემად? ან უკუე ცუდნი ესე სიტყუანი საკიცხელ არიან და ყრმათა სამღერელ, და არცა ერთი აქუს ძალი ამას ნუგეშინის-ცემასა ჭირსა მას შინა და სალმობასა, რომელსა იქმს ღრჭენად იგი კბილთად და სხუანი მიუთხრობელნი სატანჯველნი.

და ვიცი, ძმანო, სანყინო ვარ თქუენდა და შეგანუხებ ზედაჲსზედა წარმოლებითა ამით სიტყუათადთა, არამედ რაჲ-მე ვყო? არცა მე მენება ამათი შორის შემოლებაჲ, უფროჲსად ამას წადიერ ვიყავ, რათამცა თავისაცა ჩემისა და თქუენისაცა სათნოებაჲმცა ვიცოდე და უშიშმცა ვიყავ სატანჯველთა მათგან; ხოლო ვინადთგან უმრავლესნი ჩუენგანნი ცოდვათა მრავალთა თანამდებ ვართ, ჰე თუმცა უძლე ჯეროვნად შეწუხებად თქუენდა და დანერგვად სიტყუათა ამით მწუხარებისათა გონებათა შინა თქუენთა, და მაშინმცა უძლე განსუენებად.

ხოლო ან მეშინის, ნუუკუე ვითემე უგულუბელს-ყვენნ თქუმულნი ესე და უმეტესისა სასჯელისა თანამდებ იქმნენ. რამეთუ უკუეთუ მეუფე ვინ განურისხნის მონათა თჳსთა და სიტყჳთა ლალვისადთა უთქუამნ მათ, და ვინმე მათგანი ეცინოდის სიტყუათა მისთა და არა ძრწოლით ისმენდეს, არამცა უმეტესად შეჰრისხნა და ტანჯა იგი? ჰე, ჭეშმარიტად!

ამისთჳს გევედრები, ძმანო, ნუ გარენარად ვისმენთ სიტყუათა ამით, არამედ გუესმოდის რაჲ სიტყუაჲ გეჰენიისათჳს და სხუათა მათ საუკუნეთა სატანჯველთა, შევიშინოთ და ლმობიერ ვიქმნეთ, რამეთუ არარაჲ არს უსარგებელეს ამის თხრობისა და უმჯობეს და უტკბილეს, რამეთუ არცა რაჲ არს საქმისა მის უმნარეს.

თქუას ვინმე, ვითარმედ: ვითარ ტკბილ არს გეჰენიისათჳს თხრობად, რომელი-იგი ყოველსა უმნარეს არს საქმით? არამედ ამისთჳს არს ესე, ძმანო, რამეთუ უკუეთუ მარადლე ჴსენებაჲ მისი იყოს ჩუენ შორის, განეკრძალებიან სულნი ჩუენნი გზისა მისგან მუნ მიმყვანებელისა და განიფრთხობენ საქმეთა მიმართ საღმრთოთა, და რამცა იყო ამისა უსანადელეს? ჴსენებაჲ საუკუნეთა მათ სატანჯველთად ფრთოან-ჰყოფს გონებასა და ბოროტთა მათ გულისთქუმათა განიოტებს და საკურნებელ იქმნების წყლულებათა მათ სულისათა. ხოლო უკუეთუ ამას ცხორებასა აღმოვიგდოთ გულთაგან ჩუენთა ჴსენებაჲ მათ სატანჯველთად და უდებებით წარ-



ვლნეთ დღენი ჩუენნი საქმეთა შინა და გულისსიტყუათა ბოროტთა და მერმესა მას საუკუნესა მივეცნეთ ჯოჯოხეთად, რაჲ-მე იყოს სარგებელი ან არაჲსენებისაგან?

და სატანჯველთა მათ თანა გულისჴმა-ყავთ სირცხვილიცა იგი, რომელი უფროჲს ყოვლისა შემაურვებს მე, რამეთუ ვითარცა თქუმულ არს ჰურიათათჴს, თუ: ნინეველნი დასჯიდენ მათ, ეგრეთვე ჩუენ მრავალნი და-გუსჯიდენ, რომელნი ან შეურაცხ არიან ჩუენ მიერ. გულისჴმა-ვყოთ უკუე, თუ რაბამი სირცხვილი, რაბამი ბრალობაჲ იყოს ჩუენ ზედა, ოდეს მრავალნი უდარესნი ჩუენნი იპოვნენ კეთილისმოქმედ, და ჩუენ ბოროტისმოქმედთა თანა მდგომარე ვიყვნეთ.

გულისჴმა-ვყოთ ესე და ვინყოთ ანვე საქმედ კეთილისა, შევიდეთ კარსა მას სინანულისასა, მოვიწყდნეთ ბოროტნი ჩუეულებანი. ნუვინ განრისხნების ესევითართა სიტყუათათჴს, პირველ ყოვლისა თავსა ჩემსა ვეტყვ. ვინყოთ სლვად გზასა მას იწროსა. ვიდრემდე არიან შუებანი? ვიდრემდე არიან გემოთმოყუარებანი? ვიდრემდე არიან განსუენებანი ჴორცთანი? არა-მე განმადლარ ვართა ჯერეთ უდებებითა და სიცილითა და შუებითა და განცხრომითა? კულადლა მასვე შინა ვიყვნეთ მოუნყინებელად, ტაბლათა ბრწყინვალეთა დაგებასა და ურიდად მთრვალობასა, ჴორცთა ფუფუნებასა, სამოსელთა შუენიერთა მოსასა, საფასეთა და აგარაკთა მოგებასა, ტაძართა მაღალთა შენებასა და სხუათა მათ საქმეთა, რომელნი ამათ შეუდგან? და მერმე რაჲ ყოფად არს? სიკუდილი და სამარე და მატლი და წუთხი და მიწად და მტუერად გარდაქცევაჲ.

არამედ გვედრები, ქრისტესმოყუარენო, დაუტევნეთ ძუელნი ესე და დაძუელებადნი საქმენი და ვაჩუენოთ მოქალაქობაჲ ახალი და განმაახლებელი ჩუენი; ვყოთ ქუეყანაჲ ცად საქმეთა მიერ კეთილთა, უჩუენოთ აქავე წარმართთა, თუ რავდენტა კეთილთაგან დაკლებულ არიან. რამეთუ გვხილნენ რაჲ მოქალაქობასა შინა კეთილსა მშჴდნი და მდაბალნი, განწმედილნი რისხვისაგან და გულისთქუმათაგან ბოროტთა, შურისაგან და ანგაჴრებისა, და მოქმედად სათნოებისა, თქუან მათ, ვითარმედ: უკუეთუ აქავე ქრისტეანენი ანგელოზ იქმნეს, რაჲ-მე ყოფად არიან შემდგომად ამიერ განსლვისა? უკუეთუ სადა-ესე მსხემ არიან და მწირ და წარმავალ, ესევითარნი არიან, ოდეს მიიღონ თჴსი იგი მამული, რაჲ-მე ყოფად არს მათა?

ესრეთ იგინიცა მოიქცენ, და სიტყუად ღმრთისმსახურებისაჲ წარემართოს, ვითარცა მოციქულთა ზე. უკუეთუ ათორმეტთა მათ ესოდენნი ქუეყანანი მოაქცინეს, უკუეთუ მოვიგეთმცა ყოველთა სათნოებაჲ, გულისჴმა-ყავთ, თუ ვითარიმცა წარმართებაჲ იქმნა ღმრთისმსახურებისაჲ, რამეთუ უაღრეს სასნაულთასა დაარწმუნებენ წარმართთა საქმენი კეთილნი.

ვიზრუნოთ უკუე ცხორებისათჴს ჩუენისა, რაჲთა სულთაცა ჩუენთა და სხუათაცა სარგებელ ვეყვნეთ, რაჲთა აღესრულოს სიტყუად უფლისაჲ, ვი-

თარმედ: „ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ კეთილნი საქმენი თქუენნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“.<sup>1</sup>

და ნურარას ვინ მიზეზობს ყოველადვე: ანუ ცოლსა, ანუ შვილთა, ანუ სიმდიდრესა, ანუ სიგლახაკესა, ანუ განსაცდელთა, ანუ მონობასა, ანუ აზნაურობასა, ანუ სიჭაბუკესა, ანუ სიბერესა, ანუ უძლურებასა, ანუ სხუასა რას საქმესა და იტყვს, თუ: იგი რამე არა შემინდობს სათნო-ყოფად ღმრთისა. რამეთუ უკუეთუ ვის ენებოს, ყოველსავე საქმესა შინა ძალ-უც მოგებად სათნოებისად და სათნო-ყოფად ღმრთისად, და არცა ჰასაკი შემძლებელ არს დაყენებად, არცა სიმდიდრე ანუ სიგლახაკე, არცა სხუად რაფე საქმე, რამეთუ ვხედავთ, ვითარმედ ბერნიცა და ყრმანი და კაცნი ცოლოსანნი და შვილოსანნი და მწედარნი და მონანი, და ყოვლისავე წესისაგან სათნო-ეყვნეს ღმერთსა.

დანიელ ყრმა იყო და სამნი იგი ყრმანი; და იოსებ მონად იყო; აბრაჰამ მოხუცებული იყო; იობ განსაცდელსა მიეცა დიდსა; ლაზარე გლახაკი იყო და უძლური; ეგრეთვე ტიმოთე უძლურებასა შინა იყო; აკკლა მეპრატაკე იყო; ლუდია ძონეულისმოფარდული იყო; კორნელიოს ასისთავი იყო; სტეფანა მესაპყრობილეთმცველი იყო, რომლისათჳს იტყვს პავლე, ვითარმედ: „ნათელ-ვეც სახლსა სტეფანაჲსსა“;<sup>2</sup> ონისიმე მონად იყო, განდგომილი უფლისა თჳსისაგან.

ხოლო თავთა მათთჳს მოციქულთა ყოველთა იცით, ვითარ მეთევზურ და მეზუერე იყვნეს ვიეთნიმე, და ამათ ყოველთა არარად ექმნეს საქმენი ესე დამაყენებელ ცხორებისაგან საუკუნოჲსა, არამედ ყოველნი მიიწინეს სასუფეველად საქმეთა მიერ კეთილთა. და რად ვიტყვ მათ ხოლო, არამედ ავაზაკნიცა და მეძავნი და მეზუერენი ცხონდეს.

ამისთჳს არარად ვის გუაქუს მიზეზი, რამეთუ გონებად ხოლო საწმარ არს ჩუენდა და ნებად კეთილი. და რომელსაცა საქმესა შინა ვინ იყოს, უკუეთუ ენებოს, ძალ-უც მოგებად სათნოებათად. ვისწრაფოთ უკუე სათნო-ყოფად ღმრთისა, ვინაჲთგან ყოველთა გუაქუს წელმწიფებად, რადთა ღირს ვიქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა დამკვდრებად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

<sup>1</sup> მათ. 5,16.

<sup>2</sup> 1 კორ. 1,16.

## თავი 8

სიტყუად ესე: „და ვიდრე იგი ეტყოდალა ერსა მას, აჰა ესერა დე-  
დად მისი და ძმანი მისნი დგეს გარე და ეძიებდეს მას სიტყუად. მაშინ ჰრქუა  
ვინმე მას: აჰა დედაა შენი და ძმანი შენნი დგანან გარეშე და უნებს რადმე  
სიტყუად შენდა. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მეტყუელსა მას: ვინ არს დე-  
დაა ჩემი, ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი? და მიყო ჴელი მისი მოწაფეთა მიმართ  
და თქუა: აჰა დედაა ჩემი და ძმანი ჩემნი! რამეთუ რომელმან ყოს ნებად  
მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი“ (12,46-50).

სიტყუანი ესე არა თუ ამისთვის თქუნა უფალმან, ვითარმცა სირცხვლ-  
უჩნდა დედაჲ თვისი, ანუმცა უარ-ჰყოფდა მისგან შობასა; ნუ იყოფინ!  
ვითარმცა სირცხვლ-უჩნდა დედად ნოდებაჲ მისი, რომლისა საშოსა  
დამკვდრებაჲ და მისგან უაღრეს ბუნებათა შობაჲ არა უღირს-იჩინა?  
და ესოდენი აქუნდა მისთვის მოღუანებაჲ, ვიდრელა ჟამსა მასცა, რაჟამს  
ჯუარსა დამოკიდებულ იყო, შეჰვედრა იგი მოწაფესა მას უმეტეს ყოველ-  
თა შეყუარებულსა და ამცნო შვილებრივისა ერთგულებისა და მსახურე-  
ბისა ჩუენებად მისა მიმართ. არამედ ან სიტყუათა ამათ მიერ ორსა გან-  
გებულებასა გამოაჩინებს: ერთად ამას მოასწავებს, ვითარმედ თვნიერ  
სათნოებისა არა თუმცა სხუად რადმე საქმე, არამედ არცა თუ დედობაჲ  
იგი ქრისტესი არადმცა სარგებელ ქმნილ იყო, უკუეთუმცა დედაჲ იგი არა  
ყოვლითავე სათნოებითა და კეთილისსაქმითა შემკობილ იყო; ვითარცა-  
იგი ჭეშმარიტად უაღრეს იყო ქალწული იგი ნმიდაჲ ყოველთა დაბადე-  
ბულთასა სინმიდითა სულისა და ჴორცთაჲთა და ყოვლითავე სათნოები-  
თა; რამეთუ არცა იპოვა დასაბამითგან მსგავსი მისისა სინმიდისაჲ კაცთა  
ბუნებასა შინა. ამისთვის ანგელოზთაცა უმეტეს იქმნა, უმაღლეს ქერო-  
ბინთა და უდიდებულეს სერაბინთა. ხოლო უკუეთუმცა არა ესევეთარი  
იყო, არცა თუ მასმცა ერგო შობაჲ იგი ქრისტესი. ან უკუე ვინათგან  
მისთვის ესე ითქუა, სხუასა რომელსამცა ვინ საქმესა მიენდო და თქუა,  
თუ: ამან რამანმე თვნიერ სხუათა სათნოებათასა მაცხოვნოს და თვნიერ  
გონებისა კეთილისა, გინა თუ უდაბნოს მყოფებამან, გინა თუ მღდელო-  
ბამან, გინა თუ სასწაულთმოქმედებამან, გინა თუ სხუამან რომელმანმე  
საქმემან. ერთად უკუე ესე მოძღურებაჲ გამოაჩინა ამათ სიტყუათა მიერ.  
ამისთვისცა თქუა: „რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი  
არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი“; და კუალად, ოდეს-იგი ლაღატ-ყო დე-  
დაკაცმან მან, ვითარმედ: „ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტკრთა შენ,  
და ძუძუთა, რომელთა სწოვდი! ხოლო თავადმან თქუა: არამედ ნეტარ  
არიან, რომელთა ისმინონ სიტყუად ღმრთისაჲ და დაიმარხონ“.<sup>1</sup> არა თქუა,

<sup>1</sup> ლუკ. 11,27-28.

თუ: მუცელსა არა უტკრთავ, ანუ ძუძუნი არა მიწოვნიან, არამედ ნეტარ არსო, რომელმან ყოს ნებად ღმრთისაჲ.

და კუალად მეორე განგებულებაჲ ამით სიტყუათაჲ ესე იყო: რამეთუ დაღაცათუ წმიდაჲ იგი ქალწული სავსე იყო ყოვლითა სიბრძნითა და გულსწმის-ყოფითა და იცოდა საიდუმლოჲ იგი უთესლოჲსა მის და უბრწენელისა შობისა თვისისაჲ და, ვითარცა ლუკა იტყვს, „დაემარხნეს ყოველნი იგი სიტყუანი გულსა თვისსა“, <sup>1</sup> არამედ ჯერეთ ჯეროვნად და ღირსად არა აქუნდა მეცნიერებაჲ ღმრთეებისა მისისაჲ ვიდრე აღდგომადმდე და ზეცად ამალეობადმდე. ხოლო მაშინ, მი-რად-ვიდა და ვიდრე იგი ეტყოდალა ერსა მას, არა დადგა იგიცა სმენად სიტყუათა მისთა და ელოდა შემდგომად აღსრულებისა მოძღურებისა მის მერმელა სიტყუად, არამედ მიუმცნო მას უჟამოდ, ვითარცა ჴელმწიფებით, შვილებისათვის. ამისთვის ესრეთ მიუგო უფალმან, რადთა მოიყვანოს იგი უმაღლესსა გულსწმის-ყოფასა და ცნას, ვითარმედ არა ძე ხოლო არს მისი, არამედ მეუფეცა და ღმერთი, და გულსწმა-ყოს, ვითარმედ არა დედობისა ხოლო მისისა ჯერ-არს მინდობაჲ, არამედ ნებისა მის საღმრთოჲსაჲ, და მცნებათა მისთა აღსრულებაჲ, და ვითარმედ თვისებაჲ იგი სათნოებისაჲ უმეტესადლა სათნო არს მისა.

ხოლო კუალად ძეთა მათთვის იოსებისთა, რომელთაცა თვისებისა მისთვისცა, რომელი აქუნდა, რამეთუ თესლისაგან და ტომისა დავითისა იყვნეს, და მათ თანა ზრდილობისა მისისათვის ძმად მისა ეწოდებოდა, საცნაურ არს, ვითარმედ იგინი წესითა ზუაობისაჲთა მოუწყდეს, რამეთუ იოვანეცა იტყვს მათთვის, ვითარმედ: „არცაღა ძმათა მისთა ჰრწმენა მისი“, <sup>2</sup> და სიტყუათაცა მათთა იტყვს უგუნურებითა სავსეთა. რამეთუ აიძულებდეს მისლვად იერუსალჴმად არა თუ სხვისა რადსათვისმე, არამედ რადთა მოატყუან თავთა თვისთა დიდებაჲ მის მიერ ქმნილთა სასწაულთაგან. ამისთვის ეტყოდეს: „უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა. რამეთუ არავინ იდუმალ რასამე იქმნ და ჰნებავენ, ვითარმცა განცხადებულ იყო“. <sup>3</sup> ამისთვისცა თავადმან შეჰრისხნა მათ ჴორციელისა მის და კაცობრივისა გულსსიტყვისა მათისათვის. ეგრეთვე აქა, ამით ესევეითარითა უგულსწმოებისა გულსსიტყვითა მივიდეს და არა ჯერ-იჩინეს მოძღურებისა მისისა სმენად, არამედ გარე დგეს და ეძიებდეს, რადთამცა თავადი განვიდა მათა, რამეთუ ვითარცა კაცსა ლიტონსა ხედვიდეს მას და ზუაობდეს სასწაულთათვის მისთა. ამისთვის ესრეთ თქუა უფალმან, რადთა მოიყვანნეს იგინი გულსწმის-ყოფად და ცნან, ვითარმედ სათნოებისა მოგებაჲ თანაჲც, და გულსწმა-ყონ, ვითარმედ არა კაცი არს ლიტონი, არამედ მხოლოდშობილი იგი ძე ღმრთისაჲ. ამისთვისცა ესრეთ თუ უმეცარ იყვნეს, არამედ უკუანაღსკნელ დიდსა მოვიდეს გულსწმის-ყოფასა და საზომსა მიიწინეს მაღალსა მაღლითა უფლისაჲთა და თვისებაჲ იგი სათნოებისაჲ მოიგეს სიტყვისაებრ

<sup>1</sup> ლუკ. 2,51.

<sup>2</sup> იოან. 7,5.

<sup>3</sup> შდრ. იოან. 7,4.

უფლისა, ვითარცა თქუა: „რომელმან ყოს ნებად მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმად და და და დედად ჩემი“.

ეჰა პატიოსნებად სათნოებისად, ვითარსალა სიმაღლესა აღიყვანებს მუშაკსა თვსსა! რავედენნი ნათესავნი ჰნატრიან წმიდასა მას ქალწულსა და ღმრთისმშობელსა, რომელ ღირს იქმნა დედად უფლისა ნოდებად. ან უკუე რაჲ დამაყენებელ არს ჩუენიცა ნეტარებასა მას მინვენად? რამეთუ აჰა ესერა გზად ვრცელი გვჩუენა მინვენად ნეტარებასა მას, არა ხოლო თუ დედათა, არამედ მამათაცა და ყრმათა და ყოველსავე ჰასაკსა, რამეთუ თქუა: „რომელმან ყოს ნებად მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმად და და და დედად ჩემი“. და კუალად თქუა: „არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუად ღმრთისაჲ და დაიმარხონ“.<sup>1</sup>

ან უკუე, ძმანო, ესე შევიკრძალოთ ყოვლითა ძალითა, რაჲთა ნებასა ღმრთისასა ვიქმოდით და სიტყუანი მისნი დავიმარხნეთ და მივიწინეთ თვსებასა მას ქრისტესსა. ხოლო უკუეთუ ესე არა გუაქუნდეს, არამედ უდებებით ვცხონდებოდით, ნუცა შვილთა სინმიდესა ზედა ვიქადით, უკუეთუ ჩუენცა არა ზიარ მათისა სათნოებისა ვიყვნეთ, ნუცა მშობელთა ქველისსაქმესა და ღმრთისმსახურებასა მივენდვებით, უკუეთუ ჩუენცა არა მობადავ მათდა ვიყვნეთ, რამეთუ არას გუერგოს ჩუენ, ვითარცა ესერა უფალი გულისჴმა-გვყოფს. და კუალად ნათლისმცემელი ეტყოდა ჰურიათა: „ნაშობნო იქედნეთანო, ყავთ ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ, და ნუ ჰგონებთ და იტყვთ: მამად გვვის ჩუენ აბრაჰამი“;<sup>2</sup> რაჲთამცა გულისჴმა-უყო, ვითარმედ არარას ერგოს ნათესაობად აბრაჰამისი, უკუეთუ არა სათნოებითა თვს ეყვნენ მას. და უფალი ეტყოდა: „უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვნით, საქმეთამცა აბრაჰამისთა იქმოდეთ“.<sup>3</sup>

ხოლო ან უფალმან სიმშკდით მიუგო, რამეთუ დედისა მიმართ იყო სიტყუად. არა თქუა, თუ: არა დედად ჩემი ხარ, არამედ პატივ-სცემდა, ვითარცა დედასა, და აღმოთქუა სიტყუადცა ღმრთივშუენიერისა გულისჴმისყოფისაჲ: „რომელმან ყოსო ნებად მომავლინებელისა ჩემისაჲ, იგი არს ძმად და და და დედად ჩემი“. ხოლო ესე რაჲ თქუა, გამოვიდა სახლისა მისგანო. ჰხედავა, ვითარ სიტყუათა მათ მიერ მოიყვანნა იგინი გულისჴმისყოფად? და მერმე განვიდავე სიტყვსაებრ დედისა, ვითარცა-იგი ქმნა ქორწილსა მას კანაჲსსა, რაჲამს ღვინისა მისთვს ჰრქუა დედამან მისმანო: „ღვნოდ არა აქუს. ჰრქუა მას იესუ: რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო?“<sup>4</sup> რამეთუ აბრაჰამს მას უჰამოდ თხოისათვს სასნაულისა მის და მერმე აღასრულავე თხოად მისი, რაჲთა ბრალობითა მით უძლურებად იგი კაცობრივი განჴმართოს, ხოლო მორჩილებითა პატივი იგი დედისაჲ აჩუენოს. ეგრეთვე აქა, რაჲ-იგი ჯერ-იყო თქუმად, აღმოთქუა, და მერმე სიტყუასა მას დედისასა პატივ-სცა და განვიდა ხილვად მისა.

<sup>1</sup> ლუკ. 11,28.

<sup>2</sup> ლუკ. 3,7-8.

<sup>3</sup> იოან. 8,39.

<sup>4</sup> იოან. 2,3-4.

ხოლო გან-რად-ვიდა და ეზრახა დედასა თვისსა და ძმად წოდებულთა მათ, კუალად იწყო ერისა მისცა სწავლად; რამეთუ სასწაულნი მრავალნი აჩუენნა და ან კუალად სარგებელსა მას მოძღურებისასა წინაუყოფს. ამის-თვისცა იტყვს მახარებელი:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ე :** „მას დღესა შინა გამოვიდა იესუ სახლისა მისგან და დაჯდა ზღვსკიდესა. შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად და დაჯდომად. და ყოველი იგი ერი ზღვსკიდესა დგა. და ეტყოდა მათ მრავალსა იგავით“ (13,1-3).

თ ა რ გ მ ა ნ ი : დაჯდა ზღვსკიდესა, რამეთუ ენება მონადირება კაც-თაჲ, ვითარცა მოასწავებს მახარებელი, ვითარმედ: ამისთვს ზღვსკიდედ მივიდა, რადთა შეკრებასა მას ერისასა არავინ დაუტეოს ზურგით კერძო, არამედ ყოველნი წინაშე პირსა მისსა იყვნენ. და ეტყოდა მათ იგავითო.

ხოლო მთასა მას ზედა ასწავლიდა რაჲ, არა იგავით ყო მოძღურებაჲ თვისი, არამედ განმარტებულითა სიტყვთა. ესე ამისთვს, რამეთუ ერი ხო-ლო იყო მუნ და კრებული უმანკოდ, ხოლო ან აქა მრავალნი იყვნეს მნიგნო-ბარნი და ფარისევლები. ამისთვს იგავით ყო მოძღურებაჲ იგი თვისი, რადთა უმეტესად საძიებელ იყოს მათ მიერ და უმეტესად შევიდეს გულად მათა და უმეტესად გამოუცხადოს საქმეთა მათ ძალი.

და იხილეთ, ვითარ წესიერად ყო განწესებაჲ იგი იგავთაჲ და, რომელი-იგი პირველ ჯერ-იყო თქუმაჲ, იგიცა თქუა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ე :** „ესერა გამოვიდა მთესვარი თესვად. და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა. და მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი. და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად, და მეყსეულად აღმოსცენდა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ. მზჭ აღმოჰჰდა, და დასცხა და, რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განწმა. და სხუაჲ იგი დავარდა ეკალთა შორის, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი. და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა: რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა და რომელიმე ოცდაათსა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“ (13,3-9).

თ ა რ გ მ ა ნ ი : „გამოვიდა მთესვარი თესვად“. ვინაჲ გამოვიდა, რომე-ლი-იგი ყოველგან არს და ყოველივე ალუესიეს, ანუ ვითარ გამოვიდა? არა თუ ადგილითი ადგილად სლვითა, რამეთუ ყოველივე დაუჰყრიეს მას, არა-მედ წყალობითა და განგებულებითა მახლობელ ჩუენსა იქმნა, შემოსითა მით ჴორცთაჲთა. რამეთუ ჩუენ შესლვად მისა ვერ ჴელ-გუენიფებოდა შუ-ვაკედლისა მისგან ცოდვათაჲსა, რომელნი ვითარცა ზღუდე რვალისა იყ-ვნეს შორის ჩუენსა და მისა, ამისთვს წყალობით თავადი ჩუენდა გამოვიდა. და რადსა-მე გამოვიდა? წარწყმედად ქუეყანისა ეკლოვნებისა მისისათვს? ანუ ტანჯვად მუშაკთა მათ კაცთა, რომელთა ეკალი და კუროდსთავი მოი-

მუშაკესა? ნუ იყოფინ! არამედ განწმედად ეკალთა მათ მოვიდა და თესვად სიტყუასა მას ცხორებისასა.

რამეთუ თესლად ან სიტყუასა მას მოძღურებისასა იტყვს და ქუეყანად – სულეზსა კაცთასა, ხოლო მთესვარად – თავსა თვსსა. იხილეთ უკუე, რად შეემთხვა თესლსა მას: სამი ნაწილი წარწყმდა და ერთი ცხონდა, და არცა იგი სწორებით, არამედ ცხოვნებულთაცა შორის ფრიადი იქმნა განყოფილებად. რამეთუ თავადი უშურველად ასწავლიდა ყოველთა; ვითარცა მთესვარი უშურველად სთესავნ, ეგრეთვე სახიერმან მან უშურველად მიუთხრა სიტყუად სწავლისა მისისად მდიდართა და გლახაკთა, უდებთა და მოსწრაფეთა, სწავლულთა და უსწავლელთა, მწნეთა და მოშიშთა, ყოველთავე სწორებით ასწავებდა, დაღაცათუ იცოდა წინაღსწარ ყოველივე, თუ რომელსა ეგულებოდა სმენად ანუ რომელსა არა. გარნა ეგრეთცა თვსსა მას სახიერებასა აჩუენებდა, რადთა თქუას: „რადლა ჯერ-იყო ქმნად ვენაწისა მის, და არა ვქმენ?“<sup>1</sup> და უსიტყუელ იყვნენ, რომელთაცა არა შეინწყნარონ.

ხოლო შენ გესმას რად, ვითარმედ: „გამოვიდა მთესვარი თესვად“, ნუ ორგზის თქუმასა ერთისა მის სიტყვასა გულისწმა-ჰყოფ, რამეთუ მრავალგზის გამოვალს მთესვარი სხუად საქმედ, გინა თუ თერძვად, გინა თუ ნამარგელისა აღმოფხურად, გინა თუ ეკალთა განყრად, ანუ სხუად რადმე ესევითარად. ხოლო თავადი თესვად გამოვიდა, მთესვარი იგი სახიერი. ვითარ უკუე უმეტესი იგი თესლისად მის წარწყმდა? არა მთესვარისად მის იყო ბრალი, არამედ ქუეყანისად მის, რომელმან შეინწყნარა თესლი იგი, რომელ არიან სულნი იგი უნაყოფონი; რამეთუ რომელიმე უდებთა მიიღეს და წარწყმიდეს, და სხუად იგი – დაწსნილთა, და განმცემელ იქმნეს, და სხუად იგი – მდიდართა, და შეაშთვეს. არამედ უფალმან არა თქუა ესრეთ სახელდებით, რადთა არა სასონარკუეთილებად მოვიდენ ესევითარნი იგი, არამედ იგავითა მით ქუეყანისადთა ყოველნივე ესე გამოსახნა და მიუშუა კაცად-კაცადსა, რადთა თვსმან გონებამან ამხილოს.

ხოლო ესე არა თესლსა მას ხოლო შეხუდა, არამედ სათრომელსა მასცა ბადესა, რამეთუ მრავალი იპოვა ჯერკუალი.

და ესევითარნი ესე იგავნი თქუნა, რადთა ასწაოს და გულისწმა-უყოს მოციქულთა, რადთა დაღაცათუ უმრავლეს იყვნენ არაშემწყნარებელნი იგი სიტყვსანი, ვიდრელა შემწყნარებელნი, არავე დაწსნილ იქმნენ მსახურებისაგან თვსისა. რამეთუ მეუფისაცა ზე ესევე იქმნა, არამედ თავადი არა დასცხრა თესვად, რომელმან ყოველივე წინაღსწარ იცოდა.

თქუას ვინმე, ვითარმედ: ეგებისა ეკალთა ზედა თესვად და კლდესა და გზასა? არამედ გულისწმა-ყავ, ვითარმედ თესლსა ამას ზედა ხილულსა და ქუეყანასა არა იქმნების ესე, ხოლო სულთა ზედა და სწავლისა ესე მარადის აღესრულების და ფრიად სარგებელ არს. რამეთუ მუშაკმან თუ

<sup>1</sup> შდრ. ესაია 5,4.

ქმნას ესე, სამართლად საბრალობელ იქმნას, რამეთუ არა ეგების კლდისად გარდაქცევად ქუეყანად და მიწად; არცა გზად, თუმცა არა დაითრგუნვოდა მრავალთაგან; არცა ეკალთა, რადთამცა არღარა ეკალ იყვნეს; ხოლო პირმეტყუელთა საქმე არა ესრეთ არს, რამეთუ შესაძლებელ არს, რომელი-იგი კლდე იყოს, გარდაქცევად და ქმნად ქუეყანა კეთილ; და რომელი-იგი გზა იყოს, ჳელ-ენიფების, რადთა არღარავის შეუნდოს დათრგუნვად იგი; და ეკლოვანსა ძალ-უც განყრად ეკალთა მათ თავისა თვისისაგან და შეცვალებად ყანად ნაყოფიერად. რამეთუ უკუეთუმცა ესე ყოველი არა შესაძლებელ იყო, არამცა ეთესა ყოვლადბრძენსა მას მთესვარსა. ხოლო უკუეთუ არა ყოველთა ზედა იქმნა შეცვალებად იგი, მათი იყო ბრალი, რომელნი შეუცვალებელად ეგნეს ბოროტსა ზედა.

ამისთვისცა თქუა უფალმან, ვითარმედ: ყოველსა, რომელსა ესმეს სიტყუად სასუფეველისად და არა გულისჴმა-ყოს, არამედ ნეფსით განიფიცხოს გული თვისი, მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის თესლი იგი გულისაგან მისისა, რამეთუ იგი თვთ იქმნა განმცემელ.

და იხილე, ვითარ მრავალსახე არს გზად იგი წარწყმედისად, განშორებული ერთიერთისაგან: რომელნიმე გზასა მსგავს არიან, დათრგუნვილსა მრავალთა მათ ვნებათაგან, რომელნი-იგი დაჴსნილნი არიან და უდებნი; სხუანი მსგავს არიან კლდესა, უძღურნი გონებითა, რომელმან სიტყუად იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით გულსა თვისსა მიიღის, ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თვისსა, არამედ საწუთრო არნ, და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნად სიტყუსა მისთვის, მეყსეულად დაბრკოლდიან. ან უკუე პირველნი იგი უძკრეს ამათსა არიან. არა ერთ არს თვნიერ ჭირისა რადსმე და განსაცდელისა განცემად სიტყუსად მის და კუალად ინროებისა და ჭირისა განსაცდელთადასა ვერ თავს-დებად. ხოლო რომელნი-იგი ეკალთა მსგავს არიან, იგინი უძკრეს ყოველთასა არიან.

## სწავლად მდ

### რადთა მოსწრაფე ვიყვნეთ ყოველთა სათნოებათა მოგებად და სივლტოლად შუებისაგან

ან უკუე რადთა არა ჩუენცა ეგრეთვე შემემთხვოს, ვისწრაფოთ გულსმოდგინებით შეწყნარებად სიტყუათა ღმრთისათა და სამარადისოსა მას ჳსენებასა შინა დამარხვად. რამეთუ დაღაცათუ ეშმაკი მოსწრაფე არს მიტაცებად, არამედ ჩუენდა მოცემულ არს ჳელმნიფებად განდევნად იგი შორს ჩუენგან. დაღაცათუ განჴმობად თქუა თესლისად მის, გარნა არა სიცხისაგან იქმნების განჴმობად იგი; რამეთუ არა თქუა, თუ: სიცხისაგან განჴმა, არამედ: „ძირნი არა დაებნესო“. დაღაცათუ შეაშთობენ ეკალნი, არა ეკალთად მათ არს ბრალი, არამედ რომელმან-იგი შეუნდო ეკალთა აღმო-



ცნებად, რამეთუ ჴელ-ენიფებოდა დაყენებად ბოროტისა მის მცენარისად. ამისთჳს არა თქუა, თუ: სოფელმან ავნო, არამედ: „ზრუნვამანო ამის სოფლისამან“. არცა სიმდიდრე თქუა, არამედ: „საცთურმანო სიმდიდრისამან“. ამისთჳს ნუ საქმეთა ვაბრალებთ, არამედ გონებასა ბოროტსა, რამეთუ ეგების სიმდიდრე და არა საცთურად მიცემა თავისად, და იქმნების სოფელსა შინა ყოფად და არაშეშობად ზრუნვათაგან. კეთილად უკუე თქუა, თუ: „საცთური სიმდიდრისად“, რამეთუ ყოველივე საქმე სიმდიდრისად საცთურ არს, გინა თუ დიდებად სთქუა, გინა თუ შუენიერებად, ანუ თუ გულის-თქუმადა და გემოთმოყუარებადა; ყოველივე ესე საცთური არს და უცნებად.

ხოლო წარმოთქუნა რად სახენი იგი წარწყმედისანი, მერმელა თქუა ქუეყანისა მისთჳს კეთილისა, რადთა მისცეს ყოველთავე სასოებად სინა-ნულისად, და არავინ სასონარკუეთილ იქმნას, არამედ ცნან, ვითარმედ შესაძლებელ არს უნაყოფოდა და ეკლოვანისა ქუეყანისა ნაყოფიერ-ყოფად, უკუეთუ ენებოს.

ხოლო ვინათგან ქუეყანად კეთილ იყო და ერთი იყო მთესვარი და თესლი იგი ერთ, რად რომელმანმე ასი ყო ნაყოფი და რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოცდაათი? რამეთუ აქაცა არა მუშაკი იგი იყო მიზეზ საქმისა მის, არცა თესლი, არამედ ნებად იგი შემწყნარებელთა მათ სულთად, რომელნიცა ქუეყანად გამოსახნა. და აქაცა დიდად ჩანს კაცთმოყუარებად ღმრთისად, რამეთუ არა ერთსა სახესა ეძიებს ჩუენგან სათნოებისასა, არამედ პირველნიცა სათნო-უჩანან და მეორეთა შეინყნარებს და მესამეთა არა გარემიაქცევს. ხოლო რადსათჳს სხუანიცა ვნებანი არა ავსენნა: გულისთქუმადა ჴორცთად და ზუაობად და მრისხანებად და მსგავსნი მათნი?

ესე ამისთჳს, რამეთუ ავსენა რად ზრუნვად ამის სოფლისად და საცთური სიმდიდრისად, ყოველნივე ვნებანი გამოსახნა, რამეთუ ამათგან იშვებიან ყოველნი: გულისთქუმადა და გემოთმოყუარებადა და ზუაობად და შური; და სხუანი ყოველნივე ვნებანი ზრუნვათაგან სოფლისათა და საცთურისა მისისაგან მოვლენ. და შესძინა გზადცა და კლდე, რადთა გვჩუენოს, ვითარმედ არა კმა არს დატევებად ხოლო საფასეთად, არამედ სხუათაცა სათნოებათა მოგებად, რადთა სიმწნეცა სულისად გუაქუნდეს და მოსწრაფებად და სხუანი იგი სათნოებანი. რამეთუ არა კმა არს ჩუენდა ერთი ხოლო საქმე, არამედ პირველად ჯერ-არს სმენად სიტყუათა ღმრთისათად გულსმოდგინებით და დამარხვად მათი გულთა შინა საწსენებელად საუკუნოდ, მერმე ახოვნებად გკლირს ქმნად სიტყუათა მათ, მერმე უგულუბელს-ყოფად საფასეთად და განშორებად საცთურთაგან სოფლისათა.

ამისთჳს, ძმანო, ნესიერად შევიკრძალოთ განწყობილება ესე სათნოებათად, რამეთუ უკუეთუ რომელთამე ვიქმოდით და რომელთამე უდებ-ვჳყოფდეთ, რად სარგებელ გუეყოს, გინა თუ სიმდიდრითა წარვწყმდეთ, გინა თუ დაწსნილობითა, გინა თუ გულისთქუმითა? რამეთუ მუშაკმან გი-

ნა თუ ესრეთ წარწყმიდოს თესლი თვისი, გინა თუ ეგრეთ, სწორად მწუხარე არნ. ამისთვის ყოველნივე ვნებათა ეკალნი დავწუნეთ, რადთა არცა ერთი ნივთი წარწყმედისად იყოს ჩუენ თანა, ხოლო უფროსად, რომელნი-იგი მიზენი და მშობელნი არიან სხუათა ვნებათანი: სიმდიდრისმოყუარებად, დიდებისმოყუარებად და გემოთმოყუარებად. რამეთუ ესენი თითოეულიცა შემძლებელ არს ნავსა მას სულთა ჩუენთასა დანთქმად. ხოლო უკუეთუ ერთად შეკრბენ სამნივე და მოვიდენ მათ თანა ნაშობნიცა მათნი, გულის-წმა-ყავთ, თუ რაბამი ღელვად აღადგინონ ჩუენ ზედა.

ამისთვისცა უფალმან შუებისა და სიმდიდრისა საცთურთა ეკლად სა-ხელ-სდვა. და ნუ გიკვრს ესე, კაცო, თუ შუებასა რადსათვს ეკალ ეწოდებ-ბის, რამეთუ შენ უმეცარ ხარ და მთრვალი ეგე ვნებისა მისგან, ხოლო რომელნი მრთელ არიან გონებითა, იციან მათ, ვითარმედ შუებად და ზრუნვად უფროს ყოვლისა ეკლისა შემაშთობელ არიან სულისა და ჳორცთაცა მავ-ნებელ. ვითარცა-იგი ეკალი ყოველთავე ასოთა, რომელთაცა მიეახლოს, მოსწყლავს, ეგრეთვე შუებად სულსა თანა ჳორციელთაცა ასოთა ყოველ-თავე ავნებს.

აღმოიკითხენლა წიგნნი სამკურნალონი და ჰპოო, ვითარმედ ყოველ-ნივე სენნი შუებისაგან იშვებიან და ნაყროვნებისა. ამის გამო სიბერე მო-ინევის უჟამოდ სენთაგან, და საცნობელნი მოუძღურდებიან, და გონებად დაბნელდების, და გუამი დაიწსნების, და ყოველივე ბოროტი გუამსა მას შინა განმრავლდების.

ან უკუე, კაცო, რადსათვს ესრეთ ხარკებით ასუქებ ჳორცთა შენთა, არა თუ დაკლვად განმზადებულ ხარ და ტაბლასა დასაგებელად? მფრინ-ველთა და ოთხფერწთა სამართლად ასუქებენ კაცნი დასაკლავად, და უფ-როსლა იგინიცა ფრიად განსუქებულნი მავნებელ არიან გუამისა, ხოლო შენ, კაცო, რომლისა-მე მიზენისათვს დაუცადებელად ასუქებ ჳორცთა შენთა? არა უწყია, ვითარმედ არარად არს უფროს შუებისა მავნებელ სუ-ლისაცა და ჳორცთა, რომლისაგან იშვებიან ბილწებანი მრავალსახენი? რამეთუ სადათ მოვლენ საქმენი იგი უჯეროებისანი? გარნა შუებისაგან და მთრვალობისა უნესოდა.

ღვინსმოფარდულნი უმეტეს ზომისა არა აღავსებენ თხიერთა, რადთა არა განხეთქილება შეხუდეს, ხოლო შუებისა და მთრვალობისა მოყუარე-ნი ვერცა თუ ესოდენ ჰრიდებენ უბადრუკთა მათ მუცელთა მათთა, არა-მედ აღავსენ რად ჭამადითა თითოფერითა და თითოსახითა, მერმე იწყე-ბენ შთასხმად ღვინისა ვიდრე ყელადმდე, ვიდრე საყნოსელთა და ყურთამ-დე, ვიდრემდის სრულიად შეაინრიან განმგებელი ცხოელისა მის – სული. არა თუ ამისთვის მოცემულ არს შენდა ჳორწი, მ კაცო, რადთამცა მუნამდე აღავსე მუცელი შენი ღვინითა, არამედ ამისთვის მოცემულ არს, რადთა უგა-ლობდე ღმერთსა და შესწირვიდე ლოცვათა და აღმოიკითხვიდე წმიდათა წერილთა და მოყუასთა შენთა უმჯობესსა განაზრახვიდე.

ხოლო შენ იგი წესნი, რომელნი ბრძანებულ არიან შენდა, სრულიად დაგვიწყებინ და ყოვლადვე მსახურებასა მას არა შეექცევი, არამედ სრულიად დამონებულ ხარ ბოროტისა ამის მძლავრისადა. ვითარცა ვის არწმუნებინ ათხალი ოქროსადა, და მან გალობისა წილ ჳმატკიბილისა დაჰფლის იგი სკორესა შინა, ეგრეთვე შენ იქმ, შუებისა და მთრვალობისა მოყუარეო; ხოლო სკორედ არა საზრდელსა სახელ-ვსდევ, არამედ საშუებელსა და მის მიერ მომავალსა ბილწებისა გულისთქუმასა, რამეთუ ზომისა უმეტესი არღარა საზრდელ ინოდების, არამედ სავნებელ, რომელი ყოველსავე გუამსა ავნებს. ამისთვის ფრიადსა მას მძლავრებასა რაჟამს ვერ დაუთმის მუცელმან, მრავალი ბოროტი აღადგინის ჩუენ ზედა: ფერჳნი დაჳსნილყვნის, ჳელნი შელრიკნის, მრავალგზის პირიცა და თუალნი განამრუდნის და ცნობასაცა ავნებს. ხოლო ესე განგებულებით იქმნების, რაჟთა ნეფსით თუ არა ერიდო უწესოებასა, შიშითა ესოდენისა ამის ვნებისაჟთა განეკრძალო, რაჟთა არა ჳორცნიცა სულსა თანა წარსწყმიდნე.

ან უკუე, მორწმუნენო, ვიჯმნათ უზომოდასა შუებისაგან, ვიზრუნოთ წესიერებისათვის, რაჟთა ჳორციელიცა სიმრთელე მოვიგოთ და სულნი ჩუენნი ვიჳსნნეთ ნაწილისა მისგან მდიდრისა მის, რომელი დაისაჯა ცეცხლსა შინა საუკუნესა.

უფროდსლა ვილუანოთ, ძმანო, ლაზარეს თანა გლახაკისა წიაღთა მათ აბრაჳამისთა მისლვად და საუკუნეთა მათ კეთილთა მკკდრ-ყოფად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისადა არს დიდებაჟ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

## თავი მე

სიტყუაჲ ესე: „და მოუჯდეს მონაფენი და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს იგავით ეტყჳ მათ? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: რამეთუ თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ცათაჲსაჲ, ხოლო მათდა არა მიცემულ არს“ (13,10-11).

ღირს არს საკურველებისა საქმე იგი მონაფეთაჲ, ვითარ სურვიელ ღათუ იყვნეს სწავლად ყოველთა მათ იგავთა, არამედ უწყოდესვე, თუ ოდეს ჯერ-იყო კითხვაჲ; რამეთუ არა ყოვლადვე იქმან ამას. და ოდეს იქმოდინ, – მონინებით და კრძალულებით, ვითარცა იტყჳს მარკოზ, ვითარმედ: „ოდეს იყო თჳსაგან, მაშინ ჰკითხეს მონაფეთა“.<sup>1</sup> ესრეთ განკრძალულნი იყვნეს და გონიერებითა სავსენი.

ხოლო იხილეთ გონებაჲ მათი, ვითარ ზრუნვენ ერისა მისთჳს, ვითარცა-იგი სხუასაცა ადგილსა ეტყოდეს, ვითარმედ: „განუტევე ერთი ესე, რამეთუ შეემშია მათ“;<sup>2</sup> და ან აქა ეტყოდეს: „რაჲსათჳს იგავით ეტყჳ მათ?“ არა თქუეს, თუ: რაჲსათჳს იგავით გუეტყჳ ჩუენ? არამედ ერისა მისთჳს ზრუნვენ. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: „თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ცათაჲსაჲ, ხოლო მათა არა მიცემულ არს“. ესე რაჲ თქუა, არა თუ ამას მოასწავებს, თუ იძულებით რაჲმე არს საქმე იგი, ანუ განწესებულ და განთჳსებულ არს მათთჳს ოდენ, არამედ გამოაჩინებს, ვითარმედ იგინი არიან მიზეზ ყოველთა ბოროტთა, რომელთა არა ინებეს შეწყნარებაჲ საიდუმლოთაჲ მათ, რამეთუ საქმე იგი ნიჭი არს უსასყიდლოჲ. ხოლო არა თუ ვინაჲთგან ნიჭი არს, ამისთჳსმცა თჳთმფლობელობისა წესსა დაჰჳსნიდა, არამედ რომელთა ენებოს, მიეცემის, და რომელთა არა ენებოს, არა მიეცემის. ამისთჳსცა, რაჲთა არცა იგინი სასონარკუეთილ იქმნენ, არცა ესენი უდებ იქმნენ, შემდგომითა მით სიტყჳთა გამოაჩინა, ვითარმედ ჩუენგან არს დასაბამი გინა თუ მიცემისაჲ, გინა თუ არამიცემისაჲ, რამეთუ იტყჳს:

სახარებაჲ: „რომელსა აქუნდეს, მიეცეს; და რომელსა არა აქუნდეს, რომელღა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს მას“ (13,12).

თარგმანი: დიდ არს სასჯელი ესე სიმართლისაჲ, რამეთუ ესრეთ იტყჳს: რომელსა აქუნდეს გულსმოდგინებაჲ და მოსწრაფებაჲ, მიეცეს მას ღმრთისაგანცა ყოველივე კეთილი, ხოლო რომელი გულსმოდგინებისაგან და მოსწრაფებისა ცარიელ იყოს და არარას კეთილსა აჩუენებდეს თავისა თჳსისა მიერ, მას არცა ღმრთისაგან რაჲ მიეცემის, არამედ „რომელღა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს მას“. არა თუ ღმერთი მოუღებს,

<sup>1</sup> მარკ. 4,10.

<sup>2</sup> შდრ. ლუკ. 9,12.

არამედ სიგრილისა მისისათჳს და გულფიცხელობისა არარას მისცემს, და მერმე იგი თავით თჳსით ყოველსავე წარსწყმედს. ეგრეთვე ჩუენ ვყვით კაცთა: უკუეთუ ვის ვასწავლიდეთ კეთილსა და იგი არა ისმენდეს, ოდეს ფრიად ვევედრნით და მოუდრეკელად ვპოით, დაუტევით იგი; ხოლო რომელი გულსმოდგინებით ისმენს, მოსწრაფებით ვასწავლიდით მას.

კეთილად უკუე თქუა: „რომელა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუსო“; ესე იგი არს, ვითარმედ ყოვლადვე არარად აქუს, არამედ ჰგონიეს, თუ აქუს რად-მე. და მერმე უმეტესად გამოაცხადა სიტყუად იგი თჳსი, რადთა საცნაურ-ყოს, თუ რად არს: „რომელსა აქუნდეს, მიეცეს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს, რომელა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს მას“, რამეთუ იტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ამისთჳს იგავით ვეტყვ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, და ესმის და არა ესმის, არცა გულისწმა-ყვიან. და აღესრულების მათ ზედა წინაღსწარმეტყუელებად იგი ესაია წინაღსწარმეტყუელისა: სმენით გესმოდის და არა გულისწმა-ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ. რამეთუ განზრქა გული ერისაჲ მის, და ყურითა მიძიმედ ისმინეს, და თუალნი მათნი დაიწუნეს, ნუუკუე იხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ და გულითა გულისწმა-ყონ და მოიქცენ, და განვეკურნენ იგინი“ (13,13-15).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: უკუეთუ არა ხედვიდეს, აღხილვა ჯერ-იყო თუალთა მათთაჲ. ჰე, უკუეთუმცა ბუნებისაჲ იყო სიბრმე, ჯერ-იყო აღხილვაჲ; ხოლო ვინაჲთგან ნეფსითი იყო დაწუნხვაჲ თუალთაჲ, ამისთჳს არა თქუა, თუ: არა ხედვენ, არამედ: „ხედვენ და არა ხედვენო“. რამეთუ მათისა უკეთურებისაგან იყო სიბრმე იგი.

ხედვიდეს განსხმასა ეშმაკთასა და იტყოდეს: „ბერზებულითა, მთავრითა ეშმაკთაჲთა, განასხამსო ეშმაკთა“.<sup>1</sup> ესმოდა, ვითარ ღმერთსა შეანყნარებდა მათ და დიდი იგი აქუნდა მისა მიმართ ერთობაჲ, და იტყოდეს: „ესე არა ღმრთისაგან არსო“.<sup>2</sup> ვინაჲთგან უკუე კეთილსა ხედვიდეს და ესმოდა, და იგინი ბოროტსა იტყოდეს, ამისთჳს იტყვს, ვითარმედ: ხილვაჲცა იგი და სმენაჲ მიეღოს, რამეთუ არარას ერგების, არამედ უფროჲსად დასასჯელ არს მათა. რამეთუ არა ხოლო თუ ურწმუნო იყვნეს, არამედ წინააღუდგებოდესცა და შეასმენდეს და მოკლვად განიზრახვიდეს.

რამეთუ თავადი პირველითგან არა ესრეთ ეტყოდა მათ, არამედ ფრიადითა განმარტებითა იყო სიტყუად მისი, ხოლო ვინაჲთგან იგინი დრკუ იყვნეს და გულარძნილ, ამისთჳს იგავით იწყო სიტყუად. ხოლო რადთა ვერ თქუან, თუ ცუდად აბრალობს მათ, ამისთჳს წინაღსწარმეტყუელი ესაია მოიყვანა დამამტკიცებელად ამის სიტყვსა და თქუა, ვითარმედ: „აღესრულების მათ ზედა წინაღსწარმეტყუელებად ესაიაჲსი: სმენით გესმოდის და არა გულისწმა-ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ“, და შემდგომი ამისი.

<sup>1</sup> ლუკ. 11,15; მდრ. მათ. 12,24.

<sup>2</sup> მდრ. იოან. 9,16.

ხოლო იხილე წინადასწარმეტყველი იგი, ვითარ გამოწულილვით შეას-  
მენს მათ. რამეთუ არცა მან თქუა, თუ: არა ხედვიდეთ ანუ არა გესმეს,  
არამედ: „სმენით გესმოდის და არა გულისწმა-ჰყოთო, ხედვით ხედვიდეთ  
და არა იხილოთ“.<sup>1</sup>

საცნაურ არს უკუე, ვითარმედ მათ თავთა თვსთა ავნეს და არა სხუა-  
მან ვინ ავნო, რამეთუ ესმა რად, ყურნი დაიყვნეს, და იხილეს რად, თუაღნი  
დაინუხნეს, გული განიზრქეს; ამისთვისცა წარწყმდეს.

ხოლო იტყვს, ვითარმედ: ამისთვის ყვესო ესე, რადთა არა მოიქცენ, და  
განგკურნნე იგინი; და ამით სიტყუათა მიერ გარდამატებულსა მას და დამ-  
ტკიცებულსა უკეთურებასა მათსა მოასწავებს და სრულიადსა განდრეკი-  
ლებასა; არამედ მოუწოდსვე მოქცევადა და უჩუენებს, ვითარმედ უკუეთუ  
მოიქცენ, განგკურნებს მათ: „ნუუკუე მოიქცენო, და განგკურნნე იგინი“.  
გამოაჩინებს, ვითარმედ ძალ-უც მოქცევადა, უკუეთუ ინებონ, და სინანუ-  
ლისა მიერ ცხორებადა, რამეთუ ღმერთსა არა ჰნებავს სიკუდილი ცოდვი-  
ლისადა, არამედ ყოველთავე ცხორებადა.

ხოლო რადთა სცნა, ვითარმედ საქმე იგი მათისა სიბრმისადა არა ბუნე-  
ბითი იყო, არცა იძულებითი, ისმინე, რასა ეტყვს მონაფეთა მათ თვსთა და  
მოციქულთა:

**ს ა ხ რ ე ბ ა დ :** „ხოლო თუაღნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედ-  
ვენ, და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის“ (13,16).

თ ა რ გ მ ა ნ ი : არა ჯორციელთა მათთვის იტყვს თუაღთა და სასმენელთა,  
არამედ გონებისათა. ან უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ესენიცა ჰურიათა ნა-  
თესავისაგან იყვნეს და მათ თანავე აღზრდილ, გარნა არარად ევნო მათ სიტ-  
ყუათაგან წინადასწარმეტყველისათა, რამეთუ არცა ყურითა მძიმედ ისმინეს,  
არცა თუაღნი დაინუხნეს, არამედ ძირი იგი კეთილთადა აქუნდა, რომელ არს  
გულსმოდგინებადა და გონებადა კეთილი და ნებადა უმჯობესისადა მჭურვალე.

ხედავა, რამეთუ სიტყუადა იგი, თუ: „თქუენდა მოცემულ არს ცნობადა  
საიდუმლოდა“, არა თუ იძულებასა რასმე მოასწავებდა ანუ განთვსებასა,  
არამედ ნეფსითსა მას და გულსმოდგინედ შეწყნარებასა მათსა. რამეთუ  
უკუეთუმცა არა მათისა მის კეთილისა გონებისა იყო გულსმოდგინებით  
შეწყნარებადა იგი, არამცა სანატრელ ქმნილ იყვნეს; არამედ არცა თუაღნი  
დაინუხნეს, არცა ყურნი დაიმძიმნეს სმენადა, ამისთვის ღირს იქმნეს ნეტა-  
რებისა, ვითარცა ეტყვს კუალადა:

**ს ა ხ რ ე ბ ა დ :** „ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინადასწარმეტ-  
ყუელთა და მართალთა გული ეტყოდა ხილვად, რომელსა ხედავთ, და არა  
იხილეს, და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა“ (13,17).

---

<sup>1</sup> ესაია 6,9.

თარგმანი: ქეშმარიტად სუროდა წინადასწარმეტყუელთა მათ და მამათმთავართა ხილვად მოსლვად უფლისად და სასწაულნი მისნი და სმენად ტკბილისა მის ჳმისა მისისა და საღმრთოთა მათ მოძღურებათა მისთა, არამედ მოციქულნი უმეტეს სანატრელ იქმნეს, რამეთუ მათ სარწმუნოებითა ხოლო იხილეს და ესმა, ხოლო ამათ ჳორციელითა თუალითა იხილეს და ჳელითმსახურებად ღირს იქმნეს სიკეთისა მისთჳს გონებათა მათთადასა.

ჰხედავა, ვითარ კუალადცა შეაერთებს ძუელსა მას ახალსა თანა და გამოაჩინებს, ვითარმედ არა ხოლო თუ მეცნიერ იყვნეს წინადასწარმეტყუელნი ყოფადთა მათ, არამედ ფრიადცა სუროდა ხილვად. ხოლო ვინაფთგან ესრეთ ყოვლით კერძო ნეტარებისა ღირს-ყვნა მოციქულნი, მერმე ჰრქუა მათ: „ხოლო თქუენ ისმინეთ იგავი ესე მთესვარისადა“;<sup>1</sup> და განუმარტებს ყოველსა მას ზემოთქუმულსა: მოსწრაფებისათჳს და დაჳსნილობისა, საჳმართმოყუარებისათჳს და უპოვრებისა, მოშიშებისათჳს და სიმჳნისა.

და მერმე უჩუენნა სათნოებისა იგი თითოსახენი საზომნი, რამეთუ კაცთმოყუარებისა თჳსისათჳს არა ერთი გზად გვჩუენა სათნოებისადა, არცა თქუა: უკუეთუ ასეული ნაყოფი არა გამოიღოთ, არა შეგინყნარებ, არამედ იტყჳს, ვითარმედ: სამეოცისადა მომღებელი და ოცდაათისადაცა შეწყნარებულ არს; რადთა გულისჳმა-ვყოთ, ვითარ ადვილ-ყო გზად ცხორებისადა.

## სწავლად მმ

### ვითარმედ ქველისსაქმე და ჭირვეულთა წყალობად ქრისტესა მიინევის

და შენცა, მორწმუნეო, ნუ სრულიად უნაყოფო იქმნები, არამედ უკუეთუ ვერ ძალ-გიც ქალწულებად, იქორწინე სინმიდით; უკუეთუ ვერ იქმნები სრულიად უპოვარ, ნუ უდებ იქმნები ქველისსაქმისა მიცემად; უკუეთუ ვერ დაუტევებ ყოველსავე მონაგებსა შენსა ქრისტესთჳს, მიეც მას ზოგი საფასეთა შენთადა, ქმენ იგი თანამონაწილედ შენდა, რომელმან არა უღირს-იჩინა ნოდებად შენდა მკვდრად სასუფეველისა. რაოდენიცა მას მისცე, თავსა შენსა მისცემ; მას არარად მიელო შენგან და თანამონაწილედ გყო შენ დიდებისა მის უოხჳნოდას, და ან შენ მცირედი მრავლისა მის წილ არა მისცეა?

მან ზეცისა მკვდრად გამოგაჩინა, და ან შენ არცა თუ ქუეყანისადა მისცეა? მტერი იყავ და დაგაგო თავსა თჳსსა, და შენ მეგობრობისადა ნაცვალნი არა მიაგო? და თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა ესე მეზრ, რომელ თავსიდებს მეუფე შენგან მიღებად ქველისსაქმისა, არა დიდად ქველისმოქმედებად შეგირაცხიესა? რავდენ სანადელ არს მონისა, უკუეთუ ღირს იქმნას უფლისა თჳსისა ნოდებად სერობასა.

<sup>1</sup> მათ. 13,18.

ხოლო ან მეუფემან პირველად უნოდა მონათა თვსსა ტაბლასა, და ან შემდგომად ნოდებისაცა არა გნებავს ხდად მისა?

მან უცხოე ეგე და განვრდომილი სართულსა თვსსა შეგიყვანა და სი-შიშულე შენი შემოსა, და ან შენ არა შეინყნაროა მეუფე შენი? გასუა მან სასუმელი თვსი, და ან შენ გრილი წყალიცა არა მიუპყრაა? მან სულითა წმიდითა აღგავსო ღირსი ეგე ტანჯვისაჲ, და ან შენ, იხილო რაჲ იგი წყურთელი, უგულუბელს-ჰყოა? და ეგრეთცა, რაჲ-იგი მისცე მას, არა თუ შენსა მისცემ, არამედ მისსავე; ესე მეზრ არა დიდად გიჩნსა და სანადელად, რომელ ჴელითა შენითა ღირს იქმნები პურისა მიცემად და წყლისა შესუმად მეუფისა შენისა? რამეთუ ამით სახითა უპატიოსნეს ყოველთა მღდელთასა იქმნები, რომელთა ბარძიმი ჴელთა უპყრიეს, რამეთუ იგინი მორწმუნეთა აზიარებენ, ხოლო შენ მეუფესა ასუამ.

გულისჴმა-ყავ, თუ ვისა ასუამ, და შეძრუნდი; მან შეგმოსა შენ სამოსელი ცხორებისაჲ ჴელითა თვსითა, შენცა ნუ უდებ იქმნები შემოსად მისა, შიშუელი რაჲ იხილო, და განტფობად, იხილო რაჲ განცივებული, რომელმან-იგი ანგელოზთა თანამოდასე გყო შენ. იხილე იგი და ნუგეშინის-ეც საპყრობილესა შინა, რომელმან გივსნა საპყრობილეთაგან ჯოჯოხეთისათა. უძღურებასა შინა თუ იყოს, მივედ მისა გულსმოდგინებით, რომელმან-იგი მძღავრებისაგან სიკუდილისა გივსნა შენ.

ან უკუე, ოდეს მის მიერ მოცემულნი ესრეთ დიდ არიან და უაღრეს ცნობათა, და ჩუენგან სათხოელი მისი ესრეთ მცირე არს და უნდო, უკუეთუ ესეცა უნდოჲ არა ვაჩუენოთ, ვითარ ვპოოთ წყალობაჲ?

ეჴა უგუნურებაჲ ფრიადი! ესოდენი მოგუეცა და ესოდენსა კუალად მოველით მოღებად, და ჩუენ საფასისა მიცემად გუშურს, რომლისაგან შემდგომად მცირედისა უნებლიეთ განშორებად ვართ. სხუათა სულნიცა თვსნი მისცნეს და სისხლნი დასთხინეს, და შენ ნამეტნავსაცა საჴმართა შენთასა არა მისცემა? ვითარ უკუე ჰპოო შენდობაჲ?

ან უკუე, ძმანო ჩემნო, გულისჴმა-ვყოთ, რავდენი კეთილი მოგუეცა ღმრთისა მიერ და რავდენსა მოველით მოღებად, და განვაგდოთ ჩუენგან სიყუარული წარმავალთაჲ ამათ საქმეთაჲ; ვიქმნეთ მონყალე და შემწყნარებელ გლახაკთა, რაჲთა არა სასჯელისა დიდისა თანამდებ ვიქმნეთ, რამეთუ ყოველივე, რომელი გლახაკთა ვაჩუენოთ, ქრისტესა ვაჩუენებთ, ვითარცა თავადმან ბრძანა.

ან უკუე შევიმოსოთ თუ მონყალებაჲ და სახიერებაჲ, ვითარცა სამოსელი ნათლისაჲ, განვანათლნეთ სულნი ჩუენნი და აქაცა კეთილად ვცხონდებოდით და მერმესა მას საუკუნესა მიუთხრობელნი იგი კეთილნი დავიმკვდრნეთ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.



სახელითა ყოვლადწმიდისა სამებისადთა და მუხებითა წმიდისა ღმრთის-  
მშობლისადთა და ყოველთა წმიდათადათა დაინერა მეორე ესე წიგნი ჳელითა  
ჩუენ ქოღვილოთავუ, არსენი, იოვანე და ოქროპირისადთა, განმანათლოებელისა  
მამისა ეფთჳმეს ნამუშაჳევათ. ესე საშოალ წიგნი არს. ვინმეა იკითხვიდეთ და  
ირგებდეთ, ლოყვა-ყავთ წმიდათა მამათა ჩუენთათჳს, იოვანესა და ეფთჳმე-  
სა: დიდი შრომამ თავს-ყურ ამათისა თარგმანებისათჳს. და ვინ გულისჳმა-ყოს  
კეთილად ძალი ამათ წმიდათა წიგნთად, უმეტეს ულოყვიდეს, და მიჰმადლენ  
უფალმან ღმერთმან სასყიდელი საყყუნომ, ამენ.

და ჩუენ ურბად მწერაღთა და სერაპიონ მმოსელისათჳს ლოყვა-ყავთ,  
წმიდანო ღმრთისანო, და რომელი დაგჳკლია, შენდობა-ყავთ, ღმრთისათჳს.

ხოლო დაინერა მათსა წმიდასა ათონას, მონასტერსა წმიდათა მამათა  
იოვანეს და ეფთჳმესა, საყოფელისა წმიდისა ღმრთისმშობელისასა. ქრონიკო-  
ნი იყო სჳჳ.

სიტყუაჲ ესე: „სხუად იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თვისსა. და ვითარცა დაიძინეს კაცთა, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა. ოდეს აღმოსცენდა ჯეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა აგარაკსა შენსა? ვინაჲ აღმოსცენდა ღუარძლი? ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ყო იგი. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი? ხოლო მან ჰრქუა: ნუუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფხურათ მის თანა იფქლიცა. აცადეთ იგი თანაალორძინებად ურთიერთას ვიდრე ჟამამდე მკისა“ (13,24-30).

რაჲ განყოფილებაჲ აქუს ამას იგავსა პირველისა მისგან? მას შინა მათ მოასწავებს, რომელთა ყოვლადვე არა ისმინეს მისი, არამედ შორს განდეს და განმცემელ თესლისა მის იქმნეს, ხოლო აქა კრებულსა მას გუაუწყებს მწვალებელთასა, რაჲთა ამასცა არა უმეცარ იყვნენ მონაფენი. რამეთუ ესეცა ღონეთაგან არს ეშმაკისათა, რაჲთა ჭეშმარიტებასა თანა შეურთოს საცთურიცა, რაჲთა მსგავსობითა მით აცთუნნეს გონებაცთომილნი. ამისთვის არა იტყვს სხუასა რასმე თესლსა, არამედ ღუარძლსა, რომელი-იგი მიემსგავსების იფქლსა მცირედითა რაჲთმე ხილვითა.

„და ვითარცა დაიძინეს კაცთა, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი“. ამით სიტყვთა დიდსა შიშსა დასდებს მღვდელთა ზედა და მთავართა, რომელნი დადგინებულ არიან მცველად საღმრთოვსა მის სიტყვსა, რამეთუ შეუნდგეს თესვად ღუარძლისა, და აჩუენებს, ვითარმედ შემდგომად ჭეშმარიტებისა მოვალს საცთური. ამისთვის შემდგომად წინადასწარმეტყუელთა მოვიდეს ცრუნინადასწარმეტყუელნი, და შემდგომად მოციქულთა – ცრუმოციქულნი, და შემდგომად ქრისტეს განკაცებისა მომავალ არს ანტე. რამეთუ უკუეთუ არა იხილოს ეშმაკმან პირველად კეთილი, არა განენწყვების ბრძოლად. ვინაჲთგან იხილა ქრისტეს განკაცებითა ქმნილნი ესე კეთილნი, შემოიყვანნა მბრძოლნი: მეფენი მეკერპენი, მოძღუარნი მწვალებელთანი, ცრუნინადასწარმეტყუელნი და ცრუმოციქულნი და კუალად ჰმზადებს მოყვანებად ანტესსა. ამისთვის, აქაცა იხილა რაჲ მტერმან, რამეთუ გამოიღეს ნაყოფი, „რომელმანმე ასი და რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოცდაათი“,<sup>1</sup> სხუად გზაჲ მოიპოა საცთურისა თვისსაჲ. ვინაჲთგან წარტაცებად ვერ უძლო თესლისა მის, ვერცა შეშობად, ვერცა დაწუვად, მაშინ თესლი თვისსა ღუარძლისაჲ დასთესა შორის მის თესლისა, რამეთუ ეძინა კაცთა

<sup>1</sup> მათ. 13,23; შდრ. მათ. 13,8; მარკ. 4,8,20.

მათ. ამას იტყვს უფალი, რადთა მღვდარე ვიყვნეთ ჩუენ მარადის, რამეთუ მტერი ჩუენი ყოვლადვე მოსწრაფე არს ვნებად ჩუენდა.

თქუას ვინმე, თუ: ვითარ შესაძლებელ არს არადაძინება? ბუნებითი-სა ამის ძილისა არადაძინება შეუძლებელ არს, ხოლო გონებისად შესაძლებელ არს მარადის მღვდარებად. ხოლო თესვაჲ ესე ლუარძლისად, ოდეს აღესრულა ყოველივე საქმე ყანისად მის, მაშინდა იქმნა, რამეთუ ესრეთ არს საქმე მწვალებელთაჲ – არა თუ სარგებელისათჳს ვისამე, არამედ თჳსისა ამპარტავანებისათჳს სთესვენ ლუარძლსა მას, რომელი-იგი პირველ მცირედ ჩანნ და მერმე განჰფინის გესლი იგი თჳსისა სიბოროტისად, ვითარცა თქუა, ვითარმედ: „ოდეს აღმოსცენდა ჯეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ბოროტი იგი ლუარძლი“. და კუალად გულისსიტყუათა-ცა ბოროტთა ლუარძლ ენოდების, რომელსა დასთესავს ეშმაკი გულთა შინა კაცთასა ამისთჳს, რამეთუ ეძინა მცველთა მათ, რომელ არიან სულნი, რომელთა უჰმდა მღვდარებაჲ და კეთილისა მის თესლისა ცვაჲ, რომელი დასთესა უფალმან სულსა შინა კაცად-კაცადისასა მცნებათა თჳსთა მიერ. რამეთუ უკუეთუმცა არა მივეცი თავნი ჩუენნი ძილსა დაჰსნილობისა-სა და უდებ-ვყავთ კეთილისა მის თესლისა ცვაჲ, ვერცა პოა მთესვარმან მან ლუარძლისამან ჟამი და ადგილი დათესვად ჩუენ შორის ლუარძლი იგი ცეცხლად მიცემადი.

ხოლო ვინ არიან მონანი იგი, რომელნი ეტყუან უფალსა ლუარძლისა მის აღმოფხურად? – ძალთა მათ ანგელოზთასა გამოსახავს, რომელნი მარადის წადიერ არიან ნებასა მას მეუფისასა აღსრულებად; არამედ აყენებს მათ უფალი და ეტყუას: „ნუუკუე შეკრებასა ლუარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა“. ხოლო მტერად კაცად უნესს ეშმაკსა – ფრიადისა მის კაცთა მიმართ ბრძოლისა მისისა, რამეთუ ბრძოლად მისი ჩუენდა მომართ არს. ხოლო დაწყებაჲ ბრძოლისად არა ჩუენისა ხოლო, არამედ უფროსად ღმრთისა მიმართ მტერობისაგან იქმნა. ამისთჳს საცნაურ არს სიყუარული ღმრთისად კაცთა მომართ. ხოლო იხილე მონათა მათ მოლუანებაჲ, ვითარ მოსწრაფე არიან ლუარძლისა მის აღმოფხურად, რადთა თესლსა მას არა ევნოს; არამედ მეუფე არა შეუნდობს, ნუუკუე აღმოიფხურას იფქლიცა. ესე იგი არს, მო-თუ-სწყუედდეთ მწვალებელთა, წმიდანიცა ვინმე მოსწყედენ, და კუალად მათვე ლუარძლთაგან მრავალნი მოქცევიად არიან და იფქლ-ყოფად. ან უკუე მო-თუ-სწყუედნეთ პირველ მოქცევისა, საგნებელ იქმნას, ნუუკუე წარიტაცოს ცოდვილი, რომელსა ეგულებოდა სინანული. რამეთუ ესე პირველითგან ქმნა ღმერთმან: მრავალგზის მშობელნი იყვნინან ბოროტნი და ეგულებინ შვილისა კეთილისა შობად, არა მოსწყუედნის იგინი ღმერთმან, რამეთუ ყოფადსა მას მეცნიერ არნ, დაღაცათუ ანგელოზნი უმეცარ იყვნინან. არა შეუნდო აღმოფხურად ესავისა, რადთა არა დაეყენოს მისგან შობადი იგი იობ; არა აღმოფხურა მათე, მეზუერეობასა შინა რად იყო, არცა პავლე, სდევნიდა რად ეკლესიათა, რამეთუ იცოდა, რად ყოფად იყვნეს. ეგ-

რეთვე არცა მწვალებელთა გკბრძანებს მოწყუედად, რაათა არა ბრძოლად აღვადგინოთ სოფელსა შინა, არამედ სიტყვთა მართლმადიდებლობისადათა დაყოფად პირთა მათთა და დაწსნად კრებულებისა მათისა, ნუჟუე მოიქცენ ვიეთნიმე მათგანნი და იფქლ იქმნენ. ხოლო უკუეთუ სულგრძელებისა მისგან არად სარგებელ ეყოს, – იტყვს უფალი, – არცა ღუარძლობისა მისგან მოიქცენ, მაშინ **„უამსა მას მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაათა დაინუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯეთა ჩემთა“** (13,30).

რადასათვს შეკრებად-სცემს პირველად ღუარძლსა? რაათა არა იფქლი იგი შეშინდეს, ვითარმცა მათ თანაშეერთვოდეს. ამისთვის ბრძანებს პირველად განრჩევასა ღუარძლისასა და ცეცხლად მიცემასა, ხოლო იფქლისა მის საუნჯედ თვსად შეკრებასა.

**ს ა ხ რ ე ბ ა დ:** „სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათა მარცუალსა მდოგვსასა, რომელ მოილო კაცმან და დასთესა თვსსა მტილსა, რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდის, უფროს ყოველთა მხალთა არნ იგი, და იქმნის იგი ხე დიდ, ვითარმედ მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან რტოთა მისთა“ (13,31-32).

**თ ა რ გ მ ა ნ ი:** ვინაჲთგან თქუა, ვითარმედ თესლისა მისგან სამი ნაწილი წარწყმდა და ერთი ცხონდა, და ცხოვნებულსა მასცა შორის მტერმან ღუარძლი დასთესა, რაათა არავინ თქუას, თუ მცირედ სადმე და უნდო-ყოფად არს კრებული იგი მორწმუნეთაჲ, ამისთვის შემოილო იგავი ესე მდოგვსაჲ, რაათა იქვ იგი განაქარვოს და გულისწმა-უყოს, ვითარმედ დიდად აღორძინებად არს ქადაგებაჲ იგი სასუფეველისაჲ. რამეთუ ვითარცა მარცუალი იგი მდოგვსაჲ ფრიად მცირე არს, ხოლო აღიზარდის რაჲ, უფროს ყოველთა მხალთასა იქმნის, ეგრეთვე ქადაგებაჲ ესე სახარებისაჲ. დაღაცათუ მცირედ არიან რიცხვთა მონაფენი და შეურაცხ კაცთაგან, არამედ ძალითა ჩემითა ესოდენ აღორძნდეს ქადაგებაჲ მათი, ვიდრელა ყოველი სოფელი დაიპყრას, და აჩრდილსა მისსა ყოველნი კაცნი მიივლტოდინ.

**ს ა ხ რ ე ბ ა დ:** „მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელი მოილო დედაკაცმან და შერთო იგი ფქვილსა სამსა სანყაულსა, ვიდრემდე აღაფუენა იგი ყოვლად“ (13,33).

**თ ა რ გ მ ა ნ ი:** ესეცა იგავი პირველსა მასვე სახესა დაამტკიცებს: ვითარცა ცომი ყოველსა მას აღსუარულსა თვსისა მიმართ ძალისა შესცვალეზს, ეგრეთვე მოციქულთა ყოველი სოფელი შეცვალონ და მოიყვანონ სარწმუნოებად. ამისთვისცა სიბრძნით ბუნებითა საქმეთა მოიღებს იგავად, რაათა გამოაჩინოს, რამეთუ ვითარცა იგინი უეჭუელად აღესრულე-

ბიან, ეგრეთვე ესე უეჭუელად იქმნას. დაღაცათუ ათორმეტნი არიან მონაფენი, არამედ აღერინენ რად სოფელსა, არა ესენი სიმრავლისა მის წესსა მიემსგავსნენ, არამედ იგინი თქსსა წესსა და მოძღურებასა მოიყვანნენ; ვითარცა ცომი შეერთის რად აღსუარულსა მას, არა წარწყმიდის ძალი თქსი, არამედ მცირედმან მან ყოველივე აღაფუვნის, ეგრეთ იყოს ქადაგებად მოციქულთად. რამეთუ ვინაფთგან წყალობისა ჩუენისათჳს განწორციელდა უფალი ჩუენი და ბუნებად ჩუენი საშოფსაგან ქალწულისა ერთგუა-მებად თავისა თქსისა თანა შეაერთა და ორითა მით ბუნებითა იხილვა ქუეყანასა ზედა და კაცთა შორის იქცეოდა, შერთო თქსი იგი მადლი თბესა მას კაცთა ბუნებისასა და ყოვლითურთ განაახლა იგი. და მერმე განავლინნა ქადაგებად მოციქულნი კაცად-კაცადისა მიმართ, რადთა ყოველნივე შეიკრიბნეს თავისა თქსისა სახიერმან მან. რომელთა არა მსგავსად ჰურიათასა დაიყვნეს ყურნი სმენად და დაიჭუხნეს თუალნი ხილვად, ყოველნივე მოვიდეს სარწმუნოებასა და იქმნეს ასოებ ეკლესიისა, რომლისა თავი ქრისტე არს.

ხოლო სამი საწყაული რად თქუა, სიმრავლე მოასწავა, რამეთუ მრავალგან ჩუეულებად არს წერილისად ამის რიცხვსა სიმრავლისა ადგილსა თქუამად. ხოლო ესე ნუ გიკვრს, რომელ სასუფეველისათჳს იტყოდა და სახედ მდოგვ და ცომი მოილო, რამეთუ კაცთა მიმართ უმეცართა და უგულისწმითა იყო სიტყუად მისი, რომელნი ამათცა იგავთა ვერ გულისწმა-ჰყოფდეს, და ჯერ-იყო მათდა მიმართ კაცობრივთა სახეთა შემოღებად. სადა არიან წარმართთა სიბრძნისმეტყუელებანი? ისწაველდა ძალი ქრისტესი ჭეშმარიტებისაგან საქმეთაფსა და თაყუანის-ეცინ მას, რამეთუ რად-იგი თქუა, ყოველივე აღასრულა, და მან მისცა ცომსა მას ქადაგებისა-სა ძალი აღფუვნებად ყოვლისავე შესუარულისა.

### სწავლად მმ

#### ვითარმედ სათნოებად უაღრეს არს სასწაულთა, რამეთუ უმეტესად მისგან განბრწყინდეს წმიდანი

ხოლო უკუეთუ ათორმეტთა კაცთა ყოველივე სოფელი თქსისა მიმართ წესიერებისა და ღმრთისმსახურებისა შეცვალებს, გულისწმა-გყოთ, თუ რავდენ არს ჩუენი ესე უკეთურებად, რომელ ესოდენნი ესე ნეშტთა მათ ურწმუნოთა ვერ მოვაქცევთ. უკუეთუმცა იყო ჩუენ თანა შიში და სიყუარული ღმრთისად, ბევრეულთამცა სოფელთა კმა ვეყვებით, რადთა ვითარცა ცომმან აღაფუვნის აღსუარული იგი, ეგრეთმცა აღვაფუვნენით იგინი ღმრთისმსახურებად, ვითარცა ქმნეს მონაფეთა მათ უფლისათა. სთქუათ სადმე, ვითარმედ: იგინი მოციქულნი იყვნეს. და რად არს ესე? არა თუ ზეცით მოსრულ იყვნეს, არამედ იგინიცა კაცნი იყვნეს წორცი-

ელნი და არა ანგელოზთა ბუნებისანი. მათ შეიყუარეს ქრისტე და ყოველივე წარემართ ექმნა. ჩუენ უკუე რად გუაქუს დამაყენებელი შეყუარებად მისა? გარნა ბოროტნი ესე და უკეთურნი ნებანი ჩუენნი. მათ მადლი იგი სასწაულთად აქუნდაო. ვიდრემდის საფარველად ჩუენისა ამის დაჯსნილობისა გუაქუს მათთა მათ სასწაულთა საქმე? არა თუ სასწაულთა ყვენს იგინი საკვრველ, არამედ სათნოებამან. ხოლო თვნიერ სათნოებისა მრავალთა სასწაულნი ქმნეს და წარწყმდეს. და რომლისა საქმისაგან დიდ იქმნესო მოციქულნი? უკუეთუ ამას იკითხავთ, მე გითხრა: პირველად უარ-ყვეს ყოველი სოფელი და მოიძულნეს საფასენი და შეუდგეს ქრისტესა; მოიძაგეს დიდებად ამის სოფლისა; ყოველივე საქმე სოფლისა უგულვებელს-ყვეს და შეიყუარეს ქრისტე ყოვლითა გულითა მათითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გონებითა. ამათ საქმეთა მიერ განბრწყინდეს იგინი. ხოლო უკუეთუმცა ესე სათნოებანი არა აქუნდეს, არამედ იყვენესცა მონა ვნებათა, დაღაცათუმცა ბევრეულნი მკუდარნი აღადგინნეს, არა თუმცა ხოლო უსარგებლო იყო საქმე იგი, არამედ მაცთურადცამცა შეირაცხნეს.

ესრეთ უკუე სათნოებით მოქალაქობად არს ბრწყინვალე და იგი მოიყვანებს მადლსა ღმრთისასა კაცსა ზედა. გულისწამა-ყავთ, რამეთუ იოვანე, რომელი-იგი უმეტეს იყო შორის ნაშობთა დედათაჲსა, „სასწაული არცა ერთი ქმნა“,<sup>1</sup> ვითარცა წერილ არს მისთჳს, არამედ საკვრველ იყო ყოველთა მათ შორის ერთა; ელია ვინაჲ საკვრველ იქმნა? არა კადნიერად მხილებითაჲ მეფისაჲთა და შურითა საღმრთოთა და უპოარებითა და მათთა შინა და ქუაბთა მკვდრობითა, შემოსილი ხალენითა? და ამის ყოვლისა შემდგომად ქმნა სასწაულნი; კუალად, იობისი რომელი სასწაული იხილა ეშმაკმან და განკვრდა? სასწაული არცა ერთი, არამედ მოქალაქობად საღმრთოდ და მოთმინებაჲ ფრიადი; დავით რომელი სასწაული ქმნა სიჭაბუკესა თჳსსა, ოდეს თქუა უფალმან: „ვპოე დავით, ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი?“<sup>2</sup> აბრაჰამ და ისაკ და იაკობ რომელნი მკუდარნი აღადგინნეს, რომელი კეთროანი განწმინდეს? არა უწყითა, რამეთუ სასწაულნი, უკუეთუ არა ფრთხილ იყოს მოქმედი მათი, დიდად ავნებენ, ვითარცა მრავალთა შეემთხვა კორინთეს შინა და ჰრომეს? ამისთჳს სიმონ განვარდა, ამისთჳს, რომელმან-იგი ჰრქუა უფალსა: „მიგდევე შენ“,<sup>3</sup> არა შეწყნარებულ იქმნა, რამეთუ ცუდადმზუაობრობისათჳს და საჯმართმოყუარებისა ეძიებდეს იგინი სასწაულთა. ამისთჳს, უფალი მონაფეთა რად ასწავლიდა, არა ჰრქუა, თუ: ყვენით სასწაულნი, რადთა იხილონ კაცთა, არამედ: „ეგრეთ ბრწყინევიდინო ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ კეთილნი საქმენი თქუენნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“.<sup>4</sup> და პეტრეს არა ჰრქუა: უკუეთუ გიყუარ მე, იქმოდე სასწაულთა,

<sup>1</sup> იოან. 10,41.

<sup>2</sup> საქმე 13,22; შდრ. 1 მეფ. 16, 1,12.

<sup>3</sup> ლუკ. 9,57.

<sup>4</sup> მათ. 5,16.

არამედ: „მწყსიდიო ცხოვართა ჩემთა“.<sup>1</sup> და კუალად, რადსათს ყოვლად-ვე უფროს სხუათასა მას პატივ-სცემს და იაკობს და იოვანეს? სასწაულ-თათს-მე ესრეთ იქმოდაა? არამედ სხუანიცა მსგავსად მათავე იქმოდეს სასწაულთა, რამეთუ ყოველთა ზოგად მოსცა ჳელმწიფებად. ვინაჲ უკუე აქუნდა სამთა მათ უმეტესობად? საზომისაგან სათნოებისა სულიერისა. რამეთუ მხედველმან მან დაფარულთამან იცოდა, ვითარმედ მათი საზომი სათნოებისაჲ უმეტეს იყო.

ჰხედავა, რამეთუ ყოვლადვე სათნოებაჲ საწმარ არს ჩუენდა, და იგი არს განმაბრწყინვებელი ცხორებისა ჩუენისაჲ, და მისგან არს მიზეზიცა სასწაულთაჲ? რამეთუ რომელსა საქმენი კეთილნი აქუნდეს, მოიღებს ღმრთისაგან ამასცა მადლსა; და რომელმან მოიღოს მადლი ესე, ამის-თს მოიღებს, რადთა სხუათა ცხორებაჲ განჰმართოს. და უფალმან ჩუენ-მან იესუ ქრისტემან ამისთს აჩუენა სასწაულთა საქმე, რადთა ჰრწმენეს კაცთა მოძღურებაჲ მისი და მოვიდენ კეთილისა საქმედ. ამისთსცა არა კმა-ყო სასწაულთა საქმე ხოლო, არამედ სასუფეველიცა აღუთქუა კაც-თა და გეჰენისა შიში წინაუყო და საკვრველნი იგი სწავლანი წარმოთქუ-ნა; და ყოველივე ამისთს ქმნა, რადთა იწსნეს მორწმუნენი მისნი ცოდ-ვისაგან და ასწაოს სიმართლე და ყვნეს სწორ ანგელოზთა. ხოლო შენცა, კაცო, უკუეთუმცა ვინ გრქუა, თუ: რომელი უაღრეს გიჩნს: სახელითა ქრისტესითა აღდგინებაჲ მკუდართაჲ ანუ სახელისათს ქრისტესისა სიკუ-დილი, რომელიმცა გამოარჩიე ჭეშმარიტად? უკუეთუმცა უფალ გონებისა იყავ, სიკუდილი ქრისტესთს უაღრესადმცა და უმაღლესად სთქუ. საც-ნაურ არს უკუე, ვითარმედ უაღრეს არს სათნოებაჲ სასწაულთასა; რამე-თუ ესეცა სათნოება არს და სათნოება სრულ – ქრისტესთს სიკუდილი. კუალად უკუეთუ ვინ გკითხოს, თუ: რომელი უაღრეს არს, თივისა ოქროდ გარდაქცევაჲ ანუ ოქროსა, ვითარცა თივისა, შეურაცხ-ყოფაჲ? ჭეშმარი-ტად მეორე ესე უაღრეს არს და კაცთა უფროსად მოიზიდავს ღმრთისა. რამეთუ უკუეთუმცა იხილეს თივაჲ ოქროდ გარდაქცეული, გულმანცა უთ-ქუა მიღებად ესე ვითარისა ძალისა, ვითარცა სიმონ ყო, და აღორძნდამცა ტრფიალებად ოქროსაჲ. ხოლო უკუეთუმცა იხილეს, ვითარმედ ოქროსა, ვითარცა თივასა, შეურაცხ-ვჰყოფთ, მრავალნიმცა განთავისუფლდეს ამის სენისაგან.

ჰხედავა, ვითარმედ სათნოებაჲ უფროსად სარგებელ არს? ხოლო სათნოებასა ვიტყვ არა ამას, რადთა იმარხვიდე და ძაძაჲ შთაიცუა და მი-ნასა ზედა სწვე და სხუანი ვნებანი გეუფლებოდინ, არამედ შემოკრებუ-ლი იგი ყოველთა კეთილთაგან ცხორებაჲ, იგი არს სათნოება. პირველად, რადთა უგულვებელს-ჰყვენე საფასენი და საწმარნი, ვითარცა ჯერ-არს უგუ-ლებელს-ყოფაჲ მათი; მერმე, რადთა იყო სახიერ, რადთა სცემდე გლახაკსა

<sup>1</sup> იოან. 21,17.

პურსა შენსა, რადთა მძლე ექმნე გულისწყრომასა, რადთა განიოტო შენგან ზუაობად, რადთა მოაკუდინო შური, რადთა იყო მშკდ და მდაბალ, ვითარცა იტყვს უფალი: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა“.<sup>1</sup> არა თქუა, თუ: ისწავეთ ჩემგან, რამეთუ ვიმარხე ორმეოც დღე და ყოვლადვე მარხვით აღვასრულებ დღეთა, თვნიერ ოდეს სადა განგებულებით ჯერ-იყოს ჭამადცა, არამედ არარად თქუა ესევეთარი, გარნა ესე ხოლო: „მშკდ ვარ და მდაბალ გულითა“. და წარავლენდა რად მოწაფეთა, მარხვისათვს არად ჰრქუა, რამეთუ წერილ არს: „წინადაგებული თქუენი ჭამეთ“.<sup>2</sup> ხოლო უპოვარებისათვს და საწმართა შეურაცხებისა ფრიადი კრძალულებად ამცნო: „ნუ მოიგებთო ოქროსა გინა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა, ნუცა ვაშკარანსა, ნუცა ორსა სამოსელსა“.<sup>3</sup> ხოლო ამას რად ვიტყვ, არა თუ მარხვასა ვსძაგებ. ნუ იყოფინ! არამედ ფრიადცა ვაქებ მას და მიყუარს და უწყი მისგან ფრიადი სარგებელი. გარნა ამას გეტყვ ფრიად: უკუეთუ სხუანი მცნებანი შეურაცხ-ჰყვნეთ, ნუ ჰგონებთ, თუმცა ესე ხოლო კმა იყო ცხორებად თქუენდა. რამეთუ არა უზეშთაესი საზომი უპყრიეს სათნოებათად მარხვასა, არამედ უდარესი. ხოლო მაღალი იგი საზომი უპყრიეს სიყუარულსა, სიმდაბლესა, სიმშკდესა, სახიერებასა და მოწყალებასა. ესენი ქალწულებასაცა წარჰვდეს ფრიად.

ან უკუე გნებავს თუ სწორ მოციქულთა ყოფად, ძმაო, არარად არს დამაყენებელ. ესე სათნოებანი მოიგენ და არარადთა უდარეს იყო მათსა და ნურარას ყოვლადვე ეძიებ სასწაულთა. რამეთუ შეწუხნების ეშმაკი, უკუეთუ ვინ განიოტოს იგი გუამისაგან კაცისა, არამედ ფრიად უმეტესად შეწუხნების, ოდეს იხილოს სული განთავისუფლებული ცოდვისაგან, რამეთუ დიდი იგი ძალი მისი ცოდვასა შინა არს. ამისთვის განწორციელდა ქრისტე და ამისთვის თავს-იდვა სიკუდილი, რადთა მძლავრებად ცოდვისად დაჰწსნას. რამეთუ ამან შემოიღო სიკუდილი სოფლად და ყოველივე ბუნებად კაცთად დასაჯა, ვიდრემდის მოვიდა უფალი და ძალი მისი შემუსრა. და შენცა, უკუეთუ მას მძლე ექმნა, შეგიჭრიან ძარღუნი ეშმაკისანი, შეგიმუსრავს თავი მისი, დაგიწსნიეს ძალი მისი, მძლექმნილ ხარ მწედრობისა მისისა და გიქმნიეს ყოველთა უმეტესი სასწაული. არა ჩემი არს სიტყუად ესე, არამედ ნეტარისა პავლესი, რამეთუ მან ოდეს-იგი თქუა, თუ: „გმურდინ მაღლი იგი უმეტესი, და მერმე უმეტესი გზად გიჩუენო თქუენ“,<sup>4</sup> არა სასწაულთა უწესა უმეტესად გზად, არამედ სიყუარულსა – ძირსა მას ყოველთა კეთილთასა. უკუეთუ იგი მოვიგოთ და ნაშობნი იგი მისნი მრავალნი სათნოებანი, არად საწმარ იყვნენ ჩუენდა სასწაულნი, ვითარცა, უკუეთუ იგი არა მოვიგოთ, არარად სარგებელ გუეყვნენ ჩუენ სასწაულნი. რამეთუ უკუეთუ გუსურის ბაძვად მოციქულთად, იგი საქმენი შევიკრძალნეთ, რომლითა იგინი დიდ იქმნეს. ვინად უკუე იქმნეს დიდ?

<sup>1</sup> მათ. 11,29.

<sup>2</sup> ლუკ. 10,8.

<sup>3</sup> მათ. 10,9.

<sup>4</sup> 1 კორ. 12,31.



ისმინე, რასა იტყვს პეტრე: „უფალო, აჰა ესერა ყოველი დაუტევით და შეგიდევით შენ; რა-მე იყოს ჩუენდა?“<sup>1</sup> ისმინე ქრისტესიცა, რა მიუგო: „ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ თქუენ, რომელნი-ეგე შემომიდეგით მე, მერმესა მას მოსლვასა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა დიდებისა თვისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა. და ყოველმან, რომელმან დაუტეოს სახლი, გინა ძმანი, გინა დანი, ანუ მამაჲ, ანუ დედაჲ, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ ქუეყანაჲ სახელისა ჩემისათჳს, ასი წილი მიიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკვდროს“.<sup>2</sup> ან უკუე ჩუენცა, ძმანო, ყოველივე სოფელი და საქმენი მისნი მოვიძულნეთ და ქრისტე შევიყუაროთ და მცნებანი მისნი შევიტკბნეთ, რადთა მოციქულთაცა სწორ ვიქმნეთ ბრძანებისაებრ მისისა და საუკუნოჲ ცხორებაჲ დავიმკვდროთ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

<sup>1</sup> მათ. 19,27.

<sup>2</sup> მათ. 19,28-29.

## თავი მზ

სიტყუაჲ ესე: „ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას და თვნიერ იგავისა არას ეტყოდა მათ, რადთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწინარმეტყუელისაჲ: აღვალო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი იგავთა დასაბამითგან სოფლისაჲთ“<sup>1</sup> (13,34-35).

ხოლო მარკოზ იტყვს, ვითარმედ: „ესევეითარითა იგავითა ეტყოდა მათ სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად. და თვნიერ იგავისა არას ეტყოდა მათ“.<sup>2</sup> არა თუ ყოვლადვე, რამეთუ მრავალგზის ეტყოდა თვნიერ იგავისა, არამედ მის ჟამისათჳს თქუა მახარებელმან, ვითარმედ მაშინ არარას ეტყოდა თვნიერ იგავისა. და რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ არარას უცხოთა და უწესოსა იქმოდა, ამისთჳს შემოიყვანა წინაწინარმეტყუელი, ამის წესისა წინადათვე მქადაგებელი. და გამოაჩინებს გონებასა ქრისტესსა, ვითარმედ არა თუ ამისთჳს ეტყოდა იგავით, რადთა ვერ გულისწმა-ყვესმცა, არამედ რადთამცა მოვიდეს იგინი კითხვად მისა და სწავლად უაღრესისა გულისწმის-ყოფისა. ამისთჳსცა შუენიერცა იყო სიტყუაჲ მისი და საშინელ. ვინადათგან უკუე მათ, ვითარცა ზემო ვთქუთ, სმენით ესმოდა და არა გულისწმა-ჰყოფდეს, არცა კითხვად ინებეს, არცა სწავლად, ამისთჳს დაუტევნა იგინი და წარვიდა, ვითარცა იტყვს მახარებელი:

სახარებაჲ: „მაშინ დაუტევა იესუ ერი იგი და მოვიდა სახლსა. და მოუწდეს მონაფენი მისნი და ჰრქუეს: მითხარ ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ მის და აგარაკისაჲ“ (13,36).

თარგმანი: მრავალგზის ენების კითხვის და ვერ იკადრიან. ვინაჲ უკუე მოიგეს ან კადნიერებაჲ? ესმა ზემო, ვითარ ეტყოდა მათ, ვითარმედ: „თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოდ სასუფეველისა ცათაჲსა“<sup>3</sup> და ამისთჳს შეჰკადრეს კითხვად. ხოლო თჳსაგან ჰკითხეს, – არა თუ ერსა მას ეშურებოდეს, არამედ სიტყუასა მეუფისასა აღასრულებდეს, რომელ თქუა, ვითარმედ: „მათა არა მიცემულ არს“<sup>4</sup>, რამეთუ არცა ინებეს მიღებად, არცა სთხოეს. ხოლო რადსათჳს დაუტევეს იგავი იგი ცომისაჲ და მდოგჳსაჲ და ღუარძლისაჲ იკითხეს? ვითარცა უმეტესად სხუათასა ცხადთა და ადვილთა გულისწმისსაყოფელად თანწარჰწდეს, ხოლო ესე იკითხეს, ვითარცა შემსგავსებული პირველთქუმულისა მის, რომელი თქუა თესლისა მისთჳს და მთესვარისა. ამისთჳსცა უფალმან განუმარტა მათ. ხოლო ვითარცა მრავალგზის მითქუამს, ვითარმედ იგავთაჲ არა ჯერ-არს შემდგომითი შემდგომად ყოველთა სიტყუათა თარგმანებად,

<sup>1</sup> ფსალმ. 77,2.

<sup>2</sup> მარკ. 4, 33-34.

<sup>3</sup> მათ. 13,11.

<sup>4</sup> მათ. 13,11.

რამეთუ ესრეთ თუ ვინ ებრძოდის, ცთომასა შთავარდების. არამედ ესე ჯერ-არს გულისწმის-ყოფად, თუ რომლისა პირისათჳს ითქუა, და მისი შეწყნარებად გამოუნულიღველად. რამეთუ იგავთა შინა მრავალნი სიტყუანი იპოებინან გამოსახვისათჳს და უმეტესისა განცხადებისათჳს თქუმულნი და არა საქმით აღსრულებულნი. ამასვე საქმესა აქა გუასწავებს უფალი და ესრეთ განჰმარტებს იგავსა მას. ამისთჳს დაუტევა თქუმად, თუ ვინ იყვნეს მონანი იგი, რომელნი მოუწყდეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს აღმოფხურად ლუარძლისა, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ ესე სახედ განწესებისა მის და წესიერ-ყოფისა იგავისა მის თქუა. უკუეთუ არა, და ვითარცა ვთქუთ, თუ ანგელოზთა გულისწმა-ვჰყოფთ, ვითარ ეგების, თუმცა ანგელოზნი ეტყოდეს ღმერთსა ესე ვითართა სიტყუათა? არამედ რადთა გამოაჩინოს უფალმან სულგრძელებად თჳსი და არა ადრე აღმოფხურად ცოდვილთად და მოლოდებად სინანულისა მათისად, ამისთჳს ესრეთ გამოსახა სიტყუად იგი. ხოლო ან, გამოუთარგმანებდა რად იგავსა მას, მონათა მათთჳს არად ავსენა, არამედ პირი იგი ხოლო მიუთხრა, რომლისათჳს იგავი იგი ეთქუა, და გამოუცხადებს, ვითარმედ თავადი არს მსაჯული და უფალი ყოველთად.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისად არს. ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ლუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს; და მკად იგი არს აღსასრული ამის სოფლისად; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი. ვითარცა-იგი შეკრიბიან ლუარძლი და ცეცხლითა დაწვან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისად. რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი, და შეკრიბნეს სუფევისაგან თჳსისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი და შესთხინეს იგინი საჭუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთად. მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა ცათასა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“ (13,37-43).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეთ ან კაცთმოყუარებად მისი და კეთილის-ყოფად განმზადებულებად და მტანჯველობისაგან უცხოებად, რამეთუ ოდეს სთესვიდეს, თავით თჳსით სთესავს, ხოლო ოდეს ტანჯვად ჯერ-იყოს უშჯულოებისა მოქმედთად, ანგელოზთა მოავლენს. ხოლო რომელ-იგი თქუა, თუ: „მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე“, არა თუ ამას მოასწავებს, თუ ესოდენ ხოლო იყოს ბრწყინვალეობად მათი, არამედ ვინადათგან ჩუენ უბრწყინვალესი მზისად სხუად არარად გვხილავს, ამისთჳს სახეთა მოიღებს ჩუენ მიერ საცნაურთა. ხოლო ვითარ სხუასა ადგილსა ანვე მოწვენასა მკისასა მოასწავებს, ვითარცა-იგი ჰრქუა მოციქულთა: „აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ

სპეტაკ არიან სამკალად აწვე“;<sup>1</sup> და კუალად თქუა: „სამკალი ფრიად არს, და მუშაკნი მცირედ“.<sup>2</sup> ვითარ უკუე მუნ აწვე მოწვენაჲ მკისაჲ და აქა მომავალსა მას ჟამსა გამოთქუა ყოფადი იგი? სხკსა სახისათკს იყო მუნ სიტყუად, ვითარცა-იგი სხუასა ადგილსა თქუა, ვითარმედ: „სხუად არს, რომელმან სთესა, და სხუად არს მომკალი“;<sup>3</sup> და აქა თავსა თკსსა მოასწავებს მთესვარად. რამეთუ მუნ ქადაგებისათკს წინაჲსწარმეტყუელთა და მოციქულთაჲსა იტყოდა და მათ უწოდა მთესვარად და ამათ მომკალად, ხოლო აქა გამოაჩინებს, ვითარმედ წინაჲსწარმეტყუელთა მიერცა თავადი სთესვიდა და აწ მოციქულთა მიერ იგივე სთესავს, და ქადაგებასა მას თკსსა უწესს თესლად და სამკალად. რამეთუ ოდეს მოქცევასა მას და მორჩილებასა მსმენელთასა მოასწავებდეს, სამართლად სამკალად სახელ-სდებს საქმესა მას და აწვე ყოფადსა აჩუენებს. ვითარმცა ეტყოდა მოციქულთა, ვითარმედ: რად-იგი წინაჲსწარმეტყუელთა მიერ ვსთესე, აწ თქუენ მიერ მოვჰმკი. რამეთუ წარგავლინებ მოქცევად კაცთა, და აწ არს ჟამი ამის საქმისაჲ. ამისთკს თქუა, ვითარმედ: „იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არს სამკალად აწვე“. ხოლო აქა კუალად გამოაჩინებს ჟამსა მას, ოდეს-იგი მსმენელთაგან ეძიებდეს ნაყოფსა მას მათ შორის დათესულისა ქადაგებისასა, და ამისთკს მკად მომავალსა მას ჟამსა მეორედ მოსლვისა მისისასა იტყვს, ოდეს მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

ხოლო ვითარ სხუასა ადგილსა მოესწავების, ვითარმედ პირველად მართალნი აღიტაცებინ,<sup>4</sup> და აქა იტყვს, ვითარმედ პირველად ცოდვილნი შეკრებად არიან? აღიტაცებინ პირველად მართალნი შემთხუევად უფლისა, ხოლო დაჯდეს რად ქრისტე განკითხვად, მიეცემიან ცოდვილნი სატანჯველად, და მერმელა წარვლენ მართალნი სასუფეველად. რამეთუ ვინადთგან სუფევეად მართალთაჲ ზეცას განწესებულ არს, ხოლო ქრისტე აქა მოვალს განკითხვად ყოველთა, მისცეს რად ცოდვილთათკს განწინებაჲ, ვითარცა ბრძანოს, მაშინ, ვითარცა მეუფე დიდებისაჲ, აღდგეს და წარიყვანნეს მოყუარენი თკსნი ნეტარებასა მას ზეცათა სასუფეველისასა.

ჰ ჭირი იგი და ორკერძო საღმობაჲ უბადრუკთა ცოდვილთაჲ! ერთად, დაწუვად ცეცხლსა შინა უშრეტსა, და მეორედ, გამოვრდომად დიდებისა მისგან სანატრელისა. ამისთკს გულისწმა-გკყოფს უფალი და იტყვს: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“ არამედ ვითარ ვხედავ, ძმანო, ჩუენ დაგკყოფიან ყურნი სმენად და არა გულისწმა-ვჰყოფთ ყოფადსა მას ცოდვილთა წარწყმედასა, არცა გუნებავს მოქცევად უფლისა, რადთა გკლხინოს ჩუენ. ამისთკს მეშინის, ნუუკუე მოინიოს ჩუენ ზედა დღე იგი და ვიპოვნეთ მოქმედთა თანა უშჯულოებისათა. მაშინ ფრიად ვინანდეთ და ვტიროდით, ხოლო სარგებელი არა იყოს, რამეთუ სარგებელი ცრემლთაჲ და სინანულისაჲ აწ არს.

<sup>1</sup> იოან. 4,35.

<sup>2</sup> ლუკ. 10,2.

<sup>3</sup> იოან. 4,37.

<sup>4</sup> შდრ. 1 თეს. 4,16.

ხოლო პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, რამეთუ კუალადცა იგავით ეტყვს უფალი მოციქულთა. და რადასათვს-მე, ვინაფთგან ერი იგი განიყარა, მონაფეთა იგავით ეტყოდა? ამისთვის, რამეთუ ზემოთქუმულთა მათგან ისწავეს მეცნიერებად. ესოდენ გულისწმა-ჰყოფდეს, ვიდრელა ოდეს ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „გულისწმა-ჰყავთა ესე ყოველი?“ თქუეს მათ: „ჰე, უფალო“.<sup>1</sup> იხილეთ უკუე, რასა ეტყვს მათ:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა და-ფარულსა აგარაკსა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით მისთვის წარვიდა და განყიდა ყოველი, რაჲცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილსა მარგალიტსა. და პოის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისაჲ, წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი**“ (13,44-46).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვითარცა ზემო იგავი იგი მარცხულისა მის მდოგკსაჲ და ცომისაჲ მცირედითა რაჲმე განყოფილ არიან ურთიერთას, რამეთუ ერთსა პირსა მოასწავებენ, ეგრეთვე აქა იგავნი ესე საუნჯისა და მარგალიტისაჲ ერთსა პირსა მოასწავებენ, ვითარმედ ჯერ-არს ქადაგებისა მის პატივ-ცემად და შეყუარებაჲ უფროჲს ყოველთა მონაგებთა ქუეყანისათა; და ზემოთქუმულნი იგი იგავნი ცომისაჲ მის და მდოგკსაჲ ძალსა მას მოასწავებდეს ქადაგებისა მის სახარებისასა, ვითარმედ დალაცათუ მცირედ ჩანს ან, არამედ ყოველი სოფელი დაიპყრას მან. ხოლო ან კუალად პატიოსნებასა მას და ბრწყინვალებასა მისსა გამოაჩინებს, რამეთუ აღორძნდების, ვითარცა მარცხული მდოგკსაჲ, და შესცვალებს სოფელსა უღმრთოებისაგან ღმრთის-მსახურებად, ვითარცა შესცვალებს ცომი ყოველსა მას აღსუარულსა აღფუენებად. პატიოსან არს და მრავალსასყიდლისა უფროჲს მარგალიტისა. არამედ სოფლისა საქმეთაგან არარაჲ იპოვა ჰასაკისა და საზომისა მისისაჲ უპატიოსნეს მისსა, ამისთვის იგი შემოილო სახედ. ხოლო შუენიერ არს და განმამდიდრებელ, ვითარცა საუნჯე დიდძალი. ამისთვის არა ამას ხოლო მოასწავებს, ვითარმედ ჯერ-არს ყოვლისავე დატევებად და მისა გამორჩევაჲ, არამედ რაჲთა სიხარულითცა ვიქმოდით ამას და უწყოდით, ვითარმედ დატევებად ყოვლისავე სოფლისაჲ ვაჭრობად არს და არა დაჭირვებაჲ.

ჰხედავა, ვითარ აგარაკად წოდებულ არს ქადაგებაჲ იგი სასუფეველისაჲ და მას შინა დაფარულ არს ყოველივე კეთილი? ხოლო შენ, კაცო, უკუეთუ არა ყოველივე განჰყიდო, მას ვერ მოიყიდი, და უკუეთუ არა გაქუნდეს სული ფრთხილი და მჭურვალედ მეძიებელი, ვერ ჰპოებ.

ან უკუე რომელსა ენებოს საუნჯისა მის პოვნად, ორი საქმე უჭმს: უარყოფად ყოვლისავე სოფლისაჲ და საქმეთა მისთა ბოროტთაჲ და ძიებაჲ სა-

<sup>1</sup> მათ. 13,51.

უნჯისა მის და მარგალიტისაჲ მჭურვალედ. ამისთვის იტყვის: „მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილსა მარგალიტსა. და პოის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალსასყიდლისაჲ, წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი“.

რამეთუ ჭეშმარიტებაჲ ერთ არს და არა მრავალფერ; და ვითარცა რომელსა აქუნდეს მარგალიტი მრავალსასყიდლისაჲ, დაღაცათუ სხუანი არა ხედვიდენ, რამეთუ სიმცირისა მისთვის გუამისა მისისა შინაგან თვსა და ეფარის კაცსა მას, არამედ მომგებელმან მან იცინ, თუ რაბამი სიმდიდრე აქუნ; ეგრეთვე საიდუმლოჲ იგი სახარებისაჲ რომელთა აქუნდეს, იცინან სიმდიდრე იგი, ხოლო ურწმუნონი უმეცარ არიან, რამეთუ ვერ ხედვენ სიმდიდრესა ჩუენსა. რაჲთა ჩუენცა არა ქადაგებასა მას ხოლო მივენდვენეთ, არცა ვჰგონებდეთ, თუ სარწმუნოებაჲ ოდენ კმა არს ცხორებად ჩუენდა, იტყვის სხუასაცა საშინელსა იგავსა:

**სახარებაჲ: „მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეკრიბის. და ოდეს აღივსის, გამოილიან იგი ზღვსკიდესა და დასხდიან და შეკრიბიან კეთილი იგი ჭურჭელსა, ხოლო ჯერკუალი იგი გარე განსთხიან. ესრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ: რამეთუ გამოვიდენ ანგელოზნი და განაშორენ უკეთურნი იგი შორის მართალთა და შესთხინენ იგინი შორის საჯუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ“ (13,47-50).**

თარგმანი: რაჲთა განყოფილ არს ესე ზემოთქუმულთა მათ იგავთაგან, – თესლისა მის და ლუარძლისათვის, – რამეთუ მუნცა რომელნიმე ცხონდეს და რომელნიმე წარწყმდეს? არამედ იგი იგავნი სარწმუნოებისათვის იყვნეს. პირველნი იგი, – ეკალთა მიერ და კლდისა და გზასა ზედა დათესულისა, – ესენი მოესწავებოდეს, რომელთა არა შეინყნარეს ქადაგებაჲ იგი; და კუალად ლუარძლისა მის მიერ მწვალებელნი გუაუწყნა, რომელთაცა ძედ უკეთურისა სახელ-სდვა. ხოლო ან მათთვის იტყვის, რომელნი საქმეთა მიერ ბოროტთა წარწყმდებიან, რომელნიცა ფრიად სანყალობელ არიან, რამეთუ მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მიემთხვენეს და ეგრეთცა ვერვე ცხონდეს, რამეთუ საქმენი ცოდვისანი ვერ მოიძულნეს. ხოლო ვითარ რომელ ოდესმე თავსა თვსსა იტყვის მწყემსი იგი სახიერი განმრჩეველად კეთილთა ბოროტთაგან, „ვითარცა განარჩინის მწყემსმან ცხოვარნი თიკანთაგან“,<sup>1</sup> და ან აქა ანგელოზთა მოასწავებს? ესე ამისთვის, რამეთუ ოდესმე კაცობრივრე ჰყოფს სიტყუასა თვსსა მსმენელთა მათ უძლურებისათვის და ოდესმე უმაღლეს და გულისწმისსაყოფელად, რამეთუ ყოველივე განგებულებითა წამის-ყოფისა მისისაჲთა იქმნების. ხოლო აქა მსმენელ-

<sup>1</sup> მათ. 25,32.

თა მათთვის ანგელოზნიცა ავსენნა, რადთა ცნან, ვითარმედ იგი არს მეუფე ანგელოზთა და კაცთაჲ. ხოლო რადთა არავის ესმას, თუ ჯერკუალი გარე განთხევის, და ჰგონებდეს, ვითარმედ უჭირველ არს განთხევად იგი, ამისთვის განჰმარტა სიტყუად ესე და სატანჯველი იგი გამოაჩინა საშინელი, ვითარმედ: „შესთხინენ იგინი საჭუმელსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთაჲ“. იხილეთ, რავდენნი გზანი არიან წარწყმედისანი? კლდე იგი და ეკალნი, და გზად და ღუარძლი, და ბადესა შინა პოვნილი ჯერკუალი. ამისთვის იტყოდა, ვითარმედ: „ფართო არს გზად იგი წარწყმედად მიმყვანებელი, და მრავალნი ვლენან მას შინა“.<sup>1</sup> ესე ყოველი რად მიუთხრა და საშინელ-ყო აღსასრული სიტყვსა თვისისაჲ, მერმე ჰრქუა მათ:

**სახარებაჲ: „გულისჯმა-ჰყავთა ესე ყოველი? ხოლო მათ ჰრქუეს: ჰე, უფალო. და ჰრქუა მათ: ამისთვის ყოველი მწიგნობარი, რომელი მონაფე ყოფილ არს სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან გამოიღის საუნჯისაგან თვისისა ძუელი და ახალი“ (13,51-52).**

თარგმანი: ჰხედავა, ვითარ არა განაგდებს ძუელსა მას წერილსა, არამედ აქებს და სიმდიდრედ უწესს, და აქებს მოციქულთა, რამეთუ კეთილად გულისჯმა-ჰყვეს იგი და ჰრწმენა უფლისაჲ? რამეთუ ამისთვის ყოველივე შჯული და წინაღწარმეტყუელნი ქადაგებდეს. და ესე წმიდანი მოციქულნი მიამსგავსნა სახლისა უფალსა მდიდარსა და ჭემმარიტად მწიგნობრად სახელ-სდვა მათ, რამეთუ ძუელისა მის წერილისა ძალი კეთილად ცნეს და ახალი ესე ქადაგებაჲ და მოძღურებაჲ ქრისტესი სარწმუნოებით და გულსმოდგინედ შეინწყნარეს და აღასრულეს. ხოლო რომელნი-იგი ძალსა წერილთასა უმეცარ არიან, არა არიან იგინი სახლისა უფალ. რამეთუ არცა თავით თვისით აქუს, არცა სხუათაგან მიიღებენ, არამედ უდებებისაგან სიკუდილითა მოსწყდებიან. ეგრეთვე მწვალებელნი სრულიად უცხო არიან ნეტარებისაგან, რამეთუ არცა ძუელისა მის წერილისაგან აქუს ნაწილი, არცა ახლისა, არამედ ორისაგანვე დაკლებულ და განვრდომილ არიან, რამეთუ ორნივე შჯულნი შეერთებულ და შეთხზულ არიან ურთიერთას.

## სწავლად მჴ

### გულისჯმის-ყოფისათვის წერილთაჲსა და სათნოებათათვის

ვისმინოთ, რომელნი-ესე უდებ ვართ წიგნის-კითხვასა და წერილთა გულისჯმის-ყოფასა, თუ რაოდენი ვნებაჲ შემემთხუევის ჩუენ, რაოდენი სიგლახაკე. რამეთუ ოდეს-მე ჴელ-ვყოთ საქმით მოქალაქობად, რომელნი-ესე შჯულსა მასცა მოქალაქობისასა უმეცარ ვართ? საქმეთა ზედა ჴორ-

<sup>1</sup> მათ. 7,13.

ციელთა ყოველნი მოხარკე არიან, და სამოსელი თუ ვის აქუნ შუენიერი, ზედასზედა ბერტყნ და ზრუნავთ, რაათა არა მლილთა შესაჭმელ იქმნას. ხოლო შენ, კაცო, ჰხედავ, ვითარმედ ყოვლისავე მლილისა და მჭამელისა უმეტესად ავნებს დავინყებად სულსა შენსა, და არა მოსწრაფე იქმნა კითხვად წიგნთა – სწავლად გულისწმის-ყოფისა, რაათა განაბრწყინვონ სული შენი?

არა განიცდია დღითი-დღე ხატსა მას სათნოებისასა და წესიერებასა ასოთა მისთასა? რამეთუ ჰქონან მას ასონი ფრიად შუენიერი, თავი და ჯეღნი და სხუად ყოველივე. გნებავსა თავისა მისისა ხილვად?

თავი სათნოებათა არს სიმდაბლე. ამისთვისცა მისგან იწყო უფალმან ნეტარებათა მათ, ვითარმედ: „ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა“;<sup>1</sup> და კუალად თქუა წინადასწარმეტყუელისა მიერ: „ვის მივხედნე, გარნა მშკდსა და მდაბალსა და რომელი ძრწინ სიტყუათაგან ჩემთა“;<sup>2</sup> და კუალად იტყვს: „მახლობელ არს უფალი მათა, რომელნი განკაფულ არიან გულითა, და მდაბალნი სულითა აცხოვნენს“.<sup>3</sup>

ესე არს თავი გუამისა მის სათნოებათადასა, რომლისა პირი შუენიერ არს და სასურველ, რამეთუ შემკობილ არს იგი წესიერებითა და სიმშკდითა; თუალნი მისნი განწესებულ არიან სინმიდითა გულისადათა, ამისთვისცა ღირს იქმნებიან ხილვად უფლისა, ვითარცა იტყვს: „ნეტარ იყვენენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“;<sup>4</sup>

პირი მისი არს სიბრძნე და მეცნიერება და მარადის გალობად უფლისადა ლოცვითა და ვედრებითა ღმობიერითა;

გული მისი არს გულისწმის-ყოფად წერილთადა და დამარხვად მართლმადიდებლობისადა და კაცთმოყუარებადა და სახიერებადა;

გონებადა მისი არს სიყუარული, სრულებადა იგი და შემაერთებელი და მპყრობელი სათნოებადა, სიყუარული ღმრთისა მიმართ და მოყუსისა მიმართ, რომელი ყოველთა უმაღლეს არს;

ჯელ მისა და ფერჯ არიან მოლუანებანი სულიერი და საქმენი კეთილნი;

სული გუამისა მის სათნოებათადასა არს ღმრთისმსახურებადა და გულისწმის-ყოფით მართლმადიდებლობისადა წმიდისა სამებისადა და მეცნიერებადა საიდუმლოსა მას მართლმადიდებლობისასა;

და სხუანი ყოველნივე მცნებანი ასოებ არიან გუამისა მის სათნოებათადასა.

ესე გუამი ასოებითურთ თვისით მოიგეს ყოველთა წმიდათა, ამისთვის ღირს იქმნენს ასოებ ქრისტეჴსა წოდებადა, ვითარცა იტყვს მოციქული: „თქუენ ხართ ჳორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი“.<sup>5</sup> გულისწმა-ვყოთ თითოეულისა წმიდათაგანისა მოქალაქობადა და ვპოვოთ სახე ესე მის თანა.

<sup>1</sup> მათ. 5,3.

<sup>2</sup> ესაია 66,2.

<sup>3</sup> ფსალმ. 33,19.

<sup>4</sup> მათ. 5,8.

<sup>5</sup> 1 კორ. 12,27.



და უკუეთუ გნებავს, ვიხილოთ ესე მეგრ ნეტარი მახარებელი მათე, რომლისა სიტყუათა დღითი-დღე აღმოვიკითხავთ. დაღაცათუ ყოველნი საქმენი, მოღუანებანი მისნი აღწერილად გამოწულილვით არა გუქონან, არამედ მცირედისა ამისგანცა შესაძლებელ არს ხილვად ბრწყინვალეობა ხატისა მისისაჲ.

იხილეთ უკუე სიმდაბლე მისი, რომელ-იგი ვთქუთ თავად სათნოებათა, ვითარ შემდგომად მოციქულებისა და მახარებლობისა არა თავ-იდიდა მეზუერედ წოდებად თავისა თვისისაჲ. ამისგან ცანთ, ვითარი იყო გონებაჲ მისი: მშვდ და მდაბალ და შემუსრვილ.

იხილეთ მოწყალებისაცა მისისა საზომი, ვითარ ყოველივე, რაჲცა იყო მისი, მისცა გლახაკთა და ყოველივე სოფელი უვარ-ყო და მისდევდა ქრისტესა. იხილეთ მართლალსარებაჲ და გულისწმის-ყოფაჲ აღწერილისა-გან მისისა.

იხილეთ სიყუარული მისი, ვითარ უქადაგა სოფელსა და აღუწერა ღმრთისმსახურებაჲ, რაჲთა არა ცხორებასა ხოლო თვისსა ქადაგებდეს, არამედ შემდგომად სიკუდილისაცა წმად მისი ესმოდის ყოველთავე.

იხილეთ სიმწნე მისი გუემათა მათგან და ტანჯვათა, რომელნი სხუათა მათ მოციქულთა თანა თავს-ისხნა.

იხილენით ყოველნი კეთილნი საქმენი მისნი საყდრისა მისგან, რომელსა ზედა დაჯდომად არს.

ესევეითარსა უკუე სათნოებასა ჩუენცა ვჰბაძვიდეთ, ძმანო, და უფროდს ყოვლისა სიმდაბლესა და სიყუარულსა და მოწყალებასა, რამეთუ თვნიერ ამათსა შეუძლებელ არს შესლვად სასუფეველსა ცათასა. ამათგან სხუანიცა კეთილნი საქმენი მოიგებინ და გუამი იგი სათნოებისაჲ სრულ იქმნების. ამისთვისცა თავ გუამისა მის ვთქუთ სიმდაბლე და გონებაჲ – სიყუარული და გულად – მოწყალებაჲ.

ესევეითარი ესე გუამოვნებაჲ და შენანწვრებაჲ სათნოებათაჲ მოვიგოთ, საყუარელნო, ვითარცა საუნჯე დიდძალი, ვითარცა მარგალიტი მრავალსასყიდლისაჲ. ესე შევიკრძალოთ, ვიდრელა სიმდიდრე სოფლისაჲ ცუდი და წარმავალი და მომგებელთა მისთა დიდად მავნებელი, რომლისა ზრუნვაჲ, ვითარცა გესლი, სჭამს სულთა მათთა და მწინკულეევანებითა მით ცოდვისაჲთა შებღალულ და ყროლებულ ჰყოფს მათ.

ხოლო რომელსა საუნჯე ესე სათნოებათაჲ აქუნდეს, დაღაცათუ ჳორციელად ფრიად გლახაკ და შეურაცხ იყოს, არამედ სული მისი ბრწყინავს, ვითარცა მარგალიტი, ყუავის, ვითარცა ვარდი, დიდებულ არს, ვითარცა ანგელოზი; არა ჰყვანან მონანი და მსახურნი, რაჲთა უბრძანებდეს მათ, არამედ უბრძანებს ეშმაკთა, და ძრწოლით ევლტიან მას; არა მდგომარე არს წინაშე მეფისა მოკუდავისა, არამედ მდგომარე არს მარადის წინაშე ღმრთისა; არა ჰქონან საუნჯენი წარმავალნი, არამედ საუნჯე მისა არიან კეთილნი სასუფეველისანი; მონად მოუგიენ ვნებანი და გულისსიტყუანი,

რომელნი მრავალთა მეფეთა დაიმონებენ, რომელნი მპყრობელთა სოფლისა ამის ამოხსათა ჴელმწიფებით უბრძანებენ. იგინი ამისგან ძრწიან და მიხედვადცა ვერ იკადრებენ ამის საუნჯისა მომგებელსა; მეფობად ესე ქუეყანისად და ყოველი საცთური დიდებისა მისისად ესრეთ საკიცხელად აქუს, ვითარცა სამღერელი ყრმათა ჩჩვლთად, რამეთუ ჰმოსიეს მას სამკაული, რომლისა ხილვადცა მეფეთა ქუეყანისათა ვერ ჴელ-ენიფების, და აქუს სიმდიდრე წარუპარველი.

ესე საუნჯე და ესე სიმდიდრე მოვიგოთ ჩუენცა, ძმანო, რადთა ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა მკუდრ-ყოფად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.

[...] იოვანე ოქროპირო, მეოხ გუყყავ წინაჲე უფლისა და ღირს-მყავ უღირსი ესე აღსრულებად სწავლათა ამათ შენთა საქმიოფა და აღნერიოფა ენასა ამას ქართულოსა, რადთა მადლითა შენითა განათლოდეს ქუყანად [იგი].

## თავი მც

სიტყუად ესე: „და იყო, რაჟამს დაასრულნა იესუ იგავნი ესე, წარვიდა მიერ. და მოვიდა მამულად თვსად და ასწავებდა მათ შესაკრებელთა შორის მათთა“ (13,53-54).

თარგმანი: რადსათვის წარვიდა მიერ ადგილით? ამისთვის, რამეთუ ენება ყოველთა ადგილთა თესვად სიტყუსა მისისა. ხოლო მამულად მისა ან ნაზარეთსა იტყუს, რომლისათვის თქუა ქუემორე, ვითარმედ: „არა ქმნნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათვის“, <sup>1</sup> ხოლო კაპერნაუმს შინა მრავალნი ქმნნა სასწაულნი. ამისთვისცა იტყოდა: „ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცამდე აჰმალდეები, არამედ ჯოჯოხეთადმდე შთაჰჰდე, რამეთუ სოდომას თუმცა იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს შენ შორის, ჰგიანმცა დღენდეულად დღედმდე“. <sup>2</sup> ესრეთ უკუე საცნაურ არს, რამეთუ აქა მამულად მისა ნაზარეთსა იტყუს.

ხოლო მო-რა-ვიდა მუნ, სასწაულთა საქმესა დროება-სცა, რადთა არა უმეტესად შურად აღეცყინნენ იგინი და უმეტესისა სასჯელისა ღირს იქმნენ ურწმუნოებისა მისთვის. ხოლო სწავლა მძღურებისა შეჰმატა, რომელნი-იგი არარაათა უდარეს სასწაულთასა საკვრველ იყვნეს. გარნა ყოველით კერძო უგუნურნი იგი და უმადლონი, სარგებელისა წილ და საკვრველებისა სწავლათა მათგან, უფროდსა შეურაცხ-ჰყოფდეს მას, ვითარცა იტყუს ესერა მახარებელი:

სახარებად: „ასწავებდა მათ შესაკრებელთა შორის მათთა, ვიდრემდის განუკრდებოდა მათ და იტყოდეს: ვინაჲ არს ამისა სიბრძნე ესე და ძალი? ანუ არა ესე არს ხუროდსა მის ძე? ანუ არა დედასა მისსა ჰრქვან მარიამ? და ძმანი მისნი იაკობ და იოსებ და სიმონ და იუდა? და დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ შორის არიან? ვინაჲ არს ამისა ესე ყოველი? და დაბრკოლდებოდეს მისთვის“ (13, 54-57).

თარგმანი: სამართლად უკუე პირველითგანვე თქუა ესაია ზემონერილი იგი სიტყუად, ვითარმედ: „სმენით გესმოდის და არა გულისწმა-ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ. რამეთუ განზრქა გული ერისაჲ მის, და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თუალნი მათნი დაინუხნეს“. <sup>3</sup> აჰა ესერა ნათელი იგი მიუარდილებელი წინაშე თუალთა მათთა ბრწყინვიდა, და წმად იგი სწადელი ესმოდა, და საცნობელნი თვსნი დაიყვნეს, არა თუმცა არა უწყოდეს დიდებულებაჲ საქმეთა მისთაჲ. ხოლო მათ დაუტევეს იგი ყოველივე და მამად საგონებელსა მას სახელ-სდებენ, ვითარმცა შეურაცხებაჲ რადმე მოატყუეს მას. რამეთუ შობისა მის უთესლოდსა და საკვრველისაჲ

<sup>1</sup> მათ. 13,58.

<sup>2</sup> მათ. 11,23.

<sup>3</sup> ესაია 6,9-10.

გულისწმის-ყოფად არა ინებეს. ამისთვის იოსებისგან და ძეთაგან მისთა ზრახვენ დაკნინებად მისა. უგუნურთა მათ და გულფიცხელთა ვითარ ესეცა ვერ გულისწმა-ყვეს, ვითარმედ მოქმედთა საკვრველებისათა და განთქუმულთა სიკეთითა თვსითა ოდეს ავნო თვსებაჲმან შეურაცხთამან? დაღაცათუ ჭემმარიტ იყო სიტყუად მათი, დავით არა იესეს ძე იყოა, კაცისა უნდოესა და ქუეყანისმოქმედისა? და ამოს წინაჲსწარმეტყუელი არა შვილი იყოა მწყემსისა თხათაჲსა? მოსეცა შჯულისმდებელი არავე დიდებულთა შვილი იყო. რაჲსათვს უკუე სიგლახაკესა მას დედისასა შემოიღებენ და სახელით ოდენ მამად და ძმად წოდებულთა მათ ავსენებენ შეურაცხებად მისა და არა თაყუანის-სცემენ მადლსა მას მის მიერ განფენილსა ყოველთა ზედა? ესოდენსა მას უკეთურებასა მათსა ზედა უფალი სულგრძელებით ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა, რაჲთა ვერ თქუან, თუ: განგუეშორა ჩუენ და არა ინება სწავლად ჩუენდა. და ესოდენ დიდებულთა და დიდადშუენიერთა მიუთხრობდა სწავლათა, ვიდრელა განუკვრდებოდა მათ და იტყოდეს: „ვინაჲ არს ამისა სიბრძნე იგი და ძალი? ანუ არა ესე არსა ხუროდსა მის ძე, და დედასა მისსა ჰრქვან მარიაჲ?“

ჴ ბოროტნი იგი შურისანი! ვითარ დააბრმობს მის მიერ ტყუექმნილთა! რამეთუ რაჲ-იგი საკვრველ იყო და ღირს სარწმუნოებად მოყვანებად, მისგან იგინი დაბრკოლდებოდეს: სიბრძნესა მისსა და ძალსა საკვრველებათასა ხედვიდეს და დაუკვრდებოდა, და არასიმდიდრისათვს თვსთა მისთაჲსა რასა-მე დაბრკოლდებოდეს უგულისწმონი და წარწყმედილინი? ამისთვის ღალატ-ყო ძემან მან ქუხილისამან და თქუა განკვრვებით: „სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა. თვსთა თანა მოვიდა, და თვსთა იგი არა შეინწყნარეს“.<sup>1</sup>

რამეთუ იხილე აქაცა, თუ შემდგომად რავდენისა ჟამისა და შემდგომად რავდენთა სასწაულთა ქმნისა მოვიდა, და არცა ეგრეთ შეინწყნარეს იგი, არამედ შურიტა შეინუებოდეს და მიზეზთა ეძიებდეს დაკნინებად დიდებისა მისისა. ამისთვისცა ჰრქუა მათ უფალმან:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**არა არს წინაჲსწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა სოფელსა თვსსა და სახლსა შინა თვსსა. და არა ქმნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათვს**“ (13,57-58).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინაჲთგან უკუე დაუკვრდებოდა მათ, რაჲსათვს არა ქმნნა მრავალნი სასწაულნი, რაჲთამცა უმეტესად დაუკვრდა? რამეთუ არარას იქმოდა სახილველად კაცთა, არამედ სარგებელად მხედველთა მათ. ხოლო ვინაჲთგან ხედვიდა გულთა მათთა, ვითარმედ სარგებელი მათ თანა არა შევალს, არცა მოვლენ სარწმუნოებად, არა სათნო-იჩინა მრავალთა სასწაულთა ქმნად მათ შორის, რაჲთა არა აღორძნდეს ურწმუნოები-

<sup>1</sup> იოან. 1, 10-11.

სა მათისა სასჯელი. ხოლო კუალად სრულიად არაჩუენებად სასწაულთად არა ჯერ-იყო, ამისთვის მცირედნი ქმნა ანცა და ამისა პირველცა, რომლისათვისცა არა თქუა მახარებელმან, თუ: ყოვლადვე არა ქმნა, არამედ: „არა ქმნაო ძალნი მრავალნი“, რადთა გუაუწყოს, ვითარმედ არცა იგინი დაუტევენა უხილავად სასწაულთა მისთა, რადთა ვერ თქუან: უკუეთუმცა გუეხილნეს სასწაულნი, გურნენამცა. ამისთვის ქმნაცა და დროება-სცაცა: ერთი იგი ამისთვის, რადთა აჩუენოს, რად-იგი მის მიერ ჯერ-იყო ქმნად, ხოლო მეორე ესე ამისთვის, რადთა არა უმეტესისა სასჯელისა თანამდებ იქმნენ იგინი. ვადიდებდეთ უკუე სახიერებასა მისსა, ვითარ ესოდენსა მას უგუნურებასა და უმადლოებასა მათსა ზედა არა შეჰრისხნა მათ, არამედ თქუა სახიერებით და ტკბილად, ვითარმედ: „არა არს წინააღმართმეტყუელი შეურაცხ, გარნა სოფელსა თვსსა“.

ხოლო ვითარცა ლუკა გუაუწყებს, იგავიცა შემოილო, ვითარმედ: „მრავალნი ქურიენი იყვნეს ისრაჲლსა შორის, და არავისა მათგანისა მიივლინა ელია, გარნა სარებთას, ქურივისა მის უცხოთესლისა. და მრავალნი კეთროანნი იყვნეს ისრაჲლსა შორის ელისეს ზე, და არავინ მათგანი განიკურნა, გარნა ნემან ასური“<sup>1</sup>, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ: მარადის უღირსნი იყვნით, და ამისთვის უცხოთესლთა მათ კეთილი ეყო და არა თქუენ, და ვითარმედ წინააღმართმეტყუელნი იგი უღირსობასა თქუენსა გამოაჩინებენ.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა მათ სამთავროთა მთავარსა, ჰამბავი იესუფსთვის, და ჰრქუა მონათა თვსთა: ესე არს იოვანე ნათლისმცემელი, რომელი მე მოვკალ. იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთვის იქმნებთან ძალნი ესე მის თანა**“ (14, 1-2).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ამისთვის თქუა „ოთხთა სამთავროთა მთავარი“, რამეთუ ჰეროდე მეფე, მამად მისი, მომკუდარ იყო, რომელმან მოსრნა ჩჩკლნი. ხოლო ესეცა არა ცუდად თქუა მახარებელმან, თუ „მას ჟამსა შინა“, არამედ რადთა გკჩუენოს მძლავრისა მის ამპარტავანებად და ყოვლითურთ ჯორცთა მონებად მისი, რომელ ესოდენსა ჟამსა შინა არად ეცნა უფლისათვის, არამედ მაშინ ხოლო ცნა. რამეთუ ესრეთ არიან ყოველნი შემსჭუალულნი სოფლისა საქმეთა და მოქადულნი სიმდიდრესა ამას ზედა წარმავალსა, არა ფრიად საზრუნველ არს მათდა სულიერთა საქმეთათვის.

გულისგმა-ვყოთ უკუე ღმრთისმსახურებისა და სათნოებისა პატიოსნებად, ვითარ შემდგომად სიკუდილისაცა ეშინის მძლავრსა მას და შისისაგან აღდგომისათვის სიბრძნისმეტყუელებს; და ეგრეთცა ვერ იკადრა განცხადებულად თქუამად, არამედ თვსაგან უთხრა მონათა თვსთა ხუ-აშიადად, ვითარმედ: „იოვანე ნათლისმცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით“. რამეთუ ლუკა ესრეთ იტყვს, ვითარმედ: „იტყოდეს ერნი: იოვანე

<sup>1</sup> ლუკ. 4, 25-27.

ნათლისმცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით. და სხუანი იტყოდეს: ელია გამოჩნდა, ანუ წინადასწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს. ხოლო ჰეროდე თქუა: იოვანეს მე თავი მოვჰკუეთე, ხოლო ესე ვინ არს, რომლისათჳს ესე მესმის, არა ვიცი“. <sup>1</sup> ესე სიტყუანი თქუნა ერისა მიმართ და მთავართა მიმართ მისთა, რეცა სიქადულით და ზუაობით, მოკლვისათჳს იოვანესა. ხოლო განმრავლდებოდა რაჲ დიდებულებათა იესუსთა ჰამბავი, მერმე მხილებული გონებისაგან შევიდა შიშსა, ვითარმედ ჭეშმარიტ სადმე არს სიტყუაჲ იგი ერისაჲ, რომელ იტყვან, თუ: იოვანე აღდგომილ არს. და მაშინ საკუთართა თჳსთა ჰრქუა საიდუმლოდ, ვითარმედ: „ესე არს იოვანე ნათლისმცემელი. იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთჳს იქმნებიან ძალნი ესე მის თანა“. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ლუკას მიერ თქუმულნი იგი სიტყუანი ერისა მიმართ თქუა, და რომელთა-ესე მათე გვთხრობს, – თჳსაგან, საკუთართა თჳსთა. ამას რაჲ სიტყუასა მოვიდა მახარებელი და მოკლვაჲ იოვანესი აჴსენა, გუაუწყებს სახესაცა სიკუდილისა მისისასა და უკეთურებასა ჰეროდესსა და იტყვს:

სახარებაჲ: „რამეთუ ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე და შებორკილა იგი და საპყრობილესა შეაყენა ჰეროდიასთჳს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თჳსისა. რამეთუ ეტყოდა მას იოვანე: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად. და უნდა თუ მისი მოკლვაჲ, არამედ ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინადასწარმეტყუელი ეპყრა იგი. და ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდესნი, როკვიდა ასული ჰეროდიასი შორის, და სთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი, რომლისაგან ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა ითხოოს. ხოლო იგი წინადასწარ ბირებულ იყო დედისაგან თჳსისა და ჰრქუა: მომეც აქა ლანკნითა თავი იოვანესი, ნათლისმცემელისაჲ. და შეღათუ-წუხნა იგი, არამედ ფიცისა მისთჳს და მის თანა მენაჴეთა ბრძანა მიცემად იგი მას; და მიავლინა და მოჰკუეთა თავი იოვანესი საპყრობილესა შინა. და მოართუეს თავი მისი ლანკნითა და მისცეს ქალსა მას, და მან მიართუა დედასა თჳსსა. და მოვიდეს მონაფენი მისნი და წარიღეს გუამი მისი და დაჰფლეს იგი და მოვიდეს და უთხრეს იესუს“ (14,3-12).

თარგმანი: ჰ კრებაჲ იგი საეშმაკოჲ! ჰ საფარდული ბილწებისაჲ! ჰ როკვაჲ იგი უშჯულოებისაჲ, და ფასი როკვისაჲ მის უშჯულოესი, რამეთუ კაცის-კლვაჲ ყოველთა კაცის-კლვათა უძკრესი იკადრა ქმნად უღმრთო-მან და ღირსი იგი ბევრეულისა გვრგვინოსნობისა და ყოველთა მიერ ქებისა მოკლვაჲ არა შეიკდიმა და თავი იგი შემმუსრველი ეშმაკთაჲ ტაბლასა მას ზედა სასყიდლად როკვისა შემოღებაჲ არა შეძრწუნდა უშჯულოესა მის მამისა უშჯულოესმან ძემან, სახელითაცა და საქმითა მსგავსმან მისმან.

<sup>1</sup> ლუკ. 9,7-9.

იხილება გული იგი კლდეთა უფიცხესი? იხილება გონება იგი მინათა უუგუნურესი? იხილება კაცი იგი მწეცთა უძვრესი და პირუტყუთა უპირუტყუესი? ვითარ თავი თვისი ფიცთა მიერ მონა-ყო და ბილნი იგი ქალი – ჯელმწიფე მიღებად, რადცა ენებოს. ხოლო მან ბირებთა დედისა მის უღმრთოხსათა ითხოვა თავი ნათლისმცემელისაჲ. „და შენუხნაო ჰეროდე, არამედ ფიცისა მისთვის და მის თანა მეინაჯეთა ბრძანა მიცემად იგი მას“.

თქულა, უშჯულოვო, უკუეთუ შესწუხენ, რად არა სთქუ, თუ: ესე საქმე არა არს ყოვლადვე მეფობისა ჩემისაგანი; ხოლო მე გეფუცე, რადთა მეფობისა ამის წარმავალისა საქმე ითხოვო, ვიდრე ზოგადმდეცა მეფობისა (რამეთუ ესრეთ ეფუცა, ვითარცა მარკოზ იტყვს<sup>1</sup>), ხოლო თავი იოვანე ნათლისმცემელისაჲ უაღრეს ყოველთა მეფობათა ქუეყანისათა არს, არცა ერთი აქუს უკუე სათხოველსა მაგას, ჰ ქალო, ფიცსა მას შინა ჩემსა ზიარებად, რადთამცა შენ ძლით მოვანე ჩემ ზედა რისხვად ღმრთისაჲ. რად არა სთქუ, უშჯულოვო, ვითარმედ: ფასად როკვისა საფასე აღგითქვ ანუ სამკაული ოქროსა და ვეცხლისა და პორფირისაჲ, არა თუ თავი ნათლისმცემელისაჲ?

არა გესწავა, რად-იგი აქაბს შეემთხვა მოკლვითა ლიტონისა და უნდოხსა კაცისაჲთა? ვითარ უკუე შენ, უკეთურო, არა შეიკდიმე მოკლვად ანგელოზი იგი ქუეყანისაჲ და კაცი ზეცისაჲ, მოქალაქე იგი უდაბნოხსაჲ, შობილი ხარებთა გაბრიელისითა და ალზრდილი უცხოთა და საკვრველითა ზრდილობითა და აღმასრულებელი მოქალაქობისა მის ანგელოზთაჲსა ქუეყანასა ზედა და მოვლინებული ქადაგებად წინაშე პირსა მეუფისასა, ჴმად იგი ღალადებისაჲ უდაბნოსა ზედა და მასწავლელი სინანულისაჲ, წინამორბედი და ნათლისმცემელი ქრისტესი, უზემთაესი შორის ნაშობთა დედათაჲსა და უმეტესი ყოველთა წინაღმარმეტყუელთა და მართალთა?

ნუუკუე უმეცარ იყავა ამას ესევითარსა? ნუ იყოფინ! ამისთვისცა გეშინოდა მისგან და იცოდე, რამეთუ კაცი მართალი და წმიდაჲ არს, არამედ მონებამან გულისთქუმისა ბილნისამან ყოველივე დაგავიწყა.

საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ორგულეებით იყო მწუხარებაჲ ეგე შენი და კაცთა სახილველად, და არა იყო შენ თანა ჭეშმარიტებაჲ. ამისთვისცა მეინაჯეთა მათ შენთა რიდობაჲ მიზეზად უშჯულოებისა შენისა მოიგე. ვითარ უძვრესისა მისთვის არა დაერიდე, უკუეთუ მონამედ ცრუდ ფიცისა გეშინოდა ქონებად მთავარნი იგი და ათასისთავნი და აზნაურნი გალილეაჲსანი? არა უფროხსად შიში ჯერ-იყო, ნუუკუე შემწამებელ შენდა იყვნენ კაცის-კლვისა ესრეთ უშჯულოხსა და შესაძრწუნებელისა?

თქუ შენცა, ჰ ასპიტთა და იქედნეთა უმძვნვარესო ჰეროდია, რადსათვის აბირე იქედნეთა მსგავსად შობილი იგი შენგან ქალი ბოროტი თხოვად თავი ნათლისმცემელისაჲ, რომელ ამხილებდა ჰეროდეს გინებისა შენისათვის, რადთამცა გამოგიწხნა ბილნებისა მისგან? ამისთვის ისწრაფეა მოკლვად

<sup>1</sup> შდრ. მარკ. 6, 23.

მისა, რომლისათვის თაყუანის-ცემად გიღირდა და დიდებდა? ამისთვის ემტერებია და მახეთა დაურწყავ და ითხოვ თხოვასა საქმეაკოსა? განამართლე გარდარეულითა მაგით უკეთურებითა დაა იგი შენი იეზაბელ და ყოველნი უღმრთოებასა ზედა სახელგანთქუმულნი. ხოლო ან რა იქმნა, ირგე რადა საქმისა ამისგან? დაჰფარეა უშჯულოება მრუშებისა შენისა? დაადუმეა ენა ნათლისმცემელისა? არღარავინ არსა მამხილებელი შენი? ნუ იყოფინ! ცუდ იქმნა ღონე შენი; წარწყმდა სასოება შენი; ამაო არს ღონის-ძიება შენი. რავდენ ჰგონებდი დაფარვად სიძვისა შენისა, უმეტესად გამოაცხადე; რავდენ გენება დამალვად და უცნაურ-ყოფად უშჯულოებისა შენისა, ეგოდენ თესლითი თესლადმდე ჰქადაგე იგი და საცნაურ-ჰყავ. ვაა სულისა შენისა, რამეთუ ბოროტი იზრახე.

ხოლო ვინაფთგან მრავალნი უმეცარ არიან საქმესა მას, რომლისათვის იქმნა მოკლვად იოვანესი, ჯერ-მიჩს იგი თქუმად, რაფთა უწყოდით, თუ რომელი შჯული დათრგუნა ჰეროდე, და ამხილებდა მას იოვანე.

განწესებულ იყო შჯულსა შინა მოსესსა, რაფთა უკუეთუ მოკუდეს ვინ უშვილოდ, შეირთოს ცოლი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თქსსა, რაფთა არა დავარდეს სახლი მისი; და შვილი, რომელი ესკს, დაღაცათუ ბუნებით ცოცხლისა მის ძმისა არნ, არამედ შჯულისაგან მიცვალბულისა მის ძმისა იყო; ხოლო უკუეთუმცა ესუა შვილი, არღარა შესაძლებელ იყო, რაფთამცა ძმამან ძმისცოლი შეირთო. ვინაფთგან უკუე მოკუდა ფილიპე, ძმად იგი ჰეროდესი, და დაუტევა შვილი ცოლსა თქსსა, არა ეგებოდა, რაფთამცა შეირთო იგი ჰეროდე; გარნა მან, ბორგნეულმან და განცოფებულმან მძლავრებისაგან გულისთქუმათაფსა, არა ჰრიდა ქორწინება მისი, უფროფსლა ვთქუა, თუ მრუშება მისი, რამეთუ საქმე იგი არა იყო ქორწინება, არამედ მრუშება. ამისთვის აბრალებს მას იოვანე და ამხილებს კადნიერებით: „არა ჯერ-არსო შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად“. ხოლო იგი ამისთვის ემტერებოდა და უნდა მოკლვად მისი, არამედ ერისაგან ეშინოდა. გარნა საპყრობილედ შეაყენა. ეჰა საკვრველი! რომლისაღა საქმისათვის იკადრა ნათლისმცემელისა შებორკილებად და შეყენებად საპყრობილესა! და ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდესნი, რამეთუ მაშინ დღესასწაულად აქუნდა კაცად-კაცადსა დღე შობისა თქსისა, ამისთვის ჰეროდეცა სერი უმზადა მთავართა მისთა. და რაჟამს-იგი განლიგნეს მთრვალობითა, და გონებისა თუალნი მათნი დაბნელებულ იყვნეს, და წინამძღურად სერისა მის წარმოჯდომილ იყო ეშმაკი, მაშინ შევიდა ქალი იგი, რომლისა ძლით უშჯულო იყო ქორწინება დედისა მისისა, და როკვიდა უმეტესად განქიქებად მრუშებისა მის დედისა თქსისა.

ისმინეთ, დედანო, რომელნი იკადრებთ დათრგუნვად წესთა ბუნებისათა და განაგდებთ შიშსა ღმრთისასა და სირცხვლსა კაცთასა და ჰროკავთ უნესობით. იხილეთ, ვის მიემსგავსებით ანუ ვის ჰბაძავთ, უშჯულოსა მას ქალსა ჰეროდიადსა.



ისმინეთ თქუენცა, მამანო, რომელნი-ეგე სერობათა მათ მთრვალო-ბისათა მბრწყინვალედ განანყობთ და სახიობითა და მგოსნებითა განსცხრებით. იხილეთ, ვისი საქმე გიპყრიეს ანუ ვისნი მობაძავნი ხართ, და გეშინოდენ, ნუჟუკუე მთხრებლსა ეშმაკისასა შთაჰვარდეთ, ვითარცა მაშინ უღმრთოდ იგი ჰეროდე. რამეთუ ისმინეთ, რასა იტყვს მარკოზ სახარებასა შინა თვსსა: „შევიდა ასული ჰეროდიაჲსი და როკვიდაო; და სთნდა ჰეროდეს და მის თანა მინაწეთა. და ჰრქუა ჰეროდე მეფემან ქალსა მას: მთხოვე, რაჲცა გინებს, და მიგცე შენ, ვიდრე ზოგადმდე სამეუფოჲსა ჩემისა“. <sup>1</sup> არა მეფე იყო პატივით, არამედ ოთხთა სამთავროთა მთავარი, გარნა ჳელმწიფებისა მისისათჳს ერნი იგი მისნი და აზნაურნი მეფედ ეტყოდეს მას. ესრეთ ტყუექმნილ იყო ვნებისაგან უბადრუკი იგი, რომელ როკვისათჳს ნახევარი მეფობისა თვსისაჲ აღუთქუა. ხოლო ანცა მრავალნი უგუნურთაგან შემდგომად ესოდენისა ამის მოძღურებისა სულთაცა თვსთა მზა არიან მიცემად, გულისთქუმათაგან ბოროტთა ტყუექმნულნი. რამეთუ ითრევს მათ ვნებაჲ იგი, ვითარცა მგელმან შეიპყრის რაჲ საცხოვარი და წართრევენ სადარნოდ თვსად, ვითარცა-იგი მაშინ შეხუდა ცნობამიღებულსა მას და ორითა საცთურითა შეპყრობილ იქმნა: თავი თვსი შეკრა ფიცითა და ბორგნეული იგი ყო ჳელმწიფე მეფობასა ზედა თვსსა. ხოლო რაჟამს-იგი ბირებითა მემრუშისა მის დედისაჲთა მოითხოვა ურცხვნომან მან თავი ნათლისმცემელისაჲ, არა შეძრწუნდა მონაჲ იგი ვნებათაჲ და არა მეფე, არცა შეჰრისხნა მას თუალითა მკსინვართა, არამედ წადიერებით წარავლინა და მოჰკუეთა თავი იგი თავისა მის წინაჲსწარმეტყუელთაჲსა; და არცალა თუ დღისა მისგან შეიკდიმა, რამეთუ ჯერ-იყო მადლობისა შეწირვაჲ ღმრთისა, რომელ მას დღესა იხილა ნათელი და გამოვიდა საშოჲსაგან დედისა; ჯერ-იყო ჰყრობილთა განტევებად, ხოლო მან მოკლვაჲ იგი წინამორბედისაჲ განიზრახა დღესა მას შობისა თვსისასა. ჰ ბოროტი იგი დღესასწაული, რომელი მან აღასრულა! რამეთუ სთნდა მას როკვაჲ იგი მის ქალისაჲ, „რომლისაგან ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა ითხოვოს. ხოლო იგი ბირებულ იყო დედისაგან თვსისა და ჰრქუა: მომეც აქა ლანკნითა თავი იოვანე ნათლისმცემელისაჲ“. ასწავა ასპიტმან იქედნესა მას განფენაჲ გესლისა მის სასტიკისაჲ; რამეთუ რაჲმცა იყო ამის გესლისა უბოროტეს? მოკლვაჲ იოვანესი ითხოვა ნიჭად, თავი წინამორბედისაჲ ძებნა ფასად როკვისა, და ესე წინაშე პირსა ერისასა. ურიდად და ურცხვნოდ შევიდა ქალი იგი მეფისა, და თანაჰყვა ეშმაკი წინამავალად და მეტყუელად, რამეთუ მან განუმარჯუა მას როკვაჲ იგი, მან სათნო-უჩინა ჰეროდეს, მან აფიცა მას, მანვე დაარწმუნა თხოვისა მის აღსრულებად ჭეშმარიტად. სადა როკვაჲ არს, მუნცა ეშმაკი იქცევის. იგი აროკვებს მროკველთა, იგი აჰამებს მხედველთა, იგი არს წინამძღუარი

<sup>1</sup> მარკ. 6,22-23.

და მოძღვარი ესევეთართა საქმეთად, და მოქმედნი მათნი მსახურნი მისნი არიან.

იხილეთ, თხოვად იგი ვითარი არს? „მომეც აქა ლანკნითა თავი იოვანესი, ნათლისმცემელისაჲ“. ჰხედავა განქიქებულსა მას, ჰხედავა ბორგნეულსა მას, ჰხედავა მონაფესა მას ეშმაკისასა? პატივსა მისსა ავსენებს და ნათლისმცემელად სახელ-სდებს და არცა ეგრეთ მოვალს ცნობად, არცა ძრწის თავისა მისისა თხოვად, არამედ ვითარცა ჭამადსა რასმე, ესრეთ ითხოვს წმიდასა მას და სანატრელსა თავსა ლანკნითა მოღებად. არა თუ მიზეზი რამე თქუა სიკუდილისა მისისაჲ, რამეთუ ვერრას ჰპოებდა, არამედ ესრეთ ცუდად ითხოვა თავი მისი. არა თქუა, თუ: მოიყვანე აქა და მოკალ, რამეთუ ერისაგანცა ეშინოდა და ენისა მისგან ღმრთისმეტყუელისა ძრწოდა და წმისა მისისა სმენად ვერ თავს-იდებდა. ამისთვის თქუა: „მომეც მე აქა ლანკნითა თავი იოვანესი, ნათლისმცემელისაჲ“, რამეთუ მსურის ხილვად ენაჲ იგი დადუმებული და წმაჲ იგი დაცხრომილი. მომეც აქა ლანკნითა თავი იგი მამხილებელი ჩუენი, რადთა ვახარო დედასა ჩემსა და მივართუა ძღუნად საძიებელად.

„და შე-ლათუ-წუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთვის და მის თანა მეინაწეთა ბრძანა მიცემად იგი მას“. უკუეთუმცა შეწუხნა, არამცა ექმნა, არამედ ნებაჲ გულისა მისისაჲ პირველითგან ესე იყო, გარნა ერისა მისთვის ვერ იკადრებდა. ხოლო მაშინ, პოვა რაჲ მიზეზი ფიცისა მისთვის, მწუხარებასა იჩემებდა და რეცა ფიცისათვის ნებაჲ ბოროტისა მის გულისა თვისსაჲ აღასრულა.

„და მიავლინა და მოჰკუეთა თავი იოვანესი საპყრობილესა შინა. და მოართუეს თავი მისი ლანკნითა და მისცეს ქალსა მას“. ხოლო ღმერთმან თავს-იდვა ესე. ეჰა საკვრველი! არცა მეხის-ტეხად მიავლინა ზეცით და ცოცხლივ განგალნა უღმრთონი იგი, არცა ცეცხლი მოჰფინა და დაწუნა პირნი იგი ურცხვნონი, არცა ქუეყანასა უბრძანა განღებად პირი თვისი და უშჯულოჲ იგი კრებული და მესუმურნი იგი განლაღებულნი შთანთქმად უფსკრულთა ქუესკნელისათა, რადთამცა მართალი იგი და წმიდაჲ უმეტესად იდიდა და ყოველთავე უჯეროდ მიმძღავრებულთა აქუნდამცა ნუგეშინისსაცემელად.

## სწავლად მც

### პატიოსნისა მის თავისათვის ნათლისმცემელისა; და რადთა ვივლტოდით მემღერთაგან და მსახიობელთა

ისმინეთ, რომელნი-ეგე სინმიდით სცხონდებით და კაცთა მიერ უკეთურთა მრავალი ჭირი შეგემთხუევის, და ნუ გიკვრს და იტყვთ: რადსათვის ღმერთი თავს-იდებს ამას? გულისწმა-ყავთ, რამეთუ მაშინცა თავს-იდვა

მეუდაბნოვსა მისთვის, შემოსილისა სამოსლითა თმისადათა და მორცყმულითა სარცყლითა ტყავისადათა, წინაფსწარმეტყუელისა და წინაფსწარმეტყუელთა უმეტესისა, რომლისათვის წამა ქრისტემან, ვითარმედ: „არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათადასა უფროვს იოვანესა ნათლისმცემელისა“.<sup>1</sup>

ამისი თავს-იდვა ჰეროდესგან შეპყრობა და შებორკილება და ქალისა მიერ, შეგინებულისა მეძვისა, წარკუეთად თავისა და არარად მოაწია მაშინ მათ ზედა, რადთა ყოველივე მას საუკუნესა მიეცადოს. ამას იგონებდით და ყოველსავე ახოვნად თავს-იდებდით. რამეთუ მაშინ რავდენცა სუროდა უშჯულოსა მას მეძავსა შურის-გებად იოვანესი, ესოდენცა ექმნა, და გულისწყრომად თვისი განაძლო უსამართლოდ და უშჯულოდ. არა თუ მისდა ემხილა იოვანეს, არამედ ჰეროდეს ამხილებდა, ხოლო იგი შეინუებოდა, რამეთუ ეშინოდა, ნუუკუე უსმინოს ჰეროდე და განეშოროს მას. ამის უჯეროსა ტრფიალებისათვის სირცხვლეულ-ყო თვისიცა სული და ასულისადაცა და ქმარიცა იგი წარსრული და მეორეცა იგი, მემრუშე, ვითარმცა ეტყოდა ნათლისმცემელსა, ვითარმედ: უკუეთუ მნუხარე ხარ მრუშებისათვის ჰეროდესა, მე ვყო იგი კაცისმკლველცა, და უფროვსდა შენდა მკლველ ვყო, მამხილებელი ჩუენო.

ამისთვისცა დღესა მას სიხარულისა ჰეროდესსა მიავლინა ასული თვისი როკვად. სთნდა გონებაცთომილსა მას და სათხოველი წინაუყო ფიცითა. ჰგონებდა, თუ შემსგავსებული რადმე სერობისა მის და სიხარულისა ითხოვოს, მბრწყინვალე რადმე და სახარულევანი, და არა თუ თავი წინამორბედისა. ამისთვის სცთა უგუჟური, გარნა არარად ამათგანი ერგოს მას მიზეზად, რამეთუ დაღაცათუ ბოროტმან მან ქალმან, ბირებულმან მწეცისა მისგან მძვნვარისა, მწეცებრივი ითხოვა სათხოველი, მისდა არა ჯერ-იყო ყოვლადვე სმენად, არამედ რისხვით განდევნად.

რამეთუ ვითარმცა ვინ თავს-იდვა პატიოსნისა მის თავისა, სისხლითა შებლალულისა, ხილვად ტაბლასა ზედა სიხარულისასა? გარნა უშჯულომან ჰეროდე არარად შეჰრაცხა საქმე ესე, არამედ ირჩია განრისხებად ღმრთისა და წარწყმედად სულისა თვისისა და მომადლება დედაკაცისა მის ბილწისა ასულითურთ მისით. ხოლო მან მედგარმან მიილო რად თავი იგი ანგელოზთა მიერ დიდებული, არა შეძრუნდა, არცა შეეძვა ზრზოლად ძუალთა მისთა, არა დაეცნნეს ნანევარნი ჳელთანი, არამედ იხარებდა, ვითარმცა დაეფარა მიერიტგან საქმე იგი მრუშებისა მისისა, და არა იცოდა, ვითარმედ უმეტესად ღალადებდეს მიერიტგან იოვანე; რამეთუ უკუეთუმცა მამხილებელი იგი არა მოეკლა, არამცა ესრეთ კიდეთა ქუეყანისათა განსმენილ იყო მრუშებისა მისისა ცოდვად.

რამეთუ ოდეს იგი საპყრობილედ შეაყენეს, არარად თქუეს მოციქულთა, არცა ბრალობად იგი მემრუშისა მის გამოაცხადეს, ხოლო ვინადგან

<sup>1</sup> მათ. 11,11.

მოკლეს მათ იოვანე, მერმე აიძულა მახარებელი საქმემან თქუმად ყოვლისავე, რადთა არავინ თქუას, თუ ცთომისა რადსათჳსმე ანუ უნესობისა მოიკლა იოვანე. ამისთჳს აღწერეს მიზეზი მოკლვისა მისისად.

ან უკუე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ცოდვასა რავდენცა ვინ ისწრაფდეს სხვთა ცოდვითა დაფარვად, უმეტესად განაცხადებს მას, რამეთუ ცოდვად არა შეძინებითა ცოდვისადთა დაიფარვის, არამედ სინანულითა და აღსაარებითა.

ხოლო იხილე მახარებელი, ვითარ უბრალობელად წარმოიტყვს საქმესა მას და, რავდენცა შესაძლებელ არს, აღასუბუქებსცა სიტყვთა თჳსითა სიმძიმესა მას საქმისასა. ჰეროდესთჳს თქუა: „შენუხნაო მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთჳს და მის თანა მენაწეთა ბრძანა მიცემად იგი მას“; ხოლო ქალისა მისთჳს – „ბირებულ იყოო დედისაგან თჳსისა“ და მიაართუა თავი იგი დედასაო, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: მისი მცნებად და შეთუალულობად აღასრულა. რამეთუ ყოველნი წმიდანი უფროდსად მათ სწყალობენ, რომელნი ბოროტისმყოფელ ვიეთმე ექმნენ, რამეთუ იცინან, ვითარსა სატანჯველსა მიმავალ არიან. მაშინ უკუე არა თუ იოვანეს რადმე ევნო. ნუ იყოფინ! არამედ მოქმედთა მათ ბოროტისათა ევნო და წარწყმდეს. ეგრეთვე ჩუენცა ვიქმოდით, ძმანო, და ნუ ზედადაუჭდებით ცოდვათა მოყუსისათა, არამედ რავდენცა შესაძლებელ იყოს, განვაქარვებდეთ მას და დავფარვიდეთ, რამეთუ მახარებელი უშჯულოთა მათ საქმესა რად წარმოიტყოდა, რავდენცა ეგებოდა, აღასუბუქა. არა თქუა, თუ: ბირებულ იყო მემრუშისა მისგან ბილნისა, არამედ: „ბირებულ იყო დედისაგანო“. ყოველივე კეთილისა სიტყვთა ისწრაფა შეწყობად, რამეთუ წმიდანი მარადის იგლოვენ ცოდვილთათჳს და არა ესრეთ იქმან, ვითარ-ესე ჩუენ: მაბრალობელ და შემასმენელ და მაგინებელ ვართ ძმათა და მოყუასთა ჩუენტა, უკუეთუ მცირესა რასმე ცთომასა ვპოვნეთ.

არამედ ვისწავოთ ჩუენცა წესი სულიერი და ვსტიროდით ჰეროდეს და ყოველთა მსგავსთა მისთა და მობაძავთა ჰეროდიადსთა, რამეთუ ანცა მრავალნი ესევითარნი მოსუმურობანი და სილოდანი იქმნებიან. დალაცათუ არა იოვანე მოიკლვის, არამედ ქრისტჳ განრისხნების, რამეთუ არა თავსა ითხოვენ ლანკლითა აწინდელნი ესე მროკველნი, არამედ სულთა მათ მენაწეთასა მიიღებენ და მიაართუმენ ძღუნად ეშმაკსა.

რამეთუ ოდეს გულისთქუმანი ბოროტნი შთაუღესნენ და ტრფიალებად ბოროტად აღაზრზენენ, არა თავთა მოჰკუეთენ, არამედ სულთა მათთა მოჰკლვენ. ან უკუე, კაცო, ევლტოდე მემრუშეთა და მროკველთა ხედვად, რამეთუ დალაცათუ არა არს ასული ჰეროდიადისი, არამედ რომელი იგი მაშინ როკვიდა მის თანა, ეშმაკი, ანცა მროკველთა შორის როკავს და სულთა მათ მენაწეთასა ტყუედ წარიყვანებს და წარვალს. და არა სიძვად ხოლო, არამედ სხუანიცა ყოველნი ბოროტნი ესევითართა მათ სერობათა შინა აღესრულებიან: უწყალოებანი და ანგაჰრებანი და მოხუეჭანი გლა-

ხაკთან და უშუერნი ლაღობანი და მტაცებლობანი და ცილფიცობანი და სხუანი ყოველნი ბოროტნი. დაღაცათუ სიძვაჲ არა შეემთხვოს მუნ შეკრებულთა, არცა გულისთქუჲმად აღიძრნენ, რომელ-ესე შეუძლებელ არს, გარნა სხუათა ამათ ბოროტთა არა თანანარჰვდებიან. ისმინე, ვითარ თჳნიერ ამათცა საქმეთა აბრალეზს წინაღსნარმეტყუელი ესევითარისა მოქმედთა და იტყვს: „ვაჲ, რომელნი აღდგიან განთიად და თაფლუჴსა წდევედ, რომელნი დადგიან მწუხრადმდე, რამეთუ ღვწომან შეწუნის იგინი. რამეთუ ებნითა და ქნართა და ბოზლნითა და ნესტუთა ღვწოსა სუმენ და საქმეთა უფლისათა არა ხედვენ. ვაჲ ძლიერთა თქუენთა, რომელნი ღვწოსა სუმენ, და მძღავრნი თქუენნი, რომელნი ინდევენ თაფლუჴსა“.<sup>1</sup> ჰხედავა, ვითარ შუეზასა ხოლო და მთრვალობასა შეასმენს, დაღაცათუ სიძვაჲ არა თანაჰყვებოდის? და ჴემმარიტად დიდად საბრალობელ არს, ოდეს შენ, კაცო, თითოფერთა სანოვაგითა განსძლებოდი, ხოლო ქრისტეს არცა თუ პურსა მისცემდე; ოდეს შენ სუმიდე ღვწოსა თასურსა და მას არცა გრილსა წყალსა ასუმიდე; ოდეს შენ სწვე საგებელთა ზედა დიდფასისათა და მას დაუტეობდე ყინელთა შინა განცივებად.

ან უკუე საცნაურ არს, ვითარმედ სადილობანი იგი და სერობანი და ღვწის-სუმანი და მთრვალობანი დაღაცათუ შორს იყვნენ სიძვისაგანცა და ანგაჰრებისა, თავით თჳსით მეზრ სავენებელ არიან, რამეთუ შენ იშუებ და გლახაკსა, რომელ არს ქრისტჳ, შეურაცხ-ჰყოფ. ამისთჳს ვეტყვ არა მათ, რომელნი მეძავთა შემოიყვანებენ ტაბლად თჳსად, რამეთუ არა არს ჩემი მათა მიმართ სიტყუაჲ, ვითარ-იგი ძალთა მიმართ არა არს, არცა მათა მიმართ არს, რომელნი მტაცებლობით და ანგაჰრებით იშუებენ, რამეთუ იგინიცა ღორთა და მგელთა მიმსგავსებულ არიან, არამედ მათ ვეტყვ, რომელნი თჳსითა ნაქონებითა მამულითა იშუებენ და განსცხრებიან, ვითარმედ არცა იგინი თავისუფალ არიან საშჯელისაგან.

ან უკუე ისმინე ჩემი, კაცო, რომელი ესევითართა შუებითა სცხონდები ქუეყანასა ზედა: განიშორენ მემღერნი და მოკიცხარნი და მღალღობელნი ტაბლისაგან შენისა და ყავ ქრისტჳ პურისმტე და თანამეინაჲედ შენდა. უკუეთუ იყოს იგი მარადის პურისმტე შენი, სახიერ გექმნეს, ოდეს განგიკითხვიდეს. ავაზაკნიცა სახიერ ექმნიან პურისმტეთა თჳსთა, რავდენ უფროჲს მეუფე იგი ტკბილი? ნუ გლახაკსა მას განიცდი, რომელ სამოსლითა ხენეშითა და დაბებკულითა მოვალს ტაბლად შენდა, არამედ გულისჴმა-ყავ, ვითარმედ მის ძლით ქრისტჳ გესტუმრების, და სიხარულით შეინყნარე, ხოლო მემღერთა და მსახიობელთა და მოკიცხართა ფრიად განემორე, რამეთუ არარაჲ კეთილი მათგან მოგეტყუების, არამედ წარწყმედაჲ სულისაჲ უფროჲსლა. უკუეთუ ძალ-გიც, ამცენ ესევითარისა მოქმედთა, რათა არღარა ესრეთ იქცეოდინ, რამეთუ არცა ჳორციელად სარ-

<sup>1</sup> ესაია 5, 11-12, 22.

გებელ ვისამე არიან, არცა სულიერად, არამედ ორკერძოვე მავნებელ და წარმწყმედელ. ხოლო შენ შეუდეგ სიყუარულსა, სახიერებასა, მონყალე-ბასა, იქმოდე ქველისსაქმესა თვისითაცა ჴელითა და სარწმუნოთაცა კაცთა შენთადათა; ჰმსახურებდ უძღურთა, შეინყნარენ უცხონი, ჴელისამპყრობელ ექმენ ჭირვეულთა, მიავლინე საპყრობილედ, ნუგეშინის-ეც მუნ შეყენე-ბულთაცა, შეიყვანენ სახიდ შენდა მონაზონნი, დაუგე ტაბლად, დაჰბანენ ფერჴნი, ითხოვე ლოცვად. ესრეთ თუ იქმოდი, იქმნეს სახლი შენი ეკლესია და არა სამგოსნო, ივლტოდის მიერ ეშმაკი და ქრისტჴ გესტუმროს კრე-ბულითურთ ანგელოზთადათ, რამეთუ სადა ქრისტჴ არს, მუნცა ანგელოზ-ნი გარემოუდგან; სადა ქრისტჴ არს, მუნ ნათელი ბრწყინავს მიუაჩრდი-ლებელი. ან უკუე ქრისტჴ შევიწყნაროთ გლახაკთა მიერ, ძმანო, ქრისტჴ ვისტუმროთ, ქრისტჴ შევიმოსოთ, ქრისტჴ იყავნ პურისმტე ჩუენი, რადათა ღირს-მყვენს სასუფეველსა ცათასა მკჴდრ-ყოფად და ჴმად იგი კურთხევი-სად გუასმინოს, რამეთუ მისი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

## თავი 30

სიტყუად ესე: „**ესმა რად ესე იესუს, განეშორა მიერ ნავითა და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თვსაგან. და ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდა მას მკვრცხლ ქალაქებისაგან**“ (14,13).

იხილეთლა, ვითარ ოდეს ესევეთარი რადმე იქმნის, წარვიდის მიერ ადგილით. რამეთუ აჰა ესერა აღიღეს რად მონაფეთა იოვანესთა გუამი მისი და დაჰფლეს იგი და მოვიდეს, უთხრეს იესუს, განეშორა მიერ და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა; და კუალად, „ოდეს ესმა, ვითარმედ იოვანე მიეცა საპყრობილედ, განეშორა მიერო და წარვიდა გალილევად“;<sup>1</sup> და კუალად, იოვანეს თავსა წერილ არს: „ვითარცა გულისჯმა-ყო უფალმან, რამეთუ ესმა ფარისეველთა, ვითარმედ იესუს უმრავლესნი მონაფენი უსხენ და ნათელ-სცემს, ვიდრე იოვანეს, დაუტევა ჰურიასტანი და წარვიდა გალილევად“.<sup>2</sup> ესე ამისთვის, რამეთუ უმრავლესთა საქმეთა მისთა კაცობრივისაებრ გონებისა და წესისა აღსრულებად ენება, რამეთუ არღა მონევენულ იყო ჟამი გამოცხადებად ღმრთეებისა მისისა. ამისთვის მონაფეთაცა ეტყოდა არა თქუამად, ვითარმედ იგი არს ქრისტე, რამეთუ შემდგომად აღდგომისა ენება ცხადად ქადაგებად და გამოჩინებად ამის საიდუმლოვსა.

ხოლო წარ-რად-ვიდა მიერ, არა მივიდა ქალაქად, არამედ უდაბნოსა ადგილსა ნავითა, რადთა არავინ შეუდგეს მას. ხოლო იხილეთ მონაფეთაცა იოვანესთა საქმე, ვითარ აწღა მიივლტოდეს ქრისტესა, და მათ მიუთხრეს სიკუდილი იოვანესი, რამეთუ სარგებელ სადმე ყოფილ იყო მათდა ზემონერილი იგი სწავლად, ოდეს მიავლინნა იგინი იოვანე საპყრობილით იესუსა. ამისთვის, მო-რად-ინია განსაცდელი იგი მოკლვისა მისისა, მოვიდეს და აუნყეს უფალსა, და მაშინღა წარვიდა. არა თუ პირველ თხრობისა მათისა არა იცოდა, არამედ ამით ყოვლითა დაამტკიცებდა კაცობრივისა ბუნებისა მისისა ჭეშმარიტებასა, რამეთუ იცოდა უკეთურებად ეშმაკისა, ვითარმედ მრავალი მოსწრაფებად შემოღებად ედვა ამის საიდუმლოვსა ურწმუნო-ყოფად. თავადი უკუე ამის ესევეთარისა ჯერისათვის წარვიდა, ხოლო ერნი იგი არავე მოსწყდეს მას, რამეთუ ღმრთივშუენიერებანი საქმეთა და სიტყუათა მისთანი ფრთოან-ჰყოფდეს სულთა მათ, რომელნი არა ფრიადითა უკეთურებითა დამძიმებულ იყვნეს. ამისთვისცა მისაგებელი კეთილი მიიღეს.

სახარებად: „**და გამოვიდა იესუ და იხილა მრავალი ერი და შეენყალნეს იგინი და განკურნა სნეულნი მათნი**“ (14,14).

თარგმანი: დაღაცათუ მათ ფრიადი აჩუენეს გულსმოდგინებად ძიებისა მისისა, არამედ მისნი იგი მისაგებელნი ფრიად უალრეს და უზე-

<sup>1</sup> მათ. 4,12.      <sup>2</sup> იოან. 4,1,3.

შთაეს იყვნეს. ამისთვისცა მიზეზად კურნებისა მის წყალობად თქუა მახარებელმან, წყალობად სახიერებისაჲ. და განკურნა სნეულნი მათნი და არავისგან ძებნა სარწმუნოებაჲ. რამეთუ დატევებაჲ იგი ქალაქთა მათთაჲ და ძიებაჲ მისი და სიყმილისაცა უგულბელს-ყოფად მის თანა ყოფისათჳს – ესე ყოველი სარწმუნოებასა მოასწავებდა. ამისთვისცა ეგულბების უფალსა გამოზრდაცა მათი, არამედ მიელის, რადთა სხუანი ევედრნენ მას და მოაწსენონ საქმე ესე. რამეთუ, ვითარცა ზემო ვთქუ, არა ენება თავით თჳსით ზედამისლვად სასწაულთა საქმედ, არამედ რადთა სხუათა მიერ ინოდებოდის. ხოლო არავინ ერისა მისგან მოაწსენა მას ნაკლულევანებაჲ იგი საზრდელისაჲ, რამეთუ ერიდებოდეს ფრიად, რომელნი მაშინ მუნ იყვნეს. და არა იყო მუნ ურცხვნოთა და გამომცდელთაგანი ვინმე, არამედ ესევეითარნი შეკრებულ იყვნეს, რავდენნი ნადიერებითა ხილვისა მისისაჲთა არცა თუ ჭამისათჳს ზრუნვიდეს. და მოწაფეთაცა არავე ჰრქუეს, თუ: გამოზარდე ერი ესე, რამეთუ არა აქუს ჭამადი; რამეთუ ჯერეთ უმეცარ იყვნეს. ამისთვისცა ესრეთ იტყჳს მახარებელი:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ო :** „და ვითარცა შემწუხრდა, მოუწდეს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი გარდასრულ არს; განუტევე ერი ესე, რადთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და იყიდონ თავისა თჳსისა საზრდელი. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა უწმს მათ წარსლვად; თქუენ ეცით მაგათ ჭამადი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არა გუაქუს აქა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი. ჰრქუა მათ იესუ: მომართუთ მე იგი აქა! და უბრძანა ერსა მას დასხდომად თივასა ზედა. და მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხნა, განტეხა და მისცა პური იგი მოწაფეთა თჳსთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას. ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე. ხოლო იყვნეს, რომელთა ჭამეს, მამანი ხოლო ხუთ ათას, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა“ (14,15-21).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** მოწაფენი მისნი დალაცათუ მხილველქმნილ იყვნეს სასწაულთა მრავალთა, გარნა ჯერეთ სრული გულისწმის-ყოფად ძალისა მისისაჲ არა აქუნდა და არა მოელოდეს ესევეითარისა მის სასწაულისა ქმნად, რამეთუ ვითარცა კაცსალა ხედვიდეს, რამეთუ უძღურ იყვნეს გონებითა. ხოლო უფალმანცა არა ჰრქუა, თუ: მე გამოვზარდნი იგინი, არამედ ჰრქუეს რად მათ: „განუტევე ერი ესე, რადთა წარვიდენ და იყიდონ თავისა თჳსისა საზრდელი“, მიუგო: „არა უწმს მათ წარსლვად; თქუენ ეცით მაგათ ჭამადი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არა გუაქუს აქა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი“. რამეთუ უმეცარდა იყვნეს, ვითარცა მარკოზ იტყჳს, ვითარმედ: „ვერ გულისწმა-ყვეს სიტყუად იგი“.<sup>1</sup> ამისთვისცა ჰრქუა უფალმან: „მომარ-

<sup>1</sup> მარკ. 6,52.



თვთ მე იგი აქა!“ რამეთუ დაღაცათუ უდაბნო არს ადგილი ესე, არამედ გამომზრდელი ყოვლისა სოფლისაჲ აქა ვარ; დაღაცათუ ჟამი გარდასრულ არს, არამედ უფალი ესე ჟამთაჲ გიბრძანებ. ხოლო იოვანე იტყვს, ვითარმედ ქრთილისანი იყვნეს პურნი იგი.<sup>1</sup> არა ცუდად გუაუწყებს ამას, არამედ რაჲთა ვისნაოთ მრავალსასყიდლისა ჭამადთა და მრავალფერთა სანოაგეთა შეურაცხებაჲ.

„და მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხნა“, რაჲთა სარწმუნო იქმნას, ვითარმედ მამისაგან არს და ვითარმედ სწორი მისი არს ღმრთეებითა. რამეთუ ამათ ორთა პირთა დამამტკიცებელნი საქმენი ურთიერთას წინააღმდეგომად ჩნდეს; რამეთუ სწორებასა მისსა ჳელმწიფებით ქმნაჲ სასწაულთაჲ გამოაჩინებდა, ხოლო თუ მამისაგან არს, ვითარმცა გულისწამა-ყვნეს, გარნა ამით სახითა ფრიადისა სიმდაბლი-საჲთა, და რომელ-იგი ყოველსა მას მიაჩემებდა და ხადოდა მას სასწაულთა ზედა. ამისთვის არცა ამას ხოლო წესსა აღასრულებდა, არცა მას, არამედ ორსავე იქმოდა: ოდესმე ჳელმწიფებასა აჩუენებდა სასწაულთა ზედა და ოდესმე ილოცვიდა და ესრეთ იქმოდა, რაჲთა არა წინააღმდეგომად ჩნდეს საქმე იგი. ამისთვის უდარესთა სასწაულთა ზედა აღიხილნის ზეცად და უაღრესნი იგი ჳელმწიფებით აღასრულნის, რაჲთა სცნა, ვითარმედ არა თუ უდარესთა მათთვისცა შენევენაჲ ანუ ძალი უწმს მოღებაჲ, არამედ პატივ-ცემისათჳს მამისა იქმს ესრეთ. ამისთვისცა, ოდეს ცოდვანი მიუტევენა და ოდეს სამოთხე განალო და ავაზაკი შეიყვანა და ძუელი იგი შჯული ჳელმწიფებით დაჰწსნა და მკუდარნი აღადგინნა და ზღუასა აღკრ-ასხნა და დაფარულნი კაცთანი გამოაცხადნა და თუალნი ბრმათანი დაჰბადნა, რომელ-ესე ყოველივე ღმრთისა საქმენი არიან და სხვსა არავისნი, არა აჩუენა ლოცვაჲ და ვედრებაჲ; ხოლო ოდეს პურთა ამათ განამრავლებდა, რომელ-ესე ზემოთქუმულთა მათ ფრიად უდარეს იყო, ზეცად აღიხილნა და აკურთხა. ერთად, რაჲთა განგებულებაჲ ესე აღასრულოს, რომელ ვთქუ, და მეორედ, რაჲთა გუასწავოს ჩუენ, რაჲჟამს მივიღებდეთ საზრდელსა, არა დანყებაჲ ჭამად, ვიდრე არა პირველად შევწიროთ მადლობაჲ ღმრთისა, გამომზრდელისა მის ჩუენისა და ქველისმოქმედისა.

ხოლო თქუას თუ ვინმე, ვითარმედ: რაჲსათჳს არაარსისაგან არა ქმნა პური, არამედ პურნი იგი მიიხუნა მიზეზად? – ესე ამისთვის, რაჲთა დაუყოს პირი მარკიანელთა და მანიქეველთაჲ, უღმრთოთა მათ მწვალებელთაჲ, და საქმით გამოაჩინოს, ვითარმედ ყოველნივე ესე ხილულნი უხილავთა თანა მის მიერ ქმნილ არიან და იგი არს მომცემელი ნაყოფთაჲ; რამეთუ მან ბრძანა პირველითგან: „აღმოაცენენ ქუეყანამან მწუანვილი თივისაჲ, სათესავი თესლი, თესლად-თესლადი“;<sup>2</sup> და „გამოიყვანედ წყალთა ქუენარ-მავალი სამშენველთა ცხოველთაჲ“.<sup>3</sup> რამეთუ არარაჲ უდარეს მაშინ ქმნი-

<sup>1</sup> შდრ. იოან. 6,9.

<sup>2</sup> დაბ. 1,11.

<sup>3</sup> დაბ. 1,20.

ლისა მის საკვრველებისა იყო ესე, რამეთუ ვითარცა მაშინ აღმოაცენნა ქუეყანით მცენარენი და გამოიყვანნა წყალთაგან მშვნვიერნი, ეგრეთვე ან ხუთთა პურთაგან და ორთა თევზთა ესოდენი განმრავლება ქმნა, რომელ-ესე სასნაული იყო, ვითარმედ იგი არს მფლობელი და მპყრობელი ცისა და ქუეყანისა და ზღუათაჲ. ხოლო იხილა რაჲ ერი იგი და შეენყალნეს და განკურნნა სნეულნი მათნი, ჯერ-იჩინა ყოველთა ზედაცა ქმნად ამის სასნაულისა, რაჲთა არა მხილველ ოდენ იყვნენ სხუათა ზედა ქმნილთა სასნაულთა, არამედ კაცად-კაცადმან მიიღოს ნიჭი საკვრველებისა მისისაჲ; და რომელ-იგი მამათა მათთა უდაბნოსა ზედა შეუძლებელად შეერაცხა და იტყოდეს: „ველ-ნუ-ინიფოსა ღმერთმან განმზადებად ტაბლად უდაბნოსა?“<sup>1</sup> და კულად იტყოდეს: „პურის-ცემადცა ნუ უძლოსა ღმერთმან, ანუ განმზადებად ტაბლად ერსა თქსსა?“<sup>2</sup> ესევეთარი ესე საკვრველებაჲ ესერა საქმით უჩუენა. ამისთვის უდაბნოდ აღიყვანნა, რაჲთა შეეჭუელ იყოს საქმე იგი და ვერვინ თქუას, თუ მახლობელისა მისგან დაბისა მოიღეს ჭამადი. ამისთვის ადგილსაცა ავსენებს და ჟამსაცა, რამეთუ მწუხრი იყო. და ამასცა ვისწავებთ საქმისა ამისგან, თუ ვითარ ნეტართა მათ მონაფეთა გარენარად და შეურაცხად აქუნდა ჯორციელი ზრუნვაჲ. ამისთვისცა ათორმეტთა ადგილსა უდაბნოსა მიმავალთა სხუად არარაჲ აქუნდა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი; რამეთუ ყოველივე მოსწრაფებაჲ მათი სულიერსა ზედა იყო, და მცირედნიცა იგი პურნი, უბრძანა რაჲ უფალმან მიცემად ერისა მის, გულსმოდგინედ მისცეს და არა თქუეს, თუ: ჩუენ ვინაჲ გამოვიზარდნეთ? რაჲთა ვისწაოთ ჩუენ, დაღაცათუ მცირედი გუაქუნდეს, მის მცირედისაგანცა მიცემაჲ გლახაკთაჲ. რამეთუ რომელმან მაშინ უბრძანა მათ, იგივე არს, რომელი ან გვბრძანებს.

ხოლო ვინაჲთგან გულსმოდგინედ და უდრტვნველად წინაუყვენეს პურნი იგი და თევზნი, უჩუენა უფალმან სასნაული, რომელი აქამომდე არა ეხილვა მათ: „და მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხნა, განტეხა და მისცა პური იგი მონაფეთა თქსთა, და მონაფეთა მათ მისცეს ერსა მას“. რამეთუ ესე ქმნა პატივად მონაფეთა, რაჲთა იგინი იქმნენ განმყოფელ პურისა მის, და კულად, რაჲთა რომელ-იგი თუალითა იხილეს და ველითა თქსითა განუყვეს, ჭეშმარიტებით წამებდენ. ამისთვისცა მათგან მიიხუნა პურნი იგი და თევზნი და მათითა ველითა განუყო, რაჲთა ყოველივე ჭეშმარიტებით იცოდინან მათ. ხოლო რომელ უბრძანა დასხდომად თივასა ზედა, და რომელ არარაჲ დაუგო გარეშე პურისა და თევზისა, და რომელ ყოველთა ერთი ჭამადი მისცა სწორებით, ესე ყოველი მოძღურებაჲ იყო სულიერი, რამეთუ არა ხოლო ჯორცთაჲ უნდა გამოზრდაჲ, არამედ უფროდსად სულთა სწავლაჲ, რაჲთა შეურაცხ-ვეყნეთ ტაბლანი იგი მრავალფასისანი და ბრწყინვალედ დაგებულნი და სიმრავ-

<sup>1</sup> ფსალმ. 77,19.

<sup>2</sup> ფსალმ. 77,20.

ლენი სანოაგეთანი. რამეთუ ძალ-ედვა მეუფესა მას ბუნებათასა ყოველი სანოაგე მინიჭებად მაშინ ერისა მის, გარნა არა ჯერ-იჩინა ესე, არამედ პურითა ხოლო და თევზითა გამოზარდნა. ხოლო ღვინო და სხუანი იგი ჭამადთა სიმრავლენი არცა თუ ავსენა, რამეთუ სასუმლად მათა წყალი იპოებოდა. სიმდაბლისა უკუე და მარხვისა წესიერისა და ჭამადისა ბუნებითისა და სიყუარულისა და ერთობისა სახე იყო მაშინ ტაბლად იგი. ხუთი იგი პური და ორი თევზი დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა; და იგინი განუყოფდეს ერსა, და განმრავლდებოდა პური იგი და თევზი, ვიდრელა განძლა ესოდენი იგი სიმრავლე; და დაშთა ნეშტი, არა პურნი მრთელნი, არამედ ნამუსრევი, რაფთა გამოაჩინოს, ვითარმედ მათ პურთა ნეშტი იყო დაშთომილი იგი, და რაფთა შორიელთაცა ცნან საქმე იგი დიდებული.

„ხოლო აღიღესო ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი“. ამისთვის ათორმეტი, რაფთა იუდასცა ეტკვრთოს ერთი მათგანი სამხილებელად. ძალ-ედვა უკუე უფალსა, რაფთამცა ექმნა ყოვლადვე არა მომშვეად ერისა მის, არამედ რაფთა უმეტესად ცნან ძალი მისი მოწაფეთაცა და ერმანცა, ამისთვის მიუშუა მათ მომშვეად ბუნებითითა წესითა და განაძლნა იგინი პურთა მათგან. ესოდენ უკუე დაუკვრდა ესე პურიათა, ვიდრელა ენება მისი მეფედ ქადაგებად, რომელ ესე სხუათა მათ სასწაულთა ზედა არაოდეს მოიგონეს. ხოლო რომელმან-მე სიტყუამან გამოთარგმანოს, თუ ვითარ აღორძინდებოდეს პურნი იგი, ანუ ვითარ განმრავლდებოდა ნამუსრევი იგი, ვითარ განძლა ხუთთა მათგან ესოდენი იგი ერი? რამეთუ ხუთ ათასნი იყვნეს, თვნიერ ყრმებისა და დედებისა. და ესეცა კეთილთა მისთა სიმრავლემან ქმნა, რომელ დედანიცა და ყრმანი წადიერებით შეუდგეს მას. აღიღეს უკუე ნეშტი ფრიადი; და ესეცა პირველისა მის არა უდარეს არს, რომელ განძლეს და ესოდენი დაუშთა, ვიდრე აღავსეს ათორმეტი გოდორი, რიცხვსაებრ მოწაფეთაჲსა, არცა უმეტეს, არცა უდარეს. დიდება და თაყუანის-ცემად საკვრველთმოქმედსა მას სახიერსა უფალსა.

**სახარებაჲ: „და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა მისლვად ნავსა და წინანარძღუანვად მისა წიაღკერძო, ვიდრემდე განუტეოს ერი იგი“ (14,22).**

თარგმანი: ოდეს ესრეთ უცხო და დიდი სასწაული ქმნის, განემორის ერსა მას, რაფთა გუასწაოს სივლტოლად მარადის დიდებისაგან კაცთაჲსა და არა ძიებად იგი ყოვლადვე. და კუალად ამისთვისცა უბრძანა წარსლვად, რაფთა იხილონ მოწაფეთა არაყოფასაცა მისსა, ვითარ იქმოდა სასწაულთა მათთვის. ხოლო რომელ იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „აიძულნა მოწაფენი“, გამოაჩინებს ფრიადსა მას მათსა მოსწრაფებასა განუშორებელად მისა ყოფად, ვითარმედ უკუეთუმცა არა აეძულნეს, არა სწადოდა ყოვლადვე წარსლვის; არამედ წარავლინნა იგინი მიზეზითა ერისაჲთა. ხოლო უნდა თავადსა მთად აღსლვად, რაფთა ესეცა გუასწაოს: არცა მარადის

აღრევად ერისა თანა, არცა ოდეს ჯერ-იყოს სივლტოლად, არამედ ორისავე ჯეროვნად ქმნად თვისა ჟამსა და წესსა ზედა.

## სწავლად მთ

### რადთა სულიერნი საქმენი გუაქუნდენ შინაგან და ჯორციელნი – გარენარად

ვისნაოთ უკუე ჩუენცა, ძმანო, მარადის განუშორებელ-ყოფად ქრისტესგან, ვისნაოთ მარადის ძიებად მისი, არამედ ნუ ჯორციელთა კეთილთათჳს, რადთა არა ვიყუედრნეთ ჩუენცა, ვითარცა ჰურიანი, რომელთა ჰრქუა: „მეძიებთ მე, არა თუ რამეთუ იხილენით სასნაულნი, არამედ რამეთუ სჭამეთ პურთა მათგან და განსძელით“.<sup>1</sup> ამისთჳს არცა მრავალგზის ქმნა ესე სასნაული, არამედ ორგზის ხოლო, რადთა ასნაოს არა მუცლისა მონებად, არამედ მარადის სულიერთა საქმეთა ძიებად. ან უკუე ჩუენცა განუშორებელ ვიყვნეთ სახიერისა მის მეუფისაგან საქმეთა მიერ კეთილთა, რამეთუ ვითარცა-იგი ბოროტნი საქმენი განმაშორებენ მისგან და იქმნებიან შუაკედელ შორის ჩუენსა და მისა, ეგრეთვე კეთილნი საქმენი განუშორებელ-მყოფენ მისგან და სრულიად მიგუაახლებენ მას.

ან უკუე მისა მიმაახლებელნი საქმენი შევიკრძალნეთ, ძმანო, და ვითხოვდეთ მისგან პურსა მას ზეცისასა და მისი მოღებად გუაქუნდინ სასნადელად, ხოლო ჯორციელნი ესე და სოფლიონი ზრუნვანი ყოველნივე განვიშორნეთ. რამეთუ უკუეთუ მაშინ ერი იგი უმეტარი ესრეთ სურვიელად მისდევდეს უფალსა (დაუტევენეს სახლნი და თჳსნი და ზრუნვანი საქმეთანი და იქცეოდეს მის თანა უდაბნოსა ადგილსა, მშიერნი და ნაკლულეევანნი), ვითარ უფროსად არამცა ჩუენ თანაგუედვა განუშორებელ-ყოფად ქრისტესგან, რომელნი ზიარქმნულ ვართ ტაბლასა მას ცხორებისასა და საიდუმლოთა მათ ზეცისათა.

ჰე, ჭეშმარიტად თანაგუაუც უმეტესისა გულსმოდგინებისა ჩუენებად და სულიერთა საქმეთა ნადიერებით ძიებად, ხოლო ჯორციელისა გარენარად შერაცხვად.

რამეთუ იტყვს უფალი: „ეძიებდით თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“.<sup>2</sup> ხოლო უკუეთუ ჭეშმარიტად დიდნი და საძიებელნი ნიჭნი შეურაცხ-ვეყნეთ და მცირეთა ამათ და უნდოთა ვითხოვდეთ, რომელთა-ესე მომცემელმან მან ყოვლისამან უგულებელს-ყოფად გვბრძანა, დიდი შეგუემთხკოს ჩუენ ზღვევად: ანუ ფრიადისა ამის უგუნურებისა და ურჩებისა ჩუენისათჳს ორისაგანვე დაკლებულ ვიქმნეთ, ანუ თუ მოგუეცეს ცუდი ესე და წარმავალი, საუკუნოხსა მისგან და წარუვალისა ცარიელნი ვიპოვნეთ.

<sup>1</sup> იოან. 6,26.    <sup>2</sup> მათ. 6,33.

ხოლო უკუეთუ საუკუნეთა მათთვის კეთილთა სურვიელ ვიყვნეთ და მათ ვეძიებდეთ და მათ ვითხოვდეთ, ესეცა შეგუეძინოს ჩუენ, რამეთუ ესე მისართავად მათა მიეცემის მორწმუნეთა; ესრეთ უნდო არს და მცირე სა-უკუნესა მას თანა სოფლიოდ ესე კეთილი, რაოდენცა მრავალ იყოს.

ან უკუე ნუ შინაგანადმცა გუაქუს ჯორციელი ესე და წარმავალი, გინა თუ შუებად, გინა თუ დიდებად, გინა თუ საფასენი, გინა თუ სხუად რადმე სოფლისა ამის ამოფსად და განქარვებადთა მათ საქმეთა მისთად. არამედ გუაქუნდინ ესე ვითარე ესე ყოველივე გარენარად, და სწორადმცა შეგვკრაცხიეს მოგებადცა მათი და წარწყმედადცა.

ვითარ იყო ნეტარი იობ? არცა ოდეს აქუნდეს საფასენი და მონაგებ-ნი, შემსჭუალულ იყო მათა გონებად მისი, ანუ დიდად რადმე შეერაცხა, არცა ოდეს-იგი ყოველივე წარწყმიდა, შეშფოთნა ანუ იდრტვნა, არამედ თაყუანის-სცა უფალსა და მადლობად შეწირა. და რად ვიტყვ საფასეთა და მონაგებთა? შვილთა მათლა საყუარელთად ერთბამად მოწყუედად ეს-მა, აღმოთქუა სანატრელი იგი სიტყუად: „უფალმან მომცა, უფალმან მო-მილო; ვითარცა უფალსა ენება, ეგრეთცა იქმნა. იყავნ სახელი უფლისად კურთხეულ უკუნისამდე“.<sup>1</sup> არამედ შვილთათვს წესიერი და ზომითი და ბუნებითი მწუხარებად აჩუენა, რამეთუ „დაიპო სამოსელი თვისი და აღიპარსა თმად თავისა თვისისად და დავარდა ქუეყანასა და დამხედ თა-ყუანი-სცა უფალსა“<sup>2</sup> და მადლობად იგი შეწირა, რადთა ვერვინ თქუას, თუ გულქვად ვინმე იყო. რამეთუ ფრიადცა გულჩჩვლი და ლმობიერი კა-ცი იყო და შვილთა მოყუარე, გარნა უზომოდ ანუ უწესოდ არარად ინე-ბა ქმნად. ხოლო საცხოვართათვს და მონაგებთა არცა თუ შეიკუმინნა, არცა ყოვლადვე შეწუხნა, ესოდენ გარენარად აქუნდეს იგინი. ეგრეთვე ჩუენცა თანაგუაც, საყუარელნო, ყოფად, რადთა ყოველივე საქმე სული-ერი, რომლისა ნაყოფი მერმესა მას საუკუნესა მოისთულებოდის და მომ-გებელსა მას მისსა ახარებდეს, გუაქუნდეს შინაგან და სასურველად და ფრიად საძიებელად, ხოლო რომელნი სანუთროსავე ამას ცხორებასა თა-ნა დაწსნად და წარმავალ არიან, იგინი გარენარად იყვნედ ჩუენდა და შე-ურაცხად. უკუეთუ არა იყვენნ საფასენი და მონაგებნი, ნუმცა მწუხარე ვართ, არამედ ვიხარებდეთ, რამეთუ მრავალთაგან ჭირთა და სალმობა-თა და მწუხარებათა ვიწსნენით. კუალად, უკუეთუ მოგუეცენნ, ნუ შევემ-სჭუალვით მათ და დავემონებით, არამედ ვითარცა მონად მოცემულნი ვიწმარნეთ.

რამეთუ არა თუ ამისთვის მოგუეცემიან საფასენი, რადთა დავფლათ მი-ნასა შინა, ანუ რადთა დავმარხოთ კართა შინა ვშულთა და კლიტეთა განუ-ლებელთა, არამედ რადთა განუყოფდეთ გლახაკთა და კეთილსა უყოფდეთ ჭირვეულთა.

<sup>1</sup> იობ 1,21.

<sup>2</sup> იობ 1,20.

და ვითარცა-იგი თითოეულისა საქმისა და თითოეულისა ჯელოვნებისა წესი განჩინებულ არს, ეგრეთვე სიმდიდრისა საქმე. ესე მიცემულ არს ღმრთისა მიერ და ესე ბრძანებულ არს, რაფთა სწყალობდეს გლახაკთა და ქველისსაქმესა იქმოდის ყოველთა მიმართ, რომლისადაცა რწმუნებულ იყოს სიმდიდრე.

ან უკუე მდიდართა საქმე არა ხუროვნობად არს, ანუ მჭედლობად, ანუ ქსოვად, ანუ ნავისმოქმედობად, ანუ სხუად რაიმე ესევეთარი, არამედ მონყალებად გლახაკთა. ესე მიცემულ არს და განჩინებულ საქმედ მდიდართა.

უკუეთუ ბრძანებულსა ამას ჯელოვნებასა კეთილად იქმოდის ვინ, უაღრეს არს ყოველთა ჯელოვნებათა. ამის ჯელოვნებისა სავაჭროდ ცათა შინა არს. ამისნი ჭურჭელნი არა რკინისა ანუ რვალისაგან შემზადებულ არიან, არამედ სახიერებისაგან და გონებისა კეთილისა.

ამის ჯელოვნებისა მოძღუარი ქრისტე არს თანა მამით და სულით წმიდითურთ, რამეთუ იტყვს: „იყვენით სახიერ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სახიერ არს“.<sup>1</sup> და საკვრველი ესე არს, რომელ ესრეთ კეთილ არს და უაღრეს ყოველთა ჯელოვნებათა და შრომად ანუ ჭირი არცა ერთი უჭმს მას, არცა სიგრძე ჟამისად სწავლად მისა, არამედ კმა არს ნებად ოდენ და გულსმოდგინებად, და ყოველივე აღსრულებულ არს.

ვიხილოთ უკუე აღსასრულიცა და სასყიდელი ამის ჯელოვნებისად, თუ რად არს: სასუფეველი ცათად, და კეთილნი იგი წარუევალნი, და დიდებად იგი მიუთხრობელი, და სასძლოდ იგი ბრწყინვალე, სულიერი, და სანთელნი იგი დაუშრეტელნი, და სუფევად სიძისა მის თანა უკუდავისა, და სხუანი იგი კეთილნი, რომელთა გონებად კაცისად ვერ მისწუდების, ვერცა ენად შემძლებელ არს თქუემად. ესრეთ პატიოსან არს და კეთილ ესე ჯელოვნებად და უაღრეს ყოველთა მათ ხილულთა და ცუდთა ჯელოვნებათა.

ხოლო უკუეთუ ესე ჯელოვნებად დაივიწყონ მდიდართა, უძკრეს არიან და უსაწყალობელეს ყოველთა კაცთასა.

ან უკუე, საყუარელნო, უკუეთუ მოგუეცეს სიმდიდრე, ესემცა ჯელოვნებად კეთილად წარგვმართებეს. ნუ სამკაულთა ვეძიებთ ჯორცთასა და გემოთა და გულისთქუმათა სიჭაბუკისათა; რამეთუ სიჭაბუკე, უფლებული გემოთაგან და გულისთქუმათა და შემკული სამკაულითა შუენიერთთა, მსგავს არს ქუეყანასა, სავსესა ეკლითა და კურომსთავითა, კორდსა და უნაყოფოსა და ყოვლითურთ უჭმარსა და ცეცხლისა მისაფენელად განმზადებულსა. არამედ სულთა ჩუენთა ვზრუნვიდეთ და შევამკობდეთ მონყალებითა და სინმიდითა. მივჰფინოთ ცეცხლი იგი სულისად გულთა ჩუენთა და ყოველნივე ბოროტნი გულისთქუმანი შევწუნეთ და ურნატნი იგი გულთა ჩუენთანი განვწმინდეთ და კეთილად მოვწნათ, რაფთა თესლი იგი საღმრთოდ ნაყოფიერ იქმნას ჩუენ შორის და სინმიდე ყუაოდის, რო-

<sup>1</sup>ლუკ. 6,36.

მელი-იგი ოდეს სიჭაბუკესა შინა აღესრულებოდის, უმეტესისა სასყიდლისა ღირს არს. რამეთუ რომელი-იგი სიბერესა შინა იმარხვიდეს სინმიდესა, არა ფრიადი აქუს სასყიდელი, რამეთუ ჰასაკისაგანცა აქუს დიდი შენევნაჲ და უცთომელობაჲ. ხოლო საკვრველი არს, უკუეთუ ვინ სიჭაბუკესა შინა მძლე ექმნას გულისთქუმასა ჯორცთასა, ვითარცა-იგი ღელვათა შინა რაჲ ვალნ ვინ მყუდროებით, ანუ ცეცხლსა შინამცა არა შეინუებოდა, ვითარცა-იგი ქმნა ნეტარმან და მწნემან იოსებ. ესრეთ თუ ვიჭმაროთ სიმდიდრე, კეთილ არს.

ხოლო უკუეთუ არა მოგუეცნენ საფასენი, ეგრეთცა ნუ შევიჭირვებთ, არამედ გვხაროდენ, რამეთუ აზნაურებით და განსუენებით ვცხონდებით. და ნუ სიმდიდრისათჳს სურვიელ ვართ, არამედ სათნოებათათჳს, რომელთა წარმართებაჲ ფრიად უადვილეს იქმნების სიგლახაკესა შინა, ვიდრელა სიმდიდრესა. იგინი თუ შევიკრძალნეთ და ვიქმნეთ ინროფსა მის გზისა მიუდრეკელნი მოგზაურნი, მივიწინეთ ფართობასა ზეცისა სასუფეველისასა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებაჲ, პატივი და სიმტკიცე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

## თავი 6

სიტყუა ესე: **„და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თვსაგან. და შე-რაჲ-მნუხრდა, მარტოჲ იყო მუნ. ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან და იგუემებოდა ლელვათაგან, რამეთუ იყო ქარი იგი პირით“** (14,23-24).

რადსათს აღვალს მთად? რადთა გუასნაოს ჩუენ, ვითარმედ კეთილ არს უდაბნოს მყოფებად და მარტოებად, ოდეს გუენებოს ვედრებად ღმრთისა. ამისთვის ზედაღსზედა განვიდოდა უდაბნოდ და მუნ გარდაიწადის ღამე ლოცვათა შინა, რადთა ჩუენ ვისნაოთ ჟამისა და ადგილისადა მყოფროდსა განჩემებად ლოცვისათს.

რამეთუ უდაბნოდ დედად არს მყოფროებისაჲ, ნავთსაყუდელი არს მფარველი ლელვათაგან ამბოხებისათა. ხოლო თავადი რაჲ იყოფოდა მთასა მას ზედა, მონაფენი იღელვებოდეს ზღუასა შინა, ვითარცა პირველ. არამედ მაშინ უფალი იყო მათ თანა, და არაჲ ევენებოდა მათ, ხოლო ან მარტოდ იპოვნეს და არა აქუნდა სასოებაჲ ცხორებისაჲ. რამეთუ მიუშუა მათ ზედა მისლვად ქარისა მის და აღდგომად ლელვათა, რადთა ისნაონ თავს-დებად განსაცდელთაჲ და რადთა მოვიდენ წსენებად და უმეტესად სურვილად უფლისა. და ღამე ყოველ იგუემებოდეს ლელვათა მათ შინა.

სახარებაჲ: **„და მეოთხესა საჭუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა მას ზედა. ხოლო მონაფეთა ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რაჲ ზღუასა მას ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს, ვითარმედ: საუცარ რაჲმე არს, და შიშისაგან ღალატ-ყვეს. მეყსეულად ეტყოდა მათ იესუ და ჰრქუა: კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!“** (14,25-27).

თარგმანი: მეოთხესა საჭუმილავსა მოვიდა, რომელ არს მეათე ჟამი, რადთა ასნაოს არა ძიებად ადრე განრომად განსაცდელთაგან, არამედ თავს-დებად მონვენულთა მათ ზედა ჭირთა ახოვნებით. ხოლო იყვნეს რაჲ ლელვასა მას შინა, დაერთო შიშიცა იგი უცნებისაჲ მის, რამეთუ ვერ იცოდეს, თუ უფალი არს. და თავადი დუმნა, რადთა, ვითარცა ვთქუ, განიწუართნენ ყოველსავე შინა მოთმინებად. ხოლო ოდეს-იგი ესოდენ აღემატა შიში იგი, ვიდრე ღალატ-ყვეს, მაშინ ჰრქუა მათ უფალმან: „კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!“

ამან წმამან მეყსეულად შიში იგი განაქარვა, რამეთუ იცნეს ჳმად მისი და კადნიერ იქმნეს.

ხოლო ყოველსავე ადგილსა მჭურვალემან პეტრე აქაცა აჩუენა მჭურვალეებად თვისი:



სახარება: „მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა. ხოლო მან ჰრქუა: მოვედ! და გარდამოვიდა პეტრე ნავით და ვიდოდა წყალთა ზედა და მოვიდოდა იესუსა. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად, ლალატ-ყო და თქუა: უფალო, მივსენ მე! და მეყსეულად განყო ჴელი იესუ, უპყრა მას და ჰრქუა: მცირედმორწმუნეო, რაჲსა შეორგულდი?“ (14,28-31).

თარგმანი: იხილეა, რაბამი იყო მჭურვალეზა პეტრესი, რაბამი იყო სარწმუნოეზა მისი? ამისთვსცა მეტისა მისგან მჭურვალეზისა მრავალგზის ჴირსა მიეცემის; რამეთუ აქაცა ფრიად დიდი საქმე ითხოა სიყუარულისათვს ხოლო მისისა, არა თუ საჩუენებელად. რამეთუ არა ჰრქუა, თუ: მიბრძანე სლვად წყალთა ზედა, არამედ: „მიბრძანეო მისლვად შენდა წყალთა ზედა“. რამეთუ არავის ესრეთ უყუარდა უფალი, ვითარ მას. ეგრეთვე შემდგომად აღდგომისა ქმნა, არა ადროა სხუათა მონაფეთა თანა მისლვად, არამედ აღდგა და მირბიოდა საფლავად.

ხოლო ან არა სიყუარული ოდენ, არამედ სარწმუნოეზაცა აჩუენა. რამეთუ არა ესე ხოლო ჰრწმენა, თუ ძალ-უც მას ზღუასა ზედა სლვად, არამედ სხუათაცა ვლინებად ჴელ-ენიფების. ამისთვს თქუა: „უფალო, უკუეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა“. ხოლო ქრისტემან უბრძანა. რამეთუ უკუეთუმცა ეთქუა, თუ: ვერ გაქუს ჯერეთ ესევითარი მტკიცე სარწმუნოეზა, კულად აცილამცა სიმჭურვალისაგან. ამისთვს საქმით დაარწმუნა ნაკლულევანეზა იგი სარწმუნოეზისა.

რამეთუ გარდავიდა რად პეტრე ნავით და ვიდოდა წყალთა ზედა და მივიდოდა იესუსა, არა ესრეთ მხიარულ იყო სლვისა მისთვს წყალთა ზედა, ვითარ მისლვისათვს უფლისა მიმართ. და რომელი-იგი უმეტესსა მძლე ექმნა, რომელ არს წყალთა ზედა სლვად, უდარესისაგან შეირყია, რომელ არს ქარისა სიმძაფრე.

რამეთუ იხილა რად ქარი იგი ძლიერი, შეშინდა და იწყო დანთქმად. შიშმან მან ყო დანთქმად იგი, ხოლო შიში ქმნა ვერსიმტკიცემან სარწმუნოეზისამან. რამეთუ ესრეთ არს კაცობრივისა ბუნებისა უძლურეზა: მრავალგზის უზეშთაესი ნარჰმართის და უდარესსა ზედა ემხილის, ვითარ-იგი შეემთხვა ელიას იეზაბელისგან, და მოსეს მეგვბტელისა მისგან, და დავითს ბერსაბესგან. ეგრეთვე ესე ზღუასა მას ზედა აღსლვად და სლვად წყალთა ზედა კადნიერ იქმნა, და ქარისაგან შეეშინა და შეირყია, რომელი-იგი მახლობელ მებრლა იყო ქრისტესა, რადთა სცნა, ვითარმედ არად სარგებელ არს მახლობელოზა ქრისტესი, უკუეთუ ვინ სარწმუნოეზითა არა ახლოს იყოს. ესრეთ უკუე გამოჩნდა ნაკლულევანეზა სარწმუნოეზისა, და ამან საქმემან სხუათა მათცა ნუგეშინის-სცა. რამეთუ უკუეთუ ორთა მათთვს ძმათა განრისხნეს თხოისა მისთვს, რომელ ითხოვეს, არამცა ამისთვსცა

მოუჭდაა ესევეთარი გულისსიტყუად, უკუეთუმცა არა ესრეთ ქმნილ იყო? რამეთუ არა იყვნეს ჯერეთ ღირსქმნილ მადლსა მას სულისა წმიდისასა სრულებით, ხოლო უკუანადსკნელ ყოველსა ადგილსა პეტრეს ანუევედეს წინამძღუარ-ყოფად სიტყვსა.

ხოლო რადასათს არა შეჰრისხნა ქარისა სიმძაფრესა, არამედ მას უპყრა ჴელითა? ესე ამისთვის, რამეთუ სარწმუნოებასა მისსა მოელოდა, ხოლო რა-ჟამს იგი მოაკლდა, მაშინ უფალმან თვისი შეწვენა აჩუენა. ამისთვისცა უჩუენა, ვითარმედ არა სიმძაფრემან მან ქარისამან, არამედ მისმან მცირედ-მორწმუნეობამან ყო შერყევად იგი და მიდრეკად მისი. და ჰრქუა: „მცირედ-მორწმუნეო, რადასა შეორგულდი?“ რამეთუ უკუეთუმცა სარწმუნოებად შენი არა მოუძღურებულ იყო, ადვილადმცა წინააღდგომილ იყავ ქარისა მის.

ხოლო განყო რად ჴელი და უპყრა მას, დაუტევა მერმეცა ქროლად ქარი იგი, რადათა გულისწმა-უყოს, ვითარმედ ოდეს სარწმუნოებად მტკიცე იყოს, ქარი და ზღუად ვერარას ავნებენ.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ა :** „და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას, დასცხრა ქარი იგი. ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუჭდეს და თაყუანი-სცეს მას და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ. და განვიდეს და მივიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა“ (14,32-34).

თ ა რ გ მ ა ნ ი: პირველ ამისა იტყოდეს, ვითარმედ: „რაბამ ვინ არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუადცა ერჩიან მას?“<sup>1</sup> ხოლო ან მოუჭდეს და თაყუანი-სცეს მას და იტყოდეს: „ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ“. ჰხედავა, ვითარ აღამაღლებდა გონებათა მათთა გულისწმის-ყოფისა კიბეთა? რამეთუ მაშინ შეჰრისხნა ზღუასა მას და ქართა, ხოლო ან სხვთ სახით უჩუენა ძალი თვისი – სლვითა ზღუასა ზედა და მინიჭებითა პეტრესითა მადლისა მის და განრინებითა მისითა დანთქმისაგან. ამისთვისცა უმეტესად სარწმუნოებად მოვიდეს და იტყოდეს: „ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ“.

ხოლო სიტყუასა ამას ზედა ნუუკუე შეჰრისხნა ქრისტემან? ნუ იყოფინ! უფროდსლა დაამტკიცა, უმეტესითა რად ჴელმნიფებითა აღასრულნა კურნებანი, ვითარცა ესერა იტყვს მახარებელი:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ა :** „და განვიდეს მიერ და მივიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა. და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული. და ევედრებოდეს მას, რადათა შე-ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა მისისასა. და რავდენტა შეახეს, ცხონდეს“ (14,34-36).

თ ა რ გ მ ა ნ ი: არამედ ესე დაგვრჩა ზემო თქუამად: ვითარ იტყვს აქა: „ვითარცა აღვიდეს იგინი ნავად, დასცხრა ქარი იგი“; ხოლო იოვანე იტყვს,

<sup>1</sup> მათ. 8,27.

ვითარმედ: „უნდა, რადთამცა შეიყვანეს იგი ნავსა მას. და მეყსეულად იპოვა ნავი იგი ქუეყანასა მას, ვიდრეცა ვიდოდეს“.<sup>1</sup> ესრეთ უკუე გულისწმავჰყოფთ, ვითარმედ ორნივე ესე ურთიერთას ენამებიან. პირველად იხილეს იესუ, ვიდოდა რად ზღუასა ზედა, და შეეშინა; ჰრქუა მათ იესუ: „მე ვარ, ნუ გეშინინ!“ და მერმე აღასრულა ძლიერებად იგი პეტრეს ზედა. მერმე ენება, რადთამცა შეიყვანეს იგი ნავსა მას, და მეყსეულად იპოვა ნავი იგი ქუეყანასა მას, ვიდრეცა მივიდოდეს. არა თუ ეგრეთ იტყვს, თუ გარე წმელსა იპოვა, არამედ მახლობელად კიდესაო. და მი-რად-ეახლნეს კიდესა, მაშინ აღვიდა იესუ ნავად. ან უკუე განიყვეს მახარებელთა სასწაული ესე და კეთილად გუაუნყეს ყოველივე.

ხოლო გან-რად-ვიდეს ქუეყანად, იცნეს იგი კაცთა მათ და არლარა ეტყოდეს, რადთა სახლად კაცად-კაცადისა მივიდეს, არამედ უმეტესითა სარწმუნოებითა შემოკრიბნეს ყოველთა მათგან სანახებთა უძღურნი და ევედრებოდეს შეხებად ფესუსა სამოსლისა მისისასა, რამეთუ წიდოვნისა მისგან ისწავეს საქმისა ამის ძალი. ამისთვისცა რომელნი შეეხნეს, ცხონდეს.

## სწავლაჲ 6

### წმიდათა საიდუმლოთათჳს და მოწყალებისათჳს

და ან ჩუენცა, მორწმუნენო, შევეხნეთ ფესუსა სამოსლისა მისისასა. და უფროდსლა, უკუეთუ გუენებოს, ყოველითურთ არს იგი ჩუენ შორის; რამეთუ არა თუ სამოსელი მისი, არამედ ჴორცი და სისხლი მისი წინამდებარე არს ჩუენდა არა შესახებელად ხოლო, არამედ საჭმლადცა და სასუმლად, უკუეთუ გუენებოს, მოუცემიეს ჩუენდა.

მოუჭდეთ უკუე სარწმუნოებით, რადთა განიკურნენ ყოველნივე უძღურებანი ჩუენნი. უკუეთუ რომელნი ფესუსა სამოსლისა მისისასა შეეხნეს, ესრეთ სარგებელ ეყო, რავდენ უმეტესად სარგებელ ეყოს, რომელთა შეინყნარონ იგი თავთა შორის თჳსთა, უკუეთუ ოდენ ღირს იქმნენ გულითა წმიდითა და სარწმუნოებითა შეუორგულეებელითა შეწყნარებად.

რამეთუ ჭეშმარიტად, მორწმუნენო, ანცა ქრისტესა მოუჭდებით, და-ლაცათუ ჴმად მისი არა გუესმის, და უფროდსლა გუესმის ჴმადცა მისი დღითი-დღე სახარებისა მიერ.

ან უკუე შეუორგულეებელად გრწმენინ, ძმანო, ვითარმედ ანცა სერობად იგი არს, რომელსა შინა თავადი ინაწითმჯდომარე იყო, და არადთა განყოფილ არს ესე მისგან. რამეთუ ვითარცა-იგი მაშინ მან შეჰმზადა, ეგრეთვე ან ამას იგივე შეჰმზადებს.

<sup>1</sup> იოან. 6,21.

ამისთვის გეტყვ, საყუარელო, ოდეს იხილო, რომელ მღვდელი გაზიარებდეს, ნუ ჰგონებ, თუ მღვდელი იგი მოგცემს შენ წმიდასა მას საიდუმლოსა, არამედ წელი ქრისტესი განმარტებულ არს მოცემად შენდა ჯორცსა და სისხლსა მისსა. რამეთუ ვითარცა-იგი ნათელ-ილებდე რად, არა თუ მღვდელი იგი ნათელ-გცემს, არამედ ღმერთსა უხილავად უპყრიეს თავი შენი, და არცა ანგელოზი, არცა მთავარანგელოზი, არცა სხუად ვინ იკადრებს მოახლებად, ეგრეთვე აქა, იგი არს, რომელი გაზიარებს წმიდათა მათ საიდუმლოთა.

რამეთუ არა ანგელოზთადა ურწმუნებიეს ნიჭი ესე, არამედ თავადი ქრისტე არს განმყოფელი და მიმნიჭებელი; რამეთუ რომელმან უმეტესი ქმნა, უდარესიმცა უღირს-იჩინა? რომელმან თავი თვისი მოგუცა საქმლად, წელითამცა თვისითა არა ჯერ-იჩინა განყოფად პატიოსნისა მის ჯორცისა და სისხლისა მისისა მოყუარეთა თვისთა?

ვისმინოთ უკუე მღვდელთაცა და ყოველმან ერმან, ვითარსა პატივსა ღირსქმნილ ვართ. ვისმინოთ და შევძრუნდეთ! წმიდისა ჯორცისა და სისხლისა მისისა ზიარ-მყვნა ჩუენ; თავი თვისი დაკლული წინაშე დაგვდვა. რამე უკუე მიუგოთ, რომელნი ესევითარსა საიდუმლოსა ზიარქმნილ ვართ და ესრეთ წარმდებებით ვცოდავთ? რომელნი კრავსა მას ღმრთისასა მოვილებთ და არა შევიკდიმეთ მგელთა მიმსგავსებად; რომელნი ტარიგსა მას მოვიქუამთ, ამხუმელსა ცოდვათა სოფლისათა, და ვართლა მწეც მტაცებელ.

ესე საიდუმლოდ ნიჭი არს მშკდობისა, განმწმედელი ყოველთა ცოდვათაგან ღირსად მიმღებელთა მისთა. და არა ჰნებავს, რადთა ყოვლადვე უფლებულნი ვიყვნეთ ვნებათაგან, შურისა, გინა მტერობისა, გინა მტაცებლობისა, გინა ანგაჰრებისა, ანუ თუ გულისთქუმათაგან ბოროტთა. რამეთუ უკუეთუ მან ცხორებისათვის სულთა ჩუენთაჲსა არა ჰრიდა თავსა თვისსა სიკუდილად მიცემად, ჩუენ ვითარ უგულებელს-გჰყოფთ ცხორებასა ჩუენსა?

ჰურიათა მისცნა წლითი-წლად დღესასწაულნი საწსენებელად ქველის-მოქმედებათა მისთა, ხოლო ჩუენდა დლითი-დღე მოუცემიეს საწსენებელი ესე, ვითარცა იტყვს მოციქული: „რავდენგზის სჭამდეთ პურსა ამას და ჰსუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდეთ“<sup>1</sup>; რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან: „ამას ჰყოფდითო მოსაწსენებელად ჩემდა“.<sup>2</sup>

და ნანდვლვე ესე არს თავი ქველისმოქმედებათა მისთა, წსენებად სიკუდილისა მისისა. რამეთუ უკუეთუ ვთქუა, თუ: ცანი გარდაართხნა და ქუეყანა დაამტკიცა, ზღუანი განჰფინნა, მნათობნი დაჰბადნა, და ამისა პირველ მწედრობანი ანგელოზთანი შექმნნა, სხუანი იგი ყოველნი თუ საკრველებანი მისნი წარმოვთქუნე, ვერარას ვიტყვ სწორსა ამისსა, რო-

<sup>1</sup> 1 კორ. 11,26.      <sup>2</sup> ლუკ. 22,19.

მელ თავი თვისი მისცა ჩუენთვის სიკუდილად, რადთა უცხოქმნილნი ესე და წარწყმედილნი მონანი მომიძინეს და შვილ ღმრთისა მყვენს.

ესე არს თავი ყოველთა კეთილთაჲ, ესე არს საიდუმლოჲ დიდებული, რომელი საუკუნიტგან დაფარულ იყო და აწ გამოგჳჩნდა ჩუენ. სურვილით უკუე და სარწმუნოებით მოუჳდებოდით წმიდასა მას და შესაძრწუნებელსა ტრაპეზსა.

გარნა ნუმცა ვინ მოუჳდების სამოსლითა ხენეშითა, რადთა არა გარე განვარდეს.

ნუმცა ვინ არს იუდა, ნუმცა ვინ არს სიმონ მოგჳ, რამეთუ ესე ორნივე ვეცხლისმოყუარებითა წარწყმდეს. ვივლტოდით უკუე ჩუენცა ბოროტისა ამის ვნებისაგან, განვეშორნეთ მოხუეჭისაგან გლახაკთაჲსა და ტყუენვისაგან დავრდომილთაჲსა. არიან ვიეთნიმე, რომელნი იტაცებენ გლახაკთაგან და შეიკრებენ საფასეთა, და მერმე იქმან ბარძიმ-ფეშხუემებსა ოქროსასა, შემკობილსა თუალითა და მარგალიტითა, და შესწირვენ ეკლესიათა; ეგრეთვე სტავრაებსა ოქროქსოილებსა და სხუასა მრავალსა, საფასითა დიდ-ძალითა მოგებულსა. აწ უკუე იტყვს უფალი, არა ესევეითარი შესაწირავი გამოვირჩიეო.

ჰგონება, კაცო, თუმცა ესევეითარი ძლუენი სთნდა უფალსა? ნუ იყოფინ! უკუეთუ გნებავს პატივ-ცემად შესაწირავისაჲ მის, სული შენი ქმენ ოქროსა უბრწყინვალეს, რომლისათჳსცა დაიკლა ქრისტე, და შეწირე იგი ძლუნად მისა. ხოლო უკუეთუ იგი იყოს ბრპენისა და თიჯისა უხენეშეს, რად არს სარგებელი ჭურჭელთაგან ოქროსა და ვეცხლისათა?

აწ უკუე რომელსა გნებავს შეწირვად ძლუენთაჲ ეკლესიაჲ, პირველად სული შენი წმიდა-ყავ ცოდვათაგან და შეწირე. ესე არს ძლუენი ყოველთა ძლუენთა უპატიოსნესი. ხოლო გნებავს თუ ხილულისაცა ძლუნისა შეწირვად, ეგევეითარი ქმენ ძლუენი იგი, რადთა ყოვლადვე არა ერთოს ანგაჰრებისა ანუ მონახუეჭისაგან ნაწილი. რამეთუ არა თუ ეკლესიაჲ საოქროსმჭედლოჲ არს, რადთამცა ოქროსა ხოლო და ვეცხლსა ეძიებდა. სინმიდე სულთაჲ საწმარ არს, და რად-იგი სინმიდით მოგებულ იყოს, მას შეწირავს ღმერთი. არა იყო მაშინ ტაბლად იგი ვეცხლისაჲ, არცა ბარძიმი იგი ოქროსაჲ, რომლითა აზიარა ქრისტემან მონაფეთა, გარნა პატიოსნებაჲ და ბრწყინვალეებაჲ მისი შესაძრწუნებელ იყო და თუალთშეუდგამ, რამეთუ სავსე იყო სულითა წმიდითა.

გნებავსა ქრისტეს საიდუმლოთა პატივ-ცემად? ნუ უგულუბელს-ჰყოფ მას, რაჟამს იხილო მშიერი გინა წყურიელი, გინა თუ შიშუელი. რად სარგებელი არს ეკლესიასა სტავრათა მრავალსაწყიდლისათა შეწირვად და გარე ხილვად მისი სიცივესა შინა და სიშიშულესა და უგულუბელს-ყოფად. არა უწყია, რამეთუ რომელმან თქუა: „ესე არს ჳორცი ჩემი“,<sup>1</sup> და საქმითა სიტ-

<sup>1</sup> მათ. 26,26.

ყუად დაამტკიცა, მანვე თქუა: „მიხილეთ მე მშიერი და არა მეცით ჭამადი; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე. რამეთუ რავდენსა არა უყავთ ერთსა მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ“.<sup>1</sup> ვისნაოთ უკუე პატივ-ცემად ქრისტესი ესრეთ, ვითარცა მას ჰნებავს, ნუ ვითარცა ჩუენ. რამეთუ პატივი ნმიდათა საიდუმლოთად ესე არს, რადთა სულითა განნმედილითა ცოდვისაგან ვეზიარებოდით, რამეთუ არა ჭურჭელნი ეჭმარებიან ღმერთსა ოქროსანნი, არამედ სულნი ოქროსა უნმიდესნი. ხოლო ოქროდ და ვეცხლი გლახაკთა ზედა ნარაგე. და ამას ვიტყვ, არა თუ ვაყენებ სამკაულთა ეკლესიისათა შემზადებად, არამედ ამას ვიტყვ, ვითარმედ: პირველ ყოვლისა გლახაკთა მოღუანებადმცა არს საძიებელ ჩუენდა. რამეთუ ეკლესიისაცა შესანიარავთა, რომელნი ნმიდა იყვენენ ყოვლისავე მონახუეჭისაგან, შეინირავს ღმერთი, გარნა მოწყალებასა ფრიად უმეტესად შეინირავს და სათნო-იჩინებს.

რამეთუ რად სარგებელ არს, უკუეთუ საკურთხეველი სავსე იყოს ოქროდთა და ვეცხლითა და სამოსლითა ოქროქსოილითა, და თავადი დგეს გარე მშიერი და ნყურიელი და შიშუელი. პირველად იგი იღუანე საზრდელითა და სამოსლითა, და მერმე ნამეტნავისაგან ეკლესიადცა შეამკვე. რამეთუ მითხარდა, უკუეთუ იხილო ვინმე მშიერი და ნყურიელი და შიშუელი, ჭირვეული და არა სცე პური, არცა ასუა სასუმელი, არცა შეჰმოსო სამოსელი, არამედ შეიყვანო ტაძარსა ოქროლესულსა და უჩუენო ტაბლად ქანდაკებული, მადლიერმცა გექმნა? ნუ იყოფინ! ეგრეთვე ქრისტესთვის გულისწმა-ყავ: ოდეს იგი უცხოდ და ჭირვეული მიმოვიდოდის, და შენ დაუტეო შეწყნარებად მისი და ტაძართა ამკობდე მარმარიონითა და სუეტეებითა და ოქროდთა და ვეცხლითა და სტავრაებითა, არარად არს სარგებელ შენდა; არამედ იგი შეიწყნარე პირველად, იგი იღუანე, და მერმე უკუეთუ ესეცა ჰქმნა, კეთილ არს.

არაქმნისათვს ოქროსა და ვეცხლისა ბარძიმ-ფეშხუემთაჲსა და სხვსა ესევეითარისა არავინ სადა ბრალეებულ არს, ხოლო უდებებისათვს გლახაკთა ნყალობისა ჯოჯოხეთი განმზადებულ არს, ცეცხლი უშრეტი და ეშმაკთა თანა დასჯად.

ან უკუე ნუ იქმ ამას, რადთა ტაძარსა მას ამკობდე და ძმად ჭირვეული უგულეებელს-ჰყო, რამეთუ ესე ტაძარი მისა უპატიოსნეს არს. ესე სამკაულნი ნუუკუე წარიტაცნენ მეფეთა ურნმუნოთა ანუ მპარავთა და ავაზაკთა, ხოლო რაოდენიცა ჰქმნე ძმასა თანა მშიერსა და შიშუელსა და უცხოსა, ნარუპარველად ეგოს უკუნისამდე. ვერცა თუ ყოველნი კრებულნი ეშმაკთანი შეითქუნენ, ჳელ-ენიფების ნარტაცებად იგი.

ხოლო მეტყვან ვიეთნიმე, ვითარ თქუა უფალმანო: „გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ“?<sup>2</sup> მეცა, ძმანო, ამისთვის ვიტყვ, თუ: ჯერ-არს მოსწრაფებით და ნადიერად ქმნად

<sup>1</sup> შდრ. მათ. 25,42,43,45.      <sup>2</sup> მარკ. 14,7.

მონყალებისა, რამეთუ არა ვჰპოვებთ მას მარადის მშვიერსა, არამედ ამას ხოლო სანუთროსა, და ესე არს ჟამი წყალობისაჲ.

ხოლო უკუეთუ გნებავს ცნობად ყოვლითურთ ძალი სიტყვსაჲ მის, ის-მინეთ, ვითარმედ: სიტყუად ესე არა მონაფეთა მიმართ თქუმულ არს, და-ღაცათუ ესრეთ ჩანს, არამედ უძღურებისა მიმართ დედაკაცისა მის. რამეთუ ვინაფთგან იგი უმეცარი იყო და უძღური, ხოლო იგინი აბრალებდეს, ინება უფალმან ნუგეშინის-ცემად მისი და ამისთვის თქუა სიტყუად ესე, ვითარმედ: „რასა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდამო“. <sup>1</sup> ჰხედავა, რამეთუ ნუგეშინის-ცემისა მისისათვის თქუა, თუ: „მე არა მარადის თქუენ თანა ვარ“. რამეთუ საცნაურ არს, ვითარმედ მარადის ჩუენ თანა არს, ვითარცა იტყვს თავადი, ვითარმედ: „აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“. <sup>2</sup>

ამის ყოვლისაგან ცხად არს, ვითარმედ ესე იყო პირი სიტყუათა მის-თაჲ, რადთა სარწმუნოებაჲ დედაკაცისაჲ მის, მაშინ აღმოცენებული, არა განაწმოს შერისხვამან მონაფეთამან. ხოლო ჩუენ ნუ შემოვიდებთ შორის სიტყუათა ამათ, რომელნი განგებულეებითა რომლითამე თქუმულ არიან; არამედ რომელნი-იგი შჯულად და წესად მოცემულ არიან მორწმუნეთადა, ახალსაცა შინა რჩულსა და ძუელსაცა, მონყალებისათვის, იგინი აღმოვი-კითხნეთ; და ფრიადი მოსწრაფებაჲ ვაჩუენოთ ამას საქმესა ზედა, რამეთუ განმწმედელი არს ცოდვათაჲ საქმე ესე, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „მი-ეცით მონყალებაჲ, და ყოველივე წმიდა იყოს თქუენდა“. <sup>3</sup>

ესე უაღრეს მსხუერპლებისა არს, ვითარცა იტყვს: „წყალობაჲ მნე-ბავს და არა მსხუერპლი“. <sup>4</sup> ესე ცათა განახუამს, ვითარცა იტყვს: „ლოც-ვანი ეგე შენნი და ქველისსაქმენი აღვიდეს საჯსენებელად შენდა წინაშე ღმრთისა“. <sup>5</sup>

ესე უაღრეს არს ქალწულებისაცა, რამეთუ ქალწულთა რომელთა არა აქუნდა ესე, განითხინეს სასძლოფსა მისგან, და რომელთა აქუნდა, ბრწყინ-ვალედ შევიდეს.

ვინაფთგან უკუე ესე ყოველი ესრეთ არს, ვილუანოთ, ძმანო, თესვად წყალობისა, რადთა წყალობაჲცა მოვიმკოთ და საუკუნეთა მათ კეთილ-თა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ დიდებაჲ, პატივი და სუფევაჲ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

<sup>1</sup> მათ. 26,10.

<sup>2</sup> მათ. 28,20.

<sup>3</sup> ლუკ. 11,41.

<sup>4</sup> ოსე 6,6.

<sup>5</sup> საქმე 10,4.

## თავი 6

სიტყუაჲ ესე: „მაშინ მოუჭდეს იესუს იერუსალჴმით ფარისეველნი და მნიგნობარნი და ეტყოდეს: რაჲსათჳს მონაფენი შენნი გარდაჴვლენ მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანიან ჴელნი, რაჴამს პურსა ჭამედ. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს თქუენ გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა?“ (15,1-3).

„მაშინ მოუჭდეს იესუს იერუსალჴმით ფარისეველნი და მნიგნობარნი“. ოდეს „მაშინ“? ესე იგი არს, ოდეს ბევრეულნი იგი სასწაულნი ქმნა, ოდეს სწეულნი განკურნნა შეხებითა ფესუსა სამოსლისასა, ოდეს ხუთითა მით პურითა ხუთ ათასნი განაძღნა, ოდეს ზღუასა ზედა, ვითარცა ჴმელსა, ვიდოდა; მაშინ სავსენი იგი ყოვლითა უკეთურებითა მოუჭდეს და ესრეთ ეტყოდეს. ხოლო რაჲ არს ესე, თუ: „იერუსალჴმით ფარისეველნი და მნიგნობარნი“?

ყოველსა მას ტომებსა განთესულ იყვნეს და ათორმეტად ნაწილად განყოფილ იყვნეს მნიგნობარნი იგი და ფარისეველნი, გარნა რომელნი-იგი დედაქალაქსა მას იერუსალჴმსა მკვდრ იყვნეს, უმეტესი პატივი აქუნდა; ამისთვისცა უმეტესითა ამპარტავანებითა და უკეთურებითა სავსე იყვნეს. ესევეთართა მათგანნი იყვნეს ესენიცა, რომელნი ან მოუჭდეს და სიტყუათა ამათ ეტყჳან უფალსა.

და იხილე, ვითარ სიტყჳსა მეზრ მათისაგან სირცხველულ იქმნებიან, რამეთუ არა თქუეს, თუ: რაჲსათჳს გარდაჴვლენ შჯუღსა მოსესსა, არამედ: „რაჲსათჳს გარდაჴვლენო მოძღურებასა ხუცესთასა?“ ამისგან საცნაურ არს, ვითარმედ მრავალსა მღდელნი იგი მათნი თავით თჳსით მოძღურიდეს ახალთა მოძღურებათა, დაღაცათუ მოსე დიდითა შიშითა და შეჩუენებითა ამცნო მათ, რაჲთა არცა რაჲ შესძინონ, არცა დააკლონ; რამეთუ იტყჳს: „არა შესძინოთ სიტყჳსა ამას ზედა, რომელსა გამცნებ დღეს, არცა რაჲ დააკლოთ მას“.<sup>1</sup> ხოლო იგინი მრავალსა დააკლებდეს და მრავალსა ცუდად შესძინებდეს, ვითარცა ესე წინამდებარე სიტყუაჲ იყო: უბანელითა ჴელითა არაჭამად, და განრცხად სასუმლებისად და სტამნებისად და ქუაბებისად და ცხედრებისად, და რაჲთა იბანებოდინ ზედაჲსზედა. რამეთუ ოდეს-იგი ჯერ-იყოლა დაცხრომად მათი ზმნათაგან, მაშინლა უმეტესად განამრავლეს ზმნად ერსა მას შორის, რაჲთა ყვენენ თავნი თჳსნი, ვითარცა რჩულისმდებელნი. და ესოდენად უშჯულოებად აღემატა საქმე იგი, ვიდრელა მათთა მათ მცნებათა ისწრაფდეს დამტკიცებად და ღმრთისათა უგულებელსჳყოფდეს. და ესოდენ მტკიცედ აქუნდეს თავით თჳსით დაწესებულნი იგი ზმნანი, ვიდრელა გარდასლვად მათი დიდად საბრალობელად შეერაცხა და

<sup>1</sup> 2 სჯ. 4,2.



მცნებანი ღმრთისანი შეურაცხ-ეყვნეს. ამისთვის ან ამათ სხუად იგი ყოველი დაუტევეს თქუმად – სასუმღობისათვს და სტამნებისა და ქუაბებისა, რამეთუ საცინელ იყო, და უბანელითა ჳელითა ჳამისათვს წარმოიღეს სიტყუად. ესე ამისთვის ყვეს და ამისთვის ხუცესნი აჳსენნეს, რადთა მოიყვანონ იგი რისხვად და შეურაცხებისა სიტყუათა თქუმად მათთვის, რადთა პოონ მის ზედა მიზეზი ბრალობისად.

ხოლო ესეცა ღირს არს ძიებისა, თუ რად ჳამდეს მონაფენი უბანელითა ჳელითა. არა თუ განწესებულად და განზრახვით იქმოდეს ამას, არამედ ცუდთა ამათ საქმეთა შეურაცხ-ჳყოფდეს და ჳეშმარიტნი იგი შეეკრძალნეს, და არცა ბანად აქუნდა შჯუულად, არცა არაბანად, არამედ ორსავე, ვითარცა დახუდის, იქმოდეს.

რამეთუ რომელთა-იგი ბუნებითიცა ჳამადი უგულებელს-ეყო და არას ზრუნვიდეს, ცუდთა ამათ საქმეთა ვითარმცა იურვოდეს? ვინაფთგან უკუე უბანელად ჳამადცა იქმნის მრავალგზის, გინა თუ უდაბნოს რად იყვნიან, ანუ ოდეს-იგი მუსრვიდეს თავსა ჳუვილისასა, ანუ სხუასა ესევეთარსა რასმე ჳამსა, მიიღეს საქმე იგი ფარისეველთა მიზეზად ბრალობისა, რომელნი-იგი მარადის ღიდთა მათ ცოდვათა თანანარჳვიდოდეს და ცუდთა საქმეთა დიდად გამოეძიებდეს. ხოლო ქრისტემან ამის პირისათვს არად მიუგო წუთერთ, არამედ მათნი იგი ცთომანი აბრალნა, რადთა დაამჳუას სიქადული მათი და უჩუენოს, ვითარმედ რომელი-იგი ღიდთა ცოდვათა იქმოდის, არა უჳმს მცირეთა ცთომათათვს კადნიერებით შერისხვად და მხილებად სხუათად; და არა თქუა, თუ: საქმე ეგე, რომელსა იტყვთ, არად არს, არამედ კეთილად იქმან, რომელ არა იმარხვენ წესსა მაგას; რადთა არა მისცეს მათ მიზეზი ძკრისმეტყუელებისად. არცა თქუა, თუ: ჳე, ჳეშმარიტსა იტყვთ, არა წეს არს საქმე ეგე; რადთა არა დაამტკიცოს ცუდი იგი ჳმნად მათი. არცა აბრალა ხუცესთა მათ და თქუა, თუ: ბილწნი იგი და უღმრთონი, ვითარ იქმან თავისა თვისსა მიერ წესთა; რადთა არა ბრალობად დასდვან ესე. არამედ მათ მიექცა მხილებად და მათისა პირისაგან მღდელნი იგი სიცრუისანი განაქიქნა, ესევეთართა მათ წესთა მეტყუელნი. ამისთვისცა ჳრქუა მათ:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „რადსათვს თქუენ გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა? რამეთუ ღმერთმან თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან თქუას ბოროტი მამისათვს გინა დედისათვს, მოკუედინ. ხოლო თქუენ სთქუთ: რომელმან ჳრქუას მამასა თვისსა გინა დედასა თვისსა: ნიჭი, რომელი ჩემგან სარგებელ გეყო, და არა პატივ-სცეს მამასა ანუ დედასა თვისსა, და დაუმტკიცებელ-ჳყავთ სიტყუად ღმრთისად მოძღურებითა თქუენითა“ (15,3-6).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაფთგან მათ ისწრაფეს გამოჩინებად მონაფეთა გარდამავალად შჯულისა, ამხილებს უფალი, ვითარმედ თქუენ ხართო და

მლდელთმოდლუარნი თქუენნი გარდამავალ და შეურაცხმყოფელ შჯულისა, ხოლო მონაფენი ჩემნი უბრალო არიან; რამეთუ არა შჯული არს მოძღურებად თქუენი, არამედ ცუდისმეტყუელება. ხოლო გნებაჲს თუ ხილვად, ვინ არს გარდამავალ შჯულისა, თავნი თქუენნი იხილენით, ვითართა მოძღურებათა ჰმოდღურით. ხოლო სიტყუად ესე, რომელსა იტყვს, ესევეთარი არს: უმოძღურიდეს უღირსნი იგი მლდელნი და ფარისეველნი ჭაბუკთა მიზეზითა ღმრთისმსახურებისადათა შეურაცხ-ყოფად მამა-დედათა ესევეთართა სახითა: უკუეთუმცა ვინ მშობელთაგანმან ჰრქუა ძესა თვსსა: მომეც ცხოვარი ეგე, რომელ გაქუს, ანუ ზუარაკი, ანუ სხუად რადმე ესევეთარი, მიუგის ძემან მან და ჰრქვს: ძღუნად ღმრთისა განმინესებიეს ეგე, რომელი შენ ან გნებაჲს სარგებელად შენდა მიღებად ჩემგან და დაყენებად შესანიშნავსა მას ღმრთისასა, არამედ ესე არა ჴელ-გენიფების აღებად. და ამის გამო ორი ბოროტი იქმნის: არცა ღმრთისა შეწირიან და მშობელთა თვსთა არა მისციან მიზეზითა მით ძღუნისა და შესანიშნავისადათა, შეურაცხყვნიან მშობელნი მიზეზითა ღმრთისმსახურებისადათა და ღმერთი შეანუხიან ტყუილითა მის საქმისადათა. ამისთჳს პირველად წარმოუთხრა წერილი იგი შჯულსა შინა პატივისათჳს მშობელთაჲსა და შეურაცხებისა, და ვითარ სიკუდილისა თანამდებად თქუა შეურაცხისმყოფელნი მშობელთანი, რადათა მათცა ამხილოს და სხუათა მათ ერთა გულისჴმა-უყოს, ვითარმედ სიკუდილისა თანამდებ არიან ესევეთართა მათ მოძღურებათა მეტყუელნი და შჯულისა წინააღმდეგომნი. რამეთუ უკუეთუ რომელმან სიტყვით თქუას ბოროტი მამისა გინა დედისათჳს, სიკუდილისა ღირს არს, რავდენ უფროდსად თქუენ, მწიგნობარნი და ფარისეველნი, ღირს ხართ სიკუდილისა მლდელთა თქუენთა თანა, რომელნი საქმით ბოროტსა უყოფთ მშობელთა და სხუათაცა ესევეთარსა ამას საქმესა ასწავებთ.

ან უკუე რომელნი არცა თუ ცხორებად ღირს ხართ, ვითარ აბრალებთ მონაფეთა საქმეთათჳს ცუდთა? ესრეთ ამხილა რად უშჯულოებაჲ მათი, მეყსეულად შემოიყვანა წინაღსწარმეტყუელი ესევეთარისავე მეტყუელად, რამეთუ ესე ჩუეულებაჲ აქუს მარადის, მოღებად წამებისა წერილთაგან, რადთა ცნან, ვითარმედ ყოვლითურთ იგი არს ძუელისაცა და ახლისა უფალი. ისმინეთ უკუე სიტყუად ესე წინაღსწარმეტყუელისაჲ:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ორგულნი, კეთილად წინაღსწარმეტყუელებდა თქუენტჳს ესაია და თქუა: ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან. ამოდ მსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა“<sup>1</sup> (15,7-9).**

**თ ა რ გ მ ა ნ ი:** იხილეთა წინაღსწარმეტყუელებისა მის ფრიადი ერთობად სიტყუათა ამათ თანა უფლისათა? ვითარ პირველითგანვე ქადაგებდა და

<sup>1</sup> ესაია 29,13.

მოასწავებდა მათსა მას უკეთურებასა, ვითარმედ მცნებათა ღმრთისათა შეურაცხ-ჰყოფენ, რამეთუ ამისთვის თქუა: „ამაოდ მსახურებენ მე“; ესე იგი არს, ვითარმედ: იტყვან სიტყვით მსახურებად ჩემდა და მცნებათა ჩემთა არაოდეს იქმან, რამეთუ თავით თვსით მოძღურებენ და ასწავებენ კაცთა თვსთა მცნებათა და არა ჩემ მიერ დაწესებულთა.

ესრეთ უკუე ამხილა რად საქმეთაგან მათთა და განჩინებითა თვსითა და წინაღწარმეტყუელისა მიერ და განადიდა ბრალობად მათი, არლარა მათ ეტყვს (რამეთუ იხილნა იგინი უკურნებელად), არამედ შეცვალა სიტყუად თვისი ერისა მის მიმართ და სწავლასა წინაუყოფს, დიდითა სიბრძნითა აღვსებულსა, და ჭამადთა მეტსა და უსარგებლოსა კრძალვასა დაჰჴსნის.

ხოლო იხილეთ, ოდესღა ყო საქმე ესე: რაჟამს კეთროვანნი განწმინდნა, რაჟამს შაბათი დაჰჴსნა, რაჟამს ქუეყანისა და ზღვსა მეუფედ გამოაჩინა თავი თვისი, რაჟამს შჯულნი სულიერნი განაწესნა, რაჟამს ცოდვათა მიტევებად მიანიჭა, რაჟამს მკუდარნი აღადგინნა, რაჟამს მრავალნი სასწაულნი ღმრთეებისა თვისისანი უჩუენნა კაცთა, მაშინღა იტყვს ჭამადთათვის; რამეთუ ყოველივე წესნი ჰურიათანი ამას საქმესა შინა შეწყუდეულ არიან, და ესე რად დაიწესნას, ყოველივე დაიწესნების; რამეთუ ამით გამოაჩინებს, ვითარმედ წინადაცუეთისაცა დაწესნად ჯერ-არს. გარნა თავადმან არარად თქუა ამის ჯერისათვის, რამეთუ უპირატეს ყოველთა მათ წესთა შჯულითა დაწესებულ იყო ესე. არამედ მოწაფეთა მიერ განაწესა დაცხრომად წინადაცუეთისად, და მათცა ძლით უძღეს დაწესნად მისა მრავლითა ღონისძიებითა. ხოლო ან იხილე, ვითარსა წესსა განაწესებს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა მათ: ისმინეთ და გულისწმა-ყავთ: არა თუ პირად შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა“ (15,10-11).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაფთგან ფარისეველთა ამხილა და წინაღწარმეტყუელიცა მბრალობელად წარმოუდგინა და ყოველითურთ პირი დაუყო, მერმე მოუწოდა ერსა მას სიტკბოებით და ჰრქუა: „ისმინეთ და გულისწმა-ყავთ: არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი“. არა თქუა, თუ: რიდობად ეგე ჭამადთად ცუდ არს, ანუ თუ მოსე ცუდად დაანესა, არამედ წესითა სწავლისაფთა ინყო სიტყუად და ბუნებითისა საქმისაგან მოილო მიზეზი ამის წესისა. ხოლო ესე რად თქუა მან, არარად მიუგეს ფარისეველთა, არცა ჰრქუეს, თუ: ღმერთმან ესოდენნი წესნი ჭამადთათვის განაწესნა რჩულისმდებელისა მიერ, ვითარ ან შენ გნებავს ესევითართა მათ წესთა დაწესნად? არამედ ვინაფთგან ძლიერად ამხილა მათ, არა ხოლო თუ გამოცხადებითა უკეთურებათა მათთაფთა, არამედ დაფარულთაცა გულისა მათისათა და მზაკუფარებისა მის მათისა გამოჩინებითა, ამისთვის დაეყო პირი მათი და წარვიდეს. რამეთუ უფალმანცა არა გამოცხადებით თქუა სიტყუად იგი, არამედ მიფარულადრე; ამისთვის

არა თქუა, თუ: ჭამადნი არა შეაგინებენ კაცსა, არამედ: „არა თუ პირით შემავალი შეაგინებოს კაცსა“, რომელ-ესე გულისწმა-იყოფებოდა უბანელითაცა ჴელითა ჭამისათჳს; რამეთუ თავადი ჭამადისათჳს იტყოდა, ხოლო გულისწმა-იყოფებოდა მისთჳსცა, ვითარცა აღსასრულსა სიტყჳსასა თქუა, ვითარმედ: „უბანელითა ჴელითა ჭამად არა შეაგინებს კაცსა“. არამედ ეგრეთცა დაბრკოლდეს ფარისეველნი იგი, არა თუ ერნი, ვითარცა იტყჳს მახარებელი:

**სახარებაჲ: „მაშინ მოუწდეს იესუს მონაფენი თჳსნი და ჰრქუეს მას: უწყია, რამეთუ ფარისეველთა ესმა სიტყუად იგი და დაბრკოლდეს? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰწერგა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურენ“ (15,12-13).**

თარგმანი: იცის უფალმან უგულვებელს-ყოფაჲცა დაბრკოლებისაჲ და არა უგულვებელს-ყოფაჲცა, რამეთუ სხუასა ადგილსა იტყჳს: „რათა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე სამჭედური“;<sup>1</sup> ხოლო აქა იტყჳს:

**სახარებაჲ: „უტევენით ეგენი; ბრმანი არიან, წინამძღუარნი ბრმანნი; რამეთუ ბრმად ბრმასა თუ წინაუძღვნ, შესცთიან და ორნივე მთხრებლსა შთაცჳვიან“ (15,14).**

თარგმანი: ხოლო ამას იტყოდეს მონაფენი, ვითარცა მათთჳს მზრუნველად, გარნა მცირედ იგინიცა განკურვებულ იყვნეს, არამედ ვერ იკადრებდეს თავისა თჳსისა მიერ თქუამად. ამისთჳს ვითარცა სხუათა მიერ თქუმული წარმოიღეს სიტყუად ესე, რათა ისწაონ ძალი თქუმულთაჲ მათ. და რათა სცნა, ვითარმედ ესე ესრეთ არს, ისმინე, რასა იტყჳს მარადის და ყოველსავე შინა მჭურვალე პეტრე:

**„გამოგუთარგმანე ჩუენ იგავი ესე“ (15,15).** რამეთუ გულისზრახვასა მას სულისა თჳსისასა გამოაცხადებდა და ცხადად ვერ იკადრებდა თქუამად, თუ: დავბრკოლდები სიტყჳსა ამისთჳს; გარნა ესრეთ ლიტონად კითხვითა ენება ცნობად განმარტებაჲ სიტყჳსა მის. ამისთჳსცა უფალმან ჩუენმან სიბრძნით მიუგო მათ და ჰრქუა: „ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰწერგა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღმოიფხურენ“. ესე სიტყუად ფარისეველთა მათთჳს და მწიგნობართა და მღდელთმოდღუართა თქუა და მათისა მის მოძღურებისათჳს. ესე იგი არს, ვითარმედ: მამისა ჩემისა მიერ ზეცათაჲსა დანერგულნი იგი მცნებანი არიან, ვითარმედ: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“;<sup>2</sup> და შემდგომი ამისი. ხოლო მღდელთა მათ მიერ სირცხვლისათა დაწესებულნი წესნი და წინააღმდეგომნი საღმრთოთა მათ მცნებათანი აღმოფხურად არიან ძირითურთ; და ეგრეთვე, რომელნი-იგი უწყსოთა

<sup>1</sup> მათ. 17,27.      <sup>2</sup> 2 სჯ. 5,16.

მათ მოძღვრებათა დაანესებენ, იგინიცა აღმოიფხურნენ. რამეთუ „ბრმანი არიან, წინამძღუარნი ბრმათანი; რამეთუ ბრმა ბრმასა თუ წინაუძღვნ, შესცთიან და ორნივე მთხრებლსა შთაცკვიან“. რამეთუ დიდი ბოროტი არს სიბრმე, ხოლო ესე კუალად ფრიად უძკრეს არს, რომელ ბრმადა იყოს და წინამძღუარი არა ჰყვეს. უკუეთუ კულა წინამძღურობადაცა სხუათა ბრმათა იკადროს, სამკეცი არს ბოროტი ესე, რამეთუ უკუეთუ უწინამძღუროდ სლვად ბრმისად საცთურ არს, რავდენ უფროდსად, უკუეთუ სხუათაცა ბრმათა უძლოდის? ესრეთ არიანო მწიგნობარნი ესე და ფარისეველნი.

ხოლო პეტრეს განუკვრდა სიტყუად იგი სხუათა მათ მონაფეთა თანა. არამედ მათ ესმა რად, თუ: „ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰწერგა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღმოიფხურენ“, ვერარად იკადრეს თქუმად, ხოლო პეტრე ჰრქუა მას: „გამოგვთარგმანე ჩუენ იგავი ესე“. ვერ იკადრა ბრალობად, თუ: ვითარ წინააღმდეგომსა შჯულისასა იტყუ, არამედ თარგმანებად ითხოა. ამისთვისცა ჰრქუა მას უფალმან:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „თქუენცა უგულისწმოვე ხართა? და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად შევალს და განსავალით განვალს? ხოლო გამომაგალი პირით გულისაგან გამოვალს, და იგი შეაგინებს კაცსა. რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულისსიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა ჳელითა ჭამად არა შეაგინებს კაცსა“ (15,16-20).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილვა, ვითარ პირველად ამხილა და უგულისწმოებად აყუედრა და მერმე უძღვრებისა მათისათჳს კაცობრივისა და ბუნებითისა საქმისაგან განუმარტებს სიტყუასა მას, ვითარმედ: ყოველი, რომელი შევალს მუცლად, არა ჳელ-ენიფების დადგრომად, არამედ განვალს. დაღაცათუმცა არა განვიდოდა, არამედ შინაგან დაადგრებოდა, არავე შემაგინებელ არს კაცისა; არამედ უძღვრებისათჳს ჰურიათადას მიუგო ესრეთ, ვითარმედ: არა დაადგრების, არამედ განვალს და გუამსა მას კუალად ცარიელსა დაუტეობს. ხოლო ნაშობნი იგი გულისანი, ბოროტნი გულისსიტყუანი, შინაგან იშვებიან და გულსა შინა ჰგიან შემაგინებელად. ხოლო ოდეს გამოეცნენ გარე და საქმედ წარემართნენ, მაშინ უმეტესად შეაგინებენ, რამეთუ გესლი მათი უფროდსად შევალს სულად. და ვითარცა გარე შემავალნი იგი მუცლად გარევე წარვლენ, ეგრეთვე გულსა შინა შობილნი იგი, საქმით რად აღესრულნენ, გულსავე შინა ჰგიან, უკუეთუ არა ფრიადითა ვინ მოლუანებითა სინანულისადათა აღჯოცნეს იგინი.

„ესენი არიანო, რომელნი შეაგინებენ კაცსა: გულისსიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი“ და შემდგომი ამათი, „ხოლო უბანელითა ჳელითა ჭამად არა შეაგინებს კაცსა“. არა თქუა განცხადებულად, თუ: მათ რომელთამე ჭამადთა მიღებად არა შეაგინებს კაცსა, რამეთუ ვერ

შეინყნარებდეს ჯერეთ შეუორგულებელად, უკუეთუმცა გამოეცხადა არა-რიდობად ჭამადთა მათ, რომელთა არა აქუნდა ჩუეულებად ჰურიათა მიახ-ლებად. ამისთვის ნესი ესე სიტყვსა ამის თქუა და მერმე შესძინა, ვითარმედ: „უბანელითა ჳელითა ჭამად არა შეაგინებს კაცსა“, და დაიდუმა. რამეთუ ესოდენ იყო მათ შორის კრძალვად ჭამადთად, ვიდრელა შემდგომად აღ-დგომისაცა იტყოდა პეტრე: „ნუ იყოფინ, უფალო, რამეთუ არასადა შე-გინებული და არანმიდად შესრულ არს პირსა ჩემსა“.<sup>1</sup> ამისთვის უფალმან ნუთერთ არა განუჩინა სრულიად საქმე ესე, არამედ ჭეშმარიტებად მიუთ-ხრა, ხოლო სრულიად განმარტებასა თანანარჰჳდა.

## სწავლად ნა

**თუ ვითარ შეიგინების სული ანუ ვითარ განწმინდების; და ვითარმედ დიდისა სასყიდლისა მომატყუებელ გუექმნებიან მაჭირვებელნი ჩუენნი**

ან უკუე ვისწავოთ ჩუენცა, თუ რომელნი საქმენი შეაგინებენ კაცსა. ვისწავოთ და ვივლტოდით, რამეთუ ვხედავ მრავალთა თანა ესევითარსა ჩუეულებასა და ფრიადსა მოსწრაფებასა, რადთა მივიდოდინ რად ეკლესი-ად, სამოსლითა მივიდენ წმიდითა და ჳელითა დაბანილითა, ხოლო რადთამ-ცა სული განწმედილი ცოდვათაგან წარმოუდგინეს ღმერთსა, არცა ერთი აქუს მოსწრაფებად. ან უკუე, ძმანო, არა თუ ვაყენებ ვის დაბანად ჳელთა და პირისა, არამედ მნებავს ესრეთ ბანად, ვითარცა შეჰგავს. ხოლო შეჰ-გავს, რომელსა ჰნებავს ჭეშმარიტად დაბანად ჳელთა და პირისა და ყოვ-ლისავე გუამისა, რადთა წყლისა ნილ სათნოებათა მიერ განიბანოს.

რამეთუ მწინკულევანება პირისა არს ძკრის-ზრახვად, გმობად, გინე-ბად, ტყუილი, სიტყუათა ხენეშთა და უსარგებლოთა მეტყუელებად, სიცი-ლი და კადნიერებად. უკუეთუ არა შეგიცნობიეს თავსა შენსა ესევითარი, შეუორგულებელად მივედ ეკლესიად და მოილე წმიდად საიდუმლოდ. ხოლო უკუეთუ მრავალგზის შებლალულ ხარ ამათგან, რად გერგოს წყლითა ბა-ნად პირისად და სიმყრალისა მის ბორტისა პირსა შინა ტკრთვად. კუალად ჳელთა მწინკულევანებად არს ყოველივე საქმე ცოდვისად: სიძვანი, მრუ-შებანი, ბილწებანი, ანგაჰრებანი, მტაცებლობანი და მსგავსი ამათნი. არს ფერჳთაცა მწინკულევანებად: სლვად გზასა ცოდვისასა. იხილე გულისაცა მწინკულევანებად: გულისთქუმანი ბოროტნი, გემოღსმოყუარებანი, შურნი, ძკრის-ჳსენებანი, ზუაობანი, მზაკუევარებანი და სხუანი მსგავსნი ამათნი.

ხოლო შენ უკუეთუმცა მწვრე გაქუნდა ჳელთა, ვერმცა იკადრე შეს-ლვად ეკლესიად, დაღაცათუ არა-ვე-რად არს მისგან სავენებელი. ვითარ უკუე გარენართა ამათ ზედა ესრეთ მოსწრაფე ხარ, ხოლო შინაგანთა მათ

<sup>1</sup> საქმე 10,14.

და საძიებელთა ზედა ესრეთ უდებ? და რად ვყოთო, მეტყვან ვიეთნიმე, არა ვილოცვიდეთა? ჰე, ფრიადცა თანაგუა ცოცვაჲ, გარნა არა შებლაღულთა ესევითარითა მწინკულევანებითა. კუალად იტყვს მეტყუელი იგი: რად ვყო, უკუეთუ შთავრდომილ ვიყო მრავალთა ცოდვათაო განსაცდელითა ეშმაკისაჲთა? უკუეთუ შემთხუეულ არიან შენდა ცოდვანი, კაცო, განიბანე თავი შენი და განინმიდე. – ვითარ განვიბანო? ვითარ განვინმიდო? განიბანე ცრემლითა, სულ-თქუმითა, აღსაარებითა; მიეც ქველისსაქმე შენი გლახაკთა, დაეგე, უკუეთუ ვინ შეგინუხებიეს, მოისპენ ბოროტნი გულისსიტყუნი გულისაგან, დასცხერ ყოვლისავე ცოდვისაგან, ევედრებოდე ღმერთსა ღმობიერებით და ესრეთ განიბანო და განსწმიდნე ყოვლისავე მწინკულისაგან ცოდვათაჲსა. ხოლო უკუეთუ შებლაღულ იყო საქმეთაგან ბოროტთა და ენაჲ შენი სავეს იყოს ზრახვითა ბოროტითა და არა განინმიდო თავი შენი, არამედ ესრეთ შებლაღული მიხვდოდი წინაშე ღმერთისა ლოცვაჲ და ზიარებაჲ, წყლითა განბანაჲ ყოვლაღვე არარას გერგოს, არამედ გესმეს შენცა: „უკუეთუ განამრავლოთ ვედრებაჲ, არა შევისმინო თქუენი“.<sup>1</sup> უკუეთუ ვის აქუნდენ ჴელინი შებლაღულნი მწკრითა და მივიდეს ვედრებაჲ მეფისა და უპყრნეს ფერწნი, ისმინოსა მისი? მე ვჰგონებ, თუ სცეს მას ფერწითა პირსა. ეგრეთვე შენ, კაცო, ეკრძაღლე საქმესა ამას და ნუ იკადრებ შებლაღული მისლვაჲ წმიდისა მის ბარძიმისა, არამედ განიბანე პირველაჲ, რამეთუ ადვილ არს განბანაჲ ესე და არა ძნელ. უკუეთუმცა არა განენესა განბანაჲ ესე უფალსა, არამედ ეძიებდამცა ჩუენგან ყოვლაღვე შეუგინებლობასა, ძნელმცა იყო ჩუენ ზედა ესე, ხოლო ვინაჲთგან მიუთხრობელითა მით წყალობითა მისითა განანესა სინანული და შებლაღულთა ამათ მრავალთაგან ცოდვათა განგუნმედს ცრემლითა და სულთქუმითა, არარაჲ გუაქუს მიზეზი, არამედ ვისწრაფოთ განწმედაჲ, რაჲთა არა ჩუენდა მომართცა თქუას, ვითარმედ: „ვთქუ შემდგომად ყოველთა მათ ბოროტთა: ჩემდავე მოიქეც, და არა მოიქცა“.<sup>2</sup>

განიბანე, კაცო, პირი შენი და ენაჲ სიტყუათაგან ბოროტთა, რაჲთა კადნიერებით ევედრებოდი ღმერთსა, რამეთუ წერილ არს: „ცხოვრებაჲ და სიკუდილი ჴელთა შინა ენისათა არს“;<sup>3</sup> და „სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“.<sup>4</sup> ან უკუე მსგავსად გუგათა თუალისათა დაიცვე ენაჲ შენი, რამეთუ ასწაო თუ მას წესიერებაჲ, იქმნას ეტლ მეუფისა; ხოლო დაუტეო თუ წარმდებებით სლვაჲ ყოველსავე ბოროტსა შინა, იყოს იგი საწედარ ეშმაკისა, რაჲჲამს აღივსებოდის ყოვლითავე გინებითა და ბოროტისმეტყუელებითა, გულისწყრომით ზრახვითა მოყუსისაჲთა და სხვთა მრავლითა ბოროტითა. ამისთვის გევედრები, უკუეთუ გნებავს, რაჲთა კადნიერებით ევედრებოდი ღმერთსა, ყოვლისავე რისხვისა და გულისწყრომისაგან წმიდა-ყავ სული შენი, ვითარცა იტყვს მოციქული,

<sup>1</sup> ესაი 1,15.

<sup>2</sup> იერ. 3,7.

<sup>3</sup> იგავ. 18,21.

<sup>4</sup> მათ. 12,37.

ვითარმედ: „მნებავეს ლოცვად მამათად ყოველსა ადგილსა აპყრობად წმიდად ჴელთა თჳნიერ რისხვისა და გულისწყრომისა; ეგრეთვე დედათა ნესიერებისა სამკაულითა მორცხუედ და ღირსებით შემკობად თავთა თჳსთა“.<sup>1</sup> ან უკუე, კაცო, ნუ სირცხვლეულ-ჰყოფ ენასა შენსა. უკუეთუ არა, ვითარ შენროს შენთჳს ვედრებაჲ, ოდეს კადნიერებაჲლა თჳსი წარენწყმიდოს? არამედ შეამკვე იგი სიტკობებითა, სიმდაბლითა, სახიერებითა, ღირსებითა ღმრთისაჲთა; ალავსე იგი კურთხევითა, მონყალებითა, რამეთუ იქმნების სიტყვთაცა მონყალებაჲ, რაჟამს ეტყოდის კაცი გლახაკსა სიმშკდითა და მშკდობითა; ალავსე კუალად პირი შენი ქებითა უფლისაჲთა და წურთითა საღმრთოთა წერილთაჲთა, ვითარცა წერილ არს: „ყოველი თხრობაჲ შენი იყავნ შჯულსა შინა უფლისასა“.<sup>2</sup> ესრეთ რად შევამკვენთ თავნი ჩუენნი, მერმე მოუჴდეთ უფალსა და მეუფესა ჩუენსა და შეუფრდებოდით მუჴლთ-მოდრეკით, არა ხოლო გუამითა, არამედ გონებითაცა ლმობიერითა და მჴურვალითა.

გულისჴმა-გყოთ, თუ ვის შეუფრდებით ანუ რადსათჳს შეუფრდებით და რასა ვითხოვთ. ღმერთსა შეუფრდებით, რომელი იხილონ რად სერაბინთა, პირთა დაიფარვენ, რამეთუ ბრწყინვალეობასა მას ვერ იტკრთვენ, რომლისაგან ქუეყანად ძრნის მოხედვითა ხოლო წამის-ყოფისა მისისაჲთა. ღმერთსა შეუფრდებით, რომელსა აქუს უკუდავებაჲ და ნათელსა მყოფ არს მიუნდომელსა, მხოლოდ მეუფე მეუფეთად და უფალი უფლებათად, რომლისაჲ არს პატივი და ძალი საუკუნოდ, ამენ. და რადსათჳს შეუფრდებით ანუ რასა ვითხოვთ? ჴსნასა საუკუნეთაგან სატანჯველთა, შენდობასა ცოდვათასა, მიმთხუევასა სასუფეველისასა და მკჳდრობასა კეთილთა მათ მოუგონებელთასა. შეუფრდეთ უკუე ჴორცილთაცა და გონებითა, რადთა მან აღგუადგინნეს ქუემდებარენი ესე; შეუფრდეთ და ვითხოვთ ზემონერილნი იგი საქმენი, შენდობაჲ ცოდვათად და გამოჴსნაჲ გეჴინისაგან და წყალობაჲ მისი უხუებით. ნუმცა რას ჴორციელსა ვითხოვთ, ნუცა მტერთა ჩუენთა ვსწყევთ, გარნა ხოლო ეშმაკთა. ნუმცა ვის კაცთაგანსა შეასმენ, ძმაო, ლოცვასა შინა. ხოლო გნებავეს თუ შესმენად, თავსა თჳსსა შეასმენდი; უკუეთუ გნებავეს აღლესვად ენისა შენისაჲ, ცოდვათა შენთა განქიქებაჲ აღლესე. ნუ მას იტყვ, უკუეთუ რადმე ძმამან გავნო, არამედ რად-იგი შენ აენე თავსა შენსა, რამეთუ ესე არს ჴეშმარიტი ვნებაჲ. და ნანდჳლვე ვერვის ჴელ-ენიფების ვნებაჲ შენდა, უკუეთუ არა შენ თჳთ ავნო თავსა შენსა.

ან უკუე, გნებავეს თუ მავნებელთა და ბოროტისყოფელთა შენთა შესმენად, ყოვლისა პირველად თავი თჳსი შეასმინე, და კეთილი იყოს შენდა შესმენად ესე. ხოლო უკუეთუ მოყუსისა შესმენად სთქუა ლოცვასა შინა, დიდად ავნო თავსა თჳსსა; და სიტყუაჲცა მეზრ ესე ცრუ არს, რამეთუ რად სავნებელი სთქუა სხჳსა მიერ შენ ზედა მონვენად? გინებანი, ანუ ზღვე-

<sup>1</sup> 1 ტიმ. 2,8-9.      <sup>2</sup> ზირ. 9,20.



ვანი, ანუ ჯორციელნი ჭირნი სთქუნეა? არამედ უკუეთუ განვიფრთხოთ ესე ყოველი, უფროდსად სარგებელ არს ჩუენდა, რამეთუ რომელმან ესე-ვითარი რაჲმე უყოს მოყუასსა, არა თუ მას ავნებს, არამედ თავსა თვსსა. და ესე არს ყოველთა ბოროტთა დასაბამი, რომელ არცა თუ ვიცით, ვინ არს ვნებული, ანუ ვინ არს მავნებელი. რამეთუ ესე თუმცა ვიცოდეთ, არა-ოდეს ვავნეთმცა თავთა ჩუენთა ძკრის-ზრახვითა და ძკრის-წსენებითა ძმათადა; და მიკვრს, ვითარ უმეცარ ვართ საქმესა ამას, ვითარმედ შეუძ-ლებელ არს, თუმცა მეორისაგან ვის ბოროტი შეემთხვა, არამედ კაცად-კა-ცადი თავსა თვსსა ავნებს, რომელი-იგი ეგონოს, თუ მოყუასსა ავნო.

ან უკუე რომელმან-იგი წარიტაცა მონაგები შენი, რომელმან გაზღვია, რომელმან ჭირ-გაფრო, თავსა თვსსა ავნო, ხოლო შენ დიდად გარგო, უკუ-ეთუ ახოვნად თავს-იდვა შენ. რამეთუ უკუეთუ ვინ მოიტაცოს მეორისაგან მახვლი და განიწონოს გულსა თვსსა, რომელსა ევნო, რომელმან მიიტაცა ანუ რომლისაგან მისტაცა? საცნაურ არს, ვითარმედ იგი წარწყმდა, რო-მელმან მიიტაცა. ეგრეთვე არიან ჯორციელნი ესე საქმენი ყოველნივე, რო-მელნიცა ვინ მეორისაგან მოიტაცენს და ძმათ თვისი შეანუხოს, თავსა თვსსა ავნებს და მას არგებს.

ამისთვის, საყუარელნო, ნუმცა ვინ ავნებს ძმასა ჯორციელად, რაჲთა არა სულსა თვსსა განიწონოს მახვლი, ნუცა ვინ შენუხებულთაგანი მწუ-ხარე არს, რამეთუ არა ევნო, არამედ უფროდსლა ერგო; ნუ ძკრსა იწსე-ნებს, რაჲთა არა სარგებელი თვისი წარიწყმიდოს, არამედ აკურთხევდინ და ულოცევდინ მაჭირვებელთა თვსთა, რაჲთა მოიღოს ღმრთისაგან უხუ-ებით კურთხევაჲ. ესრეთ თუ აღვასრულოთ მცნებაჲ ქრისტესი, აქაცა მყუდროებით ვცხოვნდებოდით, ძმანო, და საუკუნესა მასცა ნავთსაყუ-დელსა მივიწინეთ და წარუვალთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუ-ნითი უკუნისამდე, ამენ.